

հԿՑՈ ՔԱՑՈՑՎՈԾՈ

**ՀԱՌՈՒԱԾՈ  
ԱՇԽՎԱՏԵ  
ԼԵՂԵՆԵՑՑԱԾՈ**

ՑԱՄՈՒՅՆՈՅՈ  
ՆԱԽՈՆԳԵՑՈ  
ՎԱՀՈՒՅՈ ԵՎԵԿԻՈ  
ՎՐԻԿՈՑԻԿԱՑՈՈՍ  
ԾՎՏԱԿԵ





ჩეზო ჭანიშვილი

# ქართული ტექსტის საღილებულები



გამოჩენილი  
აღმიანები  
ქართველი ხასევი  
ქორიცხვაფილის  
შესახებ

ივანე  
შვერაძე  
გამარჯვებული  
გამოსახული

თბილისი  
2015

ავტორი გულწრფელ პატივისცემას  
გამოხატავს და უდიდეს მადლობას  
მოახსენებს დიდებულ მამულიშვილს,  
სახელმწიფო და საზოგადო  
მოღვაწეს, ყაზახეთის რესპუბლიკაში  
საქართველოს საპატიო კონსულს  
ბატონ ვალერი მოქერიას წიგნის  
გამოცემის მატერიალური და  
ფინანსური უზრუნველყოფისათვის.

© ჩანიშვილი  
REZO CHANISHVILI

დაიგენდა გას „სეზანი“  
**CEZANNE**  
PRINTING HOUSE

ISBN 978-9941-0-7815-6



მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის უმდიდრეს საგანძურში ფოლკლორულ საცეკვაო ხელოვნებას მიშვნელოვანი და საპატიო ადგილი უჭირავს.

ცეკვა ქართველი კაცის ცხოვრების თანამდევ მოვლენად იქცა დასაბამიდანვე და ამიტომაც იგი ისეთსავე ქურაშია გამოწროთობილ - გამოძერნილი, როგორშიც ქართველთა მოდგმის ხასიათი, მსოფლალმა, სამყაროსადმი მიმართება და აზროვნების წესი ყალიბდებოდა.

უძველესი ფერხულები და სარიტუალო, სატრადიციო, სანადიმო, სადარბაზო, სპორტული, საბრძოლო თუ სალადაბო ცეკვები, ქალაქური საცეკვაო ფოლკლორი - ასეთია დაახლოებით ის პლასტიკურ-ფერადოვანი პალიტრა, რომლის მარგალიტის მიღვებივით აელვარებული ნიმუშების საერთო რაოდენობის ჩამოთვლა და შინაარსობრივი მრავალფეროვნების ჩვენება ერთობ ძნელი საქმეა.

ქართველი ერი კანონიერად ამაყობს იმით, რომ წინაპართა მიერ შექმნილი საცეკვაო ხელოვნება ერის სავიზიტო ბარათად იქცა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. არ დარჩენილა კონტინეტი და ქვეყანა, სადაც საგასტროლოდ ჩასული ქართული ანსამბლების შემოქმედებას გულგრილი დაეტოვებინოს მაყურებელი და ამ უკანასკნელს „ქართული საოცრების ხელმეორედ ხილვის სურვილი არ გასჩენოდეს“.

ხელოვნების საიდუმლოებებს ნაზიარები მკითხველი უთუოდ დაგვეთანხმება, რომ ათასნაირი სახილველით განებივრებული თანამედროვე მაყურებლის მოხაბვლა და მისი გულის მონადირება იოლი საქმე არ არის. ამიტომაც, ბუნებრივად ჩნდება აზრი, რომ ამგვარ წარმატებათა მიზეზი მხოლოდ ანსამბლების ან კიდევ ცალკეულ მოცეკვავეთა საშემსრულებლო ხელოვნებაში არ უნდა იმაღებოდეს. როგორც ჩანს, თვით ქართულ ხალხურ ცეკვაში არის იმთავითვე ჩადებული მხატვრული კოდი, რომელიც არა მარტო ერის შინაგან სულიერ კონსტიტუციას ახმიანებს, არამედ იმ საყოველთაო და ზოგადყაცობრიულ ღირებულებებსაც ეთანადება, რომელსაც შესანიშნავად გრძნობს კულტურული მაყურებელი.

ქართული ხალხური ცეკვის შესახებ დღემდე ბევრი ითქვა და ბევრიც დაიწერა, თუმცა სათქმე-ლი კიდევ უფრო მეტია და ამას მომავალი თაობა, უთუოდ, გააკეთებს.

წინამდებარე წიგნი არ არის ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნებისადმი მიძღვნილი თეორიულ-მონოგრაფიული გამოკვლევა.

თავისი საქმის დიდმა პროფესიონალმა და ქართულ ცეკვაზე ფანატიკურად შეყვარებულმა ადამიანმა, პროფესორ რევაზ ჭანიშვილმა შეკრიბა და მკითხველის სამსჯავროზე ამ სახით გამოიტანა უდიდესი ნაწილი იმ მოსაზრებებისა და შეფასებებისა, რომელიც ქართული ცეკვის შესახებ სხვადასხვა დროს გამოიუთქვამთ სპეციალისტებს, უურნალისტებს, მკვლევარ - მეცნიერებსა თუ რიგით მაყურებლებს.

ეს ყველაფერი „ქართული ცეკვის სადიდებელის“ სახით აიკინძა, როგორც მიახლება ამ უდიდეს საგანძურთან, რომელსაც დრო და უამი ვერაფერს აკლებს, რადგან, სიძველის სურნელით შემოსილს და მარად თანამედროვეს, თაყვანისმცემელი და დამფასებელი განუწყვეტლივ ემატება.

წინამდებარე წიგნი ამგავრი ჩანაფიქრის განხორციელების პირველი ცდაა. იმედს გამოვთქვამთ, რომ მომავალში იგი კიდევ მრავალგზის გამოიცემა და თანაც უთუოდ უფრო გამდიდრებულ - შევსებული სახით.

აი, ზუსტად ასეთი სახე აქვს წინამდებარე წიგნის პირველი გამოცემის სარედაქტორო წინასიტყვაობას.

გავიდა გარკვეული, თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც თუ მაინცდამაინც ხანგრძლივი პერიოდი და და დღეს უკვე მზადაა წიგნის მეორე შევსებულ-გამდიდრებული გამოცემა. ეს შემთხვევითი მოვლენა არ გახლავთ. განვლილმა პერიოდმა დაგვანახა, რომ წიგნმა გარკვეული პოპულარობა მოიპოვა მკითხველთა წრეებში. იგი საინტერესო შენაძენია სტუდენტთათვის, მოსწავლე-ახალ-

გაზრდობისათვის, მკვლევარების, უურნალისტებისა და მკითხველთა ფართო მასისათვის. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ამგვარი რამ შემთხვევით არ ხდება. მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ მკითხველისა თუ მსმენელ-მაყურებლისათვის თავსმოხვეული ამბების უდიდეს ნაკადში თითქმის შეუძლებელი გახდა ყველაზე საჭირო და აუცილებელი ინფორმაციის მოძიება-შენახვა. შეიქმნა სიტუაცია, როდესაც მოვლენებისათვის უბრალოდ თვალის მიდევნებასაც კი უზარმაზარი ძალისხმევა ესაჭიროება. ყველაფერ ამას კი ათასნაირი საზრუნავით შეპყრობილი ჩვენი თანამედროვე ადამიანი, უბრალოდ ვეღარ ახერხებს.

გამონაკლისი, სამწუხაროდ, არც ამჟამად მოქმედი უამრავი ქართული სახელმწიფო-აკადემიური, მუნიციპალური, სამოყვარულო თუ საპავშვო და ახალგაზრდული ანსამბლების საქმიანობა არა, ანსამბლებისა, რომელთა რიგებში გაერთიანებულ ადამიანთა საერთო რაოდენობა რამდენიმე ათეულ და ასეულ ათასს უტოლდება. ცხადია, მათ შორის, როგორც ეს ცხოვრებაში საერთოდ ხდება ხოლმე, ბევრია შემთხვევითი ადამიანი, რომელთა ინტერესებისა თუ მისწრაფების მასშტაბი დიდი სიმყარით არ გამოირჩევა, თუმცა ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ქართული საცეკვაო ხელოვნებით დაინტერესებულთა ის რაოდენობა, რომელსაც სერიოზული ინფორმაცია ესაჭიროება და რომელიც მზადაა ამ მიმართულებით საკუთარი ბიბლიოთეკაც შექმნას, უკვე ისეთი და იმდენია, რომ მათი დაკამაყოფილება არანაირი მაღალი ტირაჟის მქონე წიგნს არ შეუძლია. ამიტომაც, უდაოდ სწორი სტრატეგიით მოქმედებს წინამდებარე წიგნის ავტორი, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს პერიოდულად დახვეწოს, შეავსოს და უფრო მეტად ხელმისაწვდომი თუ სასარგებლო გახადოს თვით წიგნი და მასში აღწერილი მოვლენები იმ ადამიანებისათვის რომელთაც, გარკვეულ მიზეზთა გამო, მისი პირველი ვარიანტი არა აქვს.

გასათვალისწინებელია სხვა გარემოებაც. კერძოდ, „სადიდებლის“ პირველი ვარიანტის გამოსვლის შემდეგ დღემდე გასული პერიოდის განმავლობაში ქვეყანაში ბევრი სიახლე მოხდა. გარდა ამისა, გამოჩნდა მკვლევარ-მეცნიერთა თუ კალმოსანთა გარკვეული ჯგუფი, რომელთა ნააზრევი, შეხედულებები, სურვილები და მათ ხელთ არსებული ინფორმაცია, უბრალოდ, ვერ მოხვდა წიგნის უკვე გამოცემულ ვარიანტში. არადა, როგორც აღმოჩნდა, ეს საჭირო ყოფილა არა მხოლოდ ცალკეულ პიროვნებათა ამბიციების დასაკმაყოფილებლად, არამედ დასახული მიზნების მეტი სიცხადით, მეტი სიხარულით წარმოსაჩენად. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მომზადდა სწორედ წიგნის გადამუშავებული და შევსებული ვარიანტი. ვფიქრობთ, იგი ამ სახით გაცილებით უკეთ მოემსახურება მკითხველს თუმცა ისიც ცხადია, რომ დაწყებული პროცესი ამით ვერ დასრულდება. მოვა დრო და კვლავ დღის წიგნის ხელახალი გამოცემის საკითხი...

ესეც ჩვეულებრივი მოვლენაა და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართული საცეკვაო ხელოვნება ის მარადიული, თვალშეუდგამი ესთეტიკური სიმაღლეა, რომელსაც დრო-უამი ახალ-ახალი ფერადოვანი ელემენტებით ტვირთავს. ეს კი იმიტო ხდება, რომ ჯანსაღია ის გული და გულისგული, რომელსაც ტოტების სახით ემატება ეპოქის მიერ მოტანილი ყლორტების ამონაყარი.

მაშ, დავულოცოთ გზა წიგნის „ქართული ცეკვის სადიდებელი“ ახალ გამოცემას, ვუსურვოთ მას კიდევ უფრო მეტი მკითხველი შემოეკრიბოს და კვლავაც ღირსებით ევლოს ქართული კულტურის წინსვლა-განვითარებისათვის უფლის მიერ ნაბოძებ უკიდეგანო სივრცეში.

წიგნში შეტანილია როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სხვადასხვა მიმართულების ვარსკვლავების, გამოჩნილი ადამიანების, ნობელის პრემიის ლაურეატების, მეცნიერების, პოლიტიკოსების, სარდლების, საზოგადო მოღვაწეებისა და სხვათა შეხედულებები საქართველოს საცეკვაო კულტურის შესახებ. მათ შორის: სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია-II, გრიგოლ რობაქიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ჯორჯ ბალანჩინი, ნინო ანანიაშვილი, ბელა ახმადულინა, მერაბ ბერძენიშვილი, ჯორჯ ბუში (უმცროსი), ნოდარ დუმბაძე, ჯონ სტეინბეკი, ანზორ ერქომაშვილი ბიძინა კვერნაძე, ვიქტორ ვასნეცოვი, ოლგა ლეპეშინსაცაია, გიგა ლორთქიფანიძე, ოთარ მელვინეთუხუცესი, ნინო რამიშვილი, ილიკო სუხიშვილი, მიხეილ ფოკინი, რობერტ სტურუა, ვახტანგ ჭაბუკიანი, ოთარ ჭილაძე, ივანე ჯავახიშვილი, სორონბაი ჯუსოევი, გია ყანჩელი, ჯანსულ კახიძე და სხვა.

პროფესორები: ოლეგ ალავიძე  
რევაზ ბალანჩივაძე

The folk dance art holds a special place in the treasury of the centuries-old culture of Georgia.

Georgian dance traditions were forged and formed in the same furnace as the character of the nation, its outlook and attitude towards the world. Therefore, dance has become an accompanying phenomenon of every Georgian's life.

Ancient roundelays, ritual, hunting, ceremonial, competitive and love dances, as well as urban folk dance – all that is a plastic-color palette of Georgian dance and demonstration of substantial diversity of its brilliant pearls is a hard task.

Georgian nation is rightly proud of the fact that dance art, created by previous generations, has become the nation's hallmark worldwide. There is hardly any country or continent, that has been indifferent to Georgian dances, performed by the ensembles touring abroad. There is hardly any spectator, who will not wish to see that "Georgian miracle" again.

A reader, familiar with the mysteries of culture, will certainly agree that it is not so easy to stagger and win the heart of modern public, satiated by all kinds of shows. Of course, this originates an idea that the reason for this success lies not just in the performance skills of an ensemble or a single performer. Apparently, there is an artistic code, initially laid in the Georgian folk dance itself, which articulates internal spiritual constitution of the people, but which is also combined with universal values, that a cultural audience can sense well.

Much has been said and written about the Georgian folk dances. Much more can be added to the aforesaid and the next generations will undoubtedly do that.

This book is not a theoretical and monographic study of Georgian choreographic art.

Revaz Chanishvili, a professor, great professional, who is fanatically loyal to the Georgian dance, has collected and presented in the given form to the readers' approval the opinions and assessments, expressed at different times by Georgian dance art experts, academicians-researchers, as well as journalists and ordinary audience.

All the aforementioned has been collected and published in the book - "A Hymn to the Georgian Dance." This book is an attempt to get closer to a tremendous treasure, which is timeless, since Georgian dance, which is wrapped in the mysteries of ancientness and is eternally young, is gaining more and more new fans and connoisseurs.

This book is the first attempt to implement such an idea. We hope that in future the book will be published more than once in the enriched and expanded form.

That was the editorial preface to the first edition of this book. Little time has passed and the second amended and revised edition is ready. It is not a coincidence. The recent period showed that the book has gained some popularity among the readers. It has turned out to be interesting to students, schoolchildren, researchers, journalists and the broader audience. Obviously, such things do not happen by chance. In the stream of news pieces, imposed upon the readers and spectators by the mass media,

it has become hardly possible to find necessary and relevant information. The situation is such that enormous efforts are required just to track the course of events. Regrettably, our care-laden contemporaries are simply unable to do that.

In this case, the huge number of existing public-academic, municipal, amateur, children and youth ensembles, involving hundreds of thousands of members, is not an exception. Among them, as it usually happens, are many random people, whose' attitudes and interests are not very diverse, but that actually doesn't matter much. Georgian dance art is a subject of interested to many people in need of comprehensive information, ready to create their own library associated with this issue. There are so many of them that no high circulation of a single book can satisfy the desire to obtain necessary information in this sphere. Therefore, the author of this book, who has decided to periodically add to, improve and make it more accessible and useful for those, who were unable to buy or simply missed its first edition, undoubtedly keeps to the right strategy. The new edition of the book will be also useful to those, who were unaware of the recent developments.

There is another factor, that should be also taken into account. Many events have taken place in the country since publication of the first version of the "Hymn" until present. Besides, there were certain groups of researchers and authors, whose ideas and views, wishes or information available to them, simply was not included in the book's first edition. It has turned out, that such addition is necessary not only to satisfy the ambitions of individuals, but also for greater specificity of the task. The revised and expanded edition of the book has been prepared with due account for the aforesaid. We believe, in such a form the book will better serve its readers. It is also clear that the initiated process will not be limited to this publication. Time will come and the issue of republishing of this book will be put on agenda again.

This is also a common phenomenon, that once again proves that Georgian dance art is an eternal aesthetic value, acquiring over the time a new range of elements. This happens because Georgian dance, itself, is alive and young at heart, and it meets all the requirements and trends of the new era.

Let's welcome the new edition of "The Hymn to Georgian Dance", let's wish it to acquire new readership, to continue its march for the development and promotion of the God-blessed Georgian culture.

The book contains statements about the Georgian dance culture, made by Georgian and foreign culture figures, Nobel-prize laureates, scientists, politicians, generals and government officials.

Among them are: Catholicos-Patriarch of All Georgia, Ilia II; Grigol Robakidze; Chabua Amirejibi; Nino Ananiashvili; Bella Ahmadulina; Merab Berdzenishvili; George Bush (Jr.); Nodar Dumbadze; John Steinbeck; Anzor Erkomaishvili; Viktor Vasnetsov; Olga Lepeshinskaya; Giga Lortkipanidze; Otar Meghvinetukhutsesi; Nino Ramishvili; Iliko Sukhishvili; Michael Fokin; Robert Sturua; Vakhtang Chabukiani; Otar Chiladze; Ivan Javakhishvili, Sooronbay Jusuyev and other outstanding persons.

Искусство фольклорного танца занимает особое место в сокровищнице многовековой культуры Грузии.

Традиции грузинского танца ковались и формировались в том же горниле что и сам характер народа, его мировоззрение и отношение к окружающему миру. Поэтому танец стал сопутствующим явлением в жизни любого грузина.

Древнейшие хороводы, ритуальные, охотничьи, торжественные, состязательные, любовные танцы, городской танцевальный фольклор – такова пластично-цветовая палитра грузинского танца, перечисление и демонстрация содержательного многообразия блестящих жемчужин которого представляется сложнейшей задачей.

Грузинский народ по праву гордится тем, что танцевальное искусство созданное предыдущими поколениями стало визитной карточкой народа в мировом масштабе. Гастроли грузинских ансамблей за рубежом не оставили безразличным ни одну страну или континент. Нет таких зрителей, у которого не появилось бы желание “вновь увидеть грузинское диво”.

Знакомый с тайнствами культуры, читатель несомненно согласится с нами в том, что потрясти и таким образом завоевать сердца современной публики, пресыщенной всякого рода зрелищами, дело не простое. Естественно возникает мысль, что причина такого успеха кроется не только в исполнительском мастерстве ансамбля или отдельного исполнителя. По видимому, в самом грузинском народном танце изначально заложен художественный код, не только озвучивающий внутреннюю духовную конституцию народа, но и сочетающийся с общечеловеческими ценностями, которые превосходно чувствует культурный зритель.

Многое сказано и написано о грузинском народном танце. Еще больше можно добавить к сказанному и этим несомненно займутся следующие поколения.

Данная книга не является теоретически-монографическим исследованием, посвященным грузинскому хореографическому искусству.

Большой профессионал своего дела, фанатически преданный грузинскому танцу, профессор Реваз Чанишвили собрал и в данном виде представил на суд читателя мнения и оценки, высказанные в разное время о грузинском танце специалистами данной области, учеными – исследователями, а также журналистами и обычными зрителями.

Все вышеперечисленное было собрано и издано в книге “Славословие грузинскому танцу”. Эта книга – попытка приблизиться к огромной сокровищнице, которая неподвластна времени, так как покрытый тайной древности и вечно молодой грузинский танец приобретает все новых ценителей и поклонников.

Данная книга является первой попыткой осуществления подобного замысла. Надеемся, что в будущем книга еще не раз будет издана в обогащенном и дополненном виде.

Таким было редакторское предисловие к первому изданию данной книги. Прошло совсем немного времени и уже готово второе дополненное и доработанное издание. Это не представляется случайностью. Прошедший период показал, что книга обрела определенную популярность в кругу читателей. Она оказалась интересна студентам, школьникам, исследователям, журналистам да и широкому кругу читателей. Понятно, что такое не происходит случайно. В потоке новостей, навязываемым читателям и зрителям средствами массовой информации, стало практически невозможно найти наиболее необходимую и нужную информацию. Возникла ситуация,

когда для простого слежения за ходом событий требуется приложение огромных усилий. К сожалению, обремененный заботами наш современник, просто не в состоянии этого делать.

В данном случае не являются исключением и действующие на данный момент многочисленные государственно-академические, муниципальные, любительские и детские-юношеские ансамбли, в которых объединены сотни тысяч участников. Среди них, как это обычно случается, много случайных людей, мировоззрение и интересы которых не отличаются большой разнообразностью, хотя и это значит немногого.

Искусством грузинского танца заинтересовано большое количество людей, нуждающихся в серьезной информации, готовых создать собственную библиотеку связанную с этой тематикой. Их столько, что никаким высоким тиражом одной книги невозможно удовлетворить желание получить нужную информацию в данной сфере. По этому автор данной книги, решивший ее периодически дополнять, усовершенствовать и сделать более доступной и полезной для тех, кто не смог приобрести или попросту пропустил ее первое издание, несомненно придерживается правильной стратегии. Новое издание книги будет полезно и тем, кто не был в курсе событий последнего времени.

Следует учитывать и другое обстоятельство. После издания первого варианта "Славословия" до настоящего момента времени в стране произошло много событий. Кроме этого появились определенные группы ученых-исследователей и авторов, чьи идеи, взгляды, пожелания или же доступная им информация попросту не попала в первое издание книги. Как оказалось, такое дополнение нужно не только для удовлетворения амбиций отдельных лиц, но и для большей конкретизации поставленной задачи. С учетом вышеперечисленного и было подготовлено переработанное и дополненное издание книги. Полагаем, в таком виде книга лучше послужит читателю. Ясно и то, что начатый процесс не ограничится данным изданием. Придет время и на повестку дня встанет вопрос переиздания книги.

Это тоже обычное явление, еще раз подтверждающее, что искусство грузинского танца – вечная эстетическая величина, со временем приобретающая новую гамму элементов. Так происходит потому, что жив и молод душой сам грузинский танец, отвечающий все новым требованиям и веяниям эпохи.

Поприветствуем новое издание "Славословия грузинскому танцу", пожелаем ему приобретения нового круга читателей, продолжения шествия на поприще развития и продвижения грузинской культуры, благословленном Господом.

В книге собраны высказывания как грузинских так и зарубежных деятелей культуры, лауреатов нобелевской премии, ученых, политиков, военачальников и государственных деятелей о культуре грузинского танца. Среди них: Католикос-патриарх Всея Грузии Илия II, Григорий Робакидзе, Чабуа Амирэджиби, Джорж Баланчин, Нино Ананиашвили, Белла Ахмадулина, Мераб Бердзенишвили, Джордж Буш (младший), Нодар Думбадзе, Джон Стейнбек, Анзор Эркомаишвили, Бидзина Квернадзе, Джансуг Каидзе, Гия Канчели, Виктор Васнецов, Ольга Лепешинская, Гига Лорткипанидзе, Отар Мегвинетухуцеси, Нино Рамишвили, Илико Сухишвили, Михаил Фокин, Роберт Стурна, Вахтанг Чабукиани, Отар Чиладзе, Иванэ Джавахишвили, Сооронбай Жусуев и другие знаменные люди.

Профессоры: **Олег Алавидзе**

**Реваз Баланчивадзе**



ნებისმიერი ერის კულტურა ერის სულის სარკეა. ქართული ცეკვა ქართული კულტურის ერთ-ერთი თვალმარგალიტია, რომელშიც ნათლად არის გაცხადებული ჩვენი შინაგანი სამყარო.

ქართული ცეკვა კდემამოსილების, ღირსების, ვაჟკაცობის, გაუტეხლობის, თავდადების, გონიერების, სიბრძნის, სიძლიერისა და ამაღლებული სიყვარულის საგალობელია. მის მრავალფეროვნებასა და მრავალსახეობაში ნათლად ჩანს, ერთი მხრივ ერთიანი ქართული სულის გამოძახილი, მეორე მხრივ კი, კუთხეების განსხვავებულობა, რაც საოცარ მოზაიკურ პანოს ქმნის.

ქართული ცეკვა ჩვენი სიამაყეა და მსოფლიოს ნებისმიერ დონეზე ჩვენი მეობის ღირსეულად წარმომჩენი.

თამა-ლ

სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს პატრიარქი



უნდიდესი და უნეტარესი,  
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,  
მთავარეპისკოპოსი მწხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტი  
ბიჭვინთისა და ქუთაისისა ზემოადგინებული II



ქართული მთლიანობა  
ქართული ცეკვის  
უსახებ

## ქართული ცეკვა მთელი სამყაროა... უმდიდრესი, ნატიფი და ულამაზესი.

ქართული ცეკვა საქართველოს სულიერების, ქართველთა სიბრძნისა და ნიჭიერების სრულყოფილი ხატია. ქართული ცეკვა უხსოვარ დროიდან დღემდე მოტანილი მეხსიერება და უსასრულო მომავლისაკენ მიმართული იმედია. ქართული ცეკვა მთელი სამყაროა და მე უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ თითქმის მთელმა მსოფლიომ დააფასა და შეიყვარა ჩვენი ცეკვები; ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი საუკეთესო ოსტატების გვერდით მეც ვიდექი ქართული ცეკვის თავბრუდამხვევ ფერხულში. ვცეკვავ, რაც თავი მახსოვს... ქართული ცეკვა ჩემთვის იქცა განსაკუთრებულ, სრულყოფილ ენად, რომელიც საშუალებას მაძლევდა მთელი სიცოცხლის მანძილზე გამომეხატა ჩემი მისწრაფებანი, გამემუდავნებინა ჩემი სულიერი ცხოვრების იდუმალი მხარეები. ცეკვით მიყვარდა, ცეკვით ვტიროდი და მიხაროდა. ცეკვითვე ვუმკლავდებოდი ყოველდღიურობის მომქანცველ ულიმლამობასა და უამთა სიავეს.

ქართული ცეკვა მთელი სამყაროა და, საბედნიეროდ, ამ სამყაროში მოკრძალებული ლვანლის შეტანის უფლება ღმერთმა მეც მიწილადა.

მანანა აპაზაძე  
საქართველოს სახალხო არტისტი

## ქოჩობჩიური ხელოვნებას მჩვალსაუნაროვანი ისტორია ბარჩინი

ქართული ხალხური ქორეოგრაფია ჩვენი ხალხის უძველესი კულტურის ორგანული შემადგენელი ნაწილია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ქორეოგრაფიისა და მასთან განუყრელი მრავალხმიანი ქართული ხალხური სიმღერის შესწავლის გარეშე, კულტურულ ფასეულობათა მთლიან სისტემაში მათი ადგილისა და როლის გააზრების გარეშე, შეუძლებელია ქართული კულტურის ისტორიის სრულყოფილი სურათის წარმოდგენა.

მიუხედავად იმისა, რომ ცეკვის ხელოვნება შორეულ წარსულში გაჩნდა, მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. იგი მარად ცოცხალი ხელოვნებაა. ცეკვა, რომელიც წარსულში ფაქტობრივად მაგიურ მოქმედებათა განუყრელი ნანილი იყო, დღეს ადამიანის სულიერი მოთხოვნილების გამოძახილია. მგზნობიარე სულის მდგომარეობის უნისონში აუღერებული ადამიანის სხეულის პლასტიკურ მოძრაობათა მონახაზი სხვადასხვა ესთეტიკური სემანტიკის შემცველ ცეკვებად იბადება.

რამდენადაც ქორეოგრაფიულ ხელოვნებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია, იმდენად ნორჩია, როგორც სამეცნიერო კვლევის დარგი და შესაბამისად, სასწავლო დისციპლინა – ქორეოლოგია. თუკი, ისეთი უძველესი და ქართველი ერისათვის უმნიშვნელოვანესი ისტორიული წყაროები, როგორიცაა „ქართლის ცხოვრება“, ანდა ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსი საქართველოსი“ საგანგებო ადგილს უთმობენ ქართველთა ქორეოგრაფიული ხელოვნების აღწერას. შემდგომი პერიოდის ქორეოგრაფიის განვითარების ისტორიას უკვე ახალი დროის მემატიანები გამოუჩნდნენ. ამ ადამიანებმა,

რომლებმაც თავიანთ შემოქმედებით მოღვაწეობას, მოცეკვავეებისა და დამდგმელი ქორეოგრაფების რანგში წარმატებით შეუხამეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ქორეოლოგიაში, მიზნად დაისახეს დარგის სისტემური თანმიმდევრული შესწავლა.

მოხარული ვარ, რომ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში მომიწია პედაგოგიური მოღვაწეობა იმ შესანიშნავი ადამიანების გვერდით, როგორებიც ბრძანდებიან ბატონები: ბესიკ სვანიძე, რევაზ ჭანიშვილი, თენგიზ სუხიშვილი, უჩა დვალიშვილი, ახალგაზრდა მკვლევარი ანანო სამსონაძე და სხვები, რომლებიც გზას უკვალავენ სახელმწიფო აღმოჩენის ახალ დარგს. ისინი თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ ახალგაზრდა თაობას, რადგან შესანიშნავად უწყიან, რომ ქართული ცეკვა, მდიდარი ფოლკლორი, ჩვენი მრავალხმიანობა ის საიმედო ფარია, რომელიც ერს გადაშენებისაგან დაიცავს.

ვფიქრობ, სწორედ ამიტომ ქართული ხალხური ცეკვა და სიმღერა ახალ რეფორმირებულ საგანმანათლებლო სივრცეში მოზარდის ესთეტიკური აღზრდის ყოველ ეტაპზე უნდა მონაწილეობდეს, ვითარცა სივრცულ-დროითი ის კატეგორიები, რომლებიც ისევე ჭარმაგია, როგორც თვით კაცობრიობა. უძველესი წარმართული ხანის უმდიდრესი არქეოლოგიური მონაპოვრები თრიალეთსა, თუ სამცხე-ჯავახეთში, ნიჩბისსა და ნასტაკისში, უფლისციხესა და ვანში. ყოველივე აღნიშნულს კი, განამტკიცებს ანტიკური ხანის ბერძნული და რომაული წერილობითი წყაროები. რაც შეეხება ქართულ ქრისტიანულ სააზროვნო და ესთეტიკურ კულტურას, მიუხედავად პატრისტიკის მიერ თავის დროზე დაწესებული გარკვეული აკრძალვისა, „ვითარცა უცხო რამ საქრისტიანოთასა ცხოვრებისათა“, ქართველ კაცს ყოფა ვერ წარმოედგინა როგვა თამაშის და სიმღერის გარეშე. ამიტომაც გვმართებს დიდი პატივისცემით მოვებყრათ ამ „მასიურ და პლასტიკურ ხელოვნებას“, რომელიც არა მარტო ერთდროულად აჯანსაღებს, ადამიანის სხეულსა და სულს არამედ ჩვენს თვითმყოფადობასაც გვინარჩუნებს.

ირინე აბესაძე  
ხელოვნებათმცოდნე, ისტორიის  
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

## მსოფლიო კლიაჲბა

ვამაყობ, რომ მსოფლიოში ქართული ცეკვის გენიის ღირსეულ პროპაგანდისტთა დიდი პლეადის უმეტესობა ჩემი მეგობარია. დიდება მათ, ქართული ქორეოგრაფიის სახელმოვან პიროვნებებს, რომლებმაც განაპირობეს ქართული ხალხური ქორეოგრაფიის მსოფლიო აღიარება და აღზევება.

ვაჟა აზარაშვილი  
საქართველოს კომპოზიტორთა  
კავშირის თავმჯდომარე,  
პროფესორი

\*\*\*

„ქართულ სიმღერასა და ცეკვაში ქართველის სული იხატება.“

აკაკი

## „ქართული ხანა მშვიდობის ღისანი“ ჰიბრიდული ბიბლიოთი

სათაურში გამოტანილი ეს სიტყვები ცნობილ დანიელ მხატვარს, სახვითი ხელოვნების არა ერთი შედევრის ავტორს – პერლუფ ბიდსტრუპს ეკუთვნის. იგი ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის ნობელის პრემიის ლაურეატი და მხატვარ-კარიკატურისტთა ტრადიციული საერთაშორისო კონკურსის „სატირა მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში“ უცვლელი თავმჯდომარე იყო მრავალი წლის განმავლობაში.

1971 წელს ბიდსტრუპის ინიციატივით დანიაში ჩატარდა „დანია – საბჭოთა კავშირის მეგობრობის ფესტივალი“. მაშინ იგი ამ ქვეყნებს შორის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარე იყო. ფესტივალზე საქართველო წარმოდგენილი იყო თბილისის ტრამვაი – ტროლეიბუსების სამმართველოსთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლ „სინათლით“, რომელსაც ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მურმან ლომთათიძე ხელმძღვანელობდა. დელეგაციის საერთო ხელმძღვანელი ამ სტრიქონების ავტორი გახდათ.

ფესტივალზე, ჩვენ გარდა, საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის მხატვრული შემოქმედების წამყვანი კოლექტივებიც იყო მოწვეული. მიუხედავად ამისა, ფესტივალის სულსა და გულს საქართველოდან წარგზავნილი ხალხური ცეკვის ანსამბლი „სინათლე“ წარმოადგენდა. ფესტივალის დღეებში იგი კოპენჰაგენის ყველაზე დიდ, ხუთი ათასზე მეტ მაყურებელზე გათვლილ, ხალხით გადაჭედილ, საკონცერტო დარბაზში დიდი წარმატებით გამოდიოდა. ადგილობრივი მოსახლეობის გარდა, ჩვენი ანსამბლის კონცერტებზე დასასწრებად მაყურებლები ჩამოდიოდნენ ნორვეგიიდან, შვედეთიდან, გერმანიიდან, ბელგიიდან და დანიის მეზობელი სხვა ქვეყნებიდან. ქვეყნის წამყვანი გაზეთები აჭრელებული იყო ანსამბლის წევრთა სურათებით და ალფროვანებული სტატიებით – „ეს უნდა ნახოთ, ამის აღნერა შეუძლებელია“, „სინათლე“ დანიელთა გულებში“, „ჯადოქრები საქართველოდან“, „მშვიდობის დესანტი რუსთაველის ქვეყნიდან“, „ხალხური ფოლკლორი და თვითმყოფადი კლასიკა“ და ა.შ.

ფესტივალის დახურვისას, რომელსაც დანიის სამეფო კარის ელიტა ესწრებოდა, პერლუფ ბიდსტრუპმა აღნიშნა: „ასეთი ფესტივალები დიდად უწყობენ ხელს ხალხთა შორის ურთიერთგაგებას და მეგობრობას. ეს პროცესი მითუმეტეს შეუქცევადია, როდესაც მასში მონაწილეობს ქართული მხატვრული კოლექტივი, რადგან ქართული ცეკვის ცეცხლოვანი ტემპერამენტი და მისი ღრმა შინაარსიანი ფილოსოფიური პლასტიკა ერთნაირად გასაგებია მსოფლიოს ყველა ქვეყნის ნებისმიერი ეროვნების წარმომადგენლისათვის და, საერთოდაც, ქართული ცეკვა მშვიდობის დესპანია“.

ვილი ალავიძე

საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი

## სალხების ნიშნების სახე!

ხალხური ცეკვა მხატვრულ-სახეობრივი აზროვნების ის სარკეა, რომელშიც დაკვირვებული თვალი ამა თუ იმ ეთნოსის სულიერების გამომხატველ ზუსტად იმგვარ სახეს დაინახავს, რომლითაც მას საუკუნეების მანძილზე უცხოვრია და აქამდე მოუტანია მომავალი თაობისათვის გადასაცემი იდეალები, გრძნობა-განცდები თუ შეხედულებები.

მსოფლიოს უძველეს ხალხებს ბევრი ნიშან-თვისება და საქმიანობის სფერო მოეძებნებათ ისეთი, რომელიც მათ მსგავსება-განსხვავებებს წარმოაჩენს. ხალხური ცეკვა, სწორედ ერთი ამათთაგანია.

ცეკვა ყველა ხალხს აქვს, მაგრამ არა ერთნაირი და არა ერთგვაროვანი. მეტიც, ხალხური ცეკვა ხშირად თვით ერთი ქვეყნის, ერთი ეთნოსის შიგნითაც კი მხატვრული გამოვლენის ფორმათა ნაირგვარობის გასაოცარ მაგალითებს გვთავაზობს. ამის აშკარა და თანაც ხაზგასმული ნიმუშია ქართული ხალხური ცეკვა. თვალი მივადევნოთ ჩვენამდე მოღწეულ, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაბნეულ, საუკუნეების მანძილზე მკვეთრად ჩამოყალიბებული ქორეოდიალექტების ტონალურ, ფორმაშინაარსით ერთმანეთისაგან მკვეთრად გამორჩეულ დინამიურ სვლებს და ნათქვამის სისწორეშიც იოლად დავრწმუნდებით.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ქართული ხალხური ცეკვის სასცენოდ გარდაქმნილი მხატვრული ვარიანტები ტრიუმფით მოგზაურობს მსოფლიოს საუკეთესო დარბაზებსა და სცენებზე. მას ბევრი თაყვანისმცემელი, შემსწავლელი და მიმპაძველიც გამოუჩნდა. ბევრმა ისე გაითავისა ქართული ცეკვა, რომ მისი დასაკუთრებაც კი მოინდომა. ამ მხრივ უფრო მეტად ჩვენი მეზობლები „ირჯებიან“. ვფიქრობთ, სულ ტყუილად, რადგან ქართული ცეკვა თუ „ქართულად ცეკვა“ ნამდვილ საშემსრულებლო დონეზე უწინარესად ქართველის საქმეა, ხოლო ესთეტიკური აღქმა-შეგრძნებისა და ტკბობის თვალსაწირიდან იგი სწორედაც რომ საყოველთაო საკუთრებაა.

სასცენოდ საჩვენებლად შენივე ხალხის ნააზრევისა და ნაანდერძევის გამოტანისას ნიჭიერება-უნარიანობის გვერდით თავის უხილავ სიტყვას სწორედ ის ფენომენი ამბობს, რომელსაც გრიგოლ რობაქიძე „რასსა“-ს უწოდებდა. ეს უკანასკნელი კი ინდივიდუალურ-პიროვნული მონაცემებისა და ერის ისტორიული მეხსიერებიდან ამოზრდილი გენეტიკურ-კოდური შიდა ინფორმაციის ერთგვარ სინთეზს წარმოადგენს. იგი ეროვნული ყოფიერების ფესვებიდან, ტრადიციიდან, ადათიდან, მინა-წყლის სურნელიდან, მშობლიური მთა-ბარის მიხევეულ-მოხვეულებიდან მოდის და საუკუნებრივი გამოცდილებით არის ნაკვებ-განმტკიცებული. ამიტომაც ყველას არ ეძლევა. ცეკვა, როგორც შენი, ასევე სხვისი, შეიძლება ისწავლო, ილეთების კორიანტელიც დაახვავო, დიდებულადაც წარმოჩინდე, მაგრამ ეს იქნება შენი, ოდენ როგორც პროფესიონალის მიღწევა, რომელშიც ეროვნული ცნობიერების სიღრმისეულ შრეებს ყველაზე მახვილი თვალიც კი ვერ დააფიქსირებს. ქართული ხალხური ცეკვა, ერის მუსიკალურ მემკვიდრეობასთან ერთად, ჩვენი სავიზიტო ბარათია და, ამდენად მას განსაკუთრებული ზრუნვა-მოფრთხილება ესაჭიროება. გლობალიზაციის ეპოქაში ამ დონის კულტურული მემკვიდრეობა პატარა ერებს გადარჩენა-აყვავების მძლავრ სტიმულს უტოვებს და მისადმი დამოკიდებულებაც შესაბამისი უნდა იყოს.

ოლეგ ალავიძე  
ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

## ხელოვნება ცამარის...

ხელოვნება ლამპარია. მას თავის გარშემო გაფანტული აქვს სხივები, რომლებიც შორს, უფსკრულში, ანათებენ. თითოეული სხივი ნაწილია ხელოვნებისა და ერთი ამ ნაწილთა-განი არის ქართული ხალხური ცეკვა.

დიდებულია ქართული ხალხური ქორეოგრაფია, მისი უჭყნობი სიმშვენიერით და სილა-მაზით. მასში, ისე როგორც ანკარა წყაროს სარკისებრ კრიალა ზედაპირზე, აღბეჭდილია ქართველი ხალხის წარსული და გამოკრთის დღევანდელობის უდიდესი პათოსი.

ალექსი ალექსიძე  
მოცეკვავე და ქორეოგრაფი

## კართული ცეკვა - ჩრდილო ბანფილი ბანია!

„როკვით განფენილი გენია“ – გრიგოლ რობაქიძის ეს გამონათქვამი, თუ გნებავთ – „საგალობელი“, არ შეიძლება იყოს მხოლოდ აღტაცების ან ქართველობით თავმომწონეობის გამუღავნება: იგი, უპირველესად, ამ ფენომენის არსის და ამის შესატყვისი უზუსტესი „გამომსახველობის“ – „იერ-სახის“ – სულიერად განცდის და წვდომის შედეგია.

ვფიქრობ, არ გადავაჭარბე, რადგან ჩემი განცდითაც – „ქართული ცეკვა“ რიტუალია, პლასტიკისა და რიტმის ჰარმონიით აღვლენილი სადიდებელია ყოვლისმომცველი სამყაროს მიმართ. „ქართულ ცეკვას“ ქართველივით ვერავინ იცეკვებს, რადგან (თუ კვლავ გრიგოლ რობაქიძეს მოვიშველიებ) – „რასა არ ეყოფა“!

„ქართულ ცეკვას“ შეუძლებელია ჰყავდეს „მხოლოდ მაყურებელი“ – ყოველი მათგანი ყოველთვის და ყველგან ამ „ცეკვის“, ამ რიტუალის მონაწილეა აუცილებლად.

„ქართული ცეკვა“ შეუძლებელია იწვევდეს ასოციაციას თუ „სხვასთან“ შედარების თუგინდ ქვეცნობიერ იმპულსაც კი – იგი თავიდან ბოლომდე „ეროვნული სივრცით“ არის დაღდასმული და მის „მონაწილეს“ ამ სამყაროდან წამიერად გასვლის შესაძლებლობაც კი ვერასოდეს ექნება.

„ქართული ცეკვა“ რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში (საბედნიეროდ – დღემდე!) ვითარდებოდა და იხვეწებოდა ისე, რომ მისი „საწყისი“(!), როგორც „არქეტიპი“, მუდამ ამოსაცნობი იყო; და სწორედ იგია მისი უნიკალურობის საფუძველიცა და ღირსებაც.

მჯერა, რომ – „ქართულად“ როკვა ასეთივე იქნება სამარადისოდ!

ნუგზარ (ნუკრი) ალხაზიშვილი  
მოქანდაკე, ხელოვნებათმცოდნე,  
რესტავრატორი

## ჩვენი ცის ცავის პირბა

ქართული ცეკვის ფენომენი ისეთივე სასწაულია, როგორც თვით ბუნება და სიცოცხლე. სიცოცხლის არსი და მარადიული სილამაზე გამოიხატება ქართული ცეკვის უმდიდრესი ილეთებში. ეს ილეთები ადამიანს არ მოუგონია – იგი ღმერთმა შთააგონა მას. ვაჟაცი რომ ხელებს გაშლის, თითქოს მთელი სხეულით სიცოცხლეს ზეიმობს და ღმერთს მადლობას სწირავს; ქალის პლასტიკა კი მზის მოფენასავით მადლინია.

ძველად, ყოველ ქართულ ოჯახში ლხინის დროს ცეკვა-სიმღერა აუცილებელი იყო; მახსოვს მამას სიმღერა, მამიდაჩემის ცეკვა; მეც მიყვარდა ქეიფში ცეკვა, უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა და უპირველესად კი, აი რატომ: ქართული ნებისმიერი ილეთი მოძრაობით, პლასტიკით გაცემული პასუხია იმ რიტმულ გამოცანაზე, რასაც საცეკვაო მუსიკა უგზავნის ადამიანს. ასე ამოძრავებას მე როკვას ვუწოდებ, ანუ საცეკვაო რიტმით გამოწვეულ მოძრაობას და არა გაზეპირებულ ნასწავლ ილეთს. ასე, ალბათ, იმიტომ ვფიქრობ, რომ ცეკვა ჩემთვის არავის უსწავლებია, მაგრამ სათანადო გარემოში, ლხინის ვითარებაში, ჭაბუკობის უამს და მერეც, კარგა ხანს, შემთხვევა არ გამიშვია, რომ მუსიკას, რიტმს არ გამოვხმაურებოდი სათანადო პლასტიკით და ამას ყოველთვის როკვას ვუწოდებდი, ანუ იმ სათავეს, საიდანაც დღევანდელი ქართული ცეკვები იშვა.

როკვა და, მაშასადამე, ცეკვაც სიცოცხლისა და მარადიული არსებობის საწყის-სათავე და ჩვენი ერის უკვდავების პირობაა. სანამ ჩვენი მშვენიერი ქალ-ვაჟები ქართულად ცეკვავენ, გადაშენება არ გვიწერია!

ჭაბუა ამირეჯიძი  
მწერალი

## უახოები ცავა ბანეორიჩებიცი...

საოცრებაა, ნამდვილი საოცრება, რომ ჩვენ პატარა ქვეყანას ამდენი კუთხე გააჩინია და ყველა მათგანს თავისი, ერთმანეთისაგან განსხვავებული საცეკვაო ნიმუშები შეუქმნია. მსოფლიოში განა ბევრი ქვეყანა ისეთი, რომელიც ანალოგიური განძის მფლობელი იქნებოდა?! ეს იშვიათობაა და ის სრულიად საქართველოს კუთვნილებაა. ეჭვიც არ მეპარება, რომ ქართული ხალხური საცეკვაო ფოლკლორი ჩვენი პლანეტის დიდი განძია, რომელიც კიდევ ბევრჯერ აღაფრთოვანებს მილიონობით მაყურებელს და კიდევ ბევრჯერ ამოაძახებინებს: ეს განუმეორებელია, ეს ფანტასტიკურია!

ნინო ანანიაშვილი  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
რესენტის სახალხო არტისტი,  
მოცეკვავე

## ქართველი ხაცეის შემოქმედებითი სიცი ღა სამყარო

ერი ყოველთვის ქმნის თავისი სულიერი სამყაროს შესატყვის ფორმებს ხელოვნებაში. ქართული ცეკვა შეესატყვისება ქართველი ხალხის სულიერებას – შინაარსს, მისი წარმოსახვის უნარს, სამყაროს ხედვას, სიცოცხლისადმი დამოკიდებულებას, ადამიანის ლირსების შეგრძნებას. ამიტომ, რაც უფრო მაღალია ხელოვნების ეს ფორმა, როგორც ქართველი ხალხის მხატვრული და შემოქმედებითი ბუნების ნაყოფი, მით უფრო ძლიერია ამ ხელოვნების ზემოქმედება მისი შემქმნელი ხალხის ბუნებაზე.

მერაბ მამარდაშვილი ასეთ ფორმებს განსაზღვრავდა როგორც ფენომენალურ მატერიას. ეს ერთდროულად მატერიაცაა, მაგრამ ფენომენალურად განცდადი და ამავე დროს მის ფენომენალურობას მატერიას სახეც აქვს. აი, აქ ხდება ის სინთეზი, რაშიც ერთიანდება ხალხის შემოქმედებითი სული და სამყარო.

ყოველ ნამდვილ შემოქმედებას აქვს განუმეორებლობის თვისება და, ჩვენს შემთხვევაში, ქართული ცეკვა საოცარი უნიკალურობის ნიშნით წარმოდგება. მართალია, ის ქართველმა ხალხმა შექმნა, მაგრამ ეს ფენომენი კაცობრიობის შენაძენია, რადგან ჩვენ ერთ პლანეტაზე ვცხოვრობთ.

ნოდარ ანდლულაძე  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,  
პროფესორი

## იღებელი, ხელოურნის ძებლი...

ადამიანის სულისა და სხეულის ერთიანობის ჰარმონია, ალმტაცი და დინამიური მშვენიერება – როკვა – უზენაესს თავად რომ არ შეექმნა, ქართველი კაცი, უთუოდ, „გამოიგონებდა“ ამ საუცხოო, გამაოგნებელი, პოეტური პლასტიკის ენას. ქართველის მიერ სამყაროს აღქმა ჰედონიზმს არ გამორიცხავს. მისი სულის ყიუინი ალმტაცია, ამაღლებულია, ლალი და გახსნილია; ჩაკირულია, ჩახვეულია, მთრთოლვარე და ნატიფია. ასეთია მთლიანად მისი კულტურაც და მისი განშტოებებიც ცალ-ცალკე. ქართული ქორეოგრაფია, მისი ხალხური ნიმუშებიც ერის მთლიანობის, ჰარმონიისკენ სწრაფვის, ცისა და მიწის ერთიანობის, სიცოცხლის მარადიულობის განცდის, ჰატრიოტიზმისა და ეროვნული თვითშეგნების მიმანიშნებელია.

ქართველმა კაცმა, აღმოაჩინა რა პლასტიკის მრავალმეტყველი „ენა“, სიმღერასთან ერთად, „გამოათქმევინა“ მას ყოველი სახის მისწრაფება, გადააქცია სამყაროს წრებრუნვის გამოხატულებადაც, შრომის სიმძიმისა და შვების, ბრძოლის მრისხანებისა და განსაცდელის, გამარჯვების სიხარულისა და აღზევების, სიყვარულის აღმაფრენისა და მიწიერი ვნებათაღელვის სრულქმნილ გამოხატულებად. ქართველმა კაცმა, აღმოაჩინა რა ხალხის შეურყვნელი ბუნებისა და გენის, კოსმიური გაქანებისა და სიღრმის მიმანიშნებელი ხალხური ცეკვის ჰარმონია, სინთეზური ხასიათი, „გამოათქმევინა“ მას მითის საკრალურობაც,

ლეგენდის ფენომენალურობაც, ზღაპრის ფანტასმაგორიულობაც, სიყვარულის ღვთაებრიობაც, ყოფის რომანტიკაც, გამარჯვების ტრიუმფიც, დღესასწაულის პომპეზურობაც, ამასთანავე, ადამიანთა ურთიერთლტოლვის, თანადგომის, შეჯიბრის თვალშეუდგამი იდუმალებაც.

ქართველმა კაცმა, გაიაზრა რა ცეკვის კდემამოსილება და მეტყველი ბუნება, მასებზე ზემოქმედების გრანდიოზული ფორმა შეუქმნა მას. პირველქმნილი საკრალურობის არეალით, რიტუალის ექსტაზით კი სამუდამოდ გაულრმავა ერს თავისი მიწა-წყლის, მამულის, სახლ-კარის, ოჯახის შეგრძნება და სიყვარული.

დღევანდელი ქართველობა მეტად დავალებულია ეროვნული კულტურისაგან, ქართული ქორეოგრაფიისაგან, მისი ხალხური ფესვების სიძლიერისაგან. ასე მგონია, ქართულმა კულტურამ, მათ შორის ხალხურმა ჰანგმა და როკვამ, იავნანას როლი შეასრულა და არაერთი უძირტომო განდგომილის მოქცევა შეძლო „ქართველთა სჯულზე“, ეს ახლა, ამ გლობალიზაციისა და ინტეგრაციის ეპოქაში, ცის ნამის ტოლფასია მცირერიცხოვანი ქართველი ერისათვის, რადგანაც მოწოდებულია თითოეულს შეახსენოს, ვისი გორისაც არის! ხალხურმა ქორეოგრაფიამ ხომ საუკუნეთა სიღრმიდან, ძნელბედობის პირობებში, შეურყვნელად გამოატარა ქართველთა სულიერი კონსტიტუციის, ქართული გენის, მაუწყებელი, საკრალური და ხელთუქმნელი ძეგლი – ეროვნული, ხალხური, პროფესიული მრავალწყობრივი როკვა. იგი ქართული ფარდაგივით მრავალფეროვანია, ქართული ენასავით ტკბილმოუბარია, ქართული ლექსივით სულის შემძვრელია, ქართული სიმღერასავით თვალშეუდგამია. ცეკვა „ქართული“, „მხედრული“, „ფერხული“, „ხორუმი“, „მთიულური“, „ხევსურული“, „განდაგანა“, სხვანი და სხვანი, ხალხური ძირისძირითა და მოდერნული ტრანსკრიპციით, ქართველთა გონით – გრძნობადი მსოფლალების, ქართველთა სულის სილალის, სიჩაუქის, სიფაქიზის, სიმხნევის ტრიუმფია. ეს მაჟორული, ოპტიმისტური, ბუნებასავით მრავალგვარი, სიტყვასავით შუქმომფენი, სატევარივით მოქნილი, აზრივით მახვილი, „მრავალუამიერივით“ გულოვანი, ტაძარივით კდემამოსილი, წინაპართა სუნთქვაცაა და ხელიხელ საგოგმანები ანდერძიც. იგი სიამაყით აღავსებს ქართველ კაცს, უათმაგებს პიროვნული და ეროვნული ღირსების გრძნობას, ხოლო უცხოელს ცნობისანადილს უღრმავებს იმ ქვეყნის მიმართ, სადაც არწივის გოროზი სიმამაცის, ავაზას მოქნილობის, გნოლის სიმყუდროვის, იის სიმორცხვის, ვარდის მცხუნვარების, ლომის ძალოვანების, მუხის გამძლეობის, ირმის ნახტომის სადარი პლასტიკური მონახაზი და დიდებულება იშვა.

ქართველ ქორეოგრაფთა ალამზეც ილიასეული სამებაცაა ამოტვიფრული – მამული, ენა, სარწმუნოება! ამ სამების ერთგულია ყოველი მოცეკვავე, ყოველი ქორეოგრაფი, ნებისმიერი ანსამბლი, მისი ყოველი წევრი, ვინც ასეთი რუდუნებით, თაყვანისცემით, ეშით ინახავს, იცავს, ხვეწს და ამდიდრებს ეროვნული კულტურის ამ დიდებულ ძეგლს.

ნათელა არველაძე  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,  
პროფესორი

## ქორეობისა და სპორტი

ქართული ცეკვა ეს ხელოვნების ის განსაკუთრებული სახეა, რომელსაც განუწყვეტილი შეგვიძლია ვუცქიროთ. იგი მხოლოდ დიდი ფეხბურთის თამაშს შეგვიძლია შევადაროთ. შევადაროთ ცეკვის იღეთი ფეხბურთელის მიერ ჩატარებული ფინტს, შეიძლება ითქვას, ერთიც და მეორეც ერთნაირ აღფრთოვანებას იწვევს.

ქართული ცეკვები ხომ მარტო უცხოელს კი არა, ქართველებსაც აოცებს და აღაფრთოვანებს. ამაშია, ალბათ, მისი გენიალობაც, განუმეორებლობაც და ერის ნიჭიერებაც.

ფეხბურთით გატაცებულ ბავშვებს ხშირად გვეკითხებოდნენ: ცეკვაზე თუ დადიხართო? მაშინ გვიყვირდა. ახლა კი ვხვდებით შეკითხვის აზრს. ვინ განსაზღვრავს – მოცეკვავის ფეხებს უფრო მეტი დატვირთვა აქვს, თუ ფეხბურთელის ფეხებს? რომელ მათგანს სჭირდება მეხსიერების უსწრაფესი გამომჟღავნება, სისხარტე და აზროვნება, ტემპერამენტი და ტემპი ან რომელ მათგანს ეპატიება თუნდაც მცირეოდენი შეცდომა? რაც შეხება იმპროვიზაციას, იგი ორივე მათგანის განსაკუთრებულ ნიჭიერებაზეა დამოკიდებული. ორივე მათგანი პასუხისმგებელია როგორც საკუთარ ქმედებაზე, ისე მთელი გუნდის – ანსამბლის ქმედებაზე და ორივე შემთხვევაში იმარჯვებს ის, ვისთანაც არის ანსამბლურობა და „შემლერებულობა“. ასევე ის, რაც აერთიანებს ამ ორ სფეროს, არის ფიზიკურად ძლიერი, ჯანმრთელი და ამტანი შემსრულებელი. გარდა ამისა, არსებობს მაღალპროფესიონალ გუნდთა შეხვედრები, რომლებიც თავისი დიდი ოსტატობის წყალბით, სპორტის ამ სახეობას ხელოვნების უმაღლეს ნიმუშად წარმოგვიდგენს და რასაც „ლამაზი ფეხბურთი“ ჰქვია. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, დავით ყიფანი და ბევრი სხვა, ვისაც უნახავს მათ მიერ დიდოსტატურად ბურთის ფლობის ხელოვნება, რომელიც ესოდენ ენათესავება ცეკვის იღეთებსა და იღეთთა ურთულეს კომბინაციებს. ასევე აუცილებელია გავიხსენოთ ცეკვის ვირტუოზები: იღიკო სუხიშვილი, ჯანო ბაგრატიონი, ომარ მხეიძე, ფრიდონ სულაბერიძე და სხვა, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ფეხბურთი და ცეკვა მონათესავე სფეროები კი არა, სისხლხორცეულად განუყოფელი არიან. მსოფლიომ აღიარა ქართველი მოცეკვავები და ქართული ანსამბლები, ისევე როგორც ქართველი ფეხბურთელები და საქართველოს წამყვანი საფეხბურთო გუნდები, ეს კი ჩვენი სამშობლოს, საქართველოს, აღიარებაა მსოფლიოში.

რეზი, შოთა, არჩილ არველაძეები  
ფეხბურთელები

## საცავაო ფოცხოვი ურთის მასონსელებელი ძალვის

ქართული ცეკვა ისევე, როგორც ხუროთმოძღვრების ძეგლები – სვეტიცხოველი, ბაგრატი, გელათი, ნიკორწმინდა, სამების საკათედრო ტაძარი, უკვდავია, მარად ცოცხალი და განუმეორებელი განძია. იგი პირდაპირ კავშირშია ერის სასიცოცხლო ძარღვსა და ენერგიასთან. ანუ სანამ ცოცხალია კულტურა და ხელოვნება, არის და იარსებებს ერიც.

ჩემი აზრით, ჩვენი ცეკვა ეგვიპტის პირამიდებზე მეტია და ეს ნურავის მოეჩვენება მხოლოდ ემოციაზე გათვლილ პათეტიკურ შეძახილად. ის ჩვენი ეროვნული არსის ყველაზე დიდი გამოხატულებაა. ჩვენი ყველა საუკეთესო თვისება ცეკვაშია გამოვლენილი. ჩვენ ერთმანეთზე გადაჯაჭვულები ვართ და, თუ არ იქნება ქართული ცეკვა, გავქრებით ჩვენც.

მეჩვენება, რომ ქართველებმა სწორედ ცეკვის დინამიკის მიხედვით უნდა ვისწავლოთ ყოველდღიური ცხოვრება, რათა განვითარდეთ და გავძლიერდეთ.

ქართული ცეკვა ცივილიზაციის წახნაგია, მისი ბრილიანტია, მრავალფეროვანი და, ღმერთმა ნუ ქნას, ეს წახნაგი მოაკლდეს მსოფლიოს.

ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი საცეკვაო ფოლკლორი ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია საკაცობრიო კულტურისა.

აკაკი ასათიანი  
პოლიტიკოსი

## სეის მოძრაობა

თვითმყოფადი, მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ერთ-ერთი უმშვენიერესი გამოხატულებაა ქართული ხალხური ცეკვა. ჩვენს ეროვნულ მეხსიერებაში ღრმად აღი-ბეჭდა გრიგოლ რობაქიძის სიტყვები „ქართული გენია როკვით განფენილი“, რომელიც მწერალმა 1962 წელს წარმოთქვა ჟენევაში „სუზიშვილების“ ანსამბლის კონცერტის ხილვის შემდეგ.

ქართული ცეკვა ასახავს საქართველოს თავგადასავალს. იგი ეროვნული ხასიათის სახიერი, მკაფიო გამოვლინებაა. მასში საუკეთესოდ მუღავნდება ქართული ფენომენი.

უსაზღვრო პატივისცემას იმსახურებენ ქართული ქორეოგრაფიის ერთგულ მსახურთა თაობები. ადამიანები, რომელთაც მთელი თავისი ცხოვრება დაუკავშირეს ქართული ცეკვის, ესე იგი ჩვენი ფესვების, დიდებული ტრადიციების შენარჩუნებას. დღეს, საყოველ-თაო გლობალიზაციის პირობებში, მით უფრო დასაფასებელია მათი ღვაწლი.

ქართული ცეკვა სულის მოძრაობა!

ვალერი ასათიანი  
პროფესორი

## ჭარული სეის ტეფიცი ვა

ნამდვილად, ქართული ცეკვის ტრფიალი ვარ! შინაარსობრივად დატვირთული, ბევრის მთქმელი ცეკვისა. ხშირად თავს იკავებ ცრემლებისა, თუ დაუოკებელი ემოციისაგან...

ჩემი აზრით, თითოეული ქართული ქორეოგრაფიული მონახაზი ღრმა შინაარსთან, სიხარულთან, დღესასწაულსა თუ ტრაგედიასთან არის დაკავშირებული; ნინო რამიშვი-

ლის, ილიკო და ილუშა სუხიშვილების „ჩანახატები“, „ერისიონისა“ და „რუსთავის“ მიერ დადგმული, ცეკვები ქართული ფოლკლორული სიმღერებით გაჯერებულნი, საუკუნოვანი ისტორიის მთქმელია.

გენიალური ვახტანგ ჭაბუკიანიც თავის სანაქებო ბალეტში აუცილებლად ქართული ხალხური ცეკვების ილეთებს იყენებდა; ყველგან გამოსჭვიოდა ხალხური ცეკვა, რომლითაც ის ამდიდრებდა კლასიკურ ბალეტსაც კი.

**ლიანა ასათიანი**  
**საქართველოს სახალხო არტისტი,**  
**მსახიობი**

\*\*\*

„ქართული ცეკვისთანა აზრიანი და სანახაობრივი ქმნილება არსად არ მოიპოვება დედამიწის ზურგზე“.

**სანდრო ახმეტელი**  
**რეჟისორი**

## ქართული ცეკვისთან ბამოხსახულება

ცოტა რამ თუ გამოხატავს ისე ქართულ სულიერებას, როგორც ქართული ხალხური სიმღერა და ცეკვა. ქართულ სიმღერასთან მეც ცოტა რამ არ მაკავშირებს, მაგრამ თუ ადამიანის დაბადებას მარტო ერთი აზრი და მიზანი აქვს, მაშინ ჩემი ცხოვრების აზრი ქართული ცეკვა ყოფილა...

ქართული საცეკვაო ფოლკლორი ჭეშმარიტად შეუდარებელია თავისი ორიგინალობით, ქართველი ხალხის ეროვნული სულის, მისი თვისებებისა და ხასიათის გადმოცემით. ამიტომაც გაუძლო ქართულმა ცეკვამ ჩვენი ერის თავზე გადავლილ საუკუნოებრივ მეხთა-ტეხას, და დღემდე მოიტანა სინარნარე, ვაჟეკაცური შემართება, სინათლე და სიფაქიზე.

ცეკვა ქართველთა ცხოვრების, ყოფის, სიხარულისა და ტკივილის გამოხატულებაა. აბა, ცეკვა „ქართულს“ დაუკვირდით! კაცის მხრივ რაოდენ დიდი კრძალვა, მორიდება და პატივისცემა იგრძნობა ქალისადმი. მთელი ცეკვა ისე სრულდება, რომ აშკარად ჩანს შეყვარებული მანდილოსნისადმი ისტორიულად ჩამოყალიბებული ქართული პატივისცემა.

ქართველს მთელი სიცოცხლე სამშობლოს დაცვისათვის ბრძოლაში გაუტარებია. უანგაროდ დაგვინთხევია სისხლი, გაგვიწირავს სიცოცხლე, რათა მშობლიური ეზო-კარი შემოსეული ბრძოებისათვის არ დაგვეთმო. აბა, კარგად დაუკვირდით: სწორედ ეს თავგან-

წირვა, სიამაყე, სიცოცხლის დაუზოგავობა იგრძნობა ცეკვა „ხორუმში“. „სამაიაც“ ხომ სხვა არაფერია, თუ არა უფლის წინაშე ლოცვად დამდგარ ქართველ ქალთა სინარნარე.

ასევე დიდი აზრი, ნამდვილი ქართული სულიერებაა ჩაქსოვილი თითქმის ყველა ქართულ ცეკვაში. გაიხსენეთ თუნდაც „ფერხული“, „მოხეური“, „ალვანური“ და სხვანი და სხვანი. ყველა მათგანი ჭეშმარიტად ქართველთა ყოფის, ჩვენი სულის სიმტკიცის, ჩვენი ცხოვრების მიზნის გამოხატულებაა. მაგრამ ხალხური ცეკვის ნორმები ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ნორმები როდია. არც თანამედროვე ხალხური ცეკვის ანსამბლები შეიძლება გავუთანაბროთ ეთნოგრაფიულ მუზეუმებს და მოვითხოვოთ ცეკვის ტრადიციული ფორმის მკაცრი, ხელუხლებელი დაცვა. ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ფორმისა და შინაარსის მთლიანობის დაურღვევლად დღეს საჭიროა შეიქმნას ახალი, აღდგეს და შემდგომ დამუშავდეს ძველი ცეკვები.

ოღონდ არ უნდა დაგვავიწყდეს – ქართული ცეკვა ქართულ სულიერებას უნდა გამოხატავდეს.

ჯანო ბაგრატიონი  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
ქორეოგრაფი

## ჯანო ბაგრატიონი

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნება ჩვენი ერის სავიზიტო ბარათია. მან ძალიან შორს გაუთქვა სახელი ჩვენს თვითმყოფად კულტურას. ეს უდაო ჭეშმარიტებაა, მაგრამ, როდესაც ეროვნული ფასეულობების პოპულარობაზე ვსაუბრობთ, აქ ცეკვის გვერდით თამამად უნდა დავაყენოთ ქართული სპორტი და ქართველი სპორტსმენები. სწორედ მათმა ძალისხმევამ გააცნო საქართველო მთელ სამყაროს.

სახელმწიფო ჰიმნის აუდირება და დროშის აღმართვა დიდ სპორტულ შეჯიბრებებზე ისეთივე სიამაყისა და აღტაცების მომგვრელია, როგორც ქართული ცეკვის ანსამბლების გამოსვლისას გადაჭედილ დარბაზებში აგუგუნებული: „ჯორჯიაა!“, „ჯორჯიაა!“ ქართული საცეკვაო კულტურის განვითარებასა და აღორძინებაში ბევრ ქორეოგრაფს და მოცეკვავეს მიუძლვის წვლილი, მაგრამ მათ შორის მე მაინც გამოვყოფი ქალბატონ ნინოს, დიდ ილიკოს და აგრეთვე დიდ ჯანოს. აქ შეიძლება ხაზი გავუსვათ მამაჩემის დიდგვაროვნობას, რომელმაც, გარკვეულწილად ხელი შეუშალა მის მსოფლიო აღიარებას.

მე დიდი ჯანოს შვილი ვარ და შეიძლება ზოგიერთ საკითხებთან დაკავშირებით საუბარზე თავი შევიკავო, მაგრამ, ვინაიდან ცეკვა ჩემი სისხლხორცეული ნაწილიცაა და არანაკლებ საამაყოა, ისევე როგორც ყველა ქართველისათვის ზოგადად, მაინც ვიტყვი, რომ ქართულ ხალხურ ცეკვებში საქართველოს ისტორიაა ჩაკირული და მას ჩვენი ხალხი



ქართველი მოღვაცების ქართული ხელოვნები

ათასწლეულობით ქმნიდა. ყველამ, ვინც მას შეეხება, დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს. უნდა შევუნარჩუნოთ მას პირვანდელი სახე, თავს არ მოვახვიოთ უცხო ტომთა სიუჟეტები, სხვადასხვა ქვეყნის ქორეოგრაფიული ტექსტი და ლექსიკა. გასაგებია, რომ ბევრი რამ ვითარდება და გარკვეულნილად სახეცვლილებასაც განიცდის, მაგრამ ჩემთვის ყოვლად მიუღებელია, როცა დოლი და გარმონი არ იკმარეს და ახლა ქართული ცეკვა ტამტამისა და სინთეზატორის თანხლებით სრულდება.

ქართული როკვა, ქართული ჰანგი და ხალხური საკრავები ერთ მთლიანობაში უნდა მოექცეს, როგორც ამას ჩვენი საოცრად ნიჭიერი ნინაპრები აკეთებდნენ და მაშინ ჩვენ უკვდავ ქორეოგრაფიულ ნიმუშებს სულ სხვა ფერები და სხივოსნობა შეემატება.

**ჯანო ბაგრატიონი (უმცროსი)  
საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის  
საპატიო თავმჯდომარე**

## ეს საოცრებან!

საოცარია ქართული ცეკვა, მოხდენილი, დახვენილი, ნარნარი; საოცარია თავისი მრავალფეროვნებით, ტემპერამენტით, სილალით, ერთდროულად ნაზიც და ვაჟკაცურიც, შეუპოვარიც და თავშეკავებულიც, ცეცხლოვანიც და დარბაისლურიც...

საოცარია, ერმა, რომელმაც ამდენ ქარტეხილებს გაუძლო, ერმა, რომელსაც ერთი დღეც კი მშვიდად არ უცხოვრია და რომლის ცხოვრებაც გადარჩენისათვის გაუთავებელი ბრძოლა იყო, როგორ შეძლო ყოფილიყო ასეთი ამაყი და შეუპოვარი, შეექმნა ასეთი ლამაზი და ლალი ცეკვა, საუკუნეების სიღრმიდან დღემდე მოეტანა „ხორუმისა“ თუ „ფარიკაობის“ უზღვევი ენერგია. „ქართული“, „მთიულური“, „ხევსურული“, „სადარბაზო“... ასეთი განსხვავებული, მაგრამ ერთნაირად მომხიბლავი, ტემპერამენტული, ზეალმატებული და აღმაფრთოვანებული ჩვენი ეროვნული ცეკვები. საოცარია ქართული ცეკვა, თვითმყოფადი, ორიგინალური, თავისთავადი, იმდენად მუსიკალური და რიტმული, რომ გხიბლავს, ძალაუნებურად გიმონებს და გიმორჩილებს, აღტაცებულს აგაცეკვებს და სიამოვნებისაგან მეცხრე ცაზე აგიყვანს.

მთელი მსოფლიო მოიარა ქართულმა ცეკვამ, მთელი მსოფლიო აღფრთოვანებული ტაშს უკრავს მას, მით უფრო წარმოუდგენელია ქართველი, რომელსაც არ უყვარს ქართული ცეკვა, წარმოუდგენელია საქართველოში დაბადებული კაცი, რომელიც არ ეტრფის მას. მე ებრაელი კაცი ვარ, მაგრამ ქართველი – ებრაელი, საქართველოში დაბადებული და გაზრდილი, ამიტომ კარგად ვიცი და მესმის ქართული ხელოვნების ფასი, ამ სიყვარულმა განაპირობა კიდეც ჩემი დაახლოება ბატონ რეზო ჭანიშვილთან – ქორეოგრაფთან, პედაგოგთან და ქართულ ცეკვაზე უზომოდ შეყვარებული კაცთან.

**აბრაამ ბაზელი,  
პროფესორი**

## იბი ქართველთა უცველსაყოფა ბჰაქტენა ახსოაბამიბება!

ყოველ ერს, ისევე როგორც ყოველ ინდივიდს, საკუთარი ბუნება, საკუთარი ხასიათი აქვს. ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ხასიათის ესა თუ ის ნიშანი მარტო ამ ინდივიდს, ან მარტო ამ ერს გააჩნია. აქ ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ ეს ნიშანი ამ ინდივიდში, ან ამ ერში უფრო მეტი დოზით, მეტი ინტენსივობითაა მოცემული, ვიდრე სხვა ინდივიდში, ან სხვა ერში.

ეს პატარა წერილი ამგვარი მსჯელობით იმიტომ დავიწყე, რომ ქართული ხასიათის თავისებურება, მისი ყველა ნიუანსი არაჩევეულებრივი სიზუსტითა და სიძლიერით აისახა ქართულ ცეკვაში /ისევე როგორც ქართულ ხალხურ მუსიკაში/. ლაპარაკი გვაქვს ქართველი კაცის ისეთ თვისებებზე, როგორიცაა: მისი უდრევი, უშიშარი ბუნება, ქედუხრელობა და ჭირთა თმენის საოცარი უნარი, ქალის კულტი, საკუთარი სამშობლოს უსაზღვრო, უკიდეგანო სიყვარული /„ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო, შენი ვარ, შენთვის მოვკვდები, შენზედვე მგლოვიარეო“/, სტუმრისადმი გამორჩეული მოკრძალება და პატივისცემა, მეგობრისადმი თავდადება და უსაზღვრო ერთგულება/ „მე იგი ვარ... ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“/. რელიგიური და არა მარტო რელიგიური ტოლერანტობა /„ოღონდ კაცი იყავი და სადაც გინდა იქ ილოცე“, თავისუფლებისაკენ დაუოკებელი სწრაფვა / „გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდა-მატარე ბედის სამძღვარი“, ნათელი ოპტიმიზმი და მრავალი სხვა თვისება.

როგორც უკვე ვთქვი, ყველა ეს თვისება ქართული ეროვნული ხასიათისა განზოგადოებულ ფორმაში არის გამოხატული ქართულ ცეკვაში /ქართულ ცეკვაზე რომ ვლაპარაკობ, ცხადია, მე ვგულისხმობ ჩევნს ძირძეველ, უნიკალურ, თვითმყოფად ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიას და არა თანამედროვე მასკულტურის ცალკეულ „შედევრებს“/.

ქართული ცეკვა არა მარტო უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს და ამაღლებულის განწყობილებას უქმნის, არამედ ზნეობრივად ამაღლებს და სულიერად აფაქიზებს ადამიანებს. მე მინახავს ქართული ცეკვის ნამდვილი ტრიუმფი უცხოეთში, ის შოკის-მომგვრელი ეფექტი, რომელსაც ის იწვევდა უცხოელ მაყურებელში. მე ვხედავდი მათ გაოცებულ და მოულოდნელობისაგან დაბნეულ სახეებს. შთაბეჭდილება ისეთი იქმნებოდა, თითქოს მთელი ის ხანა, რაც ისინი კონცერტს უცქერდნენ, სადღაც სხვა, ირეალურ, ფანტასტიკურ, ზღაპრულ სამყაროში სახლობდნენ და ახლა საოცრად უჭირთ რეალურ სინამდვილეში დაბრუნება. ანალოგიური იყო ამერიკის პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის რეაქციაც, რომელიც გაოგნებული შესცეკროდა ყველაფერს, რაც მის თვალწინ ხდებოდა და თითქოს ვერ გარკვეულიყო, ეს ყველაფერი რეალური იყო თუ ირეალური. ოღონდ იმას კი ნამდვილად გრძნობდა, რომ რაღაც უჩვეულო, ზღაპრულ გარემოში იყო მოხვედრილი და თავის აღფრთოვანებას არათუ ვერ მაღავდა, არც არანაირი სურვილი გააჩნდა მისი დაფარვისა.

ქართული ცეკვა მუსიკით, რიტმით, მოძრაობით, პლასტიკით გამოხატავს იმას, რისი გამოხატვა მხატვრული სიტყვის ისეთ ტიტანებს თუ ხელენიფებათ მხოლოდ, როგორებიც იყვნენ პომეროსი, რუსთაველი, შექსპირი, დოსტოევსკი... იგი ისევე უკვდავია, როგორც

ლეონარდო და ვინჩის, მიქელანჯელოს, რაფაელის ხელთუქმნელი შედევრები. იგი ის უნიკალური განძია, რომელიც ყოველ ქართველში იწვევს ეროვნული ღირსების, ეროვნული სიამაყის გრძნობას.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ გლობალიზაციის საშიშროებაზე მცირე ერებისათვის, განსაკუთრებით მათი კულტურისათვის, მაგრამ, ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ გლობალიზაცია ვერ მოერევა ქართულ ცეკვას, ვერ წაშლის მის სახეს, ვერ შეძლებს მისთვის „კოსმოპოლიტური“ შეფერილობის მიცემას. პირიქით კი შეიძლება მოხდეს: ყოვლისწამლეკავი ეს ტაიფუნი შედგეს და ქედი მოიხაროს მისი უდიდებულესობის – ქართული ცეკვის წინაშე, რადგან ტაიფუნი ამქვეყნიური ბნელი ძალაა, ქართული ცეკვა კი, ქართულ ენასთან ერთად /გაიხსენეთ იოანე-ზოსიმეს „ქება და დიდება“ ქართულისა ენისა/, ის ლვთიური მადლია, ქართველთა უკვდავსაყოფად რომ გვარგუნა არსთა გამრიგებ!

P.S. არ შემიძლია არაფერი ვთქვა იმ ადამიანზე, ვისაც გაუჩნდა იდეა – ერთ წიგნად შეეკრა ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელთა შეხედულებები ქართული ცეკვის თაობაზე, რაც, თავისთავად, არაჩვეულებრივად შრომატევადი საქმეა. ასეთი იდეა მხოლოდ ქართულ ცეკვაზე ისე ფანატიკურად შეყვარებულ ადამიანს შეეძლო გასჩენოდა, როგორიც ბატონი რეზო ჭანიშვილია, თავად ბრწყინვალე ქორეოგრაფსა და ასევე ბრწყინვალე წიგნების ავტორს ქორეოგრაფიაზე, თვალსაჩინო მეცნიერ-ქორეოლოგსა და საზოგადო მოღვაწეს.

ვფიქრობ, ყველასათვის ადვილი გასაგები უნდა იყოს, თუ რა დიდ, საშვილიშვილო საქმეს ჩაუყარა მან საფუძველი. ბარაქალა მის მამულიშვილობას, ქართული ცეკვისადმი მის დიდ სიყვარულს! ქართული ცეკვა ჭეშმარიტად იმსახურებს ამგვარ თავდადებას!

რევაზ ბალანჩივაძე  
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

## კათელი ზეპა მთელი სიმფონია

ქართული ცეკვა, ისე როგორც ქართული სიმღერა, ჩვენი ეროვნული კულტურის დიადი გამოვლენა და სიამაყება.

ამჯერად ცეკვასთან დაკავშირებით ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქორეოგრაფიას აქვს არა მარტო ხელოვნებითი ასპექტი, არამედ ის ქართველი ადამიანის ხასიათის, ბუნების ერთ-ერთი არსებითი გამოვლენაა.

ჯერ ერთი, ცეკვა „ქართულში“ გამოკვეთილად შეიგრძნობა, ერთის მხრივ, მამაკაცის ვაჟებისა და, რაც მთავარია, მისი ეთიკური მხარე, ვაჟების ქალისადმი პატივისცემისა და მისი აღიარების სილამაზე და, მეორე მხრივ, ქალის სულიერი მომხიბვლელობა.

უცხოეთში საქართველოს საცეკვაო ხელოვნების შეფასებისას იქაური პრესა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქართველი ქალის ნარნარი რხევა, ქალის ხელების მტევნების მოძრაობა – ეს მთელი სიმფონიაა, ხოლო მამაკაცის სიჩაუქე მის ვაჟებისაც გვაგრძნობინებს და მასში გამჯდარ ქალის კულტსაც.

ჩვენ ვერ გავკადნიერდებით და ვერ ვითავებთ ქართული ცეკვის ესთეტიკური და ამაღლებული ლირსების შესახებ საუბარს, მაგრამ არ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა და სტუდენტთა შორის აუცილებლად უნდა გაძლიერდეს ცეკვის ხელოვნების სწავლება, რადგან ჩვენში განვითარებული ხელოვნების ეს ფენომენი განაპირობებს, რომ ჩვენი ახალგაზრდები ჩამოყალიბდნენ აშოლტილ და ზნეობრივად ჩამოყალიბებულ რაინდული იერის მქონე ვაჟკაცებად და მაღალი სულიერებითა და სიუაჟიზით დამუხტულ გოგონებად.

**რევაზ ბარამიძე**  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
კორნელი კეკელიძის სახელობის პრემიის ლაურეატი,  
პროფესორი

## ტეჟი, მახი, ფიტი...

ქართული ხალხური ქორეოგრაფია მარადიული სვლაა ღმერთისაკენ, ჭეშმარიტებისა და სინათლისაკენ; თითქოს მზის ბრწყინვალე სხივის ათინათს მიჰყვებიან ქართველი მოცეკვავენი და უფსკრულის ნაპირებზე გადებული ბენვის ხიდად ქცევიათ იგი, რათა მარადიულ უკვდავებას აზიარონ საკუთარი სული და მისი აღმზრდელი ერი. „წარმართობა“ და „მართლმადიდებლობა“ შეითავსა და გააერთიანა ქართულმა ხალხურმა ცეკვამ, ისე ბუნებრივად და სისხლხორცეულად შეანივთა და განასულიერა ორივე რელიგიის რიტუალის ელემენტები, რომ აღარ დატოვა კვანძებისა და გადაბმის ადგილები, ზიგზაგები და ნაწყვეტები ადამიანისა და ღმერთის ამ დიდებულ, პლასტიკურ დიალოგში. ვიდრე ქართული სიტყვა ამეტყველდებოდა ლექსად, ლვთის სადიდებელ ჰიმნად, მანამდე ქართულმა ცეკვამ გადადგა ნაბიჯები – ჯერ პირველი, უფრო ფართო, ხოლო მერე ორი შეყოვნებული, მოკრძალებული ნაბიჯი მარადისობისაკენ: დაქტილი (-აა) ჰეგზამეტრის ექვს ტერფად განლაგდა. ეს სვლა – სიარული ჯერ ქართული „მთიულურებად“, ხოლო შემდეგ ბერძენი ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეას“ სტრიქონებად იქცა. შემთხვევით არ აურჩევიათ ქართული ლექსის უმთავრეს ტერმინებად: ტერფი და მუხლი, „ქორე“ და „დაქტილი“... სწორედ მათ ეყრდნობა, მათი მეშვეობით ემკვიდრება მშობლიურ ნიადაგს ქართული ლექსიც და ცეკვაც...

ფრთები კი მერე, უფრო ზემოთ და ღვთისკენ შემართული ლოცვის მეტყველ დასტურად აღიმართება ხოლმე. ადამიანის ხელები მხოლოდ ცეკვის დროს იქცევა ფრთებად და, ალბათ, მხოლოდ ცეკვისას არ გაინირებოდა ფრენით მოსეირნე იკაროსიც... ქართულ ცეკვას კი, ვინ იცის, რამდენი გამარჯვებული, დაუმარცხებელი იკაროსი ჰყავს. იქნები იმიტომ, რომ ჩვენი მოცეკვავეების ფრთები ხელოვნური კი არ არის, მზის სხივებმა რომ დაწვას და დადნოს, არამედ სულის წანაზარდებია, ცეკვის დროს გამოსხმული, გარეთ, თვალსაჩინოდ გამოვლენილი, რომელსაც ხორციელი ხედვა კი არ ამჩნევს მხოლოდ, არამედ მხილველის სულის თვალი მიჰყვება და, ამ ფრთებით აღტაცებული, ღმერთს უახლოვდება თვითონაც, მოცეკვავესთან ერთად.

ქართველი მოცეკვავე და მისი მაყურებელი, ღმერთის ანგელოზთა დასის თანდასწრებით, ეზიარებიან უკვდავებას ცეკვის რიტმული ჰანგების ფონზე და იმ წუთებში აღარც არსებობს სხვაგვარი უკვდავების ნატვრა და სურვილი!..

და, არასოდეს ნალეკილიყოს ეს ღვთაებრივი ერთიანობა ამ წმინდა სამებისა ღვთივაურთხეული ჩვენი მიწიდან!

თამარ ბარბაქაძე  
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

## ჩრდილო ფიჩისითა...

ვახუშტი ბატონიშვილი, ძველ წყაროებზე დაყრდნობით,  
აღწერს რა ქართველთა ზე-ჩვეულებებს, აღნიშნავს:

„კუალად უწყოდიან დღესასწაული კერპთა, ღმერთთა თავისთა: განვიდის თვით მეფე  
და დიდებული და მცირებული ბუქ-დაბდაბითა და ყოველთა ძნობითა და ნადირთა;  
შესწირვიდიან ძროხათა, ხართა, ცხოვართა და ნადირთა, თაყვანისცემდნენ არმაზს, შემ-  
დგომად ზადენს და მერე სხუათალმერთთა. არამედ უმეტეს დიდი იყო დღესასწაული  
არმაზისა და შემდგომად თაყვანისცემისა ჰყვიან ნადიმნი და განცხრომანი დიდთა ჭამითა  
და ღვინის სმითა, როკვითა ფერხისითა, პირობითა, სახიობითა და ძნობითა სამ დღე და  
მოქცევიან სახიდ.“

ვახუშტი ბატონიშვილი  
XVIII-ის ქართველი გეოგრაფი,  
კარტოგრაფი და ისტორიკოსი

## პარატეხის ხატის ცერესი მონაცოვანი

ქართული ცეკვა, ქართულ სიმღერასთან ერთად, ჩვენი ერის პრამატერიალური კულ-  
ტურის უდიდესი მონაპოვარია. ის ქართველი კაცის სულის ამოძახილია. სწორედ ცეკვა-  
სა და სიმღერაში გამოვლინდა მთელი სისავსით ქართული სახისმეტყველების ყველაზე  
ღირებული, თვითმყოფადი, ამასთან ტიპური ნიშან-თვისებები. მუსიკალური ჰანგისა და  
როკვის სიღრმისეულ, ლამის დასაბამიერ ერთიანობაში აღმოცენდა ის განუმეორებე-  
ლი ნიმუშები, დღეს რომ სამართლიანად მიიჩნევენ მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორის  
შედევრებად.

გია ბალაშვილი  
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

## მიზანი სათაყვანებელი ღა საზენაცი

ქართველები თავანკარა ქართულით ვმეტყველებთ, ვწერთ და ვქმნით განუმეორებელ კულტურას. ამ ენაზე „შამი შეინირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“. თუმცა, ქართველებმა ჩვენი უპირველესი სწრაფვა – სწრაფვა თავისუფლებისკენ ქართულ ცეკვაში გამოვავლინეთ. ცეკვაში, რომელიც უმდიდრესი და უშრეტელი ქართული ფოლკლორის ძარღვმაგარ ფესვზეა აღმოცენებული და, ვითარ ენა ქართული, ქართველი კაცის სულის გამოძახილია, მისი ლხინისა და ჭირის გამომხატველია. ქართული ცეკვა სიმღერაა, ლექსია, რომელიც თავისი ესთეტიკური და ფსიქოლოგიური ხერხებით შექმნილი უბადლო პლასტიკით, ნარნარი სინაზითა და გახელებული სიბობქრით ზუსტად ავლენს ქართულ ხასიათს.

ქართული ხელოვნების ნაირფეროვან პალიტრაზე განსაკუთრებული ელვარებით გამორჩეულმა ქართულმა ცეკვამ შეძლო ერის გენეტიკური მთლიანობის შენარჩუნება. ამიტომაც იყო ფეხისწვერებზე აწყიპებულმა, ტანწერწეტა და ყინწია გოგო-ბიჭებმა მსოფლიო შემოიარეს და მას საქართველო აღმოუჩინეს.

ქართული ცეკვა, მიწყივ სათაყვანებელი და საზრუნავი, ქართველთა ეროვნული სიმდიდრეა, ვითარცა ანბანი ჩვენი – სამსახოვანი.

შევინარჩუნებთ ქართულ ცეკვას – ჩვენ შევინარჩუნებთ ეროვნულობას, შევინარჩუნებთ ენას, ე.ი. შევინარჩუნებთ საქართველოს. ეს ჩვენი ბედის ნიგნში წერია.

**დემურ ბაშელეიშვილი  
საქართველოს სახალხო მხატვარი,  
პროფესორი**

## ზეპი ჯაჟიცი

### ფრიდონ სულაბერიძეს

თბილი-მოკეთის სისხლივით, მჭრელი შურლაის ხმალზედა,  
შესარგი დედის რძესავით, ტკბილი-ყვავილის თაფლზედა,  
ცეკვა „ქართულის“ მუსიკა, საამო ბულბულთ ჰანგზედა,  
ვით იავნანა – ამღერდა დოლ-გარმონისა ხმაზედა.

დაიპურეს სცენა, მოწყვილდნენ, მოჰყნენ ვარდები მაისებს,  
ისე უბრწყინავთ თვალები, როგორც ცვარს მზიან აისზე.  
მონათდნენ, სანთლის შუქივით საკმეველს შეელაციცნენ,  
და დაამკვიდრეს დარბაზში ქართული სიდარბაისლე!

ვაჟმა გაშალა მკლავები, ორბივით გააალმასა  
და უწინამძღვრა ღიმილი რაინდულ თავის დაკვრასაა,  
შემოვლის შემდეგ გასმების ცეცხლი აენთო, ახანძრდა,  
ურუანტელს ცრემლი მოჰყვა და, სულში მზემ გაინავარდა!

ქალი სჭვრეტს ვაჟის სიმტკიცეს და თავს მოხდენით იცავსა, მის თვალზე სიამაყე კრთის, გულს კი ვეღარ სტევს მისასა. ქართულ ჯიშ-ჯილაგს ვერ წაშლის ცეცხლი მოედოს მიწასა, ცეკვით ვწერთ ვეფხისტყაოსანს, ამით ვჯობივართ სხვისასა!

ხალხურ ცეკვების დიდოსტატს, სცენის ავაზას, შემტევსა, უფალმა მოგცა უნარი – სულის სიმდიდრე გეთესა. სიტყვა ვერ ვნახე, რომ გყადრო, სხვა ძალაც აღარ შემწევსა, თუმცა სხვა რაღა გიწოდო, ცეკვა „ქართულის“ მეფესა!

ქართული ცეკვები ჩვენი ერის თვალნათელი ისტორიაა. თუ კარგად ერკვევი ქართული ხალხური ქორეოგრაფიის საკითხებში, ე.ი. შენ ზედმიწევნით კარგად იცი ქართველთა თვითმყოფადობა.

რეზო ბერაძე (რაჭველი)  
ქორეოგრაფი

## ქართული ხახვა ჩვენი მიმდინარეობის სისტემის

ქართული ხალხური ცეკვა ჩემთვის სიცოცხლის ტოლფასია და ცხოვრებისეული შთაგონებაა. ვიყავი, ვარ და დავრჩები მოცეკვავედ. რამდენი განცდა გადამიტანია პლასტიკაში და პირიქით. შეასრულო ილეთი, ილეთთა ნაერთები, თუ კომბინაციები მარტო ეს არ არის ცეკვა, იგი სიცოცხლეა, ჩვენი აზრია, გონიერა და განცდაა.

ქართული ცეკვა სილამაზეა, რომელსაც მოცეკვავე თუ ქორეოგრაფი ქმნის და თავისი სულის სამყაროს განუყოფელ ნაწილად აქცევს.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ქართული ხალხური ცეკვა უნდა განვითარდეს, მაგრამ ყოვლად დაუშვებელია დაიკარგოს ათასწლეულებიდან მომდინარე მისი შინაარსი და ფორმა.

დასკვნის სახით კი ვიტყვი, რომ სული აცეკვებს სხეულს და ამიტომაც უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენ სულიერ სამყაროს განუყოფელ ნაწილს – ქართულ ხალხურ საცეკვაო კულტურას.

ჯუმბერ ბერაძე  
საქართველოს სახალხო არტისტი

\*\*\*

საოცარია ქართული ცეკვა. მისი აღნერა შეუძლებელია, ვინაიდან ჩემს ყოველგვარ შესაძლებლობებს აღემატება. მაგრამ, რომ შევძლო შედარება, ვიტყოდი: – საყვარელია, როგორც შვილი ახალდაბადებული და როგორც სამშობლო.

ეკა ბესელია  
პოლიტიკოსი

## სენა „ქართული“

ცეკვა ულამაზესი ხელოვნებაა, იდუმალი და უძველესი, მარად ცოცხალი და უკვდავი. ამიტომაც ქართულ ცეკვას არ უწერია გადაშენება, მოძველება და სიკვდილი.

ის ტანის ხელოვნებაა, ტანი კი სიცოცხლეს ეკუთვნის, ამიტომ ვიდრე არსებობს მზე, როგორც წყარო სიცოცხლისა, ადამიანი მუდამ გაშლის ხელებს საცეკვაოდ.

ცეკვა ტანით ხელოვნებაა –,

ტანით სიმღერაა –,

ტანით თქმული ლექსია –,

ცეკვა ტანს ეკუთვნის, ცეკვა ტანია, მაგრამ მხოლოდ ტანი?

უსულოდ არ არსებობს მაღალი ხელოვნება, ცეკვა, უპირველესად, სულიერობის წარმოჩენაა. ცეკვა ერის სახეა, არსად ისე არ მუღავნდება ერის ხასიათი, როგორც ქართულ ცკევაში. რა ამაღლებული, დახვეწილი და სულიერობით აღვსილია ცეკვა „ქართული“. ის თვალისათვის ზემინა და სულისათვის ნეტარება.

ქალწულის უნაზესი მიმოხვრანი, თითქოს ქარისაგან შეძრული ლერწამი ირხევა ნაზად, თითქოს გაზაფხულის ნიავს გაუტაცნია აყვავებული თეთრი ყვავილის მსუბუქი ფურცელი, დაცლილა მიწიერ სიმძიმეთაგან ქალწულის რხეული სხეული. ნუთუ იგი თითის წვერებით ეხება მიწას, როგორც ღვთაებრივი საგალობელი ღვთისმშობლისადმი, როგორც რტო, ნორჩი ახლადაყვავებული, ისე თრთის უნაზესი არსება აღბეჭდილი სულიერობით. მასში მოჩანს საუკუნოებრივი წვრთვნა სისხლისა მაღალი ზნეობისათვის, კდემამოსილებისათვის, სრულქმნილობისათვის... აი, აღიმართა და არწივივით შლის მკლავებს ვაჟი. რა ძლიერია იგი, ომს დაჩვეული, მხნე, მძლეობამძლე, ვაჟკაცი, მაგრამ რა სინაზით, რა მოკრძალებით, რა სიფაქიზით ეპყრობა ქალწულს. რაინდული სული მოსავს ჭაბუკს, შორიდან ეტრფის ნანდაურს, ამ დიდებულ, კეთილშობილურ ცეკვაში ცხადად მოჩანს ქართული სული, მისი ამაღლებული მშვენიერება.

როცა შესცეკრი ცეკვა „ქართულს“, უნებლიერ წყდები შენ დროს, იშლება სამანი აწმყოსა და წარსულს შორის და მარადისობაში ინაცვლებ, სადაც ერთიანი გამხდარა უხსოვარეთი და დღევანდელობა, შენ შენს წინაპრებს უერთდები და შინაგან უკვდავ ფერხულში ებმები, თვისტომთან ხელიხელგადახვეული. ასეთი მაგიური ძალა გააჩნია ცეკვას.

ის რომ არ იყოს სულის გამოვლენა, განა შეეხებოდა იგი ჩვენს გულს, განა „ქართულის“ მზერისას ცრემლი მოგვადგებოდა თვალზე?

ცეკვა სისხლის სიმღერაა. როცა „სამაიას“ შესცეკრი განა არ ცოცხლდება წარსულის სული, ჩვენი ისტორია? განა „ხორუმი“ ცეცხლს არ ანთებს სისხლში? ეს ხომ ომია, დიდი ომისათვის სამზადისი. ქართული ცეკვები შექმნა ჩვენმა მოდგმამ, ჩვენმა ცამ და მზემ, ტანმა და ისტორიამ. ეს გახლავთ ერის სული. აი, რას გვიჩვენებს განუმეორებელი ქართული ცეკვები.

ბევრჯერ მიბაძეს ქართულ ცეკვებს, მაგრამ დამარცხდნენ. არაა ადვილი „ხორუმის“ ცეკვა, ხოლო, როცა „ფარცაში“ ერთ წამში აღიმართება ერთმანეთის მხარზე შემდგარ მოცეკვავეთა პირამიდა, წვერში მოქცეულ მედოლესთან ერთად და ლალად განაგრძობენ სამსართულიან ფერხულს, ვიღაც ვიღაცებმა, ჩვენმა მეზობლებმაც, სცადეს მითვისება, მაგრამ უმაღვე ყველანი ძირს ჩამოცვიდნენ, იმიტომ, რომ აღმაფრენა აკლდა მათ

რეზონ შარიავილი. ქართული ხელოსნის სამსახური



სხეულს, სიმსუბუქე, რიტმი, სიჩაუქე და სილამაზე. ყველა ერისათვის კი არ უბოძებია ღმერთს ცეკვის დიდი ნიჭი. ერთი რასა სხვად ვერ გადაიქცევა. ამიტომაც ბრძანებს დიდი ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძე: „ქართული ცეკვა ეს არისო ცეკვა რასის“!

ელგუჯა ბერძენიშვილი  
მხატვარი

## ქოჩობჩაფიც სამყარო

ცეკვა არის სხეულის რიტმული გამომსახველობითი მოძრაობების ერთობლიობა. ეს მოძრაობები, როგორც წესი, ქმნიან გარკვეულ კომპოზიციას, რომელიც სრულდება მუსიკის თანხლებით. ცეკვა მართლაც ყველაზე ძველი ხელოვნებაა: იგი ასახავს ადამიანის უძველეს მოთხოვნილებას, სხეულის მეშვეობით სხვა ადამიანებს გადასცეს თავისი სიხარული ან სევდა. ადამიანის ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა ცეკვით აღინიშნებოდა: დაბადება, სიკვდილი, ომი, ავადმყოფის გამოჯანმრთელება. ცეკვით გამოიხატებოდა უზენაესი ძალებისადმი ვედრება წვიმის მოსაყვანად, მზის შუქის მოსაცლენად, ნაყოფიერების, დაცვისა და პატივის სათხოვნელად.

საცეკვაო მოძრაობა (ეგრეთწოდებული „პ“) სათავეს იღებს ადამიანის სხეულის მოძრაობის სხვადასხვა სახეობიდან – სიარულიდან, სირბილიდან, ხტომიდან, სრიალიდან, ბრუნვიდან და რწევიდან. ამგვარ მოძრაობათა შესამება თანდათანობით გარდაიქმნა ტრადიციულ ცეკვად. ცეკვის მთავარი მახასიათებლებია რიტმი (ძირითადი მოძრაობების შედარებით ნელი ან სწრაფი განმეორება და ვარირება), ნახაზი (მოძრაობათა, ილეთთა, ილეთთა ნერთის კომპოზიციად შესამება), დინამიკა (მოძრაობათა გაქანებისა და დაძაბულობის ვარირება), ტექნიკა (სხეულის ფლობის ხარისხი და ძირითად მოძრაობათა და კომპოზიციათა შესრულების ოსტატობა). ყველა ცეკვაში დიდ მნიშვნელობას იძენს უსტიულაცია, ხელების მოძრაობები, სახის მეტყველება და სხვა.

ყველა ადამიანს შეუძლია ცეკვა. ყველა ადამიანი ცეკვავს. ადამიანი პრინციპულად არის მოცეკვავე არსება; მაგრამ ცეკვა, როგორც პროფესიული ხელოვნება, მხოლოდ ერთეულებისათვის არის ხელმისაწვდომი, რადგან იგი მოითხოვს რიტმის, ნახაზისა და დინამიკის არა მხოლოდ ბუნებრივ გრძნობას, არამედ ამ გრძნობათა მრავალწლან სწორ და მიზანმიმიართულ განვითარებას. ერთი მხრივ, პროფესიული ცეკვა მოითხოვს საკუთარი სხეულის ფლობის დახვეწას და ვირტუოზულ დაოსტატებას; მეორე მხრივ, როგორც ჯგუფური, გუნდური ქმედება, იგი მოითხოვს ღრმა სოციალურ ჩართულობას, ნდობის განვითარებას, ინტერკულტურული გაგების გაძლიერებას, ინდივიდუალური უნიკალურობისა და კოლექტური იდენტურობის ძალიან რთულ და ფაქტზე ბალანსს...

განა ყველაფერი ეს არ იკითხება ქართულ ცეკვებში, ცეკვებში, რომელმაც მოაჯადოვა მსოფლიო.

ლევან ბერძენიშვილი  
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

## ზოვილი სამყარო

ქართული ხალხური ქორეოგრაფია ჩვენი ერის ისტორიაა. იგი ეროვნული ღირებულების ნუსხაა, სადაც ქორეოგრაფის სპეციფიკური ენით იხატება ერის მრნამსი. სპეციფიკური ენა კი პლასტიკა გახლავთ, რომლის გარეშე ქორეოგრაფია უღიმდამოა. თანამედროვეობამ საშუალება მოგვცა გავცნობოდით და თვალი გვედევნებინა მსოფლიოს ხალხთა ქორეოგრაფიული ხელოვნებისათვის. მათმა ხილვამ და გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ ქართული ხალხური ქორეოგრაფია უნიკალურია. იგი დიდებული მაღალმხატვრული ხელოვნებაა, რომელშიც ნათლად ჩანს ჩვენი ერის ბრძოლაში გამოწრობილი სულის სიმტკიცე, მაღალი კულტურა, ესთეტიკური კრედო.

ცეკვა „ქართული“ შედევრია ქორეოგრაფიული ხელოვნებისა, სადაც არნახული მშვენიერებით იხატება მამაკაცისა და მანდილოსნის ურთიერთობა, სულიერი სილალე და რაინდული მოკრძალება.

ქართულ ცეკვათა მრავალფეროვნება და ილეთების მოზღვავებული კასკადი მნახველს აოცებს და აღაფრთოვანებს, ცხოვრებაზე ხელჩაქნეულ ადამიანს ცხოვრებისკენ მოაბრუნებს, რადგან ქართული ცეკვები სიცოცხლის ზეიმია, გიზგიზა ცეცხლია. იგი ქართველი ერის სიდიადის გამომხატველი განძია, რომელსაც მსოფლიოში ბადალი ძნელად თუ მოეძებნება.

მერაბ ბერძენიშვილი  
საქართველოს სახალხო მხატვარი,  
რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი,  
მოქანდაკე

## შესახები იანვიციონი

ერთხელ ვარშავის რადიოში ქართულ ფოლკლორზე გადაცემასთან დაკავშირებით მთხოვეს გამომეთქვა ჩემი აზრი ქართული ხალხური ცეკვების შესახებ. მათ იცოდნენ, რომ მე არ ვარ ამ საქმის პროფესიონალი და სწორედ ამიტომ აინტერესებდათ არაპროფესიონალი ქართველის აზრი.

მე ვთქვი, რომ ქართული ცეკვებში გამოირჩევა რთული ილეთებით, ტემპერამენტით და ელეგანტურობით. ისინი ასახავენ ქართველთა რთულ ისტორიას განუწყვეტლივი ომების დროს მტრებისგან თავდაცვას („ხორუმი“, „მხედრული“, „ფარიკაობა“ და სხვა). ამავე დროს შეუდარებელი დახვენილობით, ელეგანტურობითა და სილამაზით გამოირჩევა მამაკაცის და ქალის სასიყვარულო ცეკვა „ქართული“. მაყურებლის აღფრთოვანებას იწვევს ქართული ცეკვებისათვის დამახასიათებელი შეჯიბრი, როდესაც მოცეკვავები უმაღლესი ვირტუოზულობით და ტემპერამენტით, რიგ-რიგობით ასრულებენ სხვადასხვა სრულებით განსხავებულ ურთულეს ილეთებს.

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, მათ შორის პოლონეთში, ქართული ცეკვის კონცერტები ჩვენი საუკეთესო ანსამბლების შესრულებით მაყურებლის ოვაციებს იწვევდა. მე არა-ერთხელ ვიყავი ამის მოწმე.

კოკა ბზიავა  
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

## სილები და სინაზიფი ქართული ხანისა

ჩემი ქორეოგრაფიული მოღვაწეობის დიდი ხნის მანძილზე მრავალი ქვეყანა მინახავს, მრავალი ქვეყნის ხალხურ შემოქმედებას გავცნობივარ. ჩემი საზღვარგარეთული მიმოსვლა, ძირითადად, საფესტივალო შეხვედრებთან არის დაკავშირებული. გასტროლიორი ანსამბლის ხელმძღვანელისაგან განსხვავებით, ფესტივალში მონაწილის უპირატესობა ის არის, რომ ჩადიხარ ერთ ქვეყანაში და დაახლოებით ოცდაათი ქვეყნის და ხალხის მხატვრულ შემოქმედებას ეცნობი. ამ სიმდიდრეს არაფერი შეეძრება.

ეს მცირე შესავალი იმიტომ გავაკეთე, რომ მინდა მკითხველმა სწორად გაიგოს ქართული ქორეოგრაფით ჩემი აღტაცების მიზეზი. აპა, როგორ დავიოკო ემოციები და როგორ ვიღლაპარაკო ქართული ცეკვისა და სიმღერის სინატიფის შესახებ გულგრილად, როცა მსოფლიო ხალხთა ქორეოგრაფიულ კულტურას გაცნობილ პროფესიონალს ქართული ცეკვის ბადალი არაფერი შემხვედრია ჩემი ხანგრძლივი დაკვირვების მანძილზე, მაგრამ ეს არის ჩემი სათქმელის მხოლოდ ერთი მხარე. ამ თემის მეორე მხარე არის ქართული ცეკვით უსაზღვრო აღტაცება და გაოცება უცხოელი მაყურებლისა, რისი დავიწყება, უბრალოდ, არ შეიძლება. არ შეიძლება დაივიწყოს კაცმა ცეკვა „ქართულით“ გამოწვეული აღტაცება მასში განსახიერებული სატრფიალო პოემით. ამ ცეკვაში ქართველმა ხალხმა თავი მოუყარა ყველა სათნოებას, რაც ჯანსაღ სიყვარულს აღძრავს მაყურებელში და გადამდები ძალით მოქმედებს მასზე. რამდენი სინატიფე და სულიერი სიმაღლე დასტურდება ჩვენს სათაყვანებელ „ქართულში“. ცეკვა „ქართულის“ მხატვრული დონე იმდენად ამაღლებულია, რომ არ მოვერიდები და ვიტყვი: პოეზიაში „ვეფესისტყაოსნისა“ და ხალხურ ვოკალურ შემოქმედებაში „ჩაკრულის“ ქვეყანაში, დიახაც უნდა შექმნილიყო ცეკვა „ქართული“.

დიდი ეროვნული ტრადიციების მქონე ქვეყანას ასევე აუცილებლად უნდა შეექმნა ცეკვა „სამაია“. მსოფლიო ქორეოგრაფიული კულტურა ცოტას თუ იცნობს ერთ ცეკვას, რომელშიც ასეთი მშვენიერებით იყოს თავმოყრილი ქალის სათნოება, სილამაზე, სიკეკლუცე, დედობა და ა.შ. ისე სავსედ, როგორც ეს „სამაიაში“ იკითხება. მუდმივ თავდაცვით ბრძოლაში ჩართულ ხალხს უნდა შეექმნა „ფერხული ფარცა“, რომელშიც ერთ მუშტად შეკრული ხალხი იქცევა მიუვალ ციხე-სიმაგრედ, მაგრამ, როცა გადადის შეტევაზე, იქცევა გრიგალის განსახიერებად.

გურულ-აჭარული ცეკვა „ხორუმი“ ხომ, როგორც იტყვიან, მხოლოდ ქართველების ნიმუშია. მისი შესრულებისათვის სხვა ხალხს, ნამდვილად „არ ეყოფა რასსა“, მაგრამ, ვფიქრობ, ბოლომდე ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი ამოხსნილი და ამოცნობილი ცეკვა

„ხორუმიდან“. გავა დრო, ქორეოგრაფიულ ასპარეზზე მოვლენ ახალი ძალები და ცეკვა „ხორუმიც“ უფრო გაბრწყინდება მომავალში. საოცარი „აჭარული განდაგანა“ ერთნაირად ესალბუნება ქორეოგრაფის, შემსრულებლისა და მაყურებლის სულს, მისი წარმოსახვის ვარიანტები უსაზღვროა. მასში ვირტუოზულად შეიძლება უჩვენოთ ხალხის როგორც ყოფითი სინამდვილის ამსახველი პასაჟები, ისე ქართველისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი არტისტიზმი ერთდროულად გამოვლენილი გრაციაში და შინაგან იუმორში. „აჭარული განდაგანაც“, როგორც „ხორუმი“, განძია სრულიად საქართველოსი. იგი იგავმიუწვდომელი ბედნიერებაა. ბედნიერია მთლიანად ჩვენი ერი, რომ ასეთი საუნჯის პატრონია, საუნჯისა, რომელიც გამორჩეულია სიმდიდრით, სიღრმითა და სინატიფით მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხთა საცეკვაო კულტურისაგან.

თემურ ბიბილეიშვილი  
საქართველოს დამსახურებული არტისტი,  
ლირსების ორდენის კავალერი

## ქართული ქორეოგრაფია - ქართველი ხალხის ცეკვის სახე

ქართველი ხალხის ეროვნული სახე ხუთმა ისტორიულმა ფენომენმა შექმნა, შეინახა და მოიტანა დღემდე. ესენია: ქართული ენა, სამშობლოს ისტორია, ქრისტიანული სარწმუნოება, ხალხური სიმღერა და ეროვნული ქორეოგრაფია. ჩვენი ცხოვრების მრავალ-საუკუნოვანმა პრაქტიკამ მთლიანად დაამტკიცა ამ ხუთი ფენომენის უცვლელი მნიშვნელობა. მათ შორის ერთი რომელიმეც რომ გამოაკლდეს და შეწყვიტოს თავისი ფუნქცია, ქართველი ხალხის ეროვნული სახე ვერ იქნება სრულყოფილი.

ქართული საცეკვაო ხელოვნება საუკუნეთა მანძილზე ჭედდა და ძერნავდა სამყაროს მიმართ ქართველი კაცის ესთეტიკურ დამოკიდებულებას, საბრძოლო სულისკვეთებასა და ფიზიკურ ძალმოსილებას. ქორეოგრაფია ეს ისეთი უნიკალური დარგია ხელოვნებისა, რომელიც ადამიანის არა მხოლოდ ესთეტიკურ სამყაროს აწესრიგებს, არამედ მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მისი სწორი ფიზიკური და გონებრივი განვითარებისათვის. ქვეყანაში, სადაც ლირსეულად არის დაფასებული ქორეოგრაფიული ხელოვნება და სადაც მასიურად ვრცელდება მისი გავლენა მთელ მოსახლეობაზე, ადამიანები გამოირჩევიან სულიერი სიმდიდრით, ფიზიკური სრულყოფით, შრომითა და საბრძოლო სულისკვეთების მაღალი ტონუსით.

ცხოვრებამ დაგვარწმუნა, რომ ქართულმა ხელოვნებამ, პირველ რიგში, საქართველოს მოქალაქე, საქართველოს ტერიტორიული და ეროვნული მთლიანობისთვის მებრძოლი მოქალაქე უნდა აღზარდოს.

საქართველოში მცხოვრები ყველა მოქალაქე უნდა ეზიაროს ქართული ქორეოგრაფიის ხიბლს, გრაციას, და ამ სიმდიდრის შეძენის საფუძველზე, მასში უნდა ჩამოყალიბდეს თა-

ვდადება იმ ქვეყნის ინტერესებისათვის, რომელშიც იგი დღეს ცხოვრობს და სადაც მის წინაპარს უცხოვრია, უმოლვანია და სადაც უნდა იცხოვროს მისმა მომავალმა.

და ბოლოს, ჩვენ ვინატრებთ, რომ ქორეოგრაფიამ და ხელოვნების ყველა დარგმა შეერთებული ძალებით აშენოს ქართული სულიერი კულტურა, რათა ხვალინდელი საქართველო უფრო ლამაზი იყოს, ვიდრე ყოფილა ოდესმე.

იური ბიბილეიშვილი  
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

\*\*\*

„ასეთი რამ მხოლოდ ერთხელ შემემთხვა ჩემს ცხოვრებაში. მივუყვებოდით და-ჩრდილულ მხარეს მესტიიდან უშგულის მიმართულებით. მოულოდნელად მუსიკის ნაზი ხმები შემომესმა, თუმცა კი გარკვეული მოტივის გარეშე. ვერ მივხვდი, რა იყო ეს. ამიხსნეს-კლდის ატკერილი ნაწილაკები, მზეზე რომ ხურდებიან, მოძრაობას იწყებენ, ერთმანეთს ეხახუნებიან და წარმოქმნიან ამ მელოდიურ ხმებს. მართლაც, საღამოს, იმავე გზით დაბრუნებისას, მუსიკა აღარ ისმოდა და საერთოდაც, მეტი აღარ ვყოფილვარ ასეთ „მომლერალ“ ხეობაში.

ნინო ბრაილაშვილი  
ხელოვნების დამსახურებული მოლვანე,  
პროფესორი

P.S. ეგებ სწორედ ამგვარი იდუმალი ხმების შერწყმით იქმნება სვანური ჰანგები, მათ შორის საცეკვაო მუსიკაც...

ავტორი

\*\*\*

მეამყება, რომ დავიბადე საქართველოში. მეამაყება, რომ ვარ ქართველი. მეამაყება, რომ ვარ მართლმადიდებელი ქრისტიანი, მეამაყება ქართული კულტურა, ხელოვნება, ფოლკლორი, რომლიდანაც განსაკუთრებით გამოვყოფი ქართულ ცეკვას. მეამაყება, რომ ოდესლაც, ხელოვნებაში ჩემი წარმატებული სვლა დაიწყო ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში, ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით.

გუჯა ბურდული  
კინო-მსახიობი

## ქართული ხელვა - პირსტინაში ბამოსახული სიცოცხლე

ქართული სიმღერა და ქართული ცეკვა – ეს ხომ ღრმად ეროვნული და, რაც მთავარია, სიცოცხლით სავსე გამოვლენაა ჩვენი არსისა.

ქართული ცეკვა არასდროს იქცევა ფორმალურ ტრადიციად იმდენად, რამდენადც ტრადიციად მოგვევლინება ხოლმე მხოლოდ მოვლენა ან ქმედებათა რიგი, რომელთაც დაჰკარგეს ცოცხალი შეხება სათავეებთან, რაკი ეს განცდა სათავისა, ქართველ ადამიანს პლასტიკის, მოძრაობის და რიტმის მიმართ დაბადებიდან მოსდგამს, ამიტომ იგი ყოველთვის ცოცხალია.

ქართული ცეკვა ცოცხალია, ეს იმას ნიშნავს, რომ გახსნილია ახალი იმპულსებისათვისაც, მაგრამ ისე, რომ არ კარგავს თავისთავადობას, ე.ი. ქართული ცეკვა რიტუალურია. ე.ი. ის რაც ცოცხლად რიტუალურია, განვითარებადიცაა და ამავე დროს სათავის, საფუძვლის, რეალურ განცდასაც ატარებს.

ქართულ როკვაში რიტუალურია ყოველი მოძრაობა, უესტი, თუნდაც ილეთი. რიტუალურია თვით კონფიგურაცია, სივრცეში მოძრაობა თუ გადაადგილება საკმაოდ მკაცრი გეომეტრიული ნახატის მიხედვით.

ქართულ ცეკვაში გაცხადებულია „ქართული სამყაროს“ კოსმოგონიური მოდელი, რომელიც ერთდროულად მოიცავს, როგორც ხილვად პლანს, ასევე რიტმულ შრეს და, რაც მთავარია, განსაკუთრებული ტიპის პათოსს, – რომელსაც ქართული ტემპერამენტი ეწოდება.

ქართული ცეკვა – ეს არის სამყაროს ქალურ-მამაკაცურ საწყისთა ბედნიერი ერთიანობა.

ქართული ცეკვა ეს არის კეთილის და ბოროტის ურთიერთ ჭიდილის დიდებული გამოხატულება და ბოლოს, ქართული ცეკვა ეს არის ნიშანი იმისა, რომ ქართველები ყოველთვის ვიქნებით და ქართულ სულს ვერავინ ჩაჰელავს.

გია ბუღაძე  
საქართველოს სახელმწიფო  
სამხატვრო აკადემიის რექტორი,  
პროფესორი,  
მხატვარი

## ქართული ხელვის ბანერის ჩაბეჭიდვი ხილი

ცნობილია, რომ ხალხის სულიერება, უბირველეს ყოვლისა, ვლინდება, ხალხურ სიმღერასა და ცეკვაში. ეს ჭეშმარიტება განსაკუთრებით ნათლად ჩანს ქართველთა შემთხვევაში; ქართველი ხალხის სულიერება და სიღრმისეული თავისებურებანი სწორედ ქართულ მრავალხმიან გალობასა და მრავალფეროვან ქართულ როკვაში იჩენს თავს; ქართული ცეკვის განუმეორებელი ხიბლი, მისი არაჩვეულებრივი რიტმულობა და პლასტიკურობა ხალხის სულიერი პოტენციალის უმაღლესი გამოვლინებაა.

ამდენად, ქართული ხალხური ცეკვის მრავალფეროვნება და კოლორიტი შენარჩუნებული უნდა იქნეს ჩვენს სასცენო ქორეოგრაფიაშიც, რათა მსოფლიო მაყურებელთან მივიტანოთ ქართული როკვის ეს ღრმა ეროვნული შინაარსი, რომელიც მას განასხვავებს ყველა სხვა ხალხის ცეკვისაგან და სპეციფიკურია მხოლოდ ქართველთათვის; სწორედ ამ სპეციფიკურობაში ვლინდება ქართველი ხალხის თავისებურება და სულიერი პოტენციალი...

თამაზ გამყრელიძე  
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

## ქართული ხალხის თავის ფესვებს უშორის ნახსენში პოვობას

ტერფსიქორა, თავისი დების უმრავლესობისაგან განსხვავებით, ყველა ხალხის და ერისათვის ნაცნობი მუზაა. დედამიწის ზურგზე არ არსებობს უმცირესი ეთნოსიც კი, რომ არ ჰქონდეს გამორჩეული, შეიძლება პრიმიტიული, მაგრამ მაინც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ცეკვა. მე ვთვლი, რომ ცეკვის მუზა საოცრად გულუხვი აღმოჩნდა ქართველებისათვის. საერთოდ, ქართული ქორეოგრაფიის ელემენტი, თვითონ ქართული ცეკვა იმდენივე საუკუნეს უნდა ითვლიდეს, რამდენსაც ჩვენი ერი ინახავს თავის მეხსიერებაში. ჩემი აზრით, ქართულ ქორეოგრაფიაში ნათლად ირეკლება ეროვნული ხასიათი. ქართველი ხალხის გენიამ უხსოვარი დროიდან შექმნა ქორეოგრაფიის ულამაზესი ნიმუშები, რომლებიც აღრთოვანებით აღიარა ხუთივე კონტინენტმა და ეს ცეკვა მსოფლიომ მერვე საოცრებად მონათლა.

უძველესი ქართული ცეკვა თავის ფესვებს უშორეს ნარსულში პოულობს. ამ შორეული ნარსულიდან მოყოლებული ქართული ქორეოგრაფიის ელემენტები გარკვეული ტრანსფორმაციით გადმოდიოდა თაობიდან თაობაზე; ბევრი რამ დაიხვენა, ზოგი საერთოდაც დაიკარგა, მაგრამ მთავარი მაინც არ შეცვლილა – მასში ჩანდა და დღესაც ნათლად ჩანს ქართველი ერის, ქართველი კაცის, ქართველი ქალის სული. ქართული ცეკვა მართლაც, რომ უნიკალური მოვლენაა. ეს ის ცეკვაა, რომელსაც მსოფლიო უკრავს ტაშს, რომელიც ქართულია და, გარდა ქართველისა, „მას ვერ იცეკვებს ვერავინ, რასაა არ ეყოფა“.

ქართული ცეკვების შესრულება ურთულესია, ურთულესია მუშაობის პროცესი, მაგრამ ყველაფერ ამას გინაზღაურებს შედეგი და ის, რომ ამ შედეგს შეუძლია კონცერტზე მოსული საზოგადოება აღაფრთოვანოს. ზოგჯერ კი ის ემოციური მუხტი, რომელიც მაყურებლიდან მოდის, შეგაძლებინებს ისეთი რამის გაკეთებას, რომელიც ერთხელ მოხდება შენს ცხოვრებაში და მთელი შენი ცხოვრების განმავლობაში არ დაგავიწყდება. აი, ერთ-ერთი მათგანი, რომელიც მუდამ მემახსოვრება:

ქართული „ნაციონალური ბალეტი“ იმყოფებოდა გასტროლებზე იტალიაში, მილანში. პირველად გამოვდივართ სახელგანთქმულ „ლასკალაში“, მიდის პროგრამის ბოლო ცეკვა „შეჯიბრი“. ცალი ცერით ვარტყამ წრეს მთელს სცენას და შუიდან ვპრუნდები მაყურებლისაკენ, მივიწევ წინ, მესამე იარუსიდან ნასროლი თაიგული კი პირდაპირ ჩემსკენ მოფრინავს, წამებში ეს თაიგული ჩემს ხელშია, წამებშივე ის ჩემი ხელიდან მაყურებელს

უბრუნდება; ამას მოჰყვა ფეხზე წამომდგარი მაყურებლის გასაოცარი ტაში, რომელიც დღიდხანს არ წყდება. ამ მაყურებელს შორისაა გამოჩენილი ქართველი ტენორი ზურაბ სოტკილავაც, (იმ დროს იმყოფებოდა „ლასკალაში“ სტაუირებაზე), რომელიც იმ დღეს ამაყი იყო, ამაყობდა, რადგანაც იყო ქართველი. ეს ყველაფერი დაფიქსირებულია კინო-დოკუმენტალისტ გიორგი ასათიანის მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში „მსფლიო ტაშს უკრავს“.

იმ დღეს, კულისებში გასული, ვფიქრობდი: ჩემი შრომა დაფასდა, აი, რის გამოც ღირს ცხოვრება.

**შალვა (ჯამუ) გარუჩავა  
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი,  
ღირსების ორდენის კავალერი**

## ყველაფერი ქართული ბჟევამყება

ქართველები ვართ და ყველაფერი ქართული გვეამაყება. ასეც უნდა იყოს, თუ შენი არ გიყვარს, ვერც სხვას შეიყვარებ და სიცოცხლეც აზრს კარგავს.

ქართული ენა, წესი, ჩვეულება, რელიგია, წმინდა სალოცავები, ჩაცმა, დახურვა, რიტუალები, სიმღერა, ცეკვა, ლხინი, ჭირი, დაბადება, გარდაცვალება, სუფრა, ისტორია, ადგილ-მამული, წინაპრები, მშობლები, მომავალი, შეილები, შეილიშვილები, შენი მხარე, გვარი, ოჯახი, კაცობა, მეგობრები და მრავალი, მრავალი სხვა, ის, რაც სულს აგიჩ-ქროლებს და შენ თავს გაგრძნობინებს მოყვასთა შორის, გაამაყებს და გათქმევინებს: „მე დაგიბადე საქართველოში და ვარ ტომით ქართველი, რაც უდიდესი ბედნიერებაა ჩემ-თვის“.

ქართველ ერს მსოფლიოს ხალხთა თანამეგობრობაში აქვს თავისი განსხვავებული და განსაკუთრებული ადგილი. არ არის ხელოვნების, კულტურის, შემოქმედების არცერთი მიმართულება, რომ ჩვენ ერს არ ჰქონდეს თავისი წარუშლელი სიტყვა ნათქვამი. ქართული ქორეოგრაფიული ფოლკლორი კი მთლად უნიკალური და ამოუწურავია. ის ერის სიამაყეა და აღნიშნავს მის განსაკუთრებულობას.

მსოფლიოს უმრავლეს ხალხთა ქორეოგრაფია ქალისა და მამაკაცის მიერ შესრულებული ქორეოგრაფიული მოძრაობებისაგან შემდგარ კომპოზიციებს წარმოადგენს (ევროპული, ლათინურამერიკული ცეკვები). მათი უმრავლესობა ქუჩიდან მოსული რითმები და მოძრაობებია და უფრო მეტად დროის მცირე ისტორიულ მონაკვეთშია შემქმნილი. ან უკეთეს შემთხვევაში ორი ან რამდენიმე ერის საცეკვაო ფოლკლორის შეხამება – სინთეზია. ქართული ცეკვა კი საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა და იხვეწებოდა. იგი გადმოსცემდა და გადმოსცემს ქართველი ერის ცხოვრების წესს, მის ნიჭა და გენიას.

**ლარისა და თენგიზ გაჩეჩილაძეები  
საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები  
სამეჯლისო-სპორტულ ცეკვებში**



## ქართველის უზოგასი ნება

ისტორიულმა ბედისწერამ, იზოლაციასთან ერთად, საქართველოს საკვირველი თვით-მყოფადობაც არგუნა. იშვიათია ქვეყანა, რომელსაც ამდენი რამ აკავშირებდეს თავის ნარსულთან. ქართველმა თვით ენის ცვალებადობაზეც კი უარი თქვა...

ქართული როგა კოლხ-იბერთა გენის კიდევ ერთი ენობრივი დანატოვარია. მასში თავმოყრილია საქართველოს მთელი თეატრალური პოტენციალი, ბუნებრივი საზღვრების კონტრასტები, რელიგიურ წარმოსახვათა მრავალგვარობა, მისტიკურ-საკრალური აბსტრაქციები.

კვირია, ტულეფია, არმაზი, ვარტრაგანი, აგუნა, შუშპარი, დალი, ოჩოპინტრე – ნადირობის, ნაყოფიერების და მეღვინეობის ეს ღვთაებანი, კოსმოგონიური აზროვნების ეს ხატები არის არეკლილი ქართულ როგაში. აქედან მომდინარეობს გასაოცარი სილრმის მედიტაცია და თავბრუდამხვევი ექსტაზი. აქ ასახულია ქართული სულიერების სიმაღლე, ფასეულობათა უფართოესი სპექტრი, შვილიერებიდან ვიდრე ქალის კულტამდე. იგი

ადიდებს ვაჟაპობას, ამტანობას, მეგობრობას, ერთობას. აქ განხორციელებულია აპოლონური და დიონისური საწყისების საკვირველი სინთეზი. როკვა, ცეკვა, სამა, თამაშობა – ქართველმა ასეთი თეატრალური სინონიმები გამოუძებნა წმინდა რიტუალს. იგი ყველა სასიცოცხლო მნიშვნელობის მოვლენას როკვა-თამაშით ხვდებოდა. სამონადირეო ფერხული, ლემჩილი, ბეთქილი, მელია-ტულეფია, ოსხაპუე, სართულიანი ფერხული, ზემყრელი, აბარბარე, მირმიქელა – მაგიურ შინაარსთან ერთად ამ ფერხულებში განთავსებულია საყოფაცხოვრებო პანტომიმის ელემენტები, დაგვირგვინებული უნაზესი სამიჯნურო ცეკვით – „ქართული“ (იგივე „სადარბაზო“, „სანადიმო“, „დავლური“). ყოველივე ამას ემატება გროტესკული – ნიღბიანი ხალხური მსვლელობანი „ბერიკაობა“, „მფერხაობის დღე“, „ყენობა“. ასე წარმოიშვა სამყაროს თეატრალური ასახვის გასაოცარი პანორამა.

და აი, XI საუკუნეში, ჩვენ წინაშეა სინკრეტული თეატრის თითქმის უცვლელი ნიმუში. უკიდეგანო ენერგეტიკა, არტისტიზმი, მიმიკის, უხსტის და პლასტიკის დახვეწილობა განთავსებულია საცეკვაო იეროგლიფში, რაც თავისთავად ამხელს ქართველის მსოფლიო განცდას, გრძნობათა ქუხილს, სამყაროსთან პარმონიული შერწყმის წყურვილს. ასეთი პლასტიკური აღზევება ცხადყოფს ქართველის უზენაეს ნებას – იყოს ამქვეყნად ყოველივე მშვენიერისა და ამაღლებული ცეკვის დესპანი ჩვენს პლანეტაზე.

მერაბ გეგია  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,  
პროფესორი

## ათასი სიცოცხლის სილეინი ჩოხატავის ქართველთა ბინი

ვერცხლის თასიდან ამოზიდულან თრიალეთის ყორღანებში მიმაღული მოფერხულენი. წელზე შემოურტყამს რჩეულს სარტყელი. სარტყელი ვერცხლის და ბრინჯაოსა. მყარად მიაბიჯებს მწყობრში თავმოსამე, იმქვეყნიური სამყოფელისკენ მიუძღვის მორჩილთ, ვით არიადნეს ძაფი მეგზური. რათა განაახლოს და პირველქმნილი ძალებით დაუბრუნოს დედა ღვთაებას.

მზერა მიუპყრია ქსენოფონტეს: ასეულებად დაწყობიდან, ვით ქოროები... უკვირს ბრძენ სწავლულს მოსინიკების ჰანგი და რიტმი. სამყაროს პარმონიზაციისთვის დაბადებულა ეს დალოცვილი. კეთილისა და ბოროტის მუდმივი ბრძოლის თანაზიარად. ქაოსისა და არარსის დასამარცხელბად ჩაუბამთ ქართველთ „ხორუმი“.

მზე ამოსულა. ჴო, „ლილეო“... შენირული მისი ვერძები ქედ-ქედ რქენენ ერთმანეთს. აიას კუნძულს მიადგაო არგო, – უთქვამს ჴომეროსს, სადაც აისზე შობილი განთიადის საფერხულო სახლი გვქონია.

ცა და მიწა გაუერთიანებია ცეკვა-ცეკვით, „სამსართულა“ აუგიაო ქართველს. იქნებლმერთებთან საუბარი უსურვებია... არ უნდა დავუშალოთო, – წესად დაუდიათ თუშებს. ასე მიუტანიათ ხატის კარამდე. იქ ხე ამოსულა, ხე სიცოცხლისა. ნანას ფეხებთან ამოზიდულა ტელეფიას მოლოდინში. ამ ხეს ნაყოფი გამოუსხამს. ნაყოფი მისი ქალ-ვაჟს უგემია.

ქალი მზედ გადაქცეულა, ვაჟი კი – მთვარედ. და ყოველ მოქცევაზე გენი აყვავებულა, გენი ქართული, როკვით განფენილი. ათასწლეულთა აჩრდილიდან გადმოსული და დღემ-დე მოსული. მოსული როკვით, ძნობით, ფერხულით, ცეკვით ქართულით...

ეკატერინე გელიაშვილი  
ხელოვნებათმცოდნობის დოქტორი,  
ეთნოქორეოლოგი

## სახან ჭაშმაჩიტაბით ხახობს

უფალი ამბობს, რომ არსებობს სამი სრულყოფილება; სრწმუნობა, სასოება და სიყვარული: ამათგან უმეტესი სიყვარულია.

კაცთა დასამოძვრად, შესაგონებლად და სანუგეშოდ ქართველ ერს საუკუნეების განმავლობაში ჩამოუყალიბდა მდიდარი საცეკვაო ტრადიციები მუსიკისა და მოძრაობის სინკრონით.

სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ერი ძნელბედობის უამს ცეკვა „ხორუმით“ ერთ მუშტად შეკრაგს ერსა და ბერს, საბრძოლველად განემზადება, ხოლო, როცა სიყვარულით გალობა ისმის, მაშინ ხატად ქმნილ „სამაიას“ ცეკვავენ ქართველი ქალები.

სულიერ ნიჭთა მლტოლველმა ქართველმა ერმა შექმნა და პლასტიკის ენით თაობებს შემოუნახა სიყვარულით ნაკარნახევი ეროვნული ქორეოგრაფიის გვირგვინი – ცეკვა „ქართული“.

და, ბოლოს, ნებისმიერი ნიმუში ქართული საცეკვაო კულტურისა შეჰქარის არა უსამართლობას, არამედ ჭეშმარიტებით ხარობს.

მედეა (დუდი) გვაზავა,  
მოცეკვავე

## ქართული ხაცევის სახან ხაცების სეილის ხაცების ბანეურის ნაწილი

ქართული ცეკვის კულტურა ერთ-ერთი ფურცელია ქართული ხელოვნების ისტორიისა, რომელიც, თავის მხრივ, ძვირფასი წვლილია ხალხური შემოქმედებისა დიდ საგანძურში.

აღორძინების ხანის დიდმა ეროვნულმა მოღვაწეებმა არჩილმა, სულხან-საბამ, თეიმურაზ მეორემ, ვახუშტიმ აღგვინერეს თავისი დროის ყოველგვარი წეს-ჩვეულება, ტრადიცია, რიტუალი, ასპარეზობა, ცხენოსნობა, ცეკვა და სხვა გართობანი. არჩილის „საქართველოს ზნეობანი“ გვარწმუნებს, რომ საცეკვაო ხელოვნებასა და „მუშაითობას“, ჭადრაკის თამაშისა და სპორტის სხვადასხვა სახეობის მსგავსად, სპეციალურად ასწავლიდნენ საქართველოში.

ქართული ხალხური ცეკვა ხალხის სულიერი კულტურის განუყრელი და მეტად მნიშვნელოვანი ნაწილია. კერძოდ, ქართველი ხალხის საცეკვაო ფოლკლორმა საპატიო როლი

შეასრულა ჩვენი წინაპრების მხატვრული შემოქმედების ჩასახვასა და ჩამოყალიბებაში. მMრავალსაუკუნოვანმა ხალხურმა ცეკვამ განვითარების ხანგრძლივი გზა განვლო და ჩვენამდე მოაღწია დახვეწილი სახით. ქართული ხალხური ცეკვების ნაირსახეობამ, შინაარსის სიმდიდრემ, მისი შესრულების ოსტატობამ, ღრმა ემოციურობამ აღტაცებაში მოიყვანა ქართველი და არა მარტო ქართველი მაყურებელი და საყოველთაო აღიარებაც მოიპოვა.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის სილამაზე და თავისთავადობა, მისი სიმდიდრე და ზემთაგონება ყველგან ერთნაირად აღაფრთოვანებს და აღელვებს მაყურებელს.

**ლილი გვარამაძე**  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

## მსოფლიო მსბავსი ჩა ჩნებას

დიდი განსწავლულობა არაა საჭირო იმისათვის, ქართული ცეკვა რომ იგრძნო. იგი უფრო ფაქტიზი სულითა და მგრძნობიარე გულით უნდა დაინახო და იქ, სულისა და გულის იმ უძირო სილრმეში, მის სიდიადესა და ღვთივეურთხეულ მადლს ჩასწვდე. ყველას გვახსოვს, როგორ აღაფრთოვანებდნენ, უხმოდ და უსიტყვოდ, ჩვენი მოცეკვავენი ინგლისელსა თუ ფრანგს, ჩინელსა თუ იაპონელს, ამერიკელსა თუ აფრიკელს. ყველას გვინახავს აღტაცებით ანთებული მათი თვალები და ბედნიერი სიცილით გაცისკროვნებული მათი სახეები. რა დაგვავინყებს ფეხზე ადგომით იმ მქუხარე, დაუსრულებელ ტაშა და მოწონების შეძახილებს, თითოეულ ქართულ ცეკვას რომ მოსდევს ხოლმე. მათ ხომ ეს ემოცია ცეკვით გამოიწვიეს, უხმოდ და უსიტყვოდ მოახერხეს მათ სულსა და გულში შექრა, მათი აღელვება, გაოცება, გაოგნება და იმის აღიარება, რომ მსგავსი რამ ჯერ არ ენახათ და განეცადათ.

ქართული ცეკვა, მართლაც, მთელი აკადემიაა, კულტურა და ისტორიაა ქართველი ხალხისა, მისი უკვდავი სულის, მამაცობის, ვაჟკაცობის, ქალიბის, ზრდილობის, კდემა-მოსილების და, კიდევ, ვინ ჩამოთვლის, რამდენი სულიერი სიკეთის გამოხატულებაა. ავილოთ ნებისმიერი ცეკვა, თუნდაც „ხორუმი“ – რა ახსნა და განმარტება სჭირდება იმას, თუ რას გამოხატავს იგი? ჩვენი პლანეტის ნებისმიერი მცხოვრები მაშინვე მიხვდება, რომ იგი ეძღვნება ყველაზე მთავარსა და ამაღლებულს, ადამიანის უპირველეს მოვალეობას – სამშობლოს დაცვას. იგი ცეკვა კი არა, მომხვდური მტრის წინააღმდეგ ბრძოლის მთელი სტრატეგიაა, შემართების, ერთიანობის და თავშესაკლავად მზადყოფნის გამოხატულებაა. არ მაგონდება რომელიმე ერს მსგავსი რამ ცეკვა შეექმნას და მასში ამდენი აზრი და შინაარსი ჩაექსოვოს. ანდა, „მთიულური“ – მრისხანე მთებისა და პირქუში კლდეების გულგოროზი შვილების ამაყი ცეკვა, მოკაშკაშე ხმლებით ერთმანეთზე ფიცხელი შეტევა, თავდაუზოგავობითა და არწივული ყივილით ერთმანეთთან კვეთება, თვალებიდან ნაპერ-წკლების ყრა, მაგრამ ქალის მანდილის დანახვისთანავე იარაღის დაყრა, ცეცხლის დაშრეტა, ველური უინის დაშოშმინება და ქალის წინაშე მონინებით თავდახრით დგომა. სად და ვისთან გინახავთ მსგავსი ცეკვა? რომელ ერთზე ვთქვა, რომელი ერთი შევაქო?

და, ცეკვა „ქართული“? – ეს სულის შემძვრელი, ცამდე ამაღლებული, ღმერთთან მისული ნარნარი როკვა და უხმო სიმფონია ქართული სულისა, ქალისადმი ყოვლად წმინდა, კდემით შემძვრელი თაყვანისცემა მამაკაცისა?! სხვისი არ ვიცი, მაგრამ, როცა ამ ცეკვას ვუყურებ, სუნთქვა მეკვრის, გული ყელში მებჯინება, მონუსხულსა და მოჯადოებულს თვალები მიფართოვდება და მსურს, ყველაფერი დავინახო, ერთი დეტალი, ერთი მოძრაობაც არ გამომრჩეს მოცეკვავეებისა და, ბოლოს, სიხარულისა და ბედნიერების ცრემლი მდის. ბედნიერებისა იმიტომ, რომ ჩვენი ერის შვილი ვარ, სიხარულისა, იმიტომ რომ მას ხელენიფება ასეთი სასწაულის შექმნა.

დიდი მაღლობა ჩვენს მოცეკვავეებს, რომ ასეთი ეშხითა და ლაზათით მიაქვთ მსოფლიოს ხალხებთან ქართული ცეკვის მადლი. უფრო დიდი მაღლობა ჩვენს ქორეოგრაფებს, რომ ასეთი შემართებით ემსახურებიან ამ უკეთილშობილეს საქმეს და ეროვნული სულისკვეთებით ზრდიან ჩვენს შვილებს. მათი დამსახურებაა, რომ აღმოაჩინეს, დახვეწეს და შემოგვინახეს ის განუმეორებელი საცეკვაო ილეთები, რომლებიც მხოლოდ ქართული ცეკვისთვისაა დამახასიათებელი.

მხოლოდ ერთი რამ მაეჭვებს და მაკვირვებს: რატომ ჰავავს კავკასიელი ხალხების საცეკვაო ჩაცმულობა ქართულს? ცეკვებითაც არცთუ წარუმატებლად ცდილობენ დაგვემსგავსონ. ალბათ ამიტომაა, რომ უცხო თვალს უჭირს ჩვენ შორის განსხვავების შემჩინევა, ყველას ერთმანეთთან გვაიგივებენ და ჩვენს ხელოვნებასაც ერთი სახელით – კავკასიურით – მოიხსენიებენ.

მინდა, ვუსურვო დღევანდელ ქართველ მოცეკვავეებს უფრო მეტი წარმატებები, ვიდრე აქვთ, უფრო დიდი სახელი და დიდება, ვიდრე ოდესლაც ქართულ ანსამბლებს ჰქონიათ. მათ აკისრიათ უდიდესი საპასუხისმგებლო მისია – აანთონ და ააგიზგიზონ ის ეროვნული ნაპერწკალი, რომელიც თითოეულ ქართველში ღვივის. ღმერთმა ხელი მოუმართოთ!

ელეონორა გვრიტიშვილი  
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

## სახავაში შენივთები უნიალები ფენომენი

ფერის ფერთან ფერობა, სხვაობაში ნაპოვნი, სხვაობა როგორც ყოფიერების პირობა, მდედრისა და მამრის შეპირისპირებაში ჩენილი.

სწორედ ამ უძირითადეს გარემოებათა გათვალისწინება ცხადყოფს, თუ რა მნიშვნელობას უნდა ვანიჭებდეთ მსოფლიო ქორეოგრაფიის სწორუპოვარ ნიმუშს, რომელსაც ჰქონია ცეკვა „ქართული“. წმინდა ეროვნული ქორეოგრაფიის საგვირგვინო ცეკვას ასრულებს წყვილი, ნიშანდობლივად განსხავებული: ჩაცმულობითაც, ვარცხნილობითაც, მოძრაობითაც, რომელსაც, თავის მხრივ, მსჭალავის: სინატიფე, სიფაქიზე, სინაზე და ამასთანავე, სიდარბაისლე, ღირსება და თავდაბლობა, ღტოლვა და რაინდული მისწრაფება, შეზავებული მდედრისა და მამრის ბუნებით შეპირობებული თავდაჭერის უნარით. ეს მრავალ-

წახნაგოვანი საცეკვაო: მშვიდობისას – პოემად, განსაცდელისას – პაროლად, ყოველ დროსა და ვითარებაში კი კონსოლიდაციის მაგიურ ძალად წარმოგვიდგება. ამიტომაცაა, რომ ერის შეგნებამ იგი ქართველი ქალისა თუ კაცის ზნეობის ცოცხალ ხატს გაუტოლა და სალოცავ საგნად გაიხადა.

მასესენდება უახლესი მაგალითი და კითხვა მებადება: ქართველთა წყვილის ეროვნული ცეკვის საგულდაგულო შესწავლის მთელი პროცესი რა ძალით უნდა აღბეჭდილიყო ჩვენი დროის ქორეოგრაფიულ სასწავლებელის დიპლომანტის გულსა და გონებაში, რომ მრავალი წლის შემდეგ თავისი აღმზრდელის იუბილეზე დედაქალაქში ჩამოსულ ქალბატონს თავისი სიტყვა მობოდიშებით დაეწყო. დაგვიანების შიშით პირდაპირ სადგურიდან გამოქცეულა, სახლში შევლა და სამოსის გამოცვლა ვერ მოუსწრია და ახლა პატივცემულ საზოგადოებისა და თავის უსაყვარლესი მასწავლებლის წინაშე დგას, ქართული ცეკვის კურსგავლილი ნამონაფარი და საკუთარი ჩაცმულობის სტილის სიტუაციასთან შეუსაბამობას საშინალად განიცდის.

იმ საზეიმო დღეს ეროვნული ქორეოგრაფიის ოთხმოცდათიწლის ბერმუხას, კონსტანტინე მანჯგალაძეს არა ერთი მოლოცვა, ადრესი და საჩუქარი გადაეცა. მთელი რაზმი გამოჩენილი კოლეგებისა, დიდი პატივისცემისა და მადლიერების გრძნობით მიესიყვარულა ძვირფას იუბილარს. მაგრამ ამ სულმნათი ხელოვანის მიერ განეული ამაგის მნიშვნელობას ქართული ზნეობის აღორძინების საქმეში ყველაზე შთამბეჭდავად გამოხატავდა იმ შარვლოსან ქალბატონის გულმართლობით შობილი მონანიება იყო.

ქართული ცეკვის ისტორიულ ქრონიკებში უთუოდ შესატანია საუკუნეთა მანძილზე ხევნისა და სრულყოფით დამშვენებულ ცეკვაში შენივთული უნიკალური, ცოცხალი ტესტი, ნარმოუდგენელი დღევანდელ ტესტების შედგენაში განაფულ ახლებისათვის. მართლაც და ქართული ცეკვის სარკეში რა საოცარი სიზუსტით ირეკლება პიროვნების ხასიათი, მისი შინაგანი ბუნების რენდგენისეულად სრული სურათი. ასე მგონია, ამ ცეკვის შთაგონებითაა დაწერილი არჩილ-მეფის ეს სრტიქონები:

„ზნეობა-საჭრიელები, არ ბნელობს, არის ნათელი

კამკამის დაზვარავად ვითა წყვდიალში სანთელი.

ბის შესაბამისად, იმისდა მიხედვით, თუ რომელი ხალხის ხელოვნების რომელი დარგი წინაურდება“.

ქართული ქორეოგრაფიის სახელოვან მესვეურთა თავდადებული მცდელობით, მეცნიერულ დონეზე ჩამოყალიბებულ შემოქმედებით ლაბორატორიას შესწევს ძალა და უნარი, რომ უშუალოდ ხალხის წინაშე ნაკისრ პასუხისმგებლობით შეძლოს საბედისწერო ამოცანის შესრულება.

წინაპრებმა ხალხური შემოქმედების ისეთი ხელთუქმნელი ქორეოგრაფიული შედევრები დაგვიტოვეს, რომ ზოგიერთისათვის მაინც ძეგლი უნდა დაგვეძგა, თუნდაც ისეთ აღმტაც, აღმაფრენ ცეკვისათვის როგორიც „ხორუმია“. ცეკვა, რომელიც მთელი თავისი არსებით თითოეულ მავანს ერთობისაკენ უხმობს, შეაგონებს მხარი აუბას, გვერდი დაუმშვენოს ერთ მუშტად შეკრული ხალხის ძალისხმევას, გამსჭვალულს სიკეთისა და სამართლიანობის დამკვიდრების სულისკვეთებით. რა გასაქანი მიეცემოდა ნიჭიერ მძერწავისა თუ მოქანდაკის ფანტაზიას, რომ ბათუმისა თუ ფოთის სანაპირო სივრცეში დადგმულიყო ალტერნატიული ძეგლი – კოლხების მიერ გაჩაღებულ „ხორუმში“ ჩაბმული უცხოელები, რომლებიც საუთარ გამოცდილებით დარწმუნებულან იმაში, რომ ქართული ქორეოგრაფია ნამდვილად იმ ღიაობის სამაგალითო ფორმაა, რომელიც არცერთ თავმომწონე დემოკრატს არ დასიზმრებია.

მიხეილ გიუიმყრელი  
თეატრმცოდნე

## „ცაცა აჩის მთელი ჩემი ქონება“

„სიმღერაა მთელი ჩემი ქონება“-ს ჩემეული ინტერპრეტაციით: „ცეკვა არის მთელი ჩემი ქონება“. ის, რომ მე შევძელი უამრავი ქართული სიმღერის მელოდიები საცეკვაოდ გარდამესახა, არსებული საცეკვაო მელოდიებისათვის ახლებური იერსახე მიმეცა და ახალი სული შთამებერა მათვეს, მხოლოდ ქართული ცეკვისადმი უდიდესმა სიყვარულმა როდი განაპირობა. მე მასში უფლის ნებას უფრო ვხედავ.

უფლის ნებაა ის სიმდიდრეც, რაც ქართველი ხალხის სიმღერებისა და ცეკვების გასაოცარ ქმნილებებშია ჩადებული და ეს ქმნილებები რომ გასაოცარია, ამის მომსწრე თავად გავხდი, როცა ჩვენი ეროვნული ანსამბლის „სუხიშვილების“ ტრიუმფალური წარმატებებში მონაწილეობა მხვდა წილად. ეს იყო ნიმუში იმ მაღალი ხელოვნებისა, რომელიც საუბრობს ყველასათვის გასაგებ, მისაწვდომ ენაზე და ყველასგან ღებულობს მხოლოდ ერთს – აღიარებას.

ქართული ცეკვა მთელი ჩემი სიცოცხლეა და მისი მატერიალიზება რომ შესაძლებელი იყოს, მას ჩემი გულის ფორმა ექნებოდა; გულისა, რომელზე გავატარე არაერთი ქართული მელოდია, რომელზეც დაიდგა არაერთი არაჩვეულებრივი ცეკვა და რომელიც სიამაყით მავსებს, როგორც წარმატებული შვილის მამას, როგორც სიახლის შემქმნელს და ამისათვის კიდევ ერთხელ მადლობა უფალს, რომ არსებობს ქართული ცეკვის გენია!

თენგიზ გოგავა  
ლირსების ორდენის კავალერი  
მუსიკოსი

## ცეკვას თანაბრძნე ახ სჭირება

ჩვენმა სახელოვანმა ხელოვანმა, ქორეოგრაფმა რეზო ჭანიშვილმა, მთხოვა, რომ ჩემი აზრი გამომეტევა ქართულ ცეკვაზე...

ამ თხოვნამ, ბუნებრივია, დამაფიქრა. ფიქრმა ჩემი ბავშვობისკენ გამიყენა გზას. ეს გზა კი შუა ქართლის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში – ზემო ხანდაკში მივიდა.

არდადეგების დაწყება უწინარესად იმიტომ მიყვარდა და მიხაროდა, რომ სოფელში უნდა წავსულიყავი და ზაფხულის მთელი სამი თვე იქ გამეტარებინა. იმ სამი თვის განმავლობაში არ მახსოვს ისეთი საღამო, რომ სოფლის თითქმის ყველა უბანში და, რასა-კვირველა, ჩვენს უბანშიც, ლხინი არ გამართულიყო.

ლხინი კი უცეკვაოდ აბა, ვის უნახავს! შეიკვრებოდა დიდი წრე. მოთავე შუაში გადახ-ტებოდა და დაიძახებდა: განიო. აბრახუნდებოდა შინ დაჭიმული დოლი, ატყდებოდა ტა-შისცემა და მთვარის დავახშმებამდე იყო ცეკვა-თამაში და ტაშ-ფანდური. სწორედ ცეკვით ვანონებდით ერთმანეთს თავს ახლად შეღერებული გოგოები და ბიჭები. სწორედ ცეკვა იყო ის ჯადოსნური ენა, რომელსაც ერთის გულისნადები მიჰქონდა მეორესთან. ცეკვით გვინდოდა იმის თქმა, რასაც პირდაპირ ვერ ვეუბნებოდით ერთმანეთს. ამიტომაც იყო რომ, ვისაც ვინ მოსდიოდა თვალში, იმას გამოითხოვდა ხოლმე სათამაშოდ. აი, პირველად მაშინ მივხვდი, რომ ქართული როკვა, ანუ ცეკვა ისეთივე ენაა, როგორიც ჩვენი ქართუ-ლი ენა, უძველესი და ყოვლისგამომხატველი. როგორც ქართული ენის, ისე ჩვენი ცეკვის მაგიური ძალაც მაშინ ვირწმუნე. ოლონდ ეგ იყო, გული მწყდებოდა, რომ ცეკვის თარგმნა, ჩვენი ცეკვის სხვათათვის გაგებინება, ჩემი მაშინდელი გაგებით, არ შეიძლებოდა.

გავიდა არა ერთი და ორი ათეული წელინადი. ისე მოხდა, რომ ცხოვრებამ, როგორც უურნალისტი, ილიკო სუხიშვილსა და ნინო რამიშვილს დამამეგობრა. საზღვარგარეთ ყოველი წასვლის წინ და საზღვარგარეთიდან ყოველი ჩამოსვლის შემდეგ აუცილებლად ვხვდებოდი და მკითხველს ვატყობინებდი, სად მიდიოდნენ და როგორ მოიარეს საგას-ტროლო ქვეყნები.

ჩემი თაობის ხალხს, დარწმუნებული ვარ, კარგად ახსოვს, რა ჭიაკოკონაც დაანთო მა-შინ ქართულმა ცეკვამ მთელ დედამიწაზე. ჩემი გაგებით, დახაც ქართული ცეკვა იყო ის ყოვლისმომცველი „ქორეოგრაფიული ენა“, რომლის საშუალებითაც დაელაპარაკა საქა-რთველო მთელ მაშინდელ მსოფლიოს, თანაც ისეთი ენა, რომელსაც არავითარი თარგმ-ნა არ სჭირდებოდა. გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ქართულ ცეკვამდე საქართველო მსოფლიოს „მუნჯურად“ ელაპარაკებოდა. ქართული ცეკვა, მგონი, პირველი იყო ჩვე-ნი ერის კულტურულ მონაპოვართაგან, რამაც პირველად მოახედა მსოფლიო კავკასიის მთებს შორის მომწყვდეულ ამ პატარა დიდი ქვეყნისკენ. ქართული ცეკვის უპირველეს დამსახურებადაც ამას მივიჩნევ.

განი, განი! – დღესაც ჩამესმის ყურში მთვარიანი ლამის სოფლის ცეკვა-ლხინში მოთა-ვის შემახილი. და ასე მგონია, თუ რამ განი აქვს დღეს ქართულ კულტურას დედამიწის ზურგზე, ამ განის დაგდებაში იმ მაშინდელი სოფლის ლხინში მოცეკვავე გოგო-ბიჭების საცეკვაო ყიუინიც ურევია.

გურამ გოგიაშვილი  
მწერალი

## ქართველი კონტაქტის ქართველი ფინანსის სისოცხლე

ერს, რომელსაც შეუძლია ჟამთა გრიგალებს გაუძლოს, მეხსიერების ფონდში უნდა ჰქონდეს განუმეორებელი, უნიკალური თვისებები. სწორედ ამ თვისებებით იქმნება ეროვნული ენერგია /გ.ქიქოძე/. ქართული ცეკვა – ეს გახლავთ ქართველის ანატომიურ ვიბრაციებში დაბადებული პულსაციათა იმპროვიზაციული მრავალფეროვნება, ქართული სხეულის პლასტიკისა და აზრის პოეტურობის ჰარმონია. ამიტომაც იყო, რომ ძველად ქართველები ცეკვას მგოსნობას უწოდებდნენ. არ არსებობს ყოფიერების არც ერთი მხარე, რომელიც ქართველს ცეკვაში არ გამოუხატავს და ამ თავალსაზრისითაც ქართული ცეკვა უნიკალურია.

ქართული ხალხური ცეკვა მდიდარია რაინდული სულით, ზნეობის მაღალი ნორმატივით, გამორჩეულია

გემოვნებით. ნარნარად შემოსულ ქალწულს მანდილით შეუძლია „გააფთრებული“ მონინააღმდეგების შეჩერება, მათი ბრძოლის შეწყვეტა, ჭიდაობის დროს იუმორით აღსაგვე სიმღერასა და ფერხულს შეუძლია დაარწმუნოს მოჭიდავენი, რომ მათი შერკინება ქართული ვაჟკაცობის გამარჯვება და ჭიდაობაში დამარცხება, პირობითია. ამიტომ არის, რომ ქართველი ხალხში დაიბადა „ლექსი ვეფხვისა და მოყვისა“. ამიტომ არის, რომ ქართველმა ვაჟკაცის პატივისცემა იცის, თუნდაც იგი მტერი იყოს. ქართველი ისტორიული ყოფიერების უმძიმეს წუთებსაც ვაჟკაცურად ხვდებოდა, ზოგჯერ ბრწყინვალე იუმორითაც კი ითავისებდა. ამის შესანიშნავი მაგალითია ცეკვა – „განდაგანა“, რომელიც იმდენად დაშორდა პირველ წყაროს, რომ ლამის ლირიკულ, მაგრამ ძალზედ დინამიურ ცეკვად იქცა. არადა, მისი პირველწყარო იუმორის კასკადში ბრწყინავს და თეატრალური გარდასახვის უჩვეულო ნიმუშს წარმოადგენს.

მელია თელეპია, ბერიკაობა, ყენობა ხომ თეატრალური ხელოვნების სივრცითი – „პლანერული“ უანრის შედევრებია. „ყაზბეგურში“ ცეკვა „შეჯიბრში“, „ხანჯლურში“, „სამონადირეო ფერხულში“, „ხორუმში“ და ზოგიერთი ძლიერი დინამიკის სხვა ცეკვებ-ში კავკასიური კარატესა და ქართული საბრძოლო ხელოვნების – ხრიდოლის ილეთებია ჩაქსოვილი... ცეკვა „ქართული“ არა მარტო ქალ-ვაჟის ულამაზესი დუეტია, არამედ ის არის გასაოცარი იდეალი ქალური სინაზის, სინარნარისა და ვაჟის რაინდული ოცნების, ქალისადმი მოკრძალების, მისდამი სპეტაკი სიყვარულით ლტოლვის ჰიმნი. იგი არის ცეკვით დადგმული ნოველა სიყვარულზე. ცეკვა მართლაც რომ ქართული ფენომენის სიცოცხლეა. მთავარი კი ის არის, რომ ქართული ცეკვა სულიერების წიაღში სიკეთისა და ლინისათვის არის დაბადებული. როგორც ზოგიერთ ქართულ სიმღერას, ისევე ქართულ ცეკვასაც, ზოგჯერ სხვა ხალხთა ფოლკლორის რომელიმე ნიმუშს ამსგავსებენ ხოლმე.

მაგრამ მათ, ვინც ასე იქცევიან, ამ ნიმუშების შედარებისას უფრო ღრმად რომ ჩაიხედონ შიდაპარმონიულ სივრცეში, ტრადიციაში, ქართულ კულტუროლოგიაში, დაინახავენ, რომ ქართული კულტურა და ხელოვნება ოზისივით არის გამოყოფილი, თავისი თვითმყოფადობითა და უნიკალობით. იგი არც აღმოსავლურია და არც დასავლური, უბრალოდ – ქართულია, ოლონდ საქართველოს გადასახედიდან აღმოსავლეთიც მოჩანს და დასავლეთიც ახლოა.

ზოგჯერ ქართული ცეკვის დიდოსტატებს სურთ ქართული ხალხური ცეკვის გამდიდრება. მე ღრმად მნამს, რომ შეუძლებელია ბეთჰოვენის, ბახის, ლეონარდოს, მიქელანჯელოს, შექსპირის, რუსთაველის, პუშკინის და სხვა გენიოსთა შემოქმედების გამდიდრება. სულიერ ამაღლებაში დაბადებული ლვთიური ხელოვნების გამდიდრება არავის ძალუძს. სამაგიეროდ, ჩვენ შეგვიძლია გავმდიდრეთ, თუკი ამ ეროვნული სიმდიდრის ჯადოსნური სკივრიდან რომელიმე „წამიერებას“ გავითავისებთ. უნდა გვახსოვდეს, რომ თანამედროვეობას ჩვენ ვესადაგებით ახალი მიღწევებით და ამავე დროს საკუთარ თავს სწორედ ხალხური ფოლკლორის განუმეორებლობაში შევიცნობთ. გალაკტიონს თუ მოვიშველიებთ, მგონია, რომ „თვით უკვდავებაც არ არსებობს“ ქართული ცეკვის გარეშე.

ქართული ხალხური ცეკვა კარგა ხანია გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. ახლა „ქართულს“, „მოხეურს“, „სამაიას“, „ფერხულს“ მქუსარე ტაშით ხვდებიან მსოფლიოს ყველა კუთხეში. ყველგან, სადაც კი გამოჩნდებიან ქართულ ჩოხებში გამოწყობილი ბეჭბრტყელი, ტანმაღალი ყმაწვილები და ხოხბებივით მოგოგმანე მომხიბლავი ქალიშვილები, მყისვე ივსება დარბაზი მაყურებლით, სცენა – ვარდებით, უურნალ-გაზეთები – ქება-დიდების რეცენზიებით.

ამის მიზეზი თვით ქართული ხალხური ცეკვის საფუძველშივე უნდა ვეძიოთ.

ქართული საცეკვაო ფოლკლორი ჭეშმარიტად შეუდარებელია თავისი ორიგინალობით, მომხიბლებით, ქართველი ხალხის ეროვნული სულის, მისი თვისებებისა და ხასიათის გადმოცემით. ამიტომაც გაუძლო ქართულმა ცეკვამ ჩვენი ერის თავზე გადავლილ საუკუნოებრივ მეხთატეხილს და დღემდე მოიტანა თავისი სინარნარე, ვაჟუაცური შემართება, სინათლე და სიფაქიზე.

### ვახტანგ გოგოლაშვილი მწერალი

## ზღაპრი მძივთა ახილ

ქართული ხალხური საცეკვაო ხელოვნება საუკუნეების სიღრმიდან იღებს სათავეს. უფრო ზუსტი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ ქართული ცეკვა მაშინ ჩაისახა, როდესაც უფლის მიერ ჩვენთვის ბოძებულ გეოგრაფიულ არეალში ქართველთა უძველესმა წინაპრებმა ჰპოვეს ნავთსაყუდელი.

საუკუნეებმა აჩვენა, რომ ქართული ხალხური ცეკვა ერის სულიერი სამყაროს წიაღიდან ამოფრქვეული ხაზები, მწერივები, წრები, სართულები, ჩვენი ბუნების მრავალფეროვნებასთან და მასში აღმოცენებულ მუსიკალურ-სასიმღერო ჰარმონიასთან მჭიდროდ დაკავშირებული ლამაზი ნახაზებია, რომელსაც ზღაპრულ მძივთა აკიდოსავით ალამაზებს ქორეოგრაფიული ტექსტი და ლექსიკა.

თამაზ გოგოტიშვილი  
საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე,  
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,  
ლირსების ორდენის კავალერი



## მაჩელესობის ბასალები

ინდოელი მოაზროვნე ვივეკანანდა წერდა: ყოველ ერს, ისევე როგორც ნებისმიერ ადამიანს, აქვს ერთი თემა, ერთი ცენტრალური ბგერა, რომლის გარშემო ჰარმონიის ყველა ბგერა იკრიბება, თუ ერი მას უკუაგდებს, თუ იგი უარყოფს საუკუნეების მანძილზე აღებულ გეზს, ის ერი კვდება.

მაინც რაა ქართველი ერის მთავარი თემა, ცენტრალური ბგერა, მისი უკვდავების კოდი, მარადისობის კარიბჭის გასაღები. ეს ქართული ხალხური სიმღერა და ქორეოგრაფიაა. საუკუნეებგამოვლილი, ათასი ჭირ-ვარამის დამძლევი, მირიადი ბაგიდან ასხლეტილი, თაობიდან თაობისათვის როკვით ნაანდერძევი.

ქართული ხალხური სიმღერა და ქორეოგრაფია – ჩვენი განძი და სიამაყეა.

ქედს ვიხრი ყველა იმ ადამიანის, იმ ხელოვანის წინაშე, რომელიც ამ ფასდაუდებელი განძის მცველად მოუკვლენია არსთა გამრიგეს, ადამიანებისა, რომელიც ხიდად ქცეულან ნამყოდან მომავლის ნაპირამდე, რათა ხელუხლებლად, მთელი ბრწყინვალებით გადასცენ მომავალ თაობებს წინაპართა უკვდავი ხელოვნება.

მაყვალა გონაშვილი  
საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი  
კავშირის თავმჯდომარე,  
პოეტი

## ცვილი სავიზითო ბახათი

ქართული ქორეოგრაფია, ქართული ცეკვა, ჩვენი ხელოვნება – საქართველოს უპირობო სავიზითო ბარათია. ბევრჯერ მინახავს უცხოელ მაყურებელთა აღფრთოვანებული, აცრემლებული სახეები, მქუხარე აპლოდისმენტები, ის უდიდესი ემოცია, რომელიც მათში ქართველმა ცეკვამ გამოიწვია. შეუდარებელი პლასტიკა, დახვეწილი მოძრაობები, ის ცეცხლი და ამავე დროს სინარნარე, რაც ჩვენს ხალხურ ცეკვას ახლავს, ქართული ხასიათის შეუდრეველობაზე, მებრძოლ სულზე, სიფაქიზესა და სინატიფეზე მეტყველებს. დაე, მუდამ გაახაროს, განაცვიფროს და ააღელვოს როგორც ქართველი, ასევე მთელი მსოფლიოს მაყურებელი ამ იშვიათმა, ულამაზესმა და განუმეორებელმა ფენომენმა!

**ზაალ გოგსაძე**  
**საქართველოს საგანგებო და სრულუფლებისინი**  
**ელჩი ჩეხეთის რესპუბლიკაში**

## ქახათი ცეკვა - პირსა და ხატი

ქართული ცეკვა ყველა იმ თვისების მატარებელია, რომელიც ქართველთა ეთნიკურობას გამოარჩევს და დანარჩენ ერთაგან განასხვავებს. ვაჟაპურობა და იმპულსურობა, ამასთანავე, სიმშვიდე და სინაზე – ამ ორ დიამეტრალურ საწყისს ემყარება ქართული ცეკვა.

ძალისა და სინატიფის ერთობლიობა ბადებს ქართული ცეკვის უნიკალურობას. ქართული ცეკვა ქმნის იმ პლასტიკურ ხატს, რომლის თვისებებს ნებისმიერი ჩვენთაგანი ატარებს.

**თემურ გოცაძე**  
**საქართველოს სახალხო მხატვარი,**  
**სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი**

## მალეო ზეკობის სამყარო

ქართული ცეკვის ხილვისას, ალბათ, ყველა ჩვენთაგანს განუცდია ის საოცარი მდგომარეობა, როდესაც კარგავ მაყურებლის პოზიციას, ხდები ხილულის უშუალო მონაწილე, იძირები ცეკვათა ვნებაში, აღმოჩნდები მაღალი ზნეობის სამყაროში. მოცეკვავესთან ერთად განიცდი შენი ქვეყნის ისტორიის ბრწყინვალე წამებს, ეზიარები პირველ ამაღლებულ მიკარებას მანდილოსნის მშვენიერებასთან. ქართული ცეკვის საოცარი წყობა, სიზუსტე,

მღელვარება და თავშეკავება გიმონებს, კარგავ რეალობის გრძნობას და ცეკვის ნადიმის თანამონაწილე ხდები. ქართული ცეკვა ერთი ძლიერი სულის პირველქმნადობაა!!. საუკუნეები ძერწავდა და საოცარი სინაზით ამკობდა ქართველთა სულიერი შემოქმედების ამ სიძლიერეს. მას დრო და უამი ვერ მოერევა, იგი დიდი ხანია ხელოვნების საკურთხეველზე ბრწყინავს.

### ჩუქურთმა გუდიაშილი მხატვარი

## „ფაჩინაობა“ ნამდვილი აღმოჩენა იყო...

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ქართულ ხალხურ ცეკვებს, სხვა ხალხთა ცეკვები-საგან განსხვავებით, მოქარბებულად ახასიათებს ყოფითი და შრომითი, ასევე შეჯიბრის ელემენტები. გარდა ამისა, დაკვირვებული თვალი იოლად ამოიკითხავს ქალ-ვაჟის უნაზეს ტრფიალს, რაინდულ შემართებას, სიჩაუქეს, შრომით რიტმს, მუსიკისა და პლასტიკის სრულყოფილ ჰარმონიას... ამ მხრივ მთისა და ბარის ცეკვები მხოლოდ მათთვის და-მახასიათებელი მხატვრულ-შინაარსობრივი მთლიანობით და გამოკვეთილი პლასტიკური ენით გამოიჩინა. ყოველივე ამის შესწავლას ტიტანური შრომა, გასაოცარი ნებისყოფა და უდიდესი პასუხისმგებლობა ესაჭიროება.

ჩემი ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ხშირად მიწვევდნენ სხვადა-სხვა ქვეყანაში საგასტროლოდ, თუ ცალკეულ თეატრებში სამუშაოდ. ვხედავდი, რომ საქმე ყოველთვის მრავლისმნახველ პუბლიკასთან და თავისი საქმის მცოდნე მსახიობ-მოცეკვავეებთან მქონდა. ვცდილობდი უცხო ტომის ადამიანებისათვის ამეხსნა ქართული ცეკვის სულიერება და უნდა ითქვას, რომ ამას ვაღწევდი კიდევაც. თითქმის ყველა ქართული ცეკვის შეუნელებელ ინტერესს იწვევდა, მაგრამ სულ სხვა იყო „ფარიკაობა“. ფარისა და ხმლის მათემატიკური სიზუსტით ხმარება, საბრძოლო ყიუინა და ვაჟკაცური შემართება უცხოელთა გაოცებას, ალფროვანებას და ბოლოს, უდიდეს კმაყოფილებას იწვევდა. „ფარიკაობა“ მათთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო...

ვახტანგ გუნაშვილი  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
მოცეკვავე,

## „ქათური“ ღ „ფილიონამ“

ანსამბლ „რუსთავთან“ მომიწია ხანგრძლივი მოგზაურობა ესპანეთში, „ფილამენტის“ ქვეყანაში. მაშინ „შიგნიდან“ დავინახე ქართული ცეკვის „სახე“, გაოცებული დავრჩი იმ შემართებით, შინაგანი მზაობით, როგორითაც თითოეული მოცეკვავე ელოდა თავის გამოსვლას, რათა განსაცვიფრებელი ნახტომით გაჭრილიყო სცენაზე და არა მარტო დარ-

ბაზში შეკრებილი აუდიტორია, არამედ მთელი სამყარო დაეპურო, ქვეყნისათვის ემცნო თავისი ძალმოსილება, სიყვარული და ლვთით ბოძებული სიხარული სიცოცხლისა.

ვთქვი, ბევრი ანსამბლი მინახავს – მეთქი მსოფლიოში. უნებლიერ ვადარებდი ქართულ ქორეოგრაფიას უცხოურისას. ნაციონალიზმში არ ჩამომერთმევა თუ ვიტყვი, რომ ქართული ცეკვის „პარტიტურაში“ კოდირებულია ადამიანის და სამყაროს არსებობის იდუმალება...

თუ შესაძლებელია ხალხური შემოქმედების ერთი რომელიმე, თუნდაც გენიალური, ნიმუშის მიხედვით მისი შემქმნელის სულიერი თვისებების სიღრმეებში ჩახედვა, შესაძლო ეს არის „ფლამენკო“ და „ქართული“. ჩვენს ცეკვაში ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის („ფლამენკოსაგან“ განსხვავებით) წმინდა სანთლით განათებული სურათია გაშლილი. აქ კდემამოსილი, ამაღლებული და ჰარმონიული სული ტრიალებს. სიყვარული ფარულია, მოკრძალებული. ქალი ბოლომდე არ ამხელს თავის გრძნობას, გაურბის კაცს, ახლოს მიუსრიალდება, რათა მეორე წამს გალიიდან გამოშვებული ფრინველივით გაუფრინდეს. მისი გული სიყვარულისგან ფრთხიალებს, გამაღლებით სცემს, მისი რიტმი იწვის შინაგანი, ჩვენთვის უხილავი, ცეცხლით. მამაკაცი, ტანშემართული, თითქოს დედამინის მიზიდულობისაგან თავისუფალია, მსუბუქად დასრიალებს ქალის გარშემო, ეს წრე თანდათან პატარავდება, ესაა უნდა მიწვდეს ქალს, თავის მკლავებში მოაქციოს და სწორედ ამ დროს გაურბის იგი. საოცარი ისაა, რომ მამაკაცი ამ გაქცევის საშუალებას აძლევს მას. მგზნებარე ლტოლვა თამაშში გადადის, კაცი მიმხვდარია, რომ მისი ტრფიალების საგანი უკვე მოხელთებულია, მაგრამ ქალს თავისუფლების ილუზიას უნარჩუნებს. ამის შემდეგ ფართოდ შლის კაცი მკლავებს და თითქოს მაღლა ასაფრენად გამზადებული, არწივივით ირაოს ჰკრავს „შეშინებული“ ქალის ორგვლივ. ბოლოს ქალი, თავის „სოლოში“, ფარულს აშკარას ხდის, ტანის ულამაზესი რხევით მიეშურება მამაკაცისაკენ, მერე შეჩერდება და საპასუხო რეპლიკას ელოდება. სიხარულისა და სიყვარულისაგან აღტაცებული მამაკაცი, ფეხების სწრაფი „გასმებით“, ტანის რხევის გარეშე, მისრიალებს ქალისაკენ, – უკვე ცნობილი გახდა ორივეს გულისთქმა; ურთიერთსიყვარული და ურთიერთლტოლვა მათი შეერთებით და სიყვარულის აპოთეოზით მთავრდება.

თუ „ფლამენკო“, გამანადგურებელია თავისი ცეცხლოვანი ვნებიანობით, „ქართული“ – ჰარმონიის მუსიკა, ჰირველში მეტია რიტუალური მისტიკა, მეორეში – რომანტიკული აღმაფრენა. „ქართულში“ მამაკაცი საერთოდ არ ეხება ქალის სხეულს, „ფლამენკოში“ კი ქალ-ვაჟის სხეულები ისეა ერთმანეთში გადაწყვეტილი, თითქოს მათი უსისხლოდ დაშორიშება შეუძლებელია.

როგორც ჩანს, ესპანელს ხიბლავს მზის შუქზე არეკლილი სისხლის შხეფები, ქართველს – გაცისკროვნებული, ლვთაებრივი სხივი. ერთგან ყველაფერი ღიაა, აშკარა, დაუფარავი, მეორეში სიყვარული დაფარულია, საკრალურია და მხოლოდ ბოლოში აჩენს თავს.

ნოდარ გურაბანიძე  
სახელმწიფო და მარჯანიშვილის პრემიების ლაურეატი,  
ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

## ქართული ხასების ქონის განვითარების მსოფლიოში ბალანსი ახ ჰყავს

ყველაფერთან ერთად ქართული ქორეოგრაფია იმითაც არის განსაკუთრებით სათაყვანებელი, რომ იგი არის შესანიშნავი სააღმზრდელო საშუალება მომავალი თაობისა, მათი ფიზიკური და ესთეტიკური ჰამოყალიბებისათვის, ამიტომაც არის, რომ ათასებისგან გამოარჩევ ამ სამყაროში აღზრდილსა და განვითარებულს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნების არც ერთ დარგში არ არის შემონახული ქართული ეროვნული თვითმყოფადობა, ეროვნული ტრადიციები, ქალისა და ვაჟის ურთიერთდამო კიდებულება, ომის, შრომისა და ტრფიალის განსაკუთრებული ტრადიციები, როგორიც ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაშია. ამიტომაც არის, რომ საქართველოში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ცდილობს აღიზარდოს ასეთ მდიდარ ტრადიციებზე. ამან განაპირობა, რომ ყველან მრავლად არის გახსნილი ქართული ცეკვის შემსწავლელი სტუდიები, ანსამბლები თუ წრები.

ჩემს თავს ვერ მივცემ უფლებას, რომ განსაკუთრებული პატივისცემით არ მოვიხსენიო ის ძვირფასი ადამიანები, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს, რომ ჩვენს თაობამდე მოეტანათ ეს ყველაფერი განვითარებული, გამდიდრებული და გალამაზებული, ესტაფეტა ჩვენს ხელშია და უნდა ვეცადოთ ჩვენც, ჩვენი მხრივ, გადავცეთ ეს ესტაფეტა მომავალ თაობას, რომ არ შევარცხვინოთ მათი სახელები და ხსოვნა.

ბუმბერაზმა ადამიანებმა: ილიკო სუხიშვილმა და ნინო რამიშვილმა, ჯანო ბაგრატიონმა და დავით ჯავრიშვილმა, ანტონ ჩიხლაძემ, ავთანდილ თათარაძემ, კონსტანტინე მანჯგალაძემ, მიხეილ შუპაშიკელმა, რომან ჭოხონელიძემ, რომლებმაც მთელი ეპოქა შექმნეს ქართულ ქორეოგრაფიაში, აღზარდეს ქორეოგრაფების მთელი პლეადა, რომლებიც შესანიშნავად უძღვებიან მათ დანატოვარს: ისინი ხომ ჩვენი პედაგოგ-აღმზრდები იყვნენ!

მინდა აქვე მადლობა გადავუხადო ბატონ რეზო ჭანიშვილს, ამ დიდ მამულიშვილს და ქორეოგრაფის მოამაგეს, მის გვერდში მდგომ მეგობრებს, რომლებმაც ამ დიდ საქმეს მოკიდეს ხელი, რომ არ დაიკარგოს, ნათელი საქმეები, რომ ყველამ გაიგოს – რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი ვიქწებით!!!

რომ შემეძლოს ცხოვრების თავიდან დაწყება, მართალია, რთული, ეკლიანი გზა გავიარე, მაგრამ ისევ იმავეს გავაკეთებდი, რაც აქამდე მიკეთებია.

ავთანდილ გურგენიძე  
სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „გურვაანის“  
სამხატვრო ხელმძღვანელი და მთ. ქორეოგრაფი

## ჩვენი სიცილი ამოსიცი ხელოვნება

ვინმემ რომ მკითხოს, ცხოვრებაში ყველაზე მეტად რას გაუხარებიხარო, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან და შვილების დაბადებასთან ერთად, აუცილებლად გავიხსენებდი იმ დიდ სიამაყეს, რაც საქართველოში თუ სხვა ქვეყნებში უცხოელებთან

ურთიერთობისას მიგვრძვნია, სიამაყეს იმის გამო, რომ ქართველი ვარ. არაერთ უცხოელს, რომლებსაც ცოტა ხანი მაინც ჰქონიათ ქართველებთან ურთიერთობა, განცვიფრებულებს უკითხავთ: ეს ვინა ხართ ქართველები, რა ხალხი ხართ, სად და როგორ გაჩნდით ასეთი გულთბილები და სულიერებით სავსენი.

კარგად მესმის, რომ ამ ქვეყანაზე ანგელოზი არავინაა და არც ქართველები ვართ ასეთები, ავიც და კარგიც ჩვენთვისაც უცხო არაა; ეჭვი მეპარება, ამერიკელებზე და იაპონელებზე უკეთესი ავტომანქანები დავამზადოთ, გერმანელებზე პუნქტუალურები გავხდეთ და ა.შ. მაგრამ სულიერებაში, ადამიანურ სითბოსა და ურთიერთობაში ვისაც უნდა შეგვეჯიბროს. თუ რამით მართლა შეგვიძლია ვიამაყოთ, თუ სხვათაგან რაიმეთი სერიოზულად განვსხვავდებით, ეს, უპირველესად, სწორედ ჩვენი ფოლკლორი და პოეზიაა, ჩვენი სიმღერა და ცეკვაა.

ქართული ხალხური ქორეოგრაფია ჩვენი სულიერებისა და კულტურის ოქროს ფონდია, უძვირფასესი განძია.

რა არის ქართული ცეკვა ჩემთვის?

- ესაა ქართული კულტურისა და ქართული კაცის სავიზიტო ბარათი;
- ესაა უკვდავი და უშიში ქართული სული და ქართული გენი, ქართული სითბოს უმშვენიერესი გამოხატულება;
- ესაა საქართველოს ისტორია, მისი უკვდავების ერთ-ერთი ელექტრონი;
- ესაა ცეკვად ქცევული ლექსი და სიმღერა, სიყვარული, სამშობლოსათვის ბრძოლა და თავდადება;
- ესაა უნიკალურ მოძრაობებში გამოხატული ქართული გენი და ხასიათი;
- ესაა ბრძოლა და ვაჟუკაცობა, უინი და სწრაფვა სიკეთისა და თავისუფლებისაკენ;
- ესაა ჩვენი სულისა და ხორცის ერთიანობა, სულის ამაღლება და ზეიმი;
- ესაა უმდიდრესი, საამაყო, განუმეორებელი და მხოლოდ ქართული ფენომენი;
- ესაა იმედისა და რწმენის გამოხატვის, ტრადიციებისა და წინაპართათვის, საკუთარი ისტორიისთვის მუხლის მოდრეების ულამაზესი ფორმა;
- ესაა საქართველოსა და ქართული გენის უკვდავებისა და ბედნიერი მომავლის რწმენის დედაბოძი;
- ესაა დაუოკებელი და სულისშემძვრელი ძალა, რომელსაც პირველივე ხილვისას თვით ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმაც ვერ გაუძლო, დიპლომატიური ეტიკეტი დაარღვია და მშვენივრად აცეკვდა

მადლობა ქართველ ხალხს, რომელიც გლობალიზაციისა და მსოფლიოს დაპატარავების, მცირე ერთა ერთიან სამყაროში ასიმილირების სახითათო ტენდენციების მიუხედავად, ასე მტკიცედ იცავს თავის ფესვებს!

დიდი მადლობა ქართველ ქორეოგრაფებს, რომლებიც ქართული ხალხური ცეკვის შენარჩუნება-განვითარებისათვის ისე იბრძოდნენ, იბრძვიან და მომავალშიც იბრძოლებენ, როგორც დიდგორში ქართველი მხედრები!

დიდი მადლობა ამ თბილი და ლამაზი წიგნისთვისაც მის ავტორებსა და გამომცემლებს!

ვაჟა გურგენიძე  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

## ქართული ნულტურის ცენტრის ღამი

ქართული კულტურის უძველესი დარგია ქორეოგრაფია, რომლის საწყისებზე აღმოცენდა ქართული მუსიკა, თეატრალური ხელოვნება და, თვით პოეზიაც კი. და თუ მას თანამედროვეობის ჭრილში განვიხილავთ, ალბათ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ საქართველოს საელჩოები, ყველა დიპლომატიური კორპუსი ერთად აღებული ვერ მოახერხებდნენ იმდენს, რისი გაკეთებაც შეძლეს ჩვენმა სახელოვანმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა ქართველი ხალხის, ქართული კულტურის, საქართველოს დიდი წარსულის მსოფლიოსათვის გაცნობის თვალსაზრისით.

ვახტანგ გურგენიძე  
მწერალი, ისტორიკოსი

## ქართველი ცენტრის უცნობებაზე შესაძლებელები ბუნები

ხალხური შემოქმედება ერის სულიერი სამყაროს ანარეკლია. ქართველებს ნადვილად გვაქვს საამაყო ჩვენი „სულიერი სამყაროთი“, ცეკვებით, სიმღერებით, ჰიმნოგრაფიით და სხვა. ქართული ცეკვები საოცარი სიზუსტით ასახავენ ერის ზნეობას, ადათ-წესებს, ისტორიულ ბედს, სიყვარულს, თავდადებას, ვაჟკაცობას.

როდესაც ცეკვა „ქართულ“ ვუყურებ, ასეთი გრძნობა მეუფლება – იქნებ სიტყვა, პოეზია უძლურია იმ სიფაქიზით გადმოსცეს ქალისადმი მოწონება და სიყვარული, როგორსაც „ქართულ“ ასახავს. საოცრად მრავალფეროვანია ქართული ფოლკლორი, იმავდროულად ერთიანიცაა.

არ არსებობს პირდაპირი გზა საერთაშორისო სიმაღლეებისკენ, ეს გზა ეროვნულზე გადის. ამის თვალსაჩინო მაგალითია ჩვენი ფოლკლორული ანსამბლები, უპირველესად ყოვლისა კი, „სუსიშვილები“, რომელიც თანაბარი ძალით აღაფრთოვანებს ქართველებსაც და უცხოელებსაც. ძნელია მოიძებნოს მარადიული აღტაცების სხვა მაგალითი.

უდიდეს კულტურულ მისიას ასრულებენ „ერისიონი“, „რუსთავი“, საბავშვო და სტუდენტური ქორეოგრაფიული ანსამბლები.

ფოლკლორის სიდიდის ერთ-ერთი მაჩვენებელია ის, თუ როგორ გუობს ის დროს, რა დიაპაზონისაა ახლებური ინტერპრეტაციის ის დოზა, როდესაც ძველში შემოდის ახალი და ძველი არ კარგავს სიძველეს. როგორც ბოლო წლებმა დაგვარწმუნეს, ქართულ ფოლკლორს ამ მხრივაც უკიდეგანო შესაძლებლობები გააჩნია.

ვახტანგ დავითაია  
რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,  
არქიტექტორი

## მსოფლიო ცნობის განვითარების მოვლენა

ქართული ხალხური ცეკვა (ასევე სიმღერაც) უნიკალური მოვლენაა მსოფლიოს ხალხთა კულტურაში. მან უკვე მოიპოვა მაღალი შეფასება საერთაშორისო საკონცერტო დარბაზებში.

მართლაც, ქართული ხალხური ცეკვა თავისი დახვეწილობით, მაღალი გემოვნებით, ღრმა შინაარსით წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე და ამ ნატიფი ხელოვნების მნახველი უმაღლ აღტაცებაში მოდის. ამის თვითმხილველნი ვიყავით, თუნდაც, ამას წინათ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ვიზიტის დროს თბილისში. უცხოეთში ხალხური სულიერების ასეთ მაღალ დონეზე წარმოჩენამ შესაძლოა ჩვენი ქვეყნისთვის უფრო ეფექტური როლი შეასრულოს, ვიდრე ზოგიერთი დიპლომატიური მისია აკეთებსა ამას.

ქართული ხალხური ცეკვის მრავალფეროვანი რიტმები, მისი ნატიფი შინაარსი დიდ გავლენას ახდენს მუსიკოსებზეც. ბევრი კომპოზიტორი, კლასიკოსებიდან დაწყებული დღევანდლამდე, მიმართავს ამ ფენომენს და თავისებურად აუდერებს მას საკუთარ შემოქმედებაში.

**მერი დავითაშვილი**  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,  
კომპოზიტორი

## ვსიცობელი ზენობის ცნით ბაზომაცნ ჯარვების ისტორია

ხელოვნება თავისი ბუნებით მიუღწევლობის განცდაა, რაც გინდა დიდი შედევრი შექმნა, მაინც უკეთესობისაკენ ილტვი. ქართული საცეკვაო ხელოვნება კი მართლაც რომ დაუშრეტელი წყაროა!

ის ხალხში იღებს სათავეს და გაუღენთილია მათი ოცნებებით, სურვილებით, გრძნობებით, სიყვარულით...

მდიდარი წარმოსახვის უნარის მქონე ქართველი კაცის მისაწრაფებები აისახა საცეკვაო ფოლკლორში, რომელიც თანდათან გამდიდრდა და გამრავალფეროვნდა დამუშავების და სცენაზე გადმოტანის შედეგად.

მე მხოლოდ ერთი სურვილი მამოძრავებს: ცეკვის მეშვეობით გადმოვცე ქართველთა ისტორია და ყოფა, მათი ვაჟუაცური ბუნება, თვითშეგნება, ადათ-წესები, ჩვეულებანი; ყოველივე ის, რაც ცხოვრების მანძილზე ასულდგმულებდა ერს... და, თუ ჩემს მიერ დადგმულმა ცეკვამ ადამიანის სულს სიამე მოჰვევარა, სიხარულის ცრემლით ალანთო, იმაზე დიდი ბედნიერება ჩემთვის არ არსებობს.

**გიორგი (ბუხუტი) დარახველიძე**  
საქართველოს სახალხო არტისტი, ახალგაზრდობისა და  
სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალების ხუთგზის ლაურეატი

## ⌚ ჩის სეირი ანახალი

ქართული ცეკვა ქართველი ხალხის სულის ანარეკლია. ის არის ჩვენი წარსულისა და აწყმოს სინთეზი. იგი ზედმეტად სპეტაკი, სუფთა და გამჭირვალეა.

ქართული ცეკვები საუკუნეების სიღრმეში იღებს სათავეებს და იგი განსხვავდება მსოფლიოს ხალხების ცეკვებისაგან თავისი პლასტიკით.

ქართული ცეკვის ისტორია და ხელოვნება გადადიოდა თაობიდან თაობაზე, ზოგი რამ იხვეწებოდა, მაგრამ ხელშეუხებელი რჩებოდა ქართული ერის სულიერი ანარეკლი.

მსოფლიოს მრავალი ქვეყანა აღტაცებაში მოიყვანა ქართულმა ცეკვამ. ამიტომ აუცილებელია ამ საგანძურის შენარჩუნება, გაფრთხილება. იგი ისე უნდა მიეწოდოს მომავალ თაობებს, რომ გულდასმით შესწავლილი იქნეს თითოეული ცეკვის გენეტიკურ – ისტორიული ეტაპები. გათვალისწინებული უნდა იქნეს ცეკვების სწორი მონახაზი, მხატვრული კოსტიუმები, მუსიკალური გაფორმება.

ხელოვნების უძველეს დარგად ითვლება თვითონ ქორეოგრაფია. ეს არის ერის ბუნების, ტრადიციის გამოძახილი. ქართული ცეკვა მრავალფეროვანია როგორც თავისი ტემპით, ასევე მუსიკალური გაფორმებით. „ფერხული“, „ფარცა“, „მხედრული“, „ხორუმი“ – ეს ის ცეკვებია, რომლებმაც გაუძლეს საუკუნეების ქარიშხალს და ჩვენამდე მოაღწიეს თავიანთი მრავალფეროვნებით.

ეს ცეკვები ჩვენ ნ.აღ-მდე მრავალი საუკუნეების განმავლობაში არსებობდა. ამ ცეკვებში მოცემულია ქართლის, კახეთის, სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთის, თუშეთის, ფშავის, ხევის, გურიის, სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, იმერეთის ტრადიციების სინთეზი და თითოეული ამ კუთხის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, ქართველი ვაჟავაცის და ქართველი ქალის, დედის სახე კარგად არის გადმოცემული ქართულ ცეკვაში. ამიტომ არის საჭირო ქართული ქორეოგრაფიის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა, რათა ის სწორი, ჭეშმარიტი სახით მიეწოდოს მომავალ თაობებს.

მურთაზ დაშნიანი  
საქართველოს დამსახურებული არტისტი

## ⌚ ჩორვები პლატფორმის ბინაზისას წოლი

ჯერ კიდევ ძველმა ბერძენმა მოგზაურებმა და ისტორიკოსებმა შენიშნეს, რომ ქართველი კაცის ბუნებაში არის სხეულის პლასტიკის თვითგამოხატვის ზეგადმო ნიჭი და იგი ქართული ხასიათის, ერის ცხოვრების თანამგზავრია. სულ ცოტა 25 საუკუნეა ქართველი ხალხი მართლაც გამორჩეული პლასტიკით გადმოსცემს სამყაროსადმი საკუთარი დამოკიდებულების ნიუანსებს და ცეკვის მაღალ ემოციურ სამყაროს ეროვნული ენერგიით მუხტავს.

ვინ იცის, რამდენჯერ ისახელა ქართულმა ცეკვამ თავი მსოფლიოს უდიდეს სცენებზე და რამდენჯერ მოსწორიტა აღტაცებული ოვაცია – მაყურებლით გადავსებულ დარბაზებს.

ქართული ეროვნული პლასტიკის გენეტიკური კოდი მარტო ფოლკლორული ხელოვნების საკუთრება არ არის. იგი XX საუკუნეში საფუძვლად დაედო კლასიკური საბალეტო საშემსრულებლო ხელოვნების რეფორმას, რომლის ავტორიც მსოფლიოში აღიარებული გენიოსი – მოცეკვავე ვახტანგ ჭაბუკიანი იყო. იმედია რეზერვები არც ამ მიმართულებითაა ამონურული. ქართული ცეკვა კიდევ ბევრ გამარჯვებასა და წარმატებას გვაზიარებს ყველას, ვისაც ჭეშმარიტი ხელოვნება უყვარს.

**აკაკი დვალიშვილი  
რეჟისორი**

## ხელოვნების ლიტერატურული მართვის ინიციატივა

ქართული ხალხური ცეკვა, ქართველი ერის უკვდავებაა, წარსული, აწმყო და მომავალია, მისი შემოქმედებითი გენეალოგიაა, ხოლო ჩემი – როგორც ქართველის, ეროვნება და სიცოცხლეა.

ქართული ხალხური ცეკვა უდიდეს როლს თამაშობს ქართველი ხალხის ცხოვრებაში. მისი მხატვრული თავისებურებანი, მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. ქართული ხალხური ცეკვის შინაარსისა და გამომსახველობითი საშუალებების წყაროები გამოირჩევა თვითმყოფადობით და განსხვავებულია სხვა ერების საცეკვაო კულტურისაგან.

ქართული ცეკვა ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი და მასობრივი სახეა. მასში ასახვას პოულობს ქართველი ხალხის სოციალური და ესთეტიკური იდეალები, მისი ისტორია, შრომითი პროცესი, ცხოვრებისეული წყობა, ზნე, ადათი, წეს-ჩვეულება და ხასიათი. მხატვრულად ასახავს რა სინამდვილეს, ცეკვა გადმოგვცემს ხალხის მსოფლმხედველობას, მის თანამედროვე დამოკიდებულებებს მშვენიერებაზე – ეს არის ხალხური ცეკვის ერთ-ერთი მთავარი მხატვრული თავისებურება. მასში ასახულია სინამდვილის თანამედროვე გაგება. უძველესი დროიდან ჩამოყალიბებული „საცეკვაო ენის“ საშუალებით, იგი მისაწვდომი, გასაგები და ხალხისათვის საყვარელია. ქართული ხალხური ცეკვის შინაარსი და გამომსახველობითი საშუალებები ყოველთვის იცვლება ცხოვრებაში მომხდარი მოვლენების კვალდაკვალ.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა ხალხურმა ცეკვამ დიდი როლი ითამაშა მსოფლიოს ქორეგრაფიული ხელოვნების განვითარებაში და სამართლიანად დაიმკვიდრა ადგილი ჩვენი პლანეტის ქორეოგრაფიული ხელოვნების რუქაზე და ფოლკლორული შემოქმედების თანავარსკვლავედში.

**უჩა დვალიშვილი  
ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი**

## ქართული ხალხური ცეკვა ჩვენი ერის ისტორიაა – ჩვენი ადათ-წესების, ჩვევების, ეთი-კურ-ზნეობრივი ფასეულობების რიტმში, დინამიკაში, სამოსელში, მითოსურ იდუმალებებ-ში განვითარდა.

ქართული ფოლკლორის საუჯვე-ხალხური ცეკვა, შეიძლება იყოს ჯგუფური ხასიათის, წყვილების, ინდივიდების, სამეულების, ოთხეულების და ა.შ. შესასრულებელი, მაგრამ თითოეული მათგანის მიღმა იყითხება ჩვენი ისტორიული მეხსიერება – მითი, ლეგენდა, ბალადა, ზღაპარი, ხშირად მთელი პოემაც კი.

„მთიულური“, „სვანური“, „ფშავური“, „ხევსურული“, „მოხეური“, „ოსური“ – მთის შეილთა მიერ შექმნილი ცეკვებია და კანონით უნდა ჰქავდნენ ერთმანეთს, როგორც მთიელთა ცხოვრების წესის ამსახველი, მაგრამ საოცარია ის თავისითავადობა, რომელსაც თითოეული ამჟღავნებს. თითოეული მათგანი სრულიად ორიგინალური, განუმეორებელია და სწორედ ამით მოაღწიეს აქამდე. ამ მრავალსაუკუნოვან სვლაში ისინი უახლოეს მეზობელთანაც არ აღრეულან – ეს თითოეულის სიამაყეა, ლირსების გრძნობაა, თავი-სუფალი არჩევანის ბედნიერებაა!

„ქართულისა“ და სადარბაზო ცეკვა „დავლურის“ სიდარბაისლესა და დიპლომატიურ წიაღსვლებზე ბევრია ნათქვამი, – თავს არ შეგანწყენთ, – ისინი მომნუსხველები არიან თავიანთი კეთილშობილებით, გონიერებით, დიდებულებით. როცა მათ ვუყურებ, რუს-თაველის შაირი ხმიანობს: „მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს, მართ ვითა მზეობა სიბრძნე, სიუხვე, სიქველე, სიყმე და მოცალეობა, ენა, გონება, დათმობა, მძღეთა მე-ბრძოლთა მძღეობა...“

სახასიათო ცეკვებში კი ხალხური ლექსის სინატიფე, ნაცარქექიას სიბრძნე და ალესი-ლი ჭკუა, „ეთერიანის“ მითოსურ-ასტრალური გადასახედები იღანდება.

ფოლკლორი ვითარდება, სახეს იცვლის. ეს ბუნების წესია და წინ ვერავინ აღუდგება, დაე, განვითარდეს...

მაგრამ, რამაც აქამდე მოაღწია, დასაფიქრებელია, მისხალ-მისხალ შესასწავლია. მის ლაბირინთებში, მჯერა, ბევრ, უთქმელ სათქმელსა და სიკეთეს წავანყდებით.

ქართული ხალხური ცეკვა განებივრებულია მოამაგე და მზრუნველი მოძღვრებით, რომელიც მართლაც თითოეული მოძრაობის ქომაგებად ქცეულან.

მჯერა, რომ ქართული ცეკვა, ხალხურ სიმღერებთან ერთად, როგორც მაღალი კულტურისა და ზნეობის სავიზიტო ბარათი, ისე წარუძღვება ქართველ ერს მარადიულობისაკენ.

დავით დოიაშვილი  
რეჟისორი

## ჩემ შემოიხახ ჩვენი სივილიზაცია?

ვისლა ახსოვს ყველაზე ძლევამოსილი პოლიტიკოსები ან მხედართმთავრები, რომელთა ნებითაც ადამიანთა ჯგუფები, შემდეგ ერები, ქვეყნები ერთი ადგილიდან იძულებით იყრებოდნენ, გადადიოდნენ... ერთი-ორი სახელი თუ შემორჩინა კაცობრიობის ისტორიას,

ალექსანდრე მაკედონელი, ნაპოლეონი... მართლაც თითო-ოროლა... მაგრამ საუკუნეებია დგანან პირამიდები, ბერძნული ტაძრები, დგას ჯვარი, სვეტიცხოველი და სადღაც იქედან, უხსოვარი დროიდან, ისმის წერიალა საგალიბლები და როკვის ხმა, რითმი, ის რამაც მოგვიყვანა აქამდე და დღესაც ხელჩაკიდებული მივყავართ მომავლისაკენ, გვატანინებს დუხჭირ ცხოვრებას, ომში წინ მიგვიძლვება და გვამხნევებს. ეს ქართული ცეკვაა, მისი გენია, მისი უკვდავება.

რას ჰგავს ის? რას ჰგავს და მთელ საქართველოს, მის ხალხს. ჰგავს რაჭას, სვანეთს, ქართლს, აჭარას, კახეთს, იმერეთს, გურიას, სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთს, თუშეთს, ფშავ-ხევსურეთს, ხევს... და მოდიან ხორუმით შეკრული ულამაზესი ვაჟკაცები, მოდის უწყვეტი მწკრივი ღირსებით აღსავსე ვაჟკაცებისა.

ქართულ ცეკვაში ყველაზე დიდი ტრადიციაა: მამაკაცი არასოდეს ეხება ქალს. თვალ-წინ გიდგას თამარი, ქეთევანი, მათ მიმართ ერის თაყვანისცემა.

ცეკვავს ქართველი ლხინისა და ზარის დროს, ომისა და მშვიდობის დროს, რადგან თაობებს გადმოსული სრულყოფილება ქართული ცეკვის ფერმენისა ამოუხსნელიცაა და გასაგებიც, რადგან, როგორც არცერთ ქვეყანაში, ისე ასახავს საქართველოს ისტორიას, მის ყოფასა და არს ქართული ცეკვა.

ამიტომაცაა, სუნთქვაშეკრული მაყურებელი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ოვაციებით რომ აზანზარებს დარბაზებს.

ქეთი დოლიძე  
თეატრისა და კინო რეჟისორი

## ქართული ხავაზა ქვეყნისა და ების სუბის ნაწილი

40 წელი ვიმოღვანევე ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, როგორც წამყვანმა სოლისტმა. ჩემი ცხოვრების შეგნებული წანილი მთლიანად ხელოვნებას შევწირე.

არ შემიძლია, არ მოვეფერო და განსაკუთრებული სითბო არ გამოვუხატო ქართული ცეკვის ხელოვნებას, რომელსაც ჩემში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, თუნდაც იმიტომ, რომ მასში მაღალმხატვრული განსახიერება ჰპოვა ქართველი კაცის ზნეობრივმა თვისებებმა, ადათ-წესებმა, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის გმირულმა წარსულმა, მისმა ისტორიამ, ეთნოგრაფიამ, რომანტიკულმა მსოფლშეგრძნებამ. ქართული ცეკვა, ჩემის ღრმა რწმენით, ნამდვილად იქცა სულიერი ცხოვრების სარკედ, ისე როგორც ჩვენი დიდებული სიმღერა-საგალობლები.

მე ვხედავ, თუ როგორ გამოსჭვივის ქართული ხალხური ცეკვებიდან რაინდული სული და ვაჟკაცური შემართება, გრძნობათა პოეზია და კეთილშობილება. ქართული ცეკვა მუდამ გამორჩეულია უანრობრივი მრავალფეროვნებით, ეროვნული თვითმყო-

ფადობით, პლასტიკური სინატიფითა და ხატოვნებით. ხალხურ საცეკვაო შემოქმედებას მრავალი გულშემატკივარი ჰყავს. პირადად მეც ჩემი ცხოვრებით ვიყავი და ვრჩები ამ საოცრების თაყვანისმცემელი და მოჭირნახულე. ქართული ცეკვა ჩემი ერისა და ქვეყნის ნაწილია, ჩემი და ყველა ქართველის ცხოვრებაა, ამაღლებული და ღირსეული, საოცარი და საამაყო.

მერაბ დონაძე  
საქართველოს სახალხო არტისტი

## ეს მეტე მანცვიფრებდა ქართული ცეკვა თავისი ღვთაებრივობით. ქართული ცეკვის ურთულესი ნახაზები ცაში მნათობთა და ვარსკვლავთა მოძრაობისთვისაც კი შემიდარებია.

ეს არ გახლავთ კომპლიმენტი ქართული ცეკვის მიმართ. ეს ასეა, ამას ინტუიციით თუ მიხვდება კაცი, თორემ ამის დამტკიცება შეუძლებელია.

ზოგიერთი ცეკვა პირდაპირ შეიძინობა და სულისშემძვრელი იდუმალებით არის მოსილი. ცეკვა „ქართული“ – რით არ ჰყავს დედამიწისა და მთვარის, ან დედამიწისა და მზის ერთმანეთის მიმართ მიახლოება – განრიდების ფანტასტიკურ რიტუალს.

განა „სამაიას“ პლასტიკაში გადაწყვეტილი ვარდის, მიხაკისა თუ გვირილის კოკრის აფეთქებისა და გაშლის საოცრება არ არის?

ვის გინახავთ ზღვისპირას, ბობოქარ ტალღებთან მოთამაშე თოლიების ნავარდი, ცის დაუფლების ზებუნებრივი ოსტატობის, სილალისა და აღტყინების, საპედისწერო რისკამ-დე მისული ფეიერვერკი? მე მინახავს სარფში და ეს ნამდვილი „განდაგანას“ განუმეორებელი სხივოსნობაა.

ნოდარ დუმბაძე  
რესთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი,  
მწერალი

## ყველა ცარცას თავისი სტილი უკვე

ყველა ეპოქას თავისი სტილი აქვს. ყველა ეპოქა ახალ მოთხოვნებს აყენებს. დღის წესრიგში დგება ხალხური ცეკვის ზომიერად გათანამედროვების აუცილებლობა. მაყურებელი ახალს მოითხოვს. „სუხიშვილების სკოლამ“ ქართულ ხალხურ ცეკვებზე დაყრდნობით საინტერესო, თანამედროვე ხალხური სტილის ცეკვები შესთავაზა მაყურებელს, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა. ამასთანავე, აუცილებელია, ქალბატონი ნინო რამიშვილის

რეზო ჭავალის ლენი. ქართული ხელოსნის სალებები



და ილიკო სუხიშვილის შთამომავლობამ დაიცვას მათ მიერ დამუშავებული და ათეული წლების განმავლობაში მსოფლიოს ყველა ქვეყნის მაყურებლის მიერ შეყვარებული და საოცრებად აღქმული ქართული ხალხური ცეკვები.

**ჯუმბერ დუნდუა**  
**საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე,**  
**ლირსების ორდენის კავალერი**

## ბაჩანალი კახოც სახვანე!

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას ისეთივე შორეული ისტორიული წარსული აქვს, როგორც საერთოდ ქართულ ხელოვნებას. ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ იმაზე, თუ რომელი მათგანი უფრო ხნიერია: არქიტექტურა, ცეკვა თუ მუსიკა. აქ ძნელია მთელი სიზუსტით დადგენილ იქნეს მათი წარმოშობის და შემდგომი განვითარების თარიღები და მიჯნები. ერთი კი ცხადია: რა დიდიც უნდა იყოს დისტანცია, რომელიც ხელოვნების ამ სახეობათა ჩასახვას ერთიმეორისგან აშორებს, ყველა ესენი, ერთად თუ ცალ-ცალკე, დაკავშირებული არიან საზოგადოების საერთო ეკონომიკურ განვითარებასთან, ადამიანის მატერიალურ მოთხოვნილებებთან და საჭიროებასთან, ხალხის უტილიტარულ ინტერესებთან.

ცეკვა იმათ უფრო ეხერხებათ, ვინც შრომაშიც გამრჯეა და ბრძოლაშიც.

ამ მხრივ არც ქართველებს გვაქვს რაიმე სასაყვედურო, რადგან ჩვენებური ცეკვა ჩვენც გვახარებს და ჩვენს მეგობრებსაც.

მაგრამ იოლად როდი მოგვიგოგმანდა ქართული ცეკვა. მის შემოქმედ ხალხს დღენიადაგ ხმალიც ეპყრა და ბარ-ნამგალიც. ქართული ცეკვის ილეთი უხსოვარი დროიდან უტრიალებდა ადამიანის სულიერ და ფიზიკურ სრულყოფას და, ბარაქალა მას, რომ პატიოსნად მოალწია ჩვენამდე.

**ოთარ ეგაძე**  
**ხელოვნებათმცოდნე,**  
**მწერალი,**

## კახოცი სახვანის მსოფლიო აღიაჩნა

ქართული ცეკვა ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურის იშვიათი მონაპოვარია. არავინ იცის, საიდან იღებს სათავეს ეს უნიკალური საგანძურო, რომელიც ქართველი ხალხის უძველესი ტრადიციის თანამგზავრად იქცა. ქართული ცეკვა, ისე როგორც ხალხური სიმღერა, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართველი კაცის ყოფასთან და თაობიდან თაობას გადაეცემოდა ზეპირი სახით.

ტერმინი – „ცეკვა-სიმღერა“ მიუთითებს ამ ორი იშვიათი ფენომენის მთლიანობაზე, დღემდე შემოგვრჩა ფერხულები (ცეკვა-სიმღერის უძველესი ფორმა), რომელიც მრავალ რიტუალთან იყო დაკავშირებული. ჯერ კიდევ IV საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე აღნიშნავს, რომ ქართველური ტომები ომ-საც კი სიმღერითა და ცეკვით იწყებდნენ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შემოგვრჩა ამ კუთხისათვის დამახასიათებელი უძველესი საცეკვაო ტრადიცია. ეს ცეკვები, ისე როგორც ხალხური სიმღერები, მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, გამოირჩევიან ჟანრული მრავალფეროვნებითა და ქართული პოლიფონიის მსგავსად ურთულეს ქორეოგრაფიულ კულტურას ქმნიან.

ქართული ცეკვებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „ცეკვა ქართული“, რომელიც, ჩვენი აზრით, ისე როგორც სიმღერა „ჩაკრულო“ და სხვა იშვიათი ძეგლები, რენესანსის პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს. არც ერთ ერს არ გააჩნია ასეთი ღრმა ეთიკური შინაარსის ცეკვა, რომელშიაც ნათლად აისახა იშვიათი ამაღლებული დამოკიდებულება ქალსა და მამაკაცს შორის. ეს ცეკვა გახლავთ ნამდვილი პოემა სიყვარულზე, ხელთუქმნელი და ამაღლებული.

გააცანით მსოფლიოს „ვეფხისტყაოსანი“, ჯვრის მონასტერი, „ჩაკრულო“, ცეკვა „ქართული“ და ყველასათვის ნათელი გახდება, რომ საქართველო უძველესი და უმდიდრესი კულტურის ქვეყანაა.

ჩვენ არა ერთხელ გვინახავს ის უდიდესი წარმატება, რომელიც ქართულმა ცეკვამ მოიპოვა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და დიდი აღიარება მოუტანა ქართულ კულტურას.

დღეს, როცა წალეკვას გვიქადის „ფსევდოკულტურის“ ტალღა, ჩვენი ვალია, დავიცვათ ქართული ცეკვის სიწმინდე, არ მოვწყდეთ მის ძირებს და გადავარჩინოთ უძველესი საცეკვაო ტრადიცია. ეს უკვდავყოფს ქართულ ცეკვას, რომელიც საქართველოსთან ერთად იცოცხლებს სამარადისოდ.

**ანზორ ერქომაიშვილი**  
ბიძინა კვერნაძე  
საქართველოს სახალხო არტისტები,  
რუსთაველის პრემიის ლაურეატები,  
პროფესორები

## ქართველი ცეკვა - ისტორიული და სიცანალი

სან ფრანცისკოში, ერთ-ერთ წვეულებაზე, ხანდაზმული მსახიობი ქალბატონი გამაცნეს. „საქართველოდან ბრძანდებით?“ – გაუბრნებინდა თავლები, – „ღმერთო, რა ლამაზი ცეკვები გაქვთ, რა პლასტიკაა, რა ტემპერამენტი“ – მითხრა, იმავე წამს გაშალა ხელები და ცეკვა ქართულის იმიტაცია შესარულა, – ოცი წლის წინ, ნიუ-ორქში ვნახე ქართველების კონცერტი და მას მერე შოკში ვარ, ყველაფერი დეტალურად მახსოვს, დღემდე მსგავსი არაფერი მინახავს. ტელევიზორში როგორც კი საქართველოზე მოვკრავ რამე სიუჟეტს თვალს, სულ ის ცეკვები მასხენდება, – ბრძანა ქალბატონმა

არც კი ვიცი, ვინ არის ის ქალბატონი, ცნობილი თუ უცნობი მსახიობია, ან რა მნიშვნელობა აქვს მის ვინაობას. მთავარია, ამ ქალბატონის მეხსიერებას მთელი ოცი წლის მანძილზე შემორჩია ქართული ცეკვის სილამაზე და ამ ქართული ცეკვის ხიბლით დაიმახსოვრა ქვეყანა – საქართველო.

ნახეთ, რა თქვა: ტელევიზორში როგორც კი საქართველოზე მოვკრავ რამე სიუჟეტს თვალს, სულ ის ცეკვები მახსენდებათ. მას არ უთქვამს, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, ჩვენ ხომ შეგვიძლია მივხვდეთ, რა სიუჟეტებისათვის უნდა მოეკრა მას თვალი საქართველოზე ამერიკის ტელევიზით ამ ოცი წლის მანძილზე? ალბათ ომების, აფეთქებების სიუჟეტები, აბა, სხვა რას ნახავდა ამ ჩვენს ავბედით სავსე ოცი წლის მანძილზე? და ეს ყველაფერი მის მეხსიერებაში ქართულმა ცეკვამ გადაფარა. ქართული ეშხი და სილამაზე დარჩა წინა პლანზე, ყველაფერი ცუდი კი გადაიკარგა, დავიწყებას მიეცა და საქართველოს ხსენებაზე თვალები გაუბრნებინდა.

რამდენი ასეთი ქალბატონი და ბატონი დადის დედამიწაზე, ვინც ქართული ცეკვის წყალობით გაიცნო ჩვენი ქვეყანა. ჩვენ, ქართველები, გავაცნობიერებთ კი ამას ოდესმე? მივხვდებით, რომ, თუკი ვინმე გვიცნობს, თუკი ვინმე ოდნავ მაინც გვაფასებს, ეს მხოლოდ ჩვენი კულტურის დამსახურებაა, რომ მხოლოდ კულტურაა ჩვენი ელჩი საზღვრებს გარეთ და მხოლოდ კულტურაა მასპინძელი საზღვრებს შიგნით.

ქართულ ცეკვაში, ისევე როგორც ქართული კულტურის ყველა უძველეს დარგში, რიტუალურად კოდირებულია ქართული გენი, ერის ტკივილი და სიხარული, ერის ისტორია, მომავლის იმედი... სწორედ ეს გენი ხიბლავს და ატყვევებს ყველა მის მნახველს.

ყველამ ქედი უნდა მოვიხაროთ მათ წინაშე, ვინც შექმნა, საუკუნეების მანძილზე ატარა, შეგვინარჩუნა, განავითარა და დღემდე მოგვიტანა ქართული ცეკვა, ქედი უნდა მოვიხაროთ მათ წინაშე, ვინც დღესაც იღწვის და მომავალში, შემდგომ საუკუნეებში გადაიტანს ამ საოცრებას, რასაც ქართული ცეკვა ჰქონდა.

ავთანდილ ვარსიმაშვილი  
რეჟისორი

\*\*\*

„ფშაურად როგორ ცეკვავენ უნდა უცქიროთ ბავშვებსა“.

ვაჟა-ფშაველა

## საღებაულო სახალის სიყვარული

კაცობრიობის ისტორია, მისი ცივილიზაცია, ნათელი დასტურია იმისა, რომ ყოველი ერი თავის ბუნებას, თვითმყოფადობას, უპირველესად, ხალხურ შემოქმედებაში გამოხატავს. ფაქტობრივად, ხალხური შემოქმედება შემოუნახავს შთამომავლობას ტრადიციებს, ადათ-წესებს, მთლიანად ამა თუ იმ ხალხის ისტორიას. ამ თვალთახედვით, განსაკუთრე-

ბულია ხალხური ცეკვა. სწორედ მასში არის ასახული არა მხოლოდ ხასიათი ან მისწრაფება ერისა, არამედ მისი დამოკიდებულება მთლიანად ცხოვრებისადმი.

ქართული ცეკვა ამ მხრივ უნიკალურია, ისე როგორც მთლიანად ქართული ხალხური შემოქმედება. თითოეულ ჩვენგანს სწორედ ქართული ცეკვით, მასში შემორჩენილი ხალხური ტრადიციებით, უკეთ დაგვინახავს არა მხოლოდ ჩვენი ერის წარსული, არამედ მისი აწმყო და მომავალიც. ხალხურმა ცეკვამ შემოგვინახა მთის ხალხის ბობოქარი სული, ქართველი ქალისადმი განსაკუთრებული მოკრძალების და უდიდესი პატივისცემის აუცილებლობა, თავად ქართველი ქალის კდემამოსილება. მე არ მეგულება სხვა ერის ცეკვა, სადაც მამაკაცი ქალს შორიდან ასე ეტრფოდეს, შორიდან ცდილობდეს მისი სიყვარულის მოპოვებას და, არამც თუ ხელს, თითხაც კი არ აკარებდეს. ქართულმა ხალხურმა ცეკვამ შემოგვინახა ეროვნული ჩაცმულობის თავისებურება როგორც ქალის, ასევე მამაკაცის. ქართველ ქალს ყოველთვის ახასიათებდა სინაზის, სიფაქიზის, თავის სხეულის იდუმალების დაცვის აუცილებლობა. ამაზე თავად საცეკვაო ტანსაცმელი მეტყველებს და რაოდენ დასანანია, რომ თანამედროვე ქორეოგრაფები უგულებელყოფენ ამ ამაღლებულ ტრადიციებს და მოცეკვავე გოგონებს ამ უნიკალურობას უკარგავენ.

ძნელად მოიძებნება ადამიანი, რომელიც ქართულ ხალხურ ცეკვაზე, მისადმი დამოკიდებულებაზე მთლიანად შეძლებს თავის ფიქრების ქაღალდზე გადმოცემას. მიჭირს ამის გაკეთება მეც, რადგან ბავშვობიდან მოყოლებული დღევანდელ ჭაღარამდე, ყოველთვის განსაკუთრებულად მიყვარდა ქართული ცეკვა და არა უბრალოდ მიყვარდა, ყოველთვის და ყველგან ვცდილობდი მისდამი ერთგულების გამოხატვას და, როგორც კი საშუალება მომეცემოდა, მიუხედავად დაბალი საცეკვაო ნიჭისა – ვცეკვავდი, ვაცეკვებდი უცხოელ სტუმრებს, მეგობრებს, განსაკუთრებით ვცდილობდი ლამაზად ეცეკვათ ჩემს შვილი-შვილებს, ახლა ვხარობ იმით, რომ ჩემსავით უყვართ ცეკვა. უკან მოხედვა და ბავშვობის გახსენება არც თუ ისე ადვილია, რადგან მასში უზომო სიხარულიც არის და ტკივილიც. სწორედ სიხარულით, უდიდესი პატივისცემით მინდა გავიხსენო ის წლები, როდესაც ქართულ ცეკვას მასწავლიდა დიდი ნიჭისა და მაღლის მქონე ქორეოგრაფი ალექსანდრე ჯიჯეიშვილი, მას საშას ეძახდნენ. ეს იყო აჭარაში, როდესაც ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცებს ცეკვით, სიმღერით ეფერებოდნენ. მათ შორის იყო მამაჩემიც, რომელიც, როგორც ლეგიონის კომისარი, საგანგებოდ მიიჩნევდა ხალხურ თვითშემოქმედებას. მისი დავალებით მოიწვიეს ბატონი საშა ამ სამხედრო ნაწილში და მან ააცეკვა არა მარტო ნაომარი ბიჭები, არამედ ოფიცერთა ოჯახის წევრებიც და... მე მაშინ პირველად, მე-6 კლასის მოსწავლემ ბათუმის თეატრის სცენაზე ჯარისკაცთან ერთად შევასრულე ქართული ცეკვა, პირველად მეცეკვა ქართული კაბა.

შემდგომი წლები და დღესაც, მიუხედავად ასაკისა, გულგრილი ვერ ვრჩები, როდესაც ქართული ცეკვის მელოდია მესმის. ხშირად მახსენებენ მეგობრები ფაქტს, როდესაც ერთ-ერთ სამთავრობო მიღებაზე მეყო გამბედაობა და ნინო რამიშვილისა და ილიკო სუ-ხიშვილის თანდასწრებით საცეკვაოდ გამოვიყვანე მარშალი კონსტანტინე როკოსოვსკი, რომელიც მაშინ საქართველოში მსახურობდა. მასთან ერთად ქართული ცეკვა უკრაინული „გოპაკი“ გაგრძელდა და წლების შემდეგ მოსკოვში შეხვედრის დროს მან ეს ცეკვა საოცარი სითბოთი გაიხსენა.

ამგვარ მოგონებებს რა დალევს, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ქართული ხალხური შემოქმედება, განსაკუთრებით ქართული ცეკვა, ყოველთვის იყო ჩვენი ერის

სიმდიდრე და სიამაყე, ყოველთვის მოითხოვდა განსაკუთრებული გულისხმიერებას და დასანანია მისადმი დღევანდელი დამოკიდებულება, უპირველესად, ახალგაზრდობის მხრიდან, სოფლად, მაღალმთიან რეგიონებში. ვფიქრობ, წარმოდგენილი წიგნი ამ საშვილიშვილო საქმეს ბევრ სიკეთეს შემატებს.

ნათელა ვასაძე  
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

## ერთობლივი სამსახური

ხალხური ცეკვა და სიმღერა, სიმღერა და ცეკვა – ქართველი კაცისთვის დღენიადაგ ჭირისა და ლხინის თანაზიარი იყო; იყო შემოძახება, ნუგეშის ცემა, იმედისა და რწმენის ჩანერგვა, ახალი სასიცოცხლო ენერგიის შთაბერვა, საკუთარი ლირსებისათვის, ოჯახისათვის, მშობელი მინისათვის საბრძოლველად მოწოდება.

ჩვენი დიადი ისტორიის ყველა მონაკვეთზე იარების, გაუსაძლისი ფიზიკური და სულიერი ტკივილების მოშუშება-დაამებაში, ფენიქსისებრ წამოდგომაში მუდამ გვშველოდა ომახიანი სიმღერა და ვაჟაპური ცეკვა – უებრო მაღამო სულისა, მკაფიო გამოხატულება ერის ფიქრთა, განცდათა, ოცნებათა, მისი მარადუამიერი მოძრაობისა წინ და მაღლა, მისი უკვდავებისა. ქართულ ცეკვაშია არეკულილი მთელი გმირული ნამყო ერისა...

მისი უდიდებულესობა ქართული ცეკვა!

იგი, ისევე, როგორც ჩვენი ხალხური სიმღერა – დასტური მისი შემქმნელი ერის სწორუპოვარი პოლიფონიური აზროვნებისა. ჩვენი უნიკალური პოეტური ფოლკლორი, ქართველისათვის დედის რძესთან ერთად შერგებული საზრდოა სულისა, უპირველესი ნიშანი ჩვენი ეროვნული ცნობიერებისა (ყოფიერებისაც!), ნაყოფი უშრეტი შემოქმედებითი ფანტაზისა, უმაღლესი მხატვრული გემოვნებისა.

ეს ტრიადა შეადგენს სწორედ მთავარ ეროვნულ საგანძურს ჩვენსას, უმდიდრეს საწყალს, რომელიც, ათასწლეულების სრბოლაში, წვეთ-წვეთობით ივსებიდა და, რომელიც ფასდაუდებელია ურიცხვი ოქრო-ვერცხლისა და თვალ-მარგალიტის ყველა განძეულთან შედარებით. ჰაიჰარად, ოდენ სუფრასთან სალალობოდ როდი შეუქმნია ქართველის შემოქმედებით გენისა სიმღერები „ჩაკრულო“ და „შენ ხარ ვენახი“, „ოდოია“ და „მრავალუამიერ“, ცეკვები „ქართული“, „ხორუმი“, „მხედრული“, ლექსი „ვეფხისა და მოყმისა“. ქართული სუფრაც ხომ ფენომენია, ქართული სულის კიდევ ერთი გამოსხივება, კვინტესენცია ყოველივე ქართულისა, უამთასვლაში შემუშავებული, მხოლოდ ქართველისათვის დამახასიათებელი ტრადიციებისა – უბადლო ინსტიტუცია ადამიანთა ერთობისა, სიყვარულისა, ურთიერთგატანისა, რაინდული ზნე-ზესების დემონსტრირებისა.

განა, ასევე, ქართული კულტურის ფენომენალური მოვლენა არ არის ვაზისა და ღვინის, ქალისა და ბავშვის კულტები?! ბარემ, ერთი ფენომენიც ვახსენოთ და შვიდზე, ბედნიერად შერაცხულ ამ საკრალურ რიცხვზე ავიდეთ – ქართველი კაცის თანდაყოლილი ტოლერანტობა! და, მაინც, ყველა ამ ფენომენიდან აშკარაა ცეკვის პრიმატი (ალბათ,

ისევე, როგორც სხვა ხალხებში) – მის აღსაქმელად და გასაგებად, მის არსში ჩასაწვდო-მად და ხალხის მეობის ამოსაცნობად ხომ არც ენის ცოდნაა საჭირო, არც თარჯიმიანი და სპეციალისტთა განმარტება, არც წიგნები და ლექსიკონები! იგი, ხალხური ქორეოგრაფია, თავად გიხსნის ყველაფერს და, შემეცნების გამდიდრებასთან ერთად, ემოციის მძლავარი იმპულსებით გმუხტავს, სილამაზესა და კეთილშობილებას გაზიარებს, სასიამოვნოდ აღ-გაგზნებს, აღგამაღლებს, სიცოცხლითა და ხალისით აღგავსებს.

... თქვენ უცხოელი ხართ და არასოდეს, არავითარი შეხება არ გქონიათ რაიმე ქარ-თულთან, მაგრამ გაინტერესებთ, შეიცნოთ ქართველის ბუნება, ჩაწვდეთ მის შინაგან სამყაროს, შეაღწიოთ ქართული სულის ხვეულებში?

თუ თქვენ ამასთან საქართველოს წარსულითაც ხართ დაინტერესებული, ნუ გაირ-ჯებით ისტორიის სახელმძღვანელოების, ნურც ეთნოგრაფთა და ხელოვნებათმცოდნეთა გამოკვლევების, თუ ბელეტრისტიკის მოძიებით – საამისოდ ხომ, არა თუ დღეები და კვირები, თვეებიც არ იქმარებს მაშ, რა უნდა ქნათ?

რა, ბატონო ჩემო, და ნახეთ ქართული ხალხური ცეკვის პროფესიული ანსამბლის საკონცერტო პროგრამა, რომელიც სულ ორიოდე საათს გრძელდება (ანსამბლებსაც დაგისახელებთ: „ერისონი“, „რუსთავი“, „სუხიშვილები“, „ბათუმი“). იმ ორ საათში თქვენ მოივლით მთელ საქართველოს; გაეცნობით მისი ყველა მხარის ეთნიკურ თავისებურებებს; მიიღებთ ამომწურავ პასუხებს თქვენს კითხვებზე და ხელთ გექნებათ მთელი სასურველი ინფორმაცია. დიახ, ქორეოგრაფია თქვენი ინტერესების დაკმაყოფილების უმოკლესი გზაა: თქვენ შეიტყობთ როგორია ქართველი კაცი, მისი ხასიათი, მისეული ხედვა სამყაროსი; როგორია იგი შრომაში და მომხდურთან ფიცხელ ომში; როგორია ქალთან ურთიერთობა-ში; როგორ ზეიმობს, ლალობს, ილხენს; როგორ ავლენს ხალხის სულიერ აღმავლობას და მას თქვენც გადაგდებთ, აგიყოლიებთ, გაგიტაცებთ და აღგაფრთოვანებთ.

რაც შეეხება ამ ცეკვების ვიზუალურ მხარეს, მათს, როგორც სანახაობის, აღქმას და ეფექტს, ემოციებს, თქვენი კიდეც უნდა შემურდეს კაცს, რადგან პირველად იხილავთ ქა-რთულ ცეკვებს, შეიგრძნობთ ქართველ მამაკაცთა ცეცხლოვან ტემპერამენტს, მის რაინ-დულ სულს; ქალების სინატიფეს და კდემამოსილებას; მაშასადამე, თქვენ გელით ელდა აღმოჩენისა, ურუანტელი, ნარუშლელ შთაბეჭდილებად რომ დაგრჩებათ, გამაოგნებელი, სულის შემძვრელი სიამოვნება. მეტსაც გეტყვით: არა თუ უცხოეთში, თვით საგუნდო სიმღერის შედევრების ქვეყანაშიც კი, ცეკვა მეტ პატივშია! ქართული ხალხური პოლი-ფონიის მთელი მშვენიერება, ასეულობით უცხოელის ხვედრია მხოლოდ, ქართულ ცეკვას კი ასეულ მილიონობით ადამიანის გული დაუპყრია; ეს მათი სიტყვებია, ქართულ ცეკვებ-ზე და მათს შემსრულებლებზე ნათქვამი: თავბრუდამხვევი სანახაობა, გზნება და სინაზე, ტრიუმფი, ფეიერვერკი, კასკადი, ზეიმი, ფანტასტიკა, მსოფლიოს მერვე საოცრება...

ის კი არა, ხანდაზმული ქართველი კაციც, რამდენჯერაც არ უნდა ნახოს, ვთქვათ, ცეკვა „ქართული“, ყოველთვის რაიმე ახალს აღმოაჩენს ხოლმე, სულ, რაღაც ახალ წახ-ნაგებს, ახალ ნიუანსებს პოულობს... ამდენად, დიდია იმის ალბათობა, რომ თქვენც გახ-დეთ თავგადაკლული მოტრფიალე ქართული ქორეოგრაფიისა, გაგიჩნდეთ დაუოკებელი მოთხოვნილება მასთან კვლავ და კვლავ შეხვედრისა, მისი გათავისებისა, ეს კი, ჩვენო მოკეთევ და თვალისჩინო, სხვა არაფერია, თუ არა იმის აღიარება, რომ ქართული საცეკ-ვაო ხელოვნება აღარაა ოდენ კავკასიის მთებსა და შავ ზღვას შორის განფენილი, აქამომ-დე თქვენთვის უცნობი, პატარა, მაგრამ დიდი ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების

ქვეყნის, მისი ძირძველი ხალხის საკუთრება. იგი მსოფლიო კულტურის ორგანული ნაწილია, მისი მშვენება და სიამაყე.

ჭეშმარიტად, ბედნიერებაა, რომ, როგორც ქართველი, ამ სიმდიდრის, ამ საოცრების პატრონი ხარ. მაგრამ ორგზის ბედნიერია ის ქართველი, ვინაც მისი უდიდებულესობის ქართული ცეკვის ერთგულ მსახურებაში იხარჯება – ცეკვავს, დგამს, ალადგენს, რანდავს, მსოფლიოს აცნობს და ატკბობს, მომავალ თაობებს უნახავს.

ანზორ ზამბახიძე  
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი,  
პუბლიცისტი,

## უცლელებელი

მუსიკალური სმენა არ გამაჩინია, მაგრამ სიცოცხლესავით მიყვარს ქართული ხალხური სიმღერა. ჩემთვის საამური წუთებია როცა, „ჩაკრულოს“, „წინწყაროს“, „ხარება და გოგიას“ ვისმენ, ხოლო ხალხური ქორეოგრაფია თავისი ცეკვა „ქართულითა“ და „ხორუმით“ მსოფლიო ქორეოგრაფიული ხელოვნების შედევრია.

ქართულ ხალხურ ქრეოგრაფიაში საუკუნეების მანძილზე განსხეულდა ჩვენი ხალხის ეროვნული ცნობიერება, ეთნოსი, ეროვნული ენერგია, ისტორიული ცხოვრების წესი და ტრადიციები, ზნეობრიობა, სამშობლოს „დაცვის ნიჭი“, ქალისა და მამაკაცის კდემამოსილი ურთიერთობა ხომ საკრალურობამდეა აყვანილი, რომლის გენიალური ნიმუშია ცეკვა „ქართული“. რაც შეეხება ცეკვა „ხორუმს“, იგი ქართველი ხალხის მხედრული შემართების ნიმუშად მოჩანს, რომელიც ჩვენი ბედერული ისტორიის წიაღშია აღმოცენებული. ვაჟაფშაველამ საქართველოს ოთხივე მხრიდან მტრიანი ქვეყანა უნოდა. სწორედ, რომ მეხორუმე ვაჟკაცებმა მოიტანეს დღევანდლამდე საქართველო. ისიც სიმბოლურია, რომ მისი დაბადების ადგილი აჭარაა, კუთხე, რომელიც არაერთხელ გაიწირა, სულ ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იდგა და მუდამ თავდაცვის რეჟიმში ცხოვრობდა.

სრულიად ყმაწვილი, 15-16 წლის, თუ ვიქენებოდი, პირველად რომ ვნახე სუხიშვილების კონცერტი. მე მაშინ ლეგენდარულ ქალბატონ ნინოს ასეთი მეტაფორა მივუძღვენი – „მტრედის ფრენა მეგონა, შენ რომ გაშალე მკლავები“. იმ გაურანდავი ლექსიდან მხოლოდ ეს მეტაფორა შემორჩა ჩემს მეხსიერებას.

მტრედი ხომ მშვიდობის სიმბოლოა. სწორედ, რომ საქართველოდან მთელს მსოფლიოში მშვიდობის ელჩი იყო ქალბატონი ნინო. ლექსი „ქორწილი“ ქალბატონ ფატმან კობალაძეს ვუძღვენი, რომელშიც გაიელვებს ხოლმე ჩვენი მხარის დიდოსტატების სახელები. აი ისიც: „თოფან მელაძის „ხორუმი“ და ქოჩახელას ჰანგები, /უფალო, შენი ნებაა, ჭირიმე შენი განგების, /მადლია შენი განგების ფატმანის ცეკვა-თამაში, /ანგელოზს ცაში ააფრენს, თუ გავა „განდაგანაში.“

მე ყოველთვის მოწინებითა და პატივისცემით ვიხსენებ ენვერ ხაბაძეს, ფოფუზ გაბაიძეს, თოფან მელაძეს, ნოდარ დევაძეს, გივი ჩიჩუას, თამაზ ბეჟანიძეს, თემელ მიქელაძეს. ჩემს მეგობრად ვთვლი ძვირფას რეზო ჭანიშვილს, იზოლდა მსხილაძეს, რომელიც სტუ-

დენტური მერხის მეგობარიც იყო, ზაურ ლაზიშვილს, გენო ჭელიძეს, ჯემალ ჩიჩუასა და ბევრ სხვას, რომელთა ცხოვრება და სიცოცხლე ქართული ქორეოგრაფიული კულტურის განახლების, სრულყოფისა და მომავალი თაობებისათვის შენახვის სამსახურში დგას.

ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნება უკვდავია, როგორც საქართველო. ამიტომაც ამ პატარა ესეს „უკვდავება“ დავარქვი.

#### შოთა ზოიძე

**ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,  
მწერალი-ესეისტი**

## ქართული ხელვა ლიტერატურული ნაბობები

უძველესი ქართული კულტურის არც ერთი დარგი არ ასახავს ისე ზუსტად ქართველი კაცის ბუნებას, მის ხასიათს, მის პლასტიკურობასა და დახვეწილ გემოვნებას, ცეცხლოვან ტემპერამენტსა და შინაგან სიძლიერეს, სიცოცხლისა და თავისუფლებისაკენ დაუკავებელ სწრაფვას, როგორც ჩვენი ხალხური ცეკვები და სიმღერები.

სწორედ ქართული ხალხის წიაღიძან წამოსულმა ჯადოსნურმა ცეკვამ და სიმღერამ, ამ თვითმყოფადმა და უნიკალურმა ფენომენმა არნახული ტრიუმფით მოიარა მთელი მსოფლიო და აღტაცებაში მოიყვანა ყველა, ვინც კი ეზიარა ამ ღვთიურ ხელოვნებას.

ქართული ცეკვებით მონუსხული ბევრი ადამიანი იმასაც კი ამბობს, რომ ქართული ცეკვის ფენომენი გაცილებით მეტია, ვიდრე ადამიანის შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფი. იგი ზეგარდმო ნიჭია, ღვთისაგან ნაბოძები და, ვიდრე ქართული ცეკვა იარსებებს, როგორც ეროვნული ენერგიის უშრეტი წყარო, საქართველოც იარსებებს, იარსებებს როგორც კურთხეული და ღვთიური მადლით გასხივოსნებული ქვეყანა.

**მამუკა თავხელიძე**  
**გრიგოლ რობაქიძის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი,**  
**პროფესორი**

## ხელვა „ქართული“ მნიშვნელოვანი...

ცეკვა „ქართული“ მნიშვნელოვანია, მშვენება და სიამაყეა ქართული ხალხური შემოქმედებისა. იგი ქართველ ხალხს ეკუთვნის. ის არ არის ერთ-ერთი რომელიმე ოსტატის შემოქმედების ნაყოფი. იგი მრავალ თაობათა მიერ იქმნებოდა და საუკუნეთა განმავლობაში ინრთობოდა. ამ ცეკვაში თავს იყრიდა ქართველი ხალხის ქორეოგრაფიული შემოქმედების საუკეთესო თვისებები. მას არ გააჩნია კუთხურობის ნიშანი, რაც აისახა კიდევაც მის დღევანდელ სახელწოდებაში – „ქართული“.

ძნელი დასაჯერებელია, რომ, ქართველების გარდა, ცივილიზებულ ერებში რომელიმეს გააჩნდეს ისეთი უძველესი წარმოშობის ქორეოგრაფიული ნიმუშები, რომლის საფუძველიც

მატრიარქატის ხანას უკავშირდება, შინაარსი კი ნადირობის ღვთაებათა თაყვანისცემას. დიდი მადლიერებით უნდა მოვიხსენით ჩვენი წინაპარი, კერძოდ, სვანეთის ძველი თაობა, რომელმაც ჩვენს საუკუნემდე „ცოცხალი სახით“ შემოგვინახა ანტროპომორფიზმის პერიოდის ისეთი უძველესი ქორეოგრაფია, როგორიცაა ნადირობის ქალ-ღვთაების – დალის, სათაყვანებელი ფერზული „დალა კოჯას ხელვაჟალე – (დალი კლდეში მშობიარობს) და „ბაილ ბეთქილი,“ რომელთა წარმოშობის საფუძველი უშუალოდ უკავშირდება ადამიანთა განვითარების იმ პერიოდს, როდესაც მათი ძირითადი საქმიანობა ჯერ კიდევ ნადირობა იყო.

ავთანდილ თათარაძე

საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე,  
ქორეოგრაფი, ქორეოლოგი

\* \* \*

ქართული ხალხური ქორეოგრაფია ჩვენი პლანეტის მშვენება და სიამაყეა.

დავით თარხან-მოურავი

## ქართული ხელის ღა ქართული ბენის სიღილი

მე, როგორც ქართული სპორტის, კერძოდ, ქართული ჭიდაობის წარმომადგენელს, მიმართია, რომ ქართული ცეკვა და ქართული ჭიდაობა ურთიერთკავშირში არიან თავისი შინაგანი ბუნებითა და ისტორიული დანიშნულებით. ორივე, ქართული ცეკვა თუ ქართული ეროვნული ჭიდაობა, არის გამოხატულება ყველა იმ საუკეთესო თვისებისა, რომელიც ქართველ ერს უხსოვარ დროიდან გამოკვეთილად ახასიათებდა და რომელიც თავისი შინაარსით ერთდროულად წარმოაჩენს ქართველი კაცის ფიზიკურ სიძლიერეს, რაინდულ შემართებას, ეროვნულ სულს და ქართული გენის სიღიადეს.

სულიერად და მატერიალურად შეჭირვებული ჩვენი ერისათვის ქართული ცეკვა და ქართული ეროვნული ჭიდაობა დღეს დიდი შვება და ნუგეშია, „ალგეთს ლეკვების კვლავ დაზრდის“ რწმენა და იმედია. ურიცხვი მტრების გარემოცვაში როდის ვყოფილგართ დალხინებული, მაგრამ, მაინც ვცეკვავდით, მაინც ვმღეროდით, ცეკვით მტერთან ბრძოლას ვსწავლობდით, ხელში ფარ-ხმალის მარდი ტრიალით ვიწვრთნებოდით, ქართული ეროვნული ჭიდაობით სულსა და მხნეობას ვიკაჟებდით და ისე გავდიოდით ბრძოლის ველზე, როგორც საცეკვაო არენაზე.

მეამაყება, რომ იმ ერის შვილი ვარ, რომელმაც, უდიდესი ძნელბედობის მიუხედავად, გაუძლო დროის ურთულეს გამოცდას და დღესაც მტკაცედ იცავს ისეთ ფასეულობებს, როგორიცაა ქართული კულტურა, ხელოვნება, სპორტი.

ლმერთი ფარავდეს ყველა ქართველს და სრულიად საქართველოს!

ლევან თედიაშვილი

ჭიდაობაში ორგზის ოლიმპიური და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი.



## ქართული ცეკვით მოხიბლულ უამრავ ადამიანს დაუფიქსირებია თავისი აზრი. ყველა მათგანი გულწრფელი იყო ჩვენი ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების შეფასებისას.

ქართული საცეკვაო მუსიკა ე.წ. ქართული „როკვა“, როგორც იტყვიან მკვდარსაც კი ააცეკვებს, ჩემი აზრით, ცოცხლებზე რომ არაფერი ვთქვათ, მაგრამ „როკვა“ მაინც სხვა რამე მგონია და ამ ტერმინს ყველა ქართული ცეკვის მიმართ ვერ გამოვიყენებ. როკვაა, მაგალითად, სამხრეთ ამერიკული, აფრიკული, აზიური და ზოგიერთი ქართულიც.

ცეკვა „ქართული“, „სამაია“, „სიმდი“, „ლაზური“ პოეზიაა, სულისა და სხეულის დახვეწილი სახეა. მათში იყითხება მანდილოსნის სათონება, ბუნებრივი სიწმინდე, თავდაჭერილობა, დაფარული სიკეკლუცე, მოკრძალება, ასევე მამაკაცისადმი პატივისცემა, თავაზიანობა და მოკრძალებული თაყვანისცემა. სიტყვა ვერ აღწერს და ვერ დახატავს ქალის პლასტიკურ მოძრაობებს, როდესაც ვაჟი გაშლილი ხელებით მიიწევს მისკენ. განა მარტო როკვაა ეს?

ჩემი აზრით, ქართული ცეკვა უსიტყვო პოემა – ხან სატრიალო, ხან მხედრული – ხან კიდევ – საზეიმო-სალალობო.

ქართული ქორეოგრაფიით, მრავალხმიანი ხალხური სიმღერით, ქართული თეატრითა და ქართული ხალხური თუ კლასიკური პოეზიით ვიწონებდით და ვაწონებთ თავს სხვა-დასხვა ქვეყანაში გამართულ კონცერტებსა და ოფიციალურ ღონისძიებებზე.

ქართული ცეკვა საქართველოს უკვდავების ოქროთი მოვარაყებული გასაღებია.

დავით თედორაძე  
პოეტი

## ბენისა ღა ჯიშის ცაველვება

თქვენ მეკითხებით, რას განვიცდი, როცა ქართულ ცეკვას ვუყურებ? მე ასე გიპა-სუხებთ: როცა უცქერ ქართულ ცეკვას, ერთბაშად შენს წარსულ ცხოვრებაში იძირები, ყველა შენს მიერ გადახდილი ომი გახსენდება და საოცარი განცდა გიპყრობს. ალბათ, უფრო სიამყის, ვინაიდან შენი ცეკვაა ეს, შენი სულის მღერა, შენი გენის რიტმი და ჯიშის უკვდავება... ცხოვრებასავით ღრმა და ოკეანესავით უკიდეგანო...

დავით თევზაძე  
გენერალ-ლეიტენანტი

## ცაველვის ისტორიის მარნე

არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები, მოგვიანებით კი წერილობითი წყაროები, საკმაო საფუძველს გვაძლევს იმისათვის, რომ განვაცხადოთ: უძველესი დროიდან მოყოლებული ქართველები (ისევე როგორც სხვა ხალხები) თავიანთ სიხარულსა თუ მწუხარებას, მისწრაფებებსა და ოცნებებს სახიობით (პოეტური სიტყვით, მუსიკით, ცეკვით და სხვა რიგი გასართობებით) გამოხატავდა. ცეკვა იყო, აგრეთვე, ადამიანის სულიერი განწმენდის (კათარზისი), საზოგადოების სულიერი წვრთვნის საუკეთესო საშუალება. ქართველ მეფე-მთავართა სასახლის კარზე გამართული ზეიმების აუცილებელი ატრიბუტი, სახიობის სხვა დარგებთან ერთად, ცეკვაც იყო. „ქართლის ცხოვრება“ ამის შესახებ არა-ერთ ცნობას გვაწვდის:

1046 წელს ბაგრატ IV თბილისის მცხოვრებლებმა საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. „ტურ-ფად მოკაზმულ“ გზებზე კოშკები იდგა. „ტურფანი და მას შინა ათ-ათი მოთამაშენი, მკვრელნი და მომღერალნი სხდიან... ზოგნი იმღერდიან და ზოგნი უკრავდიან. მრავალნი უცხოდ თამაშობდნენ, რომ კაცის თვალთ ეგეთა არა ინახოდა რა“, ან კიდევ თამარის ისტორიკოსის ცნობა: „და იქმნა სიხარული გამოუთქმელი, ვითა მართებს ნადიმსა და წყლიანობასა ამის სახლისა დიდებულთა მოყმეთა უკლებლობასა და მრავალგუართა სახე-

ობათა, მუტრიბთა და მოთამაშე განყობილობათა“. მუტრიბები იყვნენ დამკვრელებიც და მომღერლებიც, ხოლო მოთამაშენი – პანტომიმისა და ქორეოგრაფიული ხელოვნების წარმომადგენლები.

XI-XII საუკუნეებში სახიობა იმართებოდა სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილ შენობებში, რომლებსაც ეწოდებოდა „სახლი სალხინო“ და იპოდრომი.

XII საუკუნეში საქართველოში სანახაობრივ წარმოდგენათა მონაწილეთა რაოდენობა იმდენად გაიზარდა (მგოსნები, მოთამაშენი, მუტრიბები, მუშაითები . . .), რომ მათ სპეციალური თანამდებობის პირი ჩუხჩარხი ხელმძღვანელობდა, თუმც მას სხვა მოვალეობაც ეკისრებოდა.

საქართველოს ისტორიის ძნელებელობის ჟამს, ზოგჯერ, სანახაობები იკრძალებოდა, თუმცა ხალხური „რგვალი“ (ფერხული) მაინც იმართებოდა. ამაზე მეტყველებს მე-15 საუკუნით დათარიღებული სვეტიცხოვლის კედლის მხატვრობა, რომელზეც გამოსახულია ქალთა ფერხული მოცეკვავე სოლისტით და ვაჟთა დამკვრელ მუსიკოსთა ორი დასტით.

ქართული ცეკვა ყოველთვის ჩვენი ხალხის ლენინსა თუ ჭირის თანმდევი იყო. რად ღირს თუნდაც იმ ფაქტის გახსენება, რომ კრწანისის ბრძოლაში მაჩაბელი მეომრებს სიმღერითა და ცეკვით საბრძოლველად განაწყობდა.

ქართულ ცეკვებში რელიეფურად არის წარმოჩენილი ჩვენი ხალხის ეთნო-ფსიქოლოგიური თავისებურებები. ამიტომ ამბობდა გრიგოლ რობაქიძე – ქართველს ფეხის ერთი მოსმითაც კი გამოვარჩევო. სწორედ საქართველოს ხელოვნების ამ უძველესმა დარგმა, განსაკუთრებულად გამორჩეულმა მსოფლიო ხალხთა როკვათა შორის, გააოცა მთელი სამყარო.

ვაჟა თვალავაძე  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

## წარული ცეკვის მისტიური...

საქართველოში ქართული ცეკვისა და სიმღერის საყრდენი ბურჯები რიტმია, ჰარმონია, იდუმალება, თითქმის მისტიურობაა, სიხარულია, მწუხარებაა, იმედია, ფიქრია, ენერგიაა...

ამას წინათ ერთი ბრწყინვალე ლოტბარისა და ასევე ბრწყინვალე ქორეოგრაფის დიალოგ – პოლემიკას შევესწარი. ლოტბარი საგსებით წრფელად და უკომპრომისოდ ამტკიცებდა, რომ მთავარი და „წამყვანი“ სწორედ სიმღერაა, ქორეოგრაფი კი ცეკვის პრიმატულობას უსვამდა ხაზს. ერთიც მართალი იყო და მეორეც. ამ ორივე აზრის დამტკიცება შესაძლებელია. მითუმეტეს, ეს არ გაუჭირდებათ მაღალი რანგის პროფესიონალებს.

და მაინც, ეს რიგი შეიძლება ასე განისაზღვროს: სიმღერა და ცეკვა, ცეკვა და სიმღერა.

და მაინც არის ინდივიდში, პიროვნებაში ისეთი რაღაც, რაც მის, უნინარეს ყოვლისა, მომღერლობას ან მოცეკვავეობას გამოკვეთს. პირადად მე იშვიათად მინახავს დიდი მომღერალი, რომელიც ასევე დიდი მოცეკვავე იყოს და პირიქით. ალბათ, არის ამაში რაღაც რკინის ლოგიკა, კანონზომიერება.

ბედნიერება მქონდა, რომ სხვადასხვა ვითარებაში (ხატობები, ქორწილები, დღეობები, ნათლობები...) მენახა ქართული ხალხური ცეკვები ლებარდები, ომალოში, შატილში, იყალთოში, კავთისხევში, გეგელიძებში, ლაშარის გორზე, ალავერდში... მე ის სტიქიური, დიახ, სტიქიური, ფეთქებადი, ლამის ყოველთვის იმპროვიზირებული ცეკვები მაოგნებდნენ და მაოგნებენ. როცა სწორედ ის სტიქიური, პირველშობილი ცეკვები გაჰქირდიან, მათი რიტუალური შესრულება წაიშლება, ჩვენი სახელმწიფო აკადემიური ანსამბლები საინტერესო, მონოლითურ საცეკვაო ნახაზებს კი შექმნიან, მაგრამ... მათ უეჭველად დააკლდებათ რაღაც მნიშვნელოვანი.

რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ასატანად მაინც მეცეკვა!

ჯუმბერ თითმერია  
მწერალი

## ჩახთილი სახავა საოცენები!

ექვსი წლიდან ვხატავ, ვცეკვავ და ვმღერი.არ ყოფილა ქართული სუფრა, სადაც მეც გახლდით, რომ არ მემღერა და ბოლოს არ მეცეკვა „მთიულური“.

ვიხსენებ, დიდებული ქართველი მოქანდაკე და სახელმწიფო ბატონი ნიკოლოზ კანდელაკი, სუფრასთან სკამზე მჯდარი, როგორ ცეკვავდა მთიულურს. ეს დიდებული სანახაობა იყო! ღმერთმა არ დაუკარგოს ცეკვისა და სიმღერის ხალისი ქართველთა მოდგმას, ამინ!

გოგი თოთიბაძე  
საქართველოს სახალხო მხატვარი,  
პროფესორი

## ჩახთილი სახავა მსოფლიო კლიახება მოიცოდა

ქართული ცეკვა ეს არის ქართული ნიჭისა და გენის ბრწყინვალე გამოვლინება და ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილი. მასში შესანიშნავად არის გადმოცემული ქართველი კაცის ხასიათი. მისი დამოკიდებულება ბუნებასთან, სამყაროსთან. მისი ვაჟკაცური ბუნება, შორიდან ტრფიალი ქალისადმი და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული.

როგორც ქართულ სიმღერებში, ისევე ქართულ ცეკვებში შესანიშნავად არის წარმოდგენილი საქართველოს სხვადასხვა კუთხე. გურული და სვანური ფერხულები, აჭარული, მეგრული სახასიათო ცეკვები, საოცრად ამაღლებული ოსური ცეკვა. ვაჟკაცური ხევსურული და მთიულური, ლირიკული და უნაზესი ქალთა ცეკვები, ყველა მათგანს აერთიანებს ერთი საერთო ღერძი – ქართული ცეკვა.

ქართული ცეკვის განუყოფელი ნაწილია ქართული სიმღერა. ეს ეხება ძირითადად ფერხულებს (სვანური, გურული) და სხვადასხვა ხასიათის ლირიკულ და სახასიათო ცეკვებს.

მე არა ვარ ამ საქმის მკვლევარი და ვერ ვიტყვი, როდის და როგორ შეიქმნა ეს ხელოვნება, მაგრამ ნათელია, რომ მას აქვს დიდი ხნის ისტორია. ის იქმნებოდა, ყალიბდებოდა, იხვეწებოდა საუკუნეთა განმავლობაში და ამ სახით მოაღწია ჩვენამდე.

დიდი ამაგი დასდო ქართულ ცეკვას წინა და ჩემი თაობის შესანიშნავმა ქართველმა ქორეოგრაფებმა. მათი დამსახურება, რომ ქართულმა ცეკვამ მოიპოვა მსოფლიო აღიარება. მას ოვაციებს უმართავენ „ლასკალაში“, „ოლიმპიაში“, „კოვერგარდენში“, „მეტროპოლიტენში“ და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უდიდეს საკონცერტო დარბაზებში. ეს არის ქართული ცეკვის დიდი აღიარება და ქართული კულტურის გამორჩეული ნათელი წერტილი.

**ბადრი თოიძე**  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,  
პროფესორი

## ცხავი აღმინის სეირს თქმა

შევეცადე მეთქვა სიტყვა შესადარი ქართული ცეკვისა და ამგვარ თქმაში ასოებიც ამეცენატებინა, მაგრამ ვერ შევძელი. ქართული ცეკვა ისეთი სიმაღლეა და იმგვარი ლაბირინთების გავლას გულისხმობს შემმეცნებელისაგან, რომ მისი დაძლევა ყველას როდი ძალუძს. თქვენ კი, ქურუმნო ქართული ცეკვისა, როდესაც ფერხულებზე საუბრობთ, ან კიდევ სცენაზე გამოსასვლელად დაიძვრებით, ხელებს ფრთებივით გაშლით, მზერა გიმძაფრდებათ და რაღაც უცნაურად იყურებით ზეციდან მიწისაკენ. მერე ჩაისუნთქავთ და საუკუნეების მიღმეთიდან ლოცვა-ფრენით იწყებთ მთელი ერის მოსასმენ ღალადისა.

როდესაც თქვენს ლოცვას ვისმენ და ფრენას ვუყურებ, ვრწმუნდები: ცეკვა ადამიანის სულის თქმაა. იგი ცისა და მიწის ერთიანობის გამოვლენის თავისებური სიმბიოზია და მისადმი მოფერების უცნაური ფორმაა, ციური სინათლით გასხივოსნებული და მიწიერი ნაყოფიერებით დახუნძლულ-გაჯერებული.

**ნოდარ თოფურია**  
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,  
მოქანდაკე

## გამოჩენი თვითოყოფალობის მარნი

მსოფლიოს ხალხთა ცეკვებიდან არცერთი ისე ზუსტად არ ასახავს ეროვნულ ხასიათს, ყოფას და რელიგიურ მრნაშს, როგორც ქართული ცეკვა.

ქართული ცეკვებში, დაწყებული ჩაცმულობიდან დამთავრებული მისი მუსიკალური თანხლებით, სხვა არაფერია, თუ არა თხრობა ქართველი ადამიანის ბუნებისა და წეს-ჩვეულების შესახებ. ჩოხა-ახალუხი, საქართველოს თითოეული კუთხისათვის დამახასიათებელია, ფერითა და თავსაბურავით გამორჩეული, ხაზს უსვამს თითოეული მათგანის კუთხურ ნიშან-თვისებებს. მთლიანობაში კი, უკანასკნელ ღირკილომდე შეკრული ახალუხი

სწორედ იმ მოწესრიგებულობას და მოჭარბებულ ღირსებას უსვამს ხაზს, რომელიც ასე შესისხლხორცებულია ქართველი კაცის ბუნებასთან, ხოლო მისი განუყოფელი ატრიბუტი ქამარ-ხანჯალი, მის რაინდულ თვისებებს ასახავს.

ცეკვების ცეცხლოვანი და რითმული აკომპანიმენტი ამ ვაჟკაცობისა და ტემპერა-მენტის ზუსტი პულსირებაა. მარტო დოლის მუდმივად მოლაპარაკე რითმი (რომელიც სამუშაოალო თვისებებითაც გამორჩევა. მ.თ.) სხვა არაფერია თუ არა ქართველი კაცის გულისცემა, რომელიც არასოდეს დუნდება.

განა რომელიმე ხალხთა ცეკვების ქალთა სამოსი არის ისეთი ჰაეროვანი, ნაზი და თბი-ლი ფერების მატარებელი, როგორიც ქართველი ქალის სამოსია?

განა ქალი მოცეკვავე – მისთვის აუცილებელი ატრიბუტით – ქალის ღირსების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტით – გრძელი, გადავარცხნილი თმით საგულდაგულოდ დამალული ჩიხტი-კოპისა თუ სხვა თავსაბურავის ქვეშ – არ მიგვანიშნებს ღვთისადმი მოწინებაზე?! განა ქართველი ქალის მანდილი არ მოგვაგონებს ღვთისმშობლის თავსაბურავს, ხოლო სამოსის სიქათქათე და ჰაეროვნება, რომელიც ვიზუალურადაც ქმნის მიწაზე გედივით ცურვის შთაბეჭდილებას, – არ არის ღვთიური?

ქალის სამოსი სრულიად წარმოაჩენს ქართველი ქალის კლდემამოსილებას, გამორჩეულ სინაზეს, სინატიფეს და ქალის, როგორც დედის და სიცოცხლის საწყისის, წმინდა სიმბოლოს განასახიერებს.

ღმერთმა დაგვილოცოს ყველა ის ადამიანი, ვისაც ძალუძს გაუძლოს თანამედროვეობის ზოგიერთ უგემოვნო შემოტევას და არ მოსწყვიტოს ფესვებს ეროვნული, ნაციონალური და გამორჩეული თვითმყოფადობის მქონე ქართული ხალხური ქორეოგრაფია.

მედეა თოხაძე  
საქართველოს დამსახურებული ექიმი

## ქართული ხავა ჩვენი ხასი!

ქართული ცეკვა არის ჩემი ხატი. ერთ ფაქტს მოგიყვებით: ათიოდე წლის წინ ვიმყოფებოდი საზღვარგარეთ ერთ-ერთ ქვეყანაში, სადაც ჩამოვიდა ნაკლებად ცნობილი ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი. პირველი მოძრაობის შესრულებაც აღმოჩნდა საკმარისი, რომ დარბაზში მყოფ ქართველებს თვალებზე ცრემლები მოგვდგომოდა. მთელმა დარბაზმა ჩვენ მოგვაქცია ყურადღება და, რაც ყველაზე გასაოცარია, ბევრმა მოგვბაძა კიდევაც. ასეთი მაგიური ძალა აქვს ქართულ ხალხურ ცეკვას, ქართულ კაბას, ჩოხასა და საერთოდ ქართველების ეროვნულ ტანთმოსილებას.

თემურ თურმანიძე  
საქართველოს ხელოვნების  
დამსახურებული მოღვაწე,  
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი,  
მხატვარი

რეზო ჭავალის ლეგ.

ქართული ხელოსნის სალელებელი



## საქართველო სისტემა... და მართვა...

ქართულ ცეკვას საროსტანა  
ასული და დოლი შვენის,  
საქართველო ცეკვა-როკვის  
სამშობლოა ძველთაძველი.  
სვანი ცეკვავს ცერზე ცერულს,  
მთიელს მთიულური შვენის  
კახნი კეკელას და მაროს  
გვირგვინი გვაქვს დიდი ერის!  
თეთრ კაბაში სამაია,  
ჩიხტიკოპი, ნაწნავები,  
კაცი ჩოხით, ბენვის ქუდით,  
მოქნეული მხარ-მკლავებით,  
ჩაქურით და ყაბალახით,  
აჭარელი სამობს, როკავს  
დოლ-გარმონის ხმები ისმის,  
სული თრთის და გული ტოკავს...  
ხორუმს რაღა შევადარო,  
განდაგანას – ცეკვას ტანით,  
გურულების ფერხულ-ფაცას  
და მებადურს ლაზისტანის.  
აფხაზური შარათინი,  
კინტოური ქალაქური,  
ოსი – სიმდით, რაჭა – სტვირით,  
ყაზბეგური, მოხეური...  
მთიულური – საოცრება,  
ცეკვა ხმლით და ცეკვა ფარით,  
ტაოელთა ძველი სამა –  
ნატიფი და საოცარი...  
ქართულ ცეკვას – სულის როკვას,  
ერგო დროის ქებათ-ქება,  
საქართველოს ფარავს ღმერთი,  
საქართველო ცერზე დგება!

თემურ თხილაიშვილი  
ქორეოგრაფი

## მაჩალე ცავილი ქორეოგრაფიის

ქორეოგრაფიას ხელოვნების უძველესობაში ტოლი არა ჰყავს. ის თავადაა ბუნება – პირველყოფილი, შეუბილწავი; დასაბამიდან ადამიანის სიხარულისა და მწუხარების პლასტიკურად გამომხატველი. ეს მარადმოქმედი სტიქიონია, რომელიც ტოტემურ ღვთაება-თა კულტით განუსაზღვრელ ენერგეტიკაში იძირება; აურნებავია მისი რელიგიური მისტერიების ვულკანის კრატერივით მოქმედი სულეთი.

უხსოვარი დროიდან ყველა ხალხის რიტუალურ-რელიგიური ცეკვები მიძღვნილი იყო შეუცნობელი ღვთაებებისადმი.

საერთოდ, ცეკვა, სიმღერა და მხატვრობა ასტრალური მსოფლმხედველობის რელიგიას ექვემდებარებოდა და მის კულტებთან იყო დაკავშირებული. ხალხთა წეს-ჩვეულებები თავისი დღესასწაულებით და რიტუალებით იმთავითვე პანტომიმურ ხელოვნებაში ვლინ-დებოდა.

ქორეოგრაფია ხომ ზეციურ ღვთაებათა, ხილული ცის, მნათობთა და ფენომენთა დანა-თესავებაა ადამიანთან. ღვთაება დედაა, მამა თავის განშტოებებთან ერთად;

„ბჟა – დიდარე ჩქიმი,  
თუთუ – მუმა ჩქიმი, –  
ხვიჩა – ხვიჩა მურიცხეფი  
და დო ჯიმა – ჩქიმი!“  
(წარმართული დროის კოლხური სიმღერა)

ასე შეიქმნა მზის, მთვარისა და ვარსკვლავების სადიდებელი საგალობლები, რომელ-თა რიტმისა და მეტაფორაზე იყო დაშენებული საკრალური დღესასწაულები, საფერხულო მისტერიები, რაც ჭარბად იყო წარმოდგენილი შუმერების, ბაბილონელების, ასურიელები-სა და კოლხელების მისტიკებსა და რელიგიებში.

მითაუამინდელია ქართული როკვა-ფერხულები. მათი (მეგრელ-ჭანთა, სვანთა) სა-წესჩვეულებო რიტუალური ცეკვები, თამაშობანი...

IV საუკუნეში (ძველი წელთაღრიცხვით) ბერძენი ისტორიკოსი ეფორე წერდა: „ქარ-თველები (თაბალ-ტქიბარენები) გატაცებულნი იყვნენ თამაშითა და სიცილით და ამას უდიდეს ბედნიერებად თვლიდნენ“. მაშასადამე: ქართული ცეკვების გენეზისი ქართული ერის წლოვანებისაა. „ფერხული“, „ფარცა“, „მხედრული“, „ხორუმი“, „ლაზური“, „ფარი-კაობა“, „განდაგანა“, „ხანჯლური“ და კიდევ მრავალი სხვა წარმართული დროის ცეკვებია.

საკულტო დანიშნულების ცეკვათა პარალელურად თანამედროვე ქართული ქორეოგრა-ფია იბადებოდა, ვითარდეოდა, იძერწებოდა, იძენდა პლასტიკას და მუსიკალურ ჟღერა-დობას.

დღეს ის ჰუმანიზმის, თავისუფლებისა და სიყვარულის პლასტიკით გამომხატველია.

## ამონებული თავის სიძლიერესა და სიახლეში

ქართულ ცეკვაზე ბევრს უთქვამს და დაუწერია, მომავალშიც ბევრს იტყვიან და დაწერენ, მაგრამ მაინც ვერ ამონურავენ სათქმელს, რადგან იგი, ისევე როგორც ქართული ხასიათი და ქართველის ნიჭი და ენერგია, მუდმივად ამოუწურავია თავის სიძველესა და სიახლეში. ქართული ცეკვა, ქართულ სიმღერასთან ერთად ბევრად მეტს ამბობს საქართველოსა და ქართველ ხალხზე, ვიდრე ეს დღემდე თქმულა და დაწერილა. ქართული ცეკვა, ქართულ სიმღერასთან ერთად მყარად ინახავს ქართულ ჯიშს და შესანიშნავად ავლენს მას.

მე დიდ იმედს მაძლევს ის, რომ ახალგაზრდები უფრო და უფრო ინტერესდებიან ქართული სიმღერითა და ქართული ცეკვით, რომ ისინი საგანგებოდ ემზადებიან ქართული სიმღერითა და ცეკვით თავის გამოსაჩენად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გარეული თუ შინაური გლობალისტები ქართველებს ვერ გადაშენებენ და ვერ გადააჯიშებენ.

კობა იმედაშვილი  
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

## ცხავი ჩემი სხრობა

ვინც ჩოხის გაფრთხილება და მანდილის პატივისცემა იცის, ვისაც ერთხელ მაინც აუღია ხელში ფარ-ხმალი და მთიულ მოტივებზე სისხლი ასდუღებია, ან ცერებზე შემოუვლია საქართველო, დამერწმუნეთ, ასეთ ახალგაზრდას პატრიოტობაში ბევრი ვერ შეედრება. მთელი ჩემი ცხოვრება ვცდილობდი ქართულ ცეკვასთან ერთად ქართული სიტყვის, ქართული ლექსის, ქართული ჰანგის, ქართული მიწის სიყვარული მესწავლებინა და ქართული სუნთქვით აღმეზარდა მომავალი თაობები.

ცეკვა, – ეს არის სიძლიერე, ეს არის თავისუფლება, იმპროვიზაცია, აზარტი, – ყველაფერი შერწყმული სამსახიობი ოსტატობასთან. ცეკვა ზოგჯერ ტკივილია, სირთულეა, ზოგჯერ მარცხია და სინანული, მაგრამ მერწმუნეთ, ვისაც ეს არ უნახავს, მას არც უცხოვრია. ცეკვა მთელი ჩემი ცხოვრებაა, სიცოცხლეა და მომავლის იმედი... უზომოდ ამაყი და ბედნიერი ვარ, როცა ჩემი აღზრდილები, უკვე დაფრთიანებულები, კარგი ადამიანები, კარგი პროფესიონალები არიან და მსოფლიოს აცნობენ ქართული ხალხური ცეკვის სურნელებას.

თენგიზ იმინაძე  
საქართველოს დამსახურებელული არტისტი,  
ღირსების ორდენის მფლობელი

## მათ ხომ მსოფლიო ბაჟოსა!

ხალხის ხასიათს საოცრად კარგად გადმოსცემს ხალხური ცეკვა და სიმღერა. სხვა ხალხების შემოქმედებას მაინდამაინც კარგად არ ვიცნობ, მაგრამ ქართველებს ჭეშმარიტად შეუძლიათ ქართული ცეკვითა და სიმღერით თავიანთი განწყობილების, გულისთქმის გადმოცემა. საოცრად ნაღვლიანია მეგრული სიმღერები, მაგრამ აბა „ჰარირა“ ნახეთ და მოისმინეთ, რამდენი იუმორი, სილადე და სიმხიარულეა მასში ჩაქსოვილი. ახლა ნებისმიერი სვანური ფერხული ნახე. გეგონება მესტიის კოშკები დამდგარან მხარდამხარ მტერთან შესაბმელად. სიმღერაც ისეთი ახლავს ცეკვას, გულს რომ ყელამდე ვაჟკაცობით აგივსებს... საოცრად მომწონს „სამაიაც“, რომელიც ცეკვაზე უმეტეს საოცრად ნაზ, ნარნარ ქალთა სალოცავ ლიტანიას მაგონებს.

ძალიან მომწონს ჩვენი ხალხურ მოცეკვავეთა ანსამბლები... ღმერთო მაპატიე, თუ ისე ვერ ვთქვი, მათ ხომ მსოფლიო გააოცეს და, ჩემი მოწონება აქ, რა მოსატანია.

ერთი სიტყვით, ქართულ ცეკვაში ქართული სული ტრიალებს და საქართველოს ისტორია იკითხება.

**რეზო ინანიშვილი  
მწერალი**

## „სანამ კახითებად ვხახვავო...“

პოეტი ოთარ ჭილაძის ლექსიდან „გამარჯვების ცეკვის ბალადა“ ასეთი სტროფი გამოვარჩიე: „ცეკვა უნდათ, ცეკვა შიათ, /რადგან ცეკვა გასმისას, /აცხრობს ცის და მიწის შუა /სისხლს ქართველი კაცისას“.

ქართველთა სისხლის დუღილი სხვა რა არის თუ არა, ამ არქაულ ხელოვნებასთან სულიერი ერთიანობა. უტყუარ სიძველეშია ქართული ცეკვის ფესვების ძალმოსილება, უხსოვარ დროიდან რომ მოაქვს ჩვენი სწრაფვა. ასე მგონია, ჩვენს ცეკვებში „ვეფხისტყაოსნის“ სანაქებო გმირების სულისკვეთება კიაფობს. თუნდაც გივი სიხარულიძის პოეტური კრიალოსანის ერთი ჩამონატეხიც რად ღირს: „...მოკრძალებაა ქალის მიმართ/ გონგადასული როკვის დროს /ქალი ვაჟისგან, ღმერთად აღქმული“.

დახ, ქალის კულტის სიდიადე ქართულმა ცეკვამაც ასახა თავისი მრავალსახოვანი პლასტიკურობით. რა თქმა უნდა, შეუდარებელია გურულ-აჭარული „ხორუმი“, ასევე „ფერხულ-ფარცა“, რომელსაც სულმნათმა გიორგი სალუქვაძემ მარადიული სახიერება დაანათლა.

სახელოვანმა ენვერ ხაბაძემ ეროვნულ ქორეოგრაფიას სატრიიალო „განდაგანა“ უსახ-სოვრა. იგი ჩვენი ხალხის საცეკვაო ჰიმნად მესახება.

ამ სატრიიალო-სახასიათო ცეკვას საოცარი გარდასახვით ასრულებდნენ ლეგენდარული ფატმან კობალაძე, თემელ მიქელაძე, იაშა ხალვაში, „ციმციმა“ – იური ცინცაძე, თოფან მელაძე, თამაზ ბეჟანიძე და თამაზ ჯახუტაშვილი.

ჩვენ ხალხს უზომოდ უყვარს წმინდას შემონახული ქართული ცეკვა. ამ სიყვარულის გამოხატულებაა ის, რომ აჭარის მთიანეთში, საკუთრივ, ჭვანის ხეობაში, ერთ-ერთ სოფელს ჰქვია „ცეკვა“.

ჰოდა, ქართულ ცეკვას თვალისწინივით პატრონობა უნდა. ჩემთვის მიუღებელია, ჩვენს ცეკვებში დღეს შემოჭრილი გაუცხოებული უსაბური მინარევები.

მხოლოდ ქართულად, მამაპაპური შემართებით უნდა ვიცეკვოთ და გავითავისოთ დიდი ჭაბუა ამირეჯიბის სიტყვები: „სანამ ქართველი ჭაბუკები და ქალიშვილები ქართულად ცეკვავენ საქართველოს გადაშენება არ უნერია“.

ალექო ინწკირველი  
საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა  
შემოქმედებითი კავშირის საპატიო წევრი,  
მეცენატი.

## ნონაზებისაცნ!

ქართული საცეკვაო ფოლკლორი ერის სულიერი მოღვაწეობიდან აღმოცენებულ დაუშრეტელ წყაროს და თვითგამოხატვის საუკეთესო ფორმას წარმოადგენს. ქართველი ხალხის მიერ შექმნილ ცეკვებში ჩვენი სამშობლოს ისტორიის გვერდები იფურცლება და იკითხება. ნახეთ აჭარა, ტაო-კლარჯეთი, აფხაზეთი, გურია, სამეგრელო, რაჭა-ლეჩეუმი, იმერეთი, ქართლ-კახეთი, მთა-თუშეთი, ფშავ-ხევსურეთი, სვანეთი... რა სიმდიდრეა, როგორი ფერთა ცვენა. ახლა თითოეული მათგანის ფოლკლორულ შედევრებს, მუსიკალურ ჰანგებს მოუსმინეთ და საცეკვაო მოძრაობებს დააკვირდით. სრული პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ ასეთ სიმდიდრეს, ასეთ ფერადოვნებას ვერსად ნახავ, ვერსად ნააწყდები და, რაკი ეს ყველაფერი ჩვენი საკუთრება და ჩვენი ისტორიაა, მას განსაკუთრებული გაფრთხილება ესაჭიროება. ჩვენ არა გვაქვს შეცდომის დაშვების უფლება, ფოლკლორული სიმდიდრისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამომჟღავნებას, მომავალი არამც და არამც არ გვაპატიებს.

ბედნიერი ვარ, რომ თანამედროვე მსოფლიო იცნობს და პატივს სცემს, უფრთიხლდება ქართულ საცეკვაო კულტურას.

ერი, რომელსაც ეცეავება და ემღერება, უკვდავია. ქართველი ყოველთვის ცეკვავდა, მაშინაც კი, როდესაც უფალმა თავისი 12 მოციქულიდან სამი ჩვენ გამოგვიგზავნა. იქნება ამიტომაცაა, ჩვენს ცეკვებში ღვთიური სული რომ გამოსჭვივის. მაგალითისათვის თუნდაც დიდებული „სამაი“ იკარებდა.

იშვიათად შეხვდებით ხელოვნების ქმნილებებში ქალისადმი პატივისცემის, მისი კეთილშობილების იმგვარ შექებასა თუ აღიარებას, როგორც ეს ქართულ ცეკვებში ვლინდება. ნახეთ ცეკვა „ქართული“ და ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში უმაღლ დარწმუნდებით. აქაც უფლის ხელი და განგების ნება იკითხება. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ საქართველოში ჯერ ნანა დედოფალი გაქრისტიანდა, მერე მეფე მირიანი და ბოლოს კი მთელი ერი ე.ი. ქალი, დედა არის წარმმართველი, გზისა და ორიენტაციის მაჩვენებელი. ეს ცოდნა ქვეცნობიერად დაილექა ქართულ ცნობიერებაში და თავისი გამოხატულება ყველაზე სრულყოფილი ესთეტიკური სახით სწორედ საცეკვაო ფოლკლორში ჰპოვა.

ერი ისტორიის გარეშე ვერ იარსებებს, იგი ვერც ხვალინდელი დღის გარეშე იარსებებს. ამიტომ უნდა ვიაზროვნოთ ისე, როგორც 21-ე საუკუნეს შეეფერება. მაგრამ უნდა ვიაროთ წინ, ანუ იმათკენ, ვინც ჩვენამდე მოიტანა ნასათუთევი, ნაფერები საოცრება – ქართული ხალხური საცეკვაო ფოლკლორი.

ოტია იოსელიანი  
მწერალი

## ქართული ცეკვა - ჩვითი ჯიში ეს სისხლი

ქართულ ცეკვას ვუყურებ – ეს მარტო აღფრთოვანება არ არის, არც მარტო სიამოვნება და აღმაფრენა, ეს ჩემი ჯიში, ჩემი სისხლია. ეს მე ვარ – ეს ჩემი ჯიშის ძახილია. როდესაც ვუყურებ ქართულ ცეკვას – ჩემს თავს ვხედავ და როდესაც ვისმენ ქართულ სიმღერას – ჩემი სუნთქვა მესმის.

ეს ის არის – რის გარეშეც ჩემი ცხოვრება წარმოუდგენელია.

ეს ჩემი შვილია... თუმცა არა – შვილზე მეტიც.

რადგან იგი თითქოს ჩემგან მომდინარეობს, ის ქართულ სიტყვაზე მეტიცაა, რომლის აღნერა მე არ შემიძლია.

ცეკვაზე ბოლომდე საუბარი რომ შეძლო, გენიოსი – შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკ-ტიონი უნდა იყო.

ერთხელ უნგრეთში გადალებაზე ვიმყოფებოდი. სუხიშვილების კონცერტს დავესწარი ყველა ცეკვაში სრულიად საქართველოს ყველა კუთხეს და მთლიანობაში საქართველოს დიდ წარსულს ვკითხულობდი. მე ვყვიროდი და მთელი დარბაზი მე შემომცეკვოდა.

ეს არის გრძნობა, რომლის აღნერა შეუძლებელია; იგი მხოლოდ უნდა განიცადო.

კახი კავსაძე  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი

## ვს საოცრება!

მე ვყოფილვარ ევროპის, აზიის, შუა აზიის, ამერიკისა და აფრიკის მრავალ ქვეყანაში, დაესწრებივარ მსოფლიოში აღიარებული ცეკვის ანსამბლების კონცერტებს, მაგრამ „სუხიშვილების“, „ერისიონის“ და „რუსთავის“ მსგავს საოცრებებს არსად შევხვედრივარ. ქართულ ცეკვებში ხომ ჩვენი ერის სული, ჩვენი კულტურა და ისტორიაა ჩაქსოვილი.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე მხედართ-მთავრებს პირდაპირ მიუთითებდნენ, ჯარის საწვრთნელ პროგრამაში შეეტანათ ქართული ცეკვების მოძრაობები, ილეთები, ილეთთა ნაერთები და კომბინაციები.

და ეს პატარა წერილი მინდა დავამთავრო ჩემი სულის ამოძახილით: „გაუმარჯოს საქართველოს საოცარ პლასტიკურ ძალას“.

ასლან კაკაბაძე  
საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა  
შემოქმედებითი კავშირის წევრი, მეცენატი

## ქართული ხეკვა ქართული ხაზის ავტომობილის

ქართული ცეკვა ქართული ანბანივით მშობლიურ წიაღში დაიბადა. ის ჩვენი მდინარეებივით მთაში, მზის სუნთქვასა და მთვარის ნათელში იღებს სათავეს და ამიტომ არის ასე მუხლმაგარი, ასე ჰაეროვანი. ის მთის წყალივით ლაღია და მოუსვენარი. ქართული ცეკვა ქართველი კაცის ავტოპორტურეტია, მან გაუძლო დროს, ისტორიას. მას არ ჰყავს ერთი ავტორი, მას თვით ხალხი ქმნიდა. ქართული ცეკვის უკვდავებაც ეგ არის, სხვა არაფერი. ქართველი კაცის არტისტიზმი, შინაგანი თავისუფლებაც სწორედ აქედან მოდის. ქართველი ქალის სილამაზე, ღვთიური კდემამოსილება ამ დროს ცას უახლოვდება.

მაგონდება ჩვენი ქვეყნის უახლოესი ტრაგიკული ისტორია, სოხუმი წამდაუწევით იბომბება... თბილისიდან ჩვენი სახელოვანი მსახიობები, მომღერლები, მოცეკვავები ჩამოვიდნენ, მათთან ერთად მოცეკვავეთა საბავშვო ანსამბლიც გვეწვია.

სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე ჩვენი პატარა გოგო-ბიჭები გამოჩენდნენ, იცით, რა მოხდა? აქამდე მტრის ჰაუბიცებით დამფრთხალი, დათრგუნული ხალხი უცებ გამოცოცხლდა. „უშიში, ვითარცა უხორცო“ შეიქმნა.

და მე მაშინ ვინატრე: ღმერთო, მოჰევარე ჩვენს ჯარისკაცებს იმდენი სილალე, როგორიც აქვთ ამ გოგო-ბიჭებს. მართალია, ის ომი ჩვენ წავაგეთ, მაგრამ მე მჯერა, ქართული ცეკვა ბევრ იმს მოგვაგებინებს ბოროტებასთან, უსამართლობასთან ბრძოლაში.

გაუმარჯოს ქართულ ცეკვას!

გენო კალანდია  
რუსთაველის პრემიის ლაურეატი,  
პოეტი

## ბესიერი, ბატონიშვილი!

ქართული ცეკვა ქართული ხალხური ლექსივით, ქართული სიმღერასავით, სიტყვასავით ძველია და ათასწლეულებგამოვლილი.

ცეკვა „ხორუმი“ ქართველ კაცთან ერთად გაჩნდა, ალბათ. მასში ჩანს ჩვენი ბედვრული ისტორია და სიცოცხლისუნარიანობაც, ქართული სულის ყივილიცა და კულტურაც!

ბევრი სარგებლობს ჩვენი ქორეოგრაფიით. ახლახან, ფაშიზმთან გამარჯვების მესამოცე წლისთავზე, ქალაქ მოსკოვში გამართულ ზეიმში, არა მარტო ჩვენი მეზობლების (სომხების, აზერბაიჯანელების...), არამედ აზის ქვეყნების ცეკვებშიც შეინიშნებოდა ჩვენებური ცეკვების კონტურები...

ეს ჩემმა არაპროფესიონალმა თვალმაც შენიშნა.

ის ადამიანები, ვინც ქართულ ქორეოგრაფიას ემსახურებიან დღეს, ჭეშმარიტი მამულიშვილები არიან. რამდენად უფასდებათ ეს, სხვა საკითხია.

დიდი მადლობა თქვენ, ბატონებო!

ზაურ კალანდია  
უურნალ „ცისკრის“ მთავარი რედაქტორი,  
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,  
მწერალი

## სანამ ახსებობს ჯარისები ცენტრი იურიდიკური საქართველო!

ქართულმა ცეკვამ აღაფრთოვანა და განაცვითრა თითქმის მთელი მსოფლიო. ქართულ ნაციონალურ სამოსელში გამოწყობილი ლამაზი ტანწერწეტა გოგონების გამოჩენა დიდ აუთოტაქს იწვევს. ისინი ისეთი პლასტიკით და შარმით მოძრაობენ, რომ მაყურებელი აღტაცებას ვერ მალავს. ქართული ცეკვა არის ქართველი ადამიანის სულიერი სამყაროს გამომჟღავნების უდიდესი საშუალება. ბეჭნიერია ქართველი, როცა ცეკვავს და მაშინაც, როდესაც ქართულ ცეკვას ადევნებს თვალს. საინტერესოა ცეკვა „ქართულის“ დროს მამაკაცის და ქალის ურთიერთობა. ცნობილია, რომ საქართველოში არის ქალის კულტი და სწორედ ყველა ქართულ ცეკვაში იგრძნობა ეს.

ქართულ ჩოხაში გამოწყობილი ვაჟკაცი არწივისებური შემართებით და რაინდული მოკრძალებით ეტრფის ლერნამივით თვალწარმტაც ასულს. ისინი საცეკვაო არენაზე ნიავივით დაპერიან, სხვადასხვა საცეკვაო ილეტებით ერთმანეთს ეპაექრებიან და სწორედ მოხდენილი ცეკვით ხიბლავენ ერთმანეთს. ამ ცეკვაში გამოსჭვივის უდიდესი ლირიზმი, ურთიერთტრფობა და თაყვანისცემა. სულ სხვაა ჩოხოსანი ლომივით ვაჟკაცების ხმლებით ხელში პაექრობა, ისინი ისეთი ტემპერამენტით და რაინდული შემართებით დაუზოგავად ებრძვიან ერთმანეთს, რომ მაყურებელზე სისხლისმლვრელი ბრძოლის შთაბეჭდილებას ტოვებენ. ვფიქრობ, ქართული ცეკვა არის ქართული გენის ყივილი. როდესაც ამ პაექრობას ვუყურებ, ვიჯერებ, რომ ამ ემოციის და ამ შემართების ქართველ რაინდებს, როგორც ისტორია ამბობს, შეეძლოთ აურაცხელ მტერზე გამარჯვება. ქართულმა ცეკვამ შორს გაუთქვა სახელი ჩვენს ქვეყანას.

კლასიკური ბალეტის ბრწყინვალე წარმომადგენელი, მსოფლიოში სახელგანთქმული ბატონი ვახტანგ ჭაბუკიანი გახლდათ ნოვატორი. მან ქართული ცეკვის წყალობით შეიტანა გმირული და რაინდული სულისკვეთება მსოფლიო საბალეტო ხელოვნებაში, რითაც აამაღლა და მნიშვნელოვანი გახადა მამაკაცის როლი.

სანამ არსებობს საქართველო, იარსებებს ქართული ცეკვა და, სანამ არსებობს ქართული ცეკვა, იარსებებს საქართველო. ამინ!

ვლადიმერ კანდელაკი  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
პროფესორი

## სანამ ეხთი კანითვების წილი ისრაცვებს, მანამ ისროსების კანითი სიცი

ახლა, როცა წლების გადასახედიდან ვუყურებ ჩემს საქმეს, ვხვდები, რომ მართლაც ლამაზი და კეთილი პროფესია ამომირჩევია. ჩემთვის ქართული ცეკვის სწავლება ერთ-გვარად წინაპრის ანდერძის ერთგულებაცაა.

ცეკვა ხომ ერთ-ერთია, რაც თანამედროვეობას უშორეს წარსულთან აკავშირებს. ყველასთვის კარგადაა ცნობილი, თუ რამხელა ისტორია აქვს ქართულ ხალხურ ცეკვას, იგი ინახავს ჩვენი ერის უძველეს ტრადიციებს წარმართული დროიდან დღემდე. ქართულმა ცეკვამ სიტყვაზე მეტად მეტყველად შეინახა ჩვენი წარსული. ყველაფერი შეიცვალა – დრო, ადამიანები, გემოვნებაც, თუმცა ამასთანავე დარჩა რაღაც მარადიულად უცვლელი – ეს არის სწორედ ქართული ცეკვა. მასში ხომ ჩვენი ისტორია და სული ჩანს.

საოცარია, მაგრამ ფაქტია: ოცდამეერთე საუკუნეშიც თანამედროვეობა ცივილური მსოფლიოს წინაშე თავს ფოლკლორით იწონებს. დღეს თუ მსოფლიო ტაშს უკრავს ქართულ ხელოვნებას, უპირველესი მათ შორის სწორედ ქართული ცეკვაა! სწორედ ქართული ცეკვაა სრულიად გამორჩეული და განუმეორებელი თავისი დამოკიდებულებით სამყაროს მარადიული ლირებულებებისადმი. ქართულ ცეკვაში არსად იგრძნობა ტრაგიზმის ინტონაცია. პირიქით, ქართული ცეკვა სიყვარულის და გამარჯვების გამომხატველია. როგორც ზემოთ ვთქვი, რაც ცეკვას ვასწავლი, თითქოს შორეული წინაპრის ანდერძს ვასრულებ – ვუნახავ თანამედროვეობას და მომავალს იმ უძველეს საგანძურს, რასაც მხოლოდ ცეკვა კი არა, ჩემი ქვეყნის ისტორიაც ჰქვია. ეს ისტორია ჩვენს თვალწინ ცოცხლდება, როცა სცენაზე „ამზეურდება ქართული გენია – როკვით განთენილი“.

ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ დღეს საქართველოში დიდი ინტერესია ქართული ხალხური ცეკვისადმი. მე რომ მკითხოთ, წარმოუდგენელიცაა ამ ერის შვილებ-მა ქართული ცეკვა არ იცოდნენ.

ის ქართველიც კი, რომელსაც არასდროს უცეკვია, სისხლით-ხორცამდე გრძნობს იმ დიდ მუხტს წინაპრებისას, რომლითაც გაუღენითილია ქართული ცეკვა. სანამ ერთი ქართველიც კი ცეკვავს, მანამ ცოცხალია ქართული სული, ჩვენი სამშობლო. ეს ნამდვილად გადაუჭარბებელი ნათევამია.

**ნუგზარ კაპანაძე**  
**საქართველოს დამსახურებული არტისტი,**  
**ლირსების ორდენის კავალერი**

## ქვეით კანითი საცვლი - კანითი კონკრეტული საბანძური

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის საგანძურში შედის ძველი ქართული ცეკვები: „ფერხული“ („ფარცათი“), „მხედრული“, „ხორუმი“, „დავლა“, „გოგმანი“, „კეჭნაობა“, „ფარიკაობა“. „ფერხისი“, „სამაია“, „როკვა“, „შუშპარი“, „სანდომი“, („ჩქარი როკვა“),

„ფუნდრუკი“, „ხუნტრუცი“, „თული“, „თამაში“, „ბუქნა“, „კოჭა“, „ბასტი“ („ფეხის ცემა“) და მრავალი სხვა.

ეს ცეკვები ერთგვარი ტრანსფორმაციით გადმოდიოდა თაობიდან თაობაზე, ბევრი რამ იხვეწებოდა, ზოგი რამ იკარგებოდა, მაგრამ არ იცვლებოდა მთავარი – ქართველი ერის ძლიერი სულის ანარეკლი...

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის, ქართველი ერის გენის, სულიერი საგანძურის ნი-მუშების სწორად გაგებისათვის კომპოზიციური აღნაგობის ასტრალური სტრუქტურების ცოდნაა საჭირო, რადგანაც ქართული ხალხური ცეკვები – ესაა ქართული ერის ისტორიაც, ქართველი ერის მორალური კოდექსიც, რომელშიც დაცული იყო საუკუნეებში ჩამოყალიბებული ცხოვრებისა და ყოფის, ადათ-ტრადიციებისა და მისწრაფებების წესები, უზენაეს ზეციურ სფეროთა განსახიერებანი, მათთან მიახლების ილუზიები.

ცეკვები: „ფერხული“, „ფარცა“, „მხედრული“, „ხორუმი“, „სამაია“, „ლაზური“, „განდა-განა“, „ქართული“, „საქორნინო“, „დავლური“, „ფარიკაობა“, „სადარბაზო“, „ჭიდაობა“, „სვანური“, „ხაჯულური“, „მწყემსური“, „მონადირული“, „ყაზბეგური“, „შეჯიბრი“, „ლელო“ ჩვენ წელთაღრიცხვამდელი ცეკვებია და განეკუთვნება წარმართულ პერიოდს. ეს ქართული უძველესი ასტრალური ცეკვები წარმოადგენს ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიულ მოდელებს, რომლებიც გენეტიკურ-ისტორიული ანალიზის მიხედვით დაკავშირებული იყვნენ ასტრალურ კულტებთან, მთვარის მოძრაობასთან, მზის მოქცევის უძველეს ქართულ-კალენდარული სისტემით დაკანონებულ დღეობებთან, პრიმიტიული რელიგიის სტადიებთან და საკულტო-რელიგიურ ტრადიციებთან.

ქართლოს კასრაძე  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
მწერალი

## ცეკვა ქართველი

- ც** ცაში დავეძებ სულმნათების უკვდავ ნაკვალევს,
- ე** ერთგულ შვილების ნუ მოშალოს ქვეყნად დიდება,
- ჰ** კარგი ილეთის დამფასებელს ღმერთი არ დალევს,
- ჲ** ვამაყობ, ნიჭი უცილობლად წარმოჩინდება.
- პ** ამობრწყინდება, ვიცი მალე ამობრწყინდება,
- ქ** ქართველთა გენი, ნაფერები მხოლოდ უფალის,
- პ** ადიდგორება, აზვირთება ისე გვჭირდება,
- რ** რომ ოცნებების გავაგზავნე ცაში უსტარი.
- თ** თერგს ყალყზე დამდგარს, არაგვს მრგვინავს, ენგურს გულზიადს,
- უ** უიმედობის არ ატყვიათ არცა მისხალი,
- ლ** ლამაზ ასულებს ვაჟყაცების გრძნობა უგრძვნიათ,
- ი** იბერთა მოდგმა რომ გრძელდება, ცეკვით მითხარი.



## „ქართული ჩოხა ცეკვის განვითარების სამოსი, ჩოხების შენ ცნობისას“

ყველა განცდის გადმოცემა შეუძლებელია. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თვით ყველაფრის განცდაა შეუძლებელი და მეორეც იმიტომ, რომ განცდის გადმოცემის სურვილმა და, მითუმეტეს, ფორმამ შეიძლება საერთოდ აღუქმადი გახადოს სხვისთვის შენი განცდილი. ამიტომ სათქმელს მოკლედ მოგახსენებთ: უფლისაგან ნიჭი და მირონცხებული, ზვარაკივით შესაწირად გამზადებული, დგას სცენაზე „ქართული გენის როკით განსაფენად“ ცად ამაღლებული, წინაპართა პატივმიმგებელი ეროვნულ სამოსს – ჩოხას უზადოდ მორგებული ქართველი მოცეკვავე და დარბაზის განაჩენს ელის.

მითხარი, ჩემო ქართული ცეკვის თავდადებულო გულშემატკივარო, შეძლებ შენ განიცადო ის, რასაც განიცდის ამ დროს მხრებზედ ამხელა ტვირთ და ვალდებულებადადებული მოცეკვავე, რომელმაც მსოფლიო აღაფრთოვანა...

და თუ შეძლებ, გფარავდეს უფალი...

ლადო კახაძე  
ექიმი

## მსოფლიო მბეძნებელი ღ ქართული ლიხსება

ქართულ ცეკვას, ქართულ სიმღერასა და ქართულ ვაზთან ერთად მტერი არასოდეს მოკლებია თითქმის მუდამ მტრებით გარემოცულ საქართველოში. ამიტომაცა იგი ასე მრავალფეროვანი, სატრიუალო ლირიკიდან საბრძოლო-მეომრულ შემართებამდე.

რამდენი ისტორიული ქარტეხილი, რამდენი უდიდესი ქორეოგრაფისა და რამდენი ვირტუოზი შემსრულებლის სული, გონება და სხეული უნდა გამოევლო ქართულ ცეკვას, რომ ქცეულიყო ქართული ეროვნული სულის ერთ-ერთ კონკრეტულ გამოვლენად, მის ცეცხლოვან, მაგრამ, იმავდროულად, რაფინირებულ, მარადიულ გამოხატულებად.

ვალერი კვარაცხელია  
ჟურნალისტი

## ზეპა - სეის ალმაფინის ნიშანი

პირველი აღტაცება, სიხარული, შეშფოთება, სიყვარული თუ სიძულვილი ადამიანმა უსიტყვილ, სულის შინაგანი კარნახით, უესტიკულაციით გამოხატა; პირველად, ალბათ, დაიხარა და მიწას აკოცა... მადლობა უთხრა შემოქმედს ამ უკიდეგანო სამყაროს ჩუქურთ-მისათვის...

არ არსებობს ბუნებაში ცოცხალი არსება, რომლის მოძრაობებსაც არ იმეორებდეს მოცეკვავე. ცეკვა, მოძრაობის, ანუ სიცოცხლის სარკეა. ცეკვა კაცობრიობის იდეალის განსახიერებაა, იდეალისა, რომელიც გულისხმობს ურთიერთშეთანხმებას, ერთიანობას, ჰარმონიას, გაგებას, თანაგრძნობას, სიყვარულს, გაბედულებას, შემართებას, იუმორის განცდას...

ერთი შეუთანხმებელი ნაბიჯი და ყველაფერი დაინგრევა, ულამაზესი როკვა ქაოსურ მანქვა-გრეხად მოგეჩვენება...

ქართული ცეკვა ქართული სულის ისტორიაა. მასში ისევე აირეკლება ყოველივე საუკეთესო, რაც ერს გააჩნია, როგორც წვეთში ოკეანის თვისებები... ვინც ქართული ცეკვის სიდიადეს იგრძნობს, ის იგრძნობს მისი წარმომშობი ხალხის სიდიადესაც.

შარლოტა კვანტალიანი  
პოეტი

## „ზეპა“ - ქართული სეის ზეობა

ცეკვა, სულხან-საბას განმარტებით „როკვა“. „როკვა“ სულის ზეობაა, სხეულის მოძრაობით გამოხატული.

„როკვა“, პოეზია, მოქნილი, რიტმული შთაგონებული მიხვრა-მოხვრით, მეტყველი.

„როკვა“ სიმღერაა, გულის შემძვრელი და გოგმან-გოგმანით განფენილი ქვეყანასა

ზედა, ვითარცა გამხელილი სიყვარული, უფლის წყალობით ყველას რომ აღანთებს, ყველას რომ აღავსებს სიცოცხლის დიდი წყურვილით, რნმენითა და მომავლის იმედით. დაილოცოს წიაღი და სარბიელი ამ ფენომენისა. ამინ!

ზინა კვერცხჩილაძე  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
პროფესორი

## ქართული ხავა - მსოფლიო ხალხის საბანძუხში

თუ სადმე მთელი მრავალფეროვნებით გამობრნყინდა ქართული სულის ცხოველმყოფელობა, ეს, უპირველეს ყოვლისა, ქართულმა ცეკვამ და სიმღერამ გამოავლინა. ისიც საყოველთაოდ ცნობილია – ხალხური ხელოვნების ეს ორი უმძლავრესი ნაკადი, თავიდანვე იყო შერწყმული და მათი დაცალკავება, განშტოება მოგვიანებით მოხდა.

არ შემიძლია, არ გავიხსენო, რომ გენიალურ მრავალხმიან, ქართულ ხალხურ ურთულეს სიმღერას – „ხასანბეგურას“ – მისი შესაძარი გასაოცარი ქმნილება, პოეტური ხილვებით გადანათებული ამავე სახელწოდების მოთხოვნა უძღვნა ქართველი ხალხის სამაყო მხატვარმა და დიდი ნიჭის მწერალმა, ხელოვნებისა და ლიტერატურის ღრმად მცოდნემ, ელგუჯა ბერძენიშვილმა. მას, როგორც ხელოვანსა და მოაზროვნეს, განსაკუთრებით იზიდავს პლასტიკა და საკუთრივ ქართული ცეკვა, გამოკვეთილ რიტმს და მორჩილებული მოძრაობას სხეულისა, ადამიანის სულის სრულყოფილებად მიაჩინა.

მარტო იმის გახსენება რად ღირს, რომ უცხოეთში მცხოვრებ, სამშობლოს დარღით გულშებოჭილ, გრიგოლ რობაქიძეს სულეთის გზა ქართული ცეკვის ქარიშხლით გაჩერილია ნაპერწკლებმა გაუნათა და თავისი გედის სიმღერა ჩვენი ხალხის დაუშრეტელი გენის ამ საოცრებას მიუძღვნა.

აქ, ალბათ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა, პროზა თუ პოეზია, „ყელამდე ვალშია ჩახრჩობილი“ სწორუპოვარი ქართული ხალხური ცეკვების წინაშე. ეს დიდებული, ეროვნული წიაღიდან ამოზრდილი ხელოვნება, კარგა ხანია, მსოფლიო კულტურის საგანძურის თვალსაჩინო კუთვნილებად იქცა, რითაც თითოეულ ჩვენგანს შეუძლია იამაყოს.

ემზარ კვიტაიშვილი  
მწერალი

## მოძრაობის ცსთანის

უნიკალურია ქართული ქორეოგრაფია. მისი ხასიათი განსაზღვრა ქართველი ხალხის ბუნებამ, მისმა ისტორიულმა თავისებურებამ. ყოველი კუთხე თავის განსხვავებულ იერს სძენდა ერთიან ეროვნულ ქორეოგრაფიულ სახიერებას. ამიტომ არის იგი ასე მრავალფეროვანი.

ქორეოგრაფია ერის მოქმედი, რიტმული პლასტიური სახვაა. ყველაზე უკეთ სწორედ რიტმი, ტემპერამენტი და პლასტიკური ხატი ავლენს მის თავისებურებას. ამ ფუნდამენტზე იყო დაფუძნებული ახმეტელის თეატრიც. მისი გენიალობა თვითმყოფად ეროვნულ თეატრალურ სახიერებებშია. მან შეძლო სიტყვა, სიმღერა და ქორეოგრაფია მოეაზრებინა როგორც ერთი მთლიანი ეროვნული ფენომენი, რომლებსაც კრავდა და აერთიანებდა რიტმში. დრამატულ მოქმედებას წარმართავდა ლამაზი, ჯანსაღი, ვნებიანი ათლეტური სხეულის მსახიობი. ახმეტელისათვის თეატრი ამაღლებული, ძლიერი ეროვნული ენერგიის გამოხატულება იყო. ეროვნული ენერგია გარდაიქმნებოდა მშვენიერ ფორმებად. მშვენიერება კი საზოგადოების საკუთრებად იქცეოდა. ამ გზით იგი უახლოვდებოდა ანტიკურ სამყაროს, სადაც სილამაზე საერთო – სახალხო კუთვნილება გახლდათ. ფოლკლორული მოტივები, რომელიც ასე უხვად არის განფენილი ქორეოგრაფიაში, სრულიად განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს. არსად ისე მკაფიოდ არ ვლინდება თვითმყოფადობა, როგორც სიმღერასა და ქორეოგრაფიაში. ეს არის სახიობის უნიკალური ფორმა. ხანდახან ასე მგონია, რომ ღმერთმა ქართველ კაცს ყელზე აკოცა, ფეხები დაულოცა, მაგრამ... მაგრამ შუბლში არ შეხედა!.. აქედან გონიერების დეფიციტი – ეგზალტირებულ, ფეთქებად ემოციასთან შედარებით. ქარიშხლიან მოძრაობაზე აგებული ცეკვები უმთავრესად ემოციური ეფექტით არის დამუხტული.

ს. ახმეტელი გულისტკივილით წერდა: „ფორმა ხომ ყველა ერისათვის ეროვნული სახეა აზრისა? მაგალითად, ცეკვები: ვალსი წარმოიშვა ვენაში და მოედო მსოფლიოს. ვალსი ხალხმა მიიღო. ხორუმს კი არავინ არ იცნობს. ჩვენ ხორუმის რიტმზე და ტემპზე, რომ ავაგოთ სპექტაკლი, მოვა მაყურებელი და იტყვის: ეს რა არისო? ვალსის რიტმზე და ტემპზე აგებულ სპექტაკლს ყველა მოიწონებს. უბრალო ცეკვამ მსოფლიო აღიარება მოიპოვა. ხორუმი კი, რომელიც მეტად რთულია, ჩაკვდა ჩვენში. ჩვენი თეატრი კი დაწყებული უნდა იქნას ხორუმიდან და არა ვალსიდან, თუ ჩვენ ხორუმი შევიტანეთ თეატრში, მისი შინაარსი და ფორმა დავიპყარით, მაშინ ეს ფორმა მიიღებს ინტერნაციონალურ სახეს. არ არსებობს არც ერთი ინტერნაციონალური ფორმა, რომელიც ერის ცხოვრებიდან არ იყო წამოსული.“

დიდი რეჟისორის ნააზრევში ნათლად იკვეთება დრამატული ქორეოგრაფიის, შინაარსის და ფორმის, ნაციონალურისა და ინტერნაციონალურის სინთეზის მნიშვნელობა.

სინთეზი კი არსებითი ფაქტორია ჰარმონიის მისაღწევად.

ჰარმონია გულისხმობს მოძრაობის, პლასტიკის და რიტმის მთლიანობას, რომელიც ყოველი მოცეკვავის იდეაა. დიდი ქორეოგრაფია მოძრავი სხეულის ესთეტიკაა!..

თანამედროვე ქართულმა ქორეოგრაფიამ გარკვეული მოდერნიზაცია განიცადა. ეს ბუნებრივიც არის, რადგან ცვლილებებს განიცდის თვით ერი. დრო მოძრაობს, მიედინება და ბევრ რამეს ცვლის, მაგრამ იმიტომ ჰქვია ქართველს ქართველი, რომ ცვლილებათა მღვრიე მორევიდან დაკრისტალებული ფორმით შემოინახოს ნამდვილი ეროვნული ფასეულობები. ნამდვილი ხელოვნება არასოდეს წყვეტის გენეტიკურ კავშირს თაობათა შორის. იგი ხიდია ამ კავშირისა.

ეს ასეა, მაგრამ არ შეიძლება ეროვნული ღირებულებებისადმი ოდნავი უყურადღებობა, რადგან მოდური გატაცებები სარეველასავით უცებ მრავლდება. ყოველგვარი სტილიზაციას მხატვრული ღირებულება უნდა ჰქონდეს. მოდერნისტული იმიტაციები სახადივითაა, მაგრამ ნაკვალევს მაინც სტოვებს... განახლება ქორეოგრაფიული ფორმე-

ბისა თვით ერის შინაგანი არსის განახლების ადეკვატური უნდა იყოს, თუ გვინდა, რომ ამას ნამდვილი ღირებულება ჰქონდეს.

ამ მხრივ ბევრი მიღწევა აქვთ ქართველ ქორეოგრაფებს.

„და იხარონ და იძლიერონ!“ (ილია)

ვასილ კიკნაძე  
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე,  
კ.მარჯანიშვილის და ს.ახმეტელის პრემიების ლაურეატი,  
ხელოვნებათმცოდნე, დოქტორი, პროფესორი

## ქართველი ქორეოგრაფის შემართვის ღია შემოქმედი თვით ქართველი ხაცემი იყო ყოველთვის

საქართველო ევროპა-აზიის გზაჯვარედინზე მოქცეული პატარა ქვეყანაა, რომელიც მუდამ განიცდიდა უცხოელ დამპყრობელთა შემოსევებს. ამას მისი გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებდა.

ქართველებს ჰქონიათ ომები, ლაშქრობები, თავგადასავლები, დღესასწაულები, ტრადიციული რიტუალები, არის უამრავი მაგალითები სამშობლოსათვის თავგანწირვისა და საგმირო საქმეებისა.

ყოველი ქართველი მიწათმოქმედიც იყო და მეომარიც.

ქართული მუსიკა და ცეკვა, ერთმანეთისაგან განუყოფლად, ყოველთვის ასახავდა ქართველი ხალხის იმურინდელ მდგომარეობას, როდესაც ეს მუსიკა და ცეკვა იქმნებოდა.

ქართულ ქორეოგრაფიას უძველესი და ისტორიული საფუძვლები აქვს და მდიდარი წარსული გააჩნია.

უამრავი მაგალითები არსებობს იმისა, თუ როგორ აღაფრთოვანებდნენ სიმღერისა და ცეკვის ქართველი ვარსკვლავები მთელ მსოფლიოს ოდითგანვე.

ძალიან დიდია ქორეოგრაფის როლი ქართული ხალხური ცეკვის განვითარებისა და გადმოცემის საქმეში. ის უნდა იყოს უდიდესი ხელოვანიც, რეჟისორიც, ისტორიკოსიც, ფსიქოლოგიც და აღმზრდელიც, რათა ცეკვის ხელოვნებას ადამიანი დააუფლოს სიჭაბუკის წლებში, ანუ მაშინ, როცა ყალიბდება ადამიანის სული და ფსიქიკა.

ქართული ქორეოგრაფიის შემქმნელი და შემოქმედი თვით ქართველი ხალხი იყო ყოველთვის. ოცდამერთე საუკუნის დასაწყისში კი, როცა მიდის გლობალიზაციის პროცესი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართველ ქორეოგრაფთა საქმიანობას, რომლებმაც უნდა მოახერხონ ერის წიაღიდან წამოსული მარადიული ღირებულებების ახალ მოთხოვნებთან მორიგება და მათი უკვდავების უზრუნველყოფა.

ემზარ კიზირია  
ნმიდა სამების საკათედრო ტაძრის  
პროექტის მთავარი ინჟინერი

## ის უცველებელი ცყარი

ჩვენ, ქართველებს, საკუთარი, თავისებური და განუმეორებელი ხელოვნება გაგვაჩნია, რომელსაც სხვა ეროვნების ხალხები ვერ მიპაძივენ. ერთ-ერთი, უპირველესად, უნიკალური, თავისთავადი და მრავალფეროვანი ქართული ხალხური ცეკვებია.

ცეკვა ქართველებისათვის სისხლში გამჯდარი, თანდაყოლილი ბუნებაა. ესაა მამაკაც-თა რაინდული შემართება და ელვისებური სისწრაფე, პლასტიკურობა, დახვეწილ მოძრაობათა ვირტუოზული, სუნთქვისშემკვრელი კასკადი და მგზნებარე ტემპერამენტი, მანდილოსანთა ღვთაებრივი სინაზე და კეთილშობილება, კდემამოსილი მშვენიერება და უზადო სინატიფე...

ქართველ მოცეკვავეთა ამ ბუნებრივმა თვისებებმა, რომლებიც სრულად გაბრწყინ-და ჩვენს ულამაზეს ცეკვებსა და ქორეოგრაფიულ კომპოზიციებში, შეძრა და მოხიბლა მსოფლიოს მილიონობით მაყურებელი და ქედი მოახრევინა ერის გამორჩეული ფენომენის-ქართული ცეკვის წინაშე.

ბედნიერი ვარ, რომ ბედმა გამიმართლა და ბავშვობიდან ვეზიარე ქართული ცეკვის ფენომენს, ვამაყობ, რომ ჩემი ახალგაზრდობის საუკეთესო 25 წელი გავატარე სუხიშვილისა და რამიშვილის ლეგენდარულ ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლში...

ქართული ცეკვებით წარმომეჩინა ჩემი ქვეყანა და მისი ძირძველი ისტორია მსოფლიოს ათეულობით ქალაქის საუკეთესო სცენაზე – აი, ყველაზე დიდი და უძვირფასესი ჯილდო ჩემს ცხოვრებაში.

მადლობა უფალს!.. მარტო ამისათვის ღირდა ჩემი არსებობა ამ ქვეყნად.

თამაზ კიკალიშვილი  
საქართველოს სახალხო არტისტი

## ქართული ცეკვის პატიონატების ცეკვის უცველებელი ცყარი

პირველი, რასაც მაშინ ვასახელებთ, როცა პატრიოტული ემოცია შემოგვიტევს და მოსვენებას გვაკარგვინებს, რითიც თავს ვიწონებთ უცხოელების წინაშე, რასაც ყველაზე მეტად აფასებენ ჩვენში – ფოლკლორი, ქართული ხალხური ცეკვა და სიმღერაა.

სოფო კილასონია  
უურნალისტი

## მან ხეთივი პონტინენტის მაყეჩებელი ლიკური

ქართულმა ეროვნულმა საცეკვაო ფოლკლორმა ხუთივე კონტინენტის მაყურებელი დაიპყრო და მოაჯადოვა. ქართულ ნაციონალურ ცეკვას მსოფლიოს მერვე საოცრება რომ უწოდეს, გასაკვირი არ არის.

ჩვენს ცეკვებში ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებაა გამოხატული, ჩვენი ხასიათი, მამა-კაცის ქალისადმი რაინდული და ფაქიზი დამოკიდებულება.

ქართულ ცეკვაში ჩანს სულის სინაზე, სიამაყე იმ ერის შვილებისა, რომლებმაც ლექსი „ვეფხისა და მოყმისა“, ვარძის ფრესკები, სვეტიცხოველი და ნიკორწმინდა შექმნეს.

საქართველოში დღეს ნადვილად არ ვუჩივით ქორეოგრაფიული ანსამბლების სიმცირეს. მთავარია, მათ შემოქმედებაში არ დაიკარგოს „ხალხურის“ მნიშვნელობა, რომელიც ჩვენ-მა წინაპრებმა დაგვიტოვეს.

ქართველობის, ქრისტიანობის, სამშობლოს სიყვარულის შენარჩუნებაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი ქართულ ცეკვას უკავია. ის ხომ მარტო ცეკვა არ არის, ის „ქართული გენიაა როკვით განვენილი“.

ნინო კირვალიძე  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
ლირსების ორდენის კავალერი

## ასეთ მოსახურები უხს სისახლიც ას კონკი

ქართული ხალხური ქორეოგრაფია ეს ის ფენომენია, რომლის მეშვეობითაც გამოც-დილებას გადმოსცემდა ქართველი კაცი თავის შთამომავლობას. სიყვარული („ქართული“), ბრძოლა სამშობლოს დასაცავად („ხორუმი“), ვაჟკაცობა და პირველობა („მხედრული“ და „შეჯიბრი“), ლოცვა უფლისა („სამაია“) – სწორედ ქართულ ცეკვაში იხსნებოდა და იწრთობოდა ქართული ხასიათი.

ყოველი ქართული ცეკვა საქართველოს სადღეგრძელოა, გულიდან ამოფრენილი მუსიკა. ყველა ცეკვაში ქართველების გული ცემს. ცეკვა „მრავალჭირვარამგამოვლილი“ ქართველის სულის მოთქმაა – ქართველის მშვიდობიანი მაჯისცემა, მისი გულისთქმაა.

ქართველი ცეკვაში თავის სამშობლოს დასტრიალებს თავზე, სწორედ რომ ცეკვაში ჩანს ქართველის ხასიათი, ტემპერამენტი – თავისი შეუდრეველობით, გამძლეობითა და სიხალისით.

ყოველი ქართული ცეკვა იმდენ მაგიურ ძალას შეიცავს, რომ შეუძლებელია მისი გავ-ლენის ქვეშ არ მოექცე. სიდარბაისლე და ლირსება ქართული ცეკვის დედაბოძია, ქარ-

თული ცეკვა რიტმთან განსაკუთრებულ კონტრაპუნქტს ქმნის და მოცეკვავეს ზომიერი, თავდაჭერილი იმპროვიზაციის საშუალებას აძლევს.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ სწორედ ქართულმა ცეკვამ გაგვაძლებინა დღემდე და ასეთ მოცეკვავე ერს სიკვდილი არ უნერია.

**დორიან კიტია**  
**საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე,**  
**სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,**  
**თბილისის საპატიო მოქალაქე**

## ქართული ხავა ჩვენი სიმაყიდე

მთელი ჩემი ცხოვრება ქართულმა ცეკვამ მოინადირა. ერთი დღეც არ ვყოფილვარ მის გარეშე. ერთად ვიარსებეთ ათეული წლების განმავლობაში. ჭირსაც ერთად ვიზიარებდით. ზემი და სიხარული უამრავი გვქონია, ერთ-ერთი მაინც ისაა, რომ პირველმა წარმოვაჩინე აჭარული სატრფიალო „განდაგანა“ პროფესიონალურ ხელოვნებაში. მადლიანი ცეკვაა იგი. ყველა ემონება მის სცენურ სიკეკლუცეს, მართლაც ფესვმაგარია და მრავალ-ფერად მოხატულ-მოკაზმული.

ქართული ცეკვა ჩვენი სიამაყეა, ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრების სისხლი სისხლ-თაგანია და ხორცი ხორცთაგანია.

**ფატმან კობალაძე**  
**საქართველოს სახალხო არტისტი**

## ლიტერატურული ცეკვები საჩუქრი

ხალხური ცეკვის ნიჭი ჩვენთვის ღვთით ნაბოძები საჩუქარია. მოცეკვავე კი ამ ნიჭის გამომხატველია, რომელიც ემოციური ცეკვით ამცნობს ქვეყანას ერის ხასიათს, ზნე-ჩვეულებას, სულიერ სიძლიერეს.

აი, ეს არის ქართული ხალხური ცეკვის ხიბლი.

**ოთარ კობერიძე**  
**საქართველოს სახალხო არტისტი,**  
**მსახიობი**

# ԵՐԵՎԱՆԻ ՊԱՇՏՈՒԿԱԿԱՆ ՍԵՐՄԱՆ

მიყვარს, როდესაც სულიერება ახსნა-განმარტების გარეშე, უსიტყვოდ მუღავნდება. პედნიერია ის ერი, ვისაც ცეკვებში შეუძლია გამოხატოს საკუთარი ეროვნული სული, თანაც ისე, როგორც მხოლოდ მას და სხვას არავის.

მერაბ კოკოჩიაშვილი  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
რუსთაველის პრემიის ლაურეატი,  
პროფესიონალი

# ԵՐԵՎԱՆԻ ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ

ერის მდიდარ ტრადიციათა ერთ-ერთ უპირველეს და მყარ საფუძველს წარმოადგენს ცეკვები, რომლებშიც ერის მთავარი მეობაა ჩაქსოვილი, წარმოდგენილი. თამამად და დიდი სიამაყის გრძნობით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ამ მხრივ განსაკუთრებით ქართველები გამოირჩევიან, რომელთა ძირითადი განმსაზღვრელი გახლავთ მისი მშობლიური ენა, ენა ქართული და მსოფლიოში განუმეორებელი ცეკვები.

## თეომურაზ კომანდი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

ქართული სული პოეტურია. ეს პოეტურობა უაღრესად მეტყველია და ყველაფერში მჟღავნდება: ლექსში თუ ჩვეულებრივ მეტყველებაში, ცეკვასა თუ სიმღერაში, ქვაზე და ხიზე ნაკვათ წიგნურობისა თუ ხალიწა-თაროვა ების თარუათოვნებაში.

ეს იმიტომ ხდება, რომ ქართული შემოქმედებითი ენერგია რომელიმე ერთ სფეროში ვერ თავსდება. იგი იღვრება როგორც მთის მდინარე გაზაფხულის წყალდიდობისას და ოპალო აირიარძეანისას, ყოვლოდოურობისა თუ ყოვლობის სიკრავის.

ბუნებრივია, რომ იგი ქართულ ცეკვაში განსაკუთრებული სიმძაფრით მუდავნდება. და, ვინაიდან უანრის კანონებით მას სიტყვიერი მეტყველება ეკრძალება, იგი მეტყველებს უძრაობითაც, ვინაიდან ყოველი მოცეკვავის დგომა ცეკვისას, პოზა, თავდაჭრის მანერა ისევე მეტყველია, როგორც ხელის გაშლა თუ ფეხის გასმა, ბუქნი თუ სხვა რამ ცეცხლოვანი ილეთი.

ქართული ცეკვა ერთგვარი იეროგლიფური ტექსტია, რომელიც იკითხება. აქ ყველაზე სიმბოლორი ენით ასმიოთ ძიმის; რაინდული შემართაბა თუ ძალური კომა.

ბრძოლის ჰეროიკა თუ სევდიანი რომანტიკა, დაოკებული ეროტიზმი თუ სიყვარულის დღესასწაული.

ქართული ცეკვა ძარღვებში სისხლის მიმოქცევის რიტმებზეა აგებული. ეს კი ერის კულტურის სიცოცხლეა უკვდავებასთან ნაზიარები.

### ვახუშტი კოტეტიშვილი მწერალი

\*\*\*

უცნაური ცეკვა „ქართული“ – წრეში ქალ-ვაჟის ტრიალი, ერთმანეთთან მიახლოება და განშორება, ერთურთისკენ ლტოლვა და ვერშეხება, ვნება და თავდაოკება, რაინდობა და კდემამოსილება, ზნეობის ზეობა და ზეიმი.

რამდენი საუკუნე უნდა გასულიყო, სანამ ველური ხტუნვა-ძუნძულის ამღვრეული ჟინი ასეთ დახვეწილ და კეთილშობილურ მოძრაობებად გარდაისახებოდა?!

### ვახტანგ კოტეტიშვილი პროფესორი

## ქართული ცეკვა სისხლი ბორბაზე

ქართული ცეკვა ყველას აოცებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე – მის საზღვრებს გარეთ, რადგან მასში ამდენი სიამაყე, გამბედაობა, სილამაზე, მოქნილობა და მოძრაობით გაცოცხლებული ქართული სულია ჩაქსოვილი.

„ქართული ცეკვა არ ისწავლება. იგი სისხლში ბორგავს და იღვრება ლექსად, სიმღერად... და სიყვარულად“.

### ბაია კოლუაშვილი პროფესორი

## ფისვია საღონავი, საღისფიჩება...

ქებათა-ქება ქართულ ცეკვას!... მართლაც, რა ნიჭმა, ხატვამ ჩამოქნა და ჩამოაგვირისტა, სად იბარტყა და საიდან მოგოგმანდა, რომელ მზეს მიანდო მარადიული სიცოცხლე...

ლოცვა და ლოცვა ქართულ ცეკვას! რა ძალა და მიზიდულობა აქვს ასეთი, ლვთიური ენით რომ გველამუნება, კერიას გვიხარებს და სულიერად გვათბობს. ჰოდა, მაინც რა არის ქართული ცეკვა?... ალბათ, ფრთაშესხმული სიკეთეა და მოქარგული სულის აღწერილობა, დაბადებიდან ჩვევად რომ მოგვყვება. მის „საპრძანებელში“ ერთთავად თავსდება მშობლიური ცისა და მიწის სიყვარული, მოყვრის და მოძმის პატივისცემა. ზნეობრიობისა და კაცითოყვარეობის ნიჭიერება.

„რომელ მზეს მიანდო მარადიული სიცოცხლე-ო“, ვთქვი. მზე უხილავი, თუნდაც ხილული შუქურა, თვით ქართულ ცეკვაშია, მის ფესვმაგარ, არქაულ ფერადოვნებაში... დიახ, საუკუნეთა სიძველეში მივყავართ ქართულ ცეკვას, უკეთ რომ ვთქვათ, ქართული ცეკვა მაშინ ამოიწვერა ცის კაბადონზე, როცა ქართველები მოევლინენ ქვეყნიერებას.

თავის დროზე სულმნათი აკაკი წერდა: „ხეს არ უჭირს რა, თუ ფესვები ჯეროვნად აქვს გადგმული ღრმად მინაში!... მართალია, შტოები იძლევიან ყვავილსა და ნაყოფს, მაგრამ თუ ფესვები არ იყოს, აღარც შტოები იქნებიან და აღარც ყვავილ-ნაყოფი“. სწორედაც ასეა, ფესვებმა გვაცოდინა, რომ ქართული ცეკვა მადლიან ქვეყანაში იშვა. მისი „აღმოშობის“ ნიადაგი ნოყიერია, თვალნარმტაცი „ყვავილთნაყოფიც“ ჩვენი ხალხის ზვიადი ნიჭიერების გამოხატვაა.... სიცოცხლისუნარიანია ქართული ცეკვა, გულთამხილავი და გონებანათელი, დრომ და ვითარებამ მნარე გამოცდათა წინაშე დააყენა, ბილიკ-სავალი ჩაუხერგა, ხელფეხი გაუბაწრა! მაგრამ ვერ იქნა და ავერ დააჩინქეს იგი..., უცხოთა მოძალეობა მაინც მოთოკა, ისევაც ამოაფერა მინავლებული ლამპარი. გაჩირალდნდა და უხვადაც მოხხატა. ის კი არა და, მნვერვალი დასჯაბნა და ცერზე აკოხტავებულმა სიამაყით დაიქუხა! – გმადლობთ, მშობელო ხალხო, ეპოქალური დიდების სალოცავს რომ მაზიარეო.

სხვაგვარად ვერც ვიტყოდი, ქართული ცეკვის ენა მდიდარია და მრავალფეროვანი, როგორც უნეტარესი ქართული ენა, ღრმად ტევადია და ყოვლის მომცველი... სხვა ჯიშისაა, სხვაფრივ უდუღს სისხლი. მინდვრის ყვავილივით მგრძნობიარეა... არადა, არაო! – გადმოიძახა ევროპის შუაგულიდან დიდქართველმა: – ეს ცეკვა ქართულია(ლეკურად წოდებული სატრაფიალ-ქართული), მას სხვა ვერ იცეკვებს, რასასა არ ეყოფაო.

„რასასა“ ქართული ერის ძალაულევი ვაჟუაცობის, გონიერების სიმბოლო-სინონიმია. იგი თამამად გვათქმევინებს, რომ „ხორუმი“ გრგვინავს სულის ძახილად“, „სამაია“ ეფერება სვეტიცხოვლის თავალერილ სვეტებს, „შინავორგილი“ მოჰქეუბს, როგორც ზვავი, თუშ-ფშავ-ხევსურნი ფარითა და ხმლით გრიგალებენ, აჭარელი კაცი კი „ქოჩახელას“. ტკბილმოვან ჰანგზე ქართული ანბანივით სახიერ განდაგანას“ აჩუქურთმებს. საფერხულო ციხე-სიმაგრე უსასრულოდ ბზრიალ-კრიალებს და სხვა საცეკვაო მაყრიონთან ერთად წარსულის ისტორიას გვიფურცლავს.... ქართველებს განუზომლად უყვართ თავისი ქმნილება, ეთაყვანებიან მისთვის ნაჯაფარ მოღვაწეებს. ცოტა როდია სახელიანი და სასიქადულო. ზოგი ლეგენდარულადაც დაგვისახავს: „სუნთქვაშეკრულ პროსპექტზე ქართული ცეკვის დედა-დედოფლის (ნინო რამიშვილი) ცხედარი გამოჩნდა, ზღვა ხალხმა ცაში ხელები აღაპყრო, დიდსა და პატარას თვალებიდან ლაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლი. ერი და ბერი ტაშს უკრავდა ცეკვის ეპოქას. ოქროს დღე-საუკუნეს... (გაზ..მერიდიანი“, 2000წ. 11 ოქტომბერი).

მართლაცდა, ოქროს დღე იყო იგი, უკეთ რომ ვთქვათ, ქართული ცეკვის სადიდებელი, ხალხის გულის ფერქვა, ფესვებისა და ყვავილთნაყოფის სულისფერება, საამაყო წარსულ-სა და მომავალს რომ აერთიანებს სამარადისოდ.

ზაურ ლაზიშვილი  
საქართველოს ხელოვნების დამსახურებული  
მოღვაწე, ლირსების ორდენის კავალერი



## ხორები

ჩუ, ნაღარის ხმა მოდის,  
თუ ეს დოლი გრიალებს?!  
ტყისპირ რაზმი გამოდის,  
ბაშლავს მოაფრიალებს.  
მოიჩრდილეს ხელი და  
ბუკსა ჰკრეს და ლელავენ:  
ვაჲ, თუ გაჩნდა მტერი და  
შემოგარენს ზვერავენ.  
ბრძოლებით გვიპოვნია, ჰკითხე  
სარფს და ციხისძირს,  
ხორუმი  
– სიმფონია  
საქართველოს  
სიფხიზლის!  
ფხიზლად!  
ფხიზლად!  
ლომური კამარისთვის წახრილან  
ფხიზლად! ფხიზლად!  
ხორუმი გრგვინავს სულის ძახილად.  
ფხიზლად! – საქართველოს



გარეშემო უვლიან  
– არავინ გადათელოს  
– აჭარა და გურია!  
– ბრძოლებით გვიპოვნია –  
ჰკითხე სარფსა და ციხისძირს,  
– ხორუმი – სიმფონია  
– საქართველოს სიფხიზლის!  
ხავერდის სავარძლიდან  
პროფესორი გაჰყურებს  
სრიალს წულა-მესტისას  
და მშობლიურ ჩაქურებს,  
ბატონი პროფესორი,  
ვგონებ, ცოტა დალლილა!  
– ფხიზლად! ფხიზლად!  
ხორუმი გრგვინავს სულის  
ძახილად  
– ბრძოლებით გვიპოვნია, –  
ჰკითხე სარფს და ციხისძირს,  
– ხორუმი – სიმფონია  
– საქართველოს სიფხიზლის!

მურმან ლებანიძე  
პოეტი

## ქართული ხელვა ხომ ჰიმი

საქართველო დიდი საცეკვაო ტრადიციების ქვეყანაა. ვეთაცვანები ჩემი ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში დღემდე წმინდად დაცული ქართული ცეკვის თვითმყოფადობას.

ქართული ცეკვა ხომ ქართული ცხოვრების ამსახველი ფენომენია და მასში მკაფიოდად გამოკვეთილი ხალხური იერი და ფორმა, სადაც ჭარბად იგრძნობა ჩვენი ხალხის ტემპერამენტი და განწყობილება.

მიყვარს აზრიანი, ცეცხლოვანი, ლაზათიანი და პენიანი ქართული ცეკვა. ის დიდი მოხდენილობით, გრაციით და ვაჟკაცური სულითაა გაუდენთილი.

მამაკაცთა ცეკვა ხომ დაუოკებელი ქარიშხალია, რომელიც ფეხსვეშ ნაპერწკლებს აპნევს. მასში შეხმატკბილებულია ლაზათიანი ილეთები და ფერთა სიკიაფე. მოცეკვავე ქალი კი მთიდან მობერილი ნიავივით ნაზი და სათნოა, დახვენილი გრაციით და სულიერი სიწმინდით გაუდენთილი.

ქართული ცეკვა პიმინა, რომელიც ანცვიფრებს მთელს მსოფლიოს. როდესაც ქართულ ცეკვას ვუცეკრ, მინდა დარბაზში ფეხზე წამოვდგე, თავი დავხარო და ხმამალლა შევძახო: „დიდი მადლობა შენ, ჩემო დიდო წინაპარო, ასეთი ფენომენის შექმნისათვის“.

ომარ ლეკვეიშვილი  
გენერალ-ლეიტენანტი

## მსოფლიო ხალხების სახათისა

საქვეყნოდ აღიარებულია, რომ ქართული ქორეოგრაფია, ჩვენი ერის სიამაყე, მსოფლიო კულტურის საკუთრებაა. ასეთ ულამაზეს ცეკვებში მკვეთრად ვლინდება ქართული ხასიათი. მართლაც, რამდენი ვაჟკაცობა და კდემამოსილებაა მათში აკუმულირებული და რადგან ქართულ ცეკვებში არის რაღაც ღვთაებრივი, რომელიც, ჩვენდა საბედნიეროდ, დადებითად გამოარჩევს მას სხვა ხალხების ცეკვებისგან, ე.ი. თითოეულ ჩვენგანშიც არის რაღაც ისეთი, რომელიც ამ მარგალიტის თანამფლობელად გვაქცევს. ჩვენში, როგორც ყველა ერში, არის ძალიან ბევრი კარგი თვისება, რომელსაც, სამწუხაროდ, ხშირად ვერ ვიყენებთ ქვეყნის სასიკეთოდ და, თუ გავითვალისწინებთ ზოგიერთი ჩვენი თანამემამულის ცხოვრების დღევანდელ წესს, უნებლიერ გებადება კითხვა: არიან კი ისინი ღირსნი იმისა, რომ მათ უწილადო ქართული ქორეოგრაფის, ქართველი ხალხის ამ სულიერი სიმდიდრის, თუნდაც უმნიშვნელო ნაწილი?!

ზურაბ ლომიძე  
თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და  
ბალეტის სახელმწიფო აკადემიური  
თეატრის გენერალური დირექტორი.

## ქართულ ხალხურ ცეკვებს მე თავდაპირველად სრულიად არაპროფესიულ ვითარება- სა და გარემოში გავეცანი. ეს იყო ჩემს მამა-პაპეულ სოფელ არბოში (გორის რაიონი).

აქ ნებისმიერ დღესასწაულზე, ზოგჯერ ქორწილის დროსაც, იმართებოდა ე.ნ. „ლხინი“, ხალხი შუა სოფელში წმ.გორგის ეკლესის წინ მოედანზე იყრიბებოდა; წრეს შეკრავდნენ და ამ წრეში დოლის აკომპონიმენტით ხალხურ ცეკვებს: „ლეკურს“, „მთიულურს“ და ზოგ-ჯერ „ოსურსაც“ ცეკვავდნენ.

1941 წელს მეფის მთავარმართებლის ყოფილ სასახლეში რუსთაველის გამზირზე გაიხ-  
სნა „პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე“. მე იყო ისტორიისა და ტურიზმის წრეებში დავიწყე  
სიარული და გავიგე, რომ აქვე იყო ქართული ცეკვის წრე. არბოში მიღებულმა გამოც-  
დილებამ სტიმული მომცა და ჩავენერე ამ წრეში, რომელსაც მაშინ ჩვენი გამოჩენილი  
მომღერალი და მოცეკვავე ჯანო ბაგრატიონი ხელმძღვანელობდა.

გუშინდელივით დამამახსოვრდა, რომ მისი მთავარი მოთხოვნა იყო, ქართული ცეკვე-  
ბის თავისებურებების და ტრადიციული თვისებების დაცვა. ხშირად გვესმოდა ხოლმე: „ყველაფერს სწორად აკეთებ, ყველა ილეთი სწორედ დაგისწავლია, მაგრამ შენი ცეკვა  
ქართული არ არის! ქართველი (კაცი თუ ქალი) ასე არ იცეკვებს!“ შემდეგ კი გვიხსნი-  
და, რომ ქართველი მამაკაცი ვაჟკაცურად, შემართებით უნდა ცეკვავდეს, „მთიულურის“  
შესრულებისას ყველაფერი უნდა ზანზარებდეს, ქალი კი – მოხდენილად, ლაზათიანად,  
ნარნარად უნდა ამოძრავებდეს მკლავებს, ნატიფად უნდა გადაადგილდებოდეს. როგორც  
დედოფალი, ისე უნდა მოძრაობდეს. მაშასადამე, ბავშვობიდანვე გვინერგავდა რწმე-  
ნას, რომ ქართული ცეკვა რაღაც სრულიად თავისებური, გამორჩეული ფენომენია და  
ილეთების ზუსტად შესრულების გარდა, მოცეკვავე – ქართველი მოცეკვავე – უნდა ავ-  
ლენდეს ღირსებას, ქართული ცხოვრების წესა და უძველეს ტრადიციას.

1984 წელი იყო. საქართველოს სანაპიროს მოადგა სახელმოხვეჭილი მეცნიერი და მოგ-  
ზაური ტიმ სევერინი, მის მიერ ძელბერძნული ხომალდების მიხედვით აგებული გემით  
„არგოთი“ (ის „არგონავტების“ მარშრუტს მოჰყვებოდა). ცხადია, მას დიდი ენთუზიაზმით  
შევხვდით. საქართველოს ბევრი კუთხე, აქაური ისტორიული ძეგლები ვაჩვენეთ და ბო-  
ლოს, სვანეთში – მესტიაში აღმოვჩნდით... გასაგებია, რომ აქ მას საზეიმოდ შეხვდნენ და  
აი, აქ მე უკვე სვანური ცეკვა ვიხილე. სვანეთში ადრეც ვყოფილვარ, მაგრამ რატომძაც  
აქაური ცეკვა არ მენახა. კიდევ ერთხელ განვცვიფრდი: რა შემართებით, სიძლიერით  
და ვაჟკაცურად ცეკვავდნენ სვანი ჭაბუკები, ხოლო ქალები აქაც წყნარად, ნაზად მოძ-  
რაობდნენ. ვუცქეროდი მოჯადოებული და რაღაც ხილვა გამიჩნდა – მათ ზურგს უკან  
გამოჩნდა უშბა, შხელდა, თეთნულდი, თითქოს იქიდან მოდიოდა რაღაც იდუმალი ძალა,  
იფრქვეოდა მადლი... მაგრამ ჩემი შთაბეჭდილება არ იყო მთავარი. როგორი განცვიფრე-  
ბული, გაოგნებული იყვნენ ტიმ სევერინი და მისი თანმხლები! ტიმ სევერინმა მითხ-  
რა: „მსოფლიო მაქვს მოვლილი და არსად ასეთი ცეკვა არ მინახავს! ეს ალბათ თქვენი  
ბუნების, თქვენი დიდებული მთების, მჩქეფარი მდინარეების გავლენით ყალიბდებოდაონ“.  
და მანაც იგივე გაიმეორა, რასაც ჯანო ბაგრატიონი გვიხსნიდა – „როგორ აღწევთ იმას,  
რომ ასეთი ძალ-ღონით სავსე, გაუტეხელი ძალის მქონე ვაჟკაცური მოცეკვავე ვაჟების  
გვერდით ასე ნაზად, ასე მოხდენილად მოძრაობენ თქვენი გოგოებიო?“

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ასეთი შეფასება ქართულ ცეკვებში ვაჟის და ქალის განსხვავებული ფუნქციის აუცილებლობისა, მე გამიგონია ქ-ნ ნინო რამიშვილისაგან: ჭეშ-მარიტი მოცეკვავე, თუ ის ვაჟია, უნდა ყოველთვის შემართებით, რაინდულად ცეკვავდეს, ხოლო თუ ის ქალია, უნდა იყოს ნაზი, კდემამოსილი, მოხდენილი, მაგრამ ორივეს მთელი ცეკვის მანძილზე უნდა სდევდეს სიამაყე და ღირსება.

და მე არაერთხელ შევსწრებივარ იმას, რა აღტაცებით ხვდებოდნენ უცხოეთში ქართული ცეკვის ამ თვისებას, ერთი შეხედვით, კარდინალურად განსხვავებულ მანერას ვაჟისა და ქალისას, მაგრამ, მეორე მხრივ, ერთიანობას და ურთიერთშეჯერებულ კავშირს. რასაკვირველია, უცხოელთა აღტაცებას იწვევდა ფეხის თითებზე დგომა და მოძრაობა, მუხლებზე დაცემა და ტრიალი, სატევრებითა და ფარებით ბრძოლის იმიტაცია, მაგრამ დარბაზები ტაშით ინგრეოდა ამ მებრძოლ ვაჟკაცებს როგორ აჩერებდა ნარნარი ქალის მიერ მათ შორის ჩაგდებული მანდილი.

მე ჩვენი ხალხური ცეკვის ამ თავისებურებებზე, საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებულ ტრადიციაზე იმიტომ გავამახვილე ყურადღება, რომ ამ უკანასკნელ ხანს, სავალალოდ და საუბედუროდ, სულ უფრო ხშირად ჩნდება ანსამბლები და ჯგუფები, სადაც ეს ძირითადი და საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე თვისება და გენერალური ხაზი ჩვენი ხალხური ცეკვისა დარღვეულია.

საბედნიეროდ, დღესაც არის ძველ ტრადიციებზე, ჭეშმარიტ ქართულ წეს-ჩვეულებებზე დამყარებული ანსამბლები (მაგალითად, „რუსთავი“ და „ერისონი“), სადაც ფაქიზად ინახავენ როგორც ქართული ცეკვის, ისე სიმღერის ეროვნულ სიწმინდეს.

**ნოდარ ლომოური  
ისტორიკოსი, პროფესორი**

## ცეკვაში ქართველის ბინაბა აშანახა ინიციატივა

ცეკვა ადამიანის სულის აქტიური საწყისის რიტმული გამოხატულებაა. ცეკვის სურვილი სიცოცხლის, სიხარულის, აღტყინების, ზეამაღლებულის განცდას ბადებს. ცეკვაში ადამიანის ეროვნული ბუნება აშკარად იგრძნობა. ქართველის ბუნებაში დაბადებისთანავე ჩაბუდებული ეს გრძნობა და ჩვენი სიმღერის მრავალხმიანობასთან, ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად, განსაკუთრებული ფერომენია. ცეკვითაც არის გამოვლენილი ქართველი ერის სვე-ბედი, ჭირთათმენის უნარი, ვაჟკაცობის, შრომის, შაირობის, ქალ-ვაჟის ტრფიალისა და გამარჯვების ზეიმისა თუ რიტუალურ-საწესჩვეულებო ხასიათი. ამიტომაც ქართულ ცეკვებში ერის ისტორია იკითხება.

ცნობილია, რომ ყველა ქანრის ქართულ ცეკვას თავისი დრამატურგია გააჩნია, რა თქმა უნდა, თავისი განვითარება და კულმინაცია. ზოგიერთი ცეკვა კი სცენური ნაწარმოები-სავით საცეკვაო ქარგით თავისებური გმირული პოემაა, დიდი გრძნობით და უინით აღვსილი ხან ორთა, ხანაც ჯგუფური პაექრობაა. ლირიული სვლებით, თავპრუდამხვევი კონტრასტებით, სატრფიალო თუ სამშობლოს სიყვარულის ლეიტმოტივებით, გამოკვეთილი ფინალური წერტილებით ქართული ქორეოგრაფია თეატრალურ ხელოვნებას უახლოვდება.

ბევრი რამით – გამომსახველობითი საშუალებებისა და ცეკვის სიუჟეტების მხრივ ქართული ქორეოგრაფია მჭიდროდ დაკავშირებულია ქართული ხალხური თეატრის საწყისებთან. „ბერიკაობასთან“, „ყეენობასთან“, „სახიობასთან“, „მუშაითობასთან“...

ჩემი ცხოვრების მანძილზე ქართული ქორეოგრაფიის მრავალი დიდოსტატი მინახავს, მოვსწრებივარ მათ სწორუპოვარ დიდებას, რომ არაფერი ვთქვა განუმეორებელ ნინო რამიშვილზე, ილიკო სუხიშვილზე, ჯანო ბაგრატიონზე, ბუხუტი დარაველიძეზე,... მათ აღზრდილ ნიჭიერ თაობაზე და ჩამოყალიბებულ შესანიშნავ ანსამბლებზე. მათი სახელები ისევე ღირსშესანიშნავია ჩემთვის, როგორც ქართული თეატრის კორიფეებისა.

გიგა ლორთქიფანიძე  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი

## სასობიობის ასახული

ქართული ცეკვა კაცობრიობის ასაკისაა. მას ორი საწყისი აქვს სულიერი და მატერიალური. შესაბამისად, ის ერის ისტორიის ამსახველია, მისი მხატვრული შემოქმედების კვინტენსეცია, რასაც დღესაც აღტაცებაში მოჰყავს მსოფლიო.

გურამ ლორთქიფანიძე  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

## საქონი ცეკვა მნიშვნელოვანი ფენომენი

ხალხური ცეკვა ქართველთა სულიერ მისწრაფებებსა ანსახიერებს. ასეული წლების მანძილზე შემოინახა ცეკვამ მისწრაფება მშვენიერების, სილამაზისადმი...

სიყვარულის სიმღერის ნარნარი „ქართულის“, გვერდით მტრის ღირსეულად დახვედრის პრძოლის უინით ანთებული მხედრული – მთიელების ნახევრად მოკრძალებული, თავისუფალი როკვა, ყველა კუთხის თავისებურება, მრავალფეროვნება და ამავე დროს საერთო, ყველა ქართულია.

ქართული ხალხური ცეკვა ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფენომენია, რომელმაც მსოფლიო ხელოვნებაში თავისი საპატიო ადგილი დაიმკვიდრა.

მარიამ ლორთქიფანიძე  
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
აკადემიკოსი

## ქართული ხელვაბი საკათო სახალხო

ცეკვა მრავალმხრივ ახასიათებს მის შემქმნელ ერს, ასახავს სოციალური ურთიერთობების თავისებურებებს. ქართული ცეკვა დემოკრატიული სულისკვეთების გამოხატულებაა, რადგან არ არსებობს ქართული ცეკვის სხვადასხვა სოციალური ფენისთვის მისადაგებული ნაირსახეობანი. ეს აზრი უფრო თვალსაჩინო იქნება თუ გავიხსენებთ, რომ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, მაღალ საზოგადობაში გავრცელებული ცეკვების ათვისებასა და შესრულებას განსაკუთრებული პირობები სჭირდება და ხალხის ფართო მასები ვერ ითავისებენ ამ ცეკვებს. საპირისპირო მდგომარეობაა ხალხურ ცეკვებთან მიმართებაში, მაღალი ფენის ნარმომადგენლები ხალხური ცეკვის შესრულებისგან თავს არ იკავებენ.

ქართული ცეკვა ხალხურია, ამ სიტყვის ფართო გაგებით, ხალხურია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ხალხმა შექმნა, არამედ იმიტომ, რომ საერთო სახალხოა, ნებისმიერ იერარქიულ საფეხურზე მყოფ ქართველს შესისხორცებული და გათავისებული აქვს იგი.

გიორგი მათიაშვილი  
გურამ თავართქეილაძის სასწავლო  
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

\*\*\*

ქართველი ბედს არ ეპუება და ბედისწერასთან ჭიდილში იგი მხიარულია. ის იცინის, მღერის, დიდებულად ცეკვავს...

მერაბ მამარდაშვილი  
ფილოსოფოსი

## ქართული ფინომენის უცდევება

ქართულმა ცეკვამ ერის ყველაზე არსებითი ნიშნები, მისი ხასიათის ბობოქარი ბუნების გამომხატველი სამკაულები საუკუნეების ქურაში გამოვლილი სახით მოიტანა ჩვენამდე. ეს ფაქტი, ერთი მხრივ იმაზე მიუთითებს, რომ ქართული ცეკვის საუკეთესო ნიმუშები მართლაც სრულად შეესატყვისება ერის ანატომიურ-ბიოლოგიურ და სულიერ კონსტიტუციას, ხოლო მეორი მხრივ იმასაც აჩვენებს, რომ მასში უკვდავების, მარადიული სიცოცხლის მაგიური კოდია ფიქსირებული და ამიტომაც სამომავლოდაც დიდი სამსახურის გამწევია.

ქართულ ქორეოგრაფთა დღევანდელი თაობა თვალისწინივით უნდა გაუფრთხილდეს აღნიშნულ სიმდიდრეს. იგი ხელუხლებელ-შეურყყვნელი სახით უნდა გადაეცეს შთამომავლობას, რომელიც მასში ეპოქისათვის დამახასიათებელ სულიერებასა და ენერგიას ჩადებს.

ნოდარ მამისაშვილი  
პროფესორი,, კომპოზიტორი

## ლიტერატურული მართვის სხეული - ჩვენი ხანა ქანიშვილი

მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის უმდიდრეს საგანძურში ქართულ ცეკვას, ისევე როგორც სიმღერას, გამორჩეული ადგილი უქირავს. ქართველი ერი დამსახურებულად ამაყობს, რომ მისი წინაპრების მიერ შექმნილი საცეკვაო ხელოვნება ერის სავიზიტო ბარათად იქცა მთელ მსოფლიოში. შეიძლება სიამაყით ითქვას, რომ არ დარჩენილა არცერთი კონტინენტი და ქვეყანა ქართულ ჯადოსნურ ცეკვას საყოველთაო აღფრთოვანება და აღტაცება არ გამოეწვიოს.

დღეს მთელი მსოფლიო ცდილობს, დაეუფლოს ქართული ცეკვის ილეთებს, მის განუმეორებელ პლასტიკას, მაგრამ მისი შესრულების ჩვენეულ სიმაღლეს ვერავინ მიაღწია. ერთი რამ უდავოა: როგორც ჩანს, ქართულ ფოლკლორში (ზეპირსიტყვირებაშიც, ცეკვა-სა და სიმღერაშიც) იმთავითვე რაღაც ისეთი გენეტიკური მუხტია ჩადებული, რომელიც ზუსტად გამოხატავს ერის მეობას, მის შინაგან ბუნებას, ხასიათს, სულიერ სიდიადესა და ამაღლებულობას, მის არტისტულ ბუნებას.

მჯერა, ერი, რომელსაც ღმერთი ასეთი დიდი მადლით დააჯილდოებს, არა თუ გაინირება, არამდედ კვლავაც დიდხანს განაცვიფრებს სამყაროს იმ საოცრებით, რომელსაც ინტელექტუალურმა ელიტამ „მსოფლიოს მერვე საოცრება“ უწოდა.

ზურაბ მანაგაძე  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

## ქანიშვილი ხანა ქანიშვილი ხასის საცილი...

ქართული ცეკვა მჭიდრო კავშირშია ჩვენი ხალხის ეროვნულ-მუსიკალურ კულტურასთან, რელიგიურ მსოფლმხედველობასთან, სტუმარ-მასპინძლობის წესთან, ბუნებრივ გარემოსთან, მეომრულ-ვაჟავაცურ სულთან.

მთისა და ბარის რეგიონების თავისებურებანი, ტრადიციები, ყოფა-ცხოვრების ნორმები მთლიანად და სრულყოფილად არის არეკლილი ქართული ცეკვის ნახაზში, ილეთთა მრავალფეროვნებასა და მუსიკალურ თანხლებაში. მთისა და ბარისთვის დამახასიათებელი საცეკვაო, ისტორიულად ჩამოყალიბებული რიტუალური მოძრაობები შესანიშნავად გამოხატავს ქართული კაცის სულიერ მდგომარეობას, მის მსოფლმხედველობას, სამყაროსადმი დამოკიდებულებას.

ჩემთვის საქართველოს ისტორია და ქართული ცეკვა ერთ დიდ მთლიანობას წარმოადგენს. ამას მინერგავდნენ და მასწავლიდნენ დიდი პედაგოგები და მსახიობები:

ვახტანგ ჭაბუკიანი, კოტე ლოლაძე, სერგო ნონიაშვილი, უორა პატარაია. ამასვე ვასავლი მე დღეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ქართულ ცეკვით დაინტერესებულ ახალ-

გაზრდებსა და პროფესიონალებს. ჩემთვის დღეს სამაგალითოა ის მოწადინება, რომელსაც აღნიშნული მიმართულებით ავლენებ ბატონები რეზო ჭანიშვილი, რევაზ ჭოხონელიძე, ფრიდონ სულაბერიძე ...

მნამს, სანამ ქართველი კაცი იარსებებს ქართული ცეკვაც იცოცხლებს.

**ნიკოლოზ მახათელი  
საქართველოს სახალხო არტისტი  
ვაშინგტონის საბალეტო დასის მხატვრული ხელმძღვანელი**

## ქართული ხელის სიცამაზე ღ მომხიბველი

ვინ არ მოუხიბლავს ქართული ცეკვის სილამაზესა და მშვენებას, ღრმა შინაარსსა და თვითმყოფადობას, უნიკალურობას და იშვიათ თავისებურებებს, ეროვნულობასა და ხალხურ კოლორიტს. წარმოუდგენელია ვინმერ ერთხელ მაინც ნახოს და სულის სილრმემდე არ მიიტანოს, არ შეიყვაროს ქართული ხალხური ცეკვები, თავისი შინაარსით, ჰაეროვნებით, გამომსახველობით, არ შეიყვაროს ეს ჭეშმარიტად ულამაზესი ტილოები სიძლიერის, რაინდობის, გმირობისა და სიდიადის.

ხალხური შემოქმედების ამ ულამაზეს სახეობას მრავალი ტრფიალი და ქომაგი ჰყავს. დღეს ბევრი ნიჭიერი და სახელოვანი პიროვნება ემსახურება მისი განვითარების, ტრადიციების დაცვის, პოპულარიზაციის საქმეს და ყოველმიზეზგარეშე ჩვენმა საოცრად ნიჭიერმა ახალგაზრდობამაც უნდა გაითავისოს, მოეფეროს და დიდი რუდუნებით უნდა ჩაებას ამ საშვილიშვილო საქმის საერთო ფერხულში.

ბედნიერი და უკვდავია ის ერი, რომლის ხალხური შემოქმედება ნებისმიერ დარგში ინარჩუნებს თვითმყოფადობას და საქვეყნო აღიარებას. ხოლო ბედნიერია ის ადამიანები, რომლებსაც განგებამ არგუნა მთელი თავისი სიცოცხლე სიყვარულით ემსახუროს ამ საქმეს, – ერის სულიერ კულტურას, ისე, როგორც ეს გააკეთეს გამოჩენილმა ქართველმა ქორეოგრაფებმა და მოცეკვავეებმა.

**კონსტანტინე მანჯგალაძე  
საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე,  
დამსახურებული პედაგოგი,  
ქორეოგრაფი**

## საქართველო ხელის ბალეტინი

... მთელი ცხოვრება ლაზათიან ქართულ ცეკვას შევნატრი, თვალი მრჩება მშვენიერი წყვილის სიჩაუქესა და სინარნარეზე, ვლოცავ იმ ადამიანებს, დღემდე რომ შემოგვინახეს „ქართული გენია როკვით განფენილი“. საქართველოს ნავთობსადენი კი არა, განუმეო-

რებელი ცეკვა-სიმღერა, ჩვენი ფოლკლორის თავისთავადობა გადაარჩენს!... დიდება მას, ვინც ამ ფოლკლორს დაჰყოფინებს!

მსოფლიოს, თითქმის, ყველა ქვეყნის დიდ გაჩახჩახებულ სცენებზე როკვით განფენილ ქართულ გენიას გაუმარჯოს!

დიდება მას, ვინც ქართულ ქორეოგრაფიას თაობებს აყვარებს!...

ვილენ მარდალეიშვილი  
საქართველოს სახელმწიფო,  
ნიკო ნიკოლაძისა და უურნალისტთა საერთაშორისო  
ფონდ „ოქროს ფრთის“ პრემიის ლაურეატი

\*\*\*

ჩვენ ვართ მშენებლები კულტურისა და, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ეროვნული კულტურისა, ხელოვნებისა. მისი სამშენებლო ენისა, მისი ნაციონალური თავისებურებებისა, ხელოვნების ყველა სფეროს გათვალისწინებით პლუს ქართული ხალხური საცეკვაო ტემპერამენტისა. ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში სამეტყველო ენის ბარიერი არ არსებობს!

კოტე მარჯანიშვილი  
რეჟისორი

\*\*\*

როგორც გრიგოლ რობაქიძემ თქვა, ვიდრე ადამიანი თავის სათქმელს ქვაში გაამჟღავნებს, ტილოზე გადაიტანს თუ სხვა ხერხს მიმართავს, ის პლასტიკის ენაზე ამეტყველდება. იგი უფრო ადვილი და ხელმისაწვდომია მისთვის. იგი გასაგებია ყველასთვის, რადგან ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში სამეტყველო ენის ბარიერი არ იქმნება.

კოტე მახარაძე  
საქართველოს სახალხო არტისტი

## სუკუ ქართველი ხასის ბავლის ბზენი

ქართული ცეკვა მხოლოდ ცეკვა როდია. მასში ქართველი კაცის ცხოვრების გავლილი გზა, სიხარული, ტკიცილი და კიდევ ბევრი სხვა განცდაა გადმოცემული, ამიტომაც ხვდებიან ქართულ ცეკვას მსოფლიოს ყველა კუთხეში ასე აღტაცებით. ქართული ცეკვა მაღალ საშემსრულებლო ხელოვნებასაც მოითხოვს და მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი უზადო შესრულებისათვის ქართული გენიც აუცილებელია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ცეკვა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავიზიტო ბარათია მთელ მსოფლიოში.

ქართული ცეკვის წინსვლის მამულიშვილურ საქმეში ათეული წლებია მუხლჩაუხერე-ლად იღვნის ჩვენი დროის შესანიშნავი ხელოვანი რეზო ჭანიშვილი. ბატონო რეზო ამ ორი ათეული წლის წინ გავიცანი კულტურისა და ხელოვნების ინსტიტუტში, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, როგორც აჭარის შვილი, მან მომძებნა და გამეცნო, მომეფერა და დამიმეგობრდა. მართალია, იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს, მაგრამ გულით მახარებს მისი დიდი წარმატებები.

მჯერა, ბატონი რეზო თავისი ქორეოგრაფიული საქმიანობით კიდევ ბევრს გააკეთებს ქართული ხელოვნების საკეთილდღეოდ.

ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე ბატონ რეზოს ამ საშურ გზაზე.

**მიხეილ მახარაძე  
პროფესორი**

## ქართული ხელი - ნიბნი, ხომალის ცნება ნაიათხოვ

ქართულ ცეკვას ანალოგი არ მოეპოვება მსოფლიოში. ის თვითმყოფადი ქართული ფენომენია, რომელსაც აღფრთოვანებაში მოყავს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა. ის არის წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო და გული დაიმშვიდო, არის ბედნიერების მწვერვალი და მწუხარების სალბუნი. ნეტავი მათ, ვინც იგი გაითავისა, ქართულად გაშალა მკლავი და „ცეკვის კაცად“ იქცა.

მეც, როგორც ქართველების უმრავლესობა, ცეკვას ადრეულ ასაკში საუკეთესო პედ-აგოგებთან ვეზიარე. ზურაბ ჯიბუტი, ანზორ გვარამაძე და ვახტანგ მელაძე იყვნენ ჩემი პედაგოგები. ისინი ნამდვილად თავისი დროის შემოქმედი და ნოვატორი პედაგოგ-ქორეოგრაფები ბრძანდებოდნენ.

შევეცადე ჩემი ოჯახის ტრადიცია გამეგრძელებინა, ჩემ შვილებსაც განეცადათ ქართული ცეკვით მინიჭებული სიამოვნება, შეეგრძნოთ მისი ხიბლი და ძალა... ამიტომ ისინი საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში, უდიდესი პროფესიონალის, ბატონ რეზო ჭანიშვილის ანსამბლში მივიყვანე.

ბატონი რეზო ნახევარ საუკუნეზე მეტია ამ კეთილშობილურ და პატრიოტულ საქმეს ემსახურება. წარსულში ვირტუოზი და ბრწყინვალე შემსრულებელი, დღეს დამსახურებულად მოიაზრება ქართული ქორეოგრაფიის კორიფეთა ჩამონათვალში.

ქართული ცეკვა იყო, არის და მუდამ დარჩება ქართული სულის, კდემამოსილების, პატივისცემის, რაინდობისა და ვაჟკაცობის, სიყვარულისა და ერთგულების, ამაღლებული ზნეობისა და მორალის მუდმივ სამჭედლოდ.

**ავთანდილ მეგრელაძე  
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

\*\*\*

ქართულ ცეკვას, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, დედა ისტორიასთან ვაიგივებ, არ არსებობს ცეკვა, რომელშიც ჩვენი წინაპრების ყოფა-ცხოვრება, ჩვენი სამშობლოს ტკივილ-



კართველი მოღვაცხელი ქართული ხელობის შინაგანი

იანი წარსული და მაინც იმედით გასხივოსნებული მომავალის რწმენა არ იყოს განივთებული... ეს არის სწორედ ის სამი ღვთაებრივი საუნჯე – მამულიც, ენაც და სარწმუნოებაც, რომელიც რიტმში, ხასიათსა და აღკაზმულობაშია გადმოცემული, ალბათ ამიტომაა, რომ ნებისმიერი საცეკვაო ნომერი თავისი დადგმის ხარისხის მიუხედავად, სისხლს გიყინავს ძარღვებში და სიამაყის გრძნობით აღგავსებს, სცენაზე ცეცხლივით ბრიალებს და ნებისმიერი ადამიანის სულში საოცარი მუხტი შეაქვს... ალბათ ამიტომაა, რომ მსოფლიო ფეხზე წამომდგარი უკრავს ტაშს ამ საოცრებას და ჩვენც, ღვთისმშობლის წილხვედრი პატარა ქვეყნის შვილებს, ჩვენი დიდი კულტურის, რწმენის, ტრადიციების შენარჩუნებისთვის ორმაგ ძალას გვმატებს...

სანამ ვცოცხლებ, მუდამ დამფასებელი ვიქნები ამ მართლაც საოცრების და იმ დიდი ქართველების, რომლებმაც ეს ყველაფერი ჩვენამდე მოიტანეს.

ჯემალ მეგრელიძე  
მედიაჯგუფი „აჭარა P.S.“-ის გენერალური  
დირექტორი და მთავარი რედაქტორი

## ბაზრინის ნაბოძები ჯიცო

... საქართველო ის ადგილია, სადაც პირველმა ევრაზიელმა მონადირული კამარა შეჰკრა. ის ადგილია, სადაც მოძიებულია ჩვენი პლანეტის უძველესი ვაზის წიპწი. ის ადგილია, სადაც მოძიებულია უძველესი ბორბალი და სადაც უძველესი მარტივი გეომეტრიული ხაზი უკვე ჩუქურთმაა...

... უძველეს ადამიანთა მიერ ღვთაებრივ მიგნებათა ნაზავმა შეგვიქმნა ცხოვრების, შრომის და ზეიმის საკუთარი წესები. ქვეყნის აღმოსავლეთის, დასავლეთის, ჩრდილოეთის და სამხრეთის განსხვავებული კუთხეების დინამიკის უინს ერთიანი ქართული მსოფლიმედველობა ჩამოუყალიბა – ქალი ნაზა და უზენაესი, მამაკაცი კი – რაინდი. მათი ერთობა მარადიული სიცოცხლეა. პლასტიკაში გადატანილი ეს რაობა ერთიანი ქართულის არსად იქცა...

... თუ თვითმყოფად ქართული ცეკვის ტემპს გავაიგივებთ ქართველთა ფიქრის სისწრაფესთან, ხოლო ქართული ცეკვის რიტმს ქართველთა ემოციურობით ავხსნით, მაშინ ვინამოთ, რომ ქორეოგრაფია ქართველთა განსაკუთრებული ანატომიური მდგომარეობაა – ისევე როგორც ქართველთა სიმღერა, პოეტური ენა და სიკეთეში ყოფნა...

... ენერგიად ქცეული ქართული ცეკვის ტემპი და რიტმი ჩვენი მამოძრავებელი ძალაა. იგი განაწყობს პოეტს, ხელოვანს, მეცნიერს, პოლიტიკოსს, მხედარსა და მშენებელს, მიზნის მისაღწევად – ეძიოს სწრაფი, თავისთავადი, განუმეორებელი ღირსეული გზა...

... შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ხომ მარადიული, კოსმიური, ქორეოგრაფიული თეატრია სიბრძნითა და პლასტიკით აკაშკაშებული – რამდენს გვავალებს იგი...

... ჩვენი არტისტული ყოფიერების ურყევი ფუძე, ქართული საცეკვაო პლასტიკა კონსერვატიულად მდგრადი და ურყევია. იგი პერიოდულად იცვლის სამოსელს, სამკაულებს, მოკაზმულობას, მაგრამ ეს მხოლოდ მოდის შესაფრი გარეგნული სახეა. მისი გრამატიკა არ იცვლება...

... ხელოვანთა ვალია, ფეხბედნიერ არქეოლოგებივით მიაკვლიონ საკუთარ ფესვებს, გააცოცხლონ და სათუთად ჩააბარონ მომავალთ...

... არისტოკრატული ქართული ქორეოგრაფია თავის ბუნებას აზიარებს მხოლოდ ცეკვის არისტოკრატებს – მხოლოდ მათ, ვინც პოეტურად, უზადოდ ცეკვავს. ჩვენ კი გვრჩება ცეკვის დაუოკებელი ინტრიგა...

... სამშობლოს დიდებულებასთან ზეასალწევად ქართველმა კაცმა ფეხისწვერებზე შედგომით ზეაიმაღლა თავი, მადლი შევწიროთ გამჩენს განსაკუთრებულად ნაბოძები ჯილდოსათვის და ყველამ ქორეოგრაფიული არტისტიზმით ვაკეთოთ ჩვენი წილხვედრი საქმე...

**გურამ მელივა  
რეჟისორი**

## ეს ჩანაცვლის საცის ბამოსახულება

ქართული ცეკვა გამოხატულებაა ჩვენი ერის რაინდული სულისა. ქართული ცეკვა რწმენაა მომავალი გამარჯვებისა, ქართველთა სტუმართმოყვარეობისა და სიყვარული სხვა ერებისა.

ქართული ცეკვა სახეა ჩვენი გენის უკვდავებისა, წარსულის, აწმყოსა და მომავლისა.

**მარინა მეტრეველი  
პროფესორი**

## ეს ცაცა ეს ცაცა ცაცა ბაჩნევი

ქართული კულტურის, ქართული სულიერების უნიკალური განძი – ქართული ცეკვა დასაბამიდან ქართველი კაცის მუდმივი თანამგზავრია. იგი, ქართულ პოლიფონიურ სიმღერასთან ერთად ადამიანთა ყოფის განუყოფელი ნაწილია. ქართულ ცეკვაში, მრავალმხრივსა და მრავალგვარში, საქართველოს ისტორია აირევლა. სწორედ ქართველი ხალხის რთული ცხოვრება, შრომა და ბრძოლა, ერთგულება სამშობლო-ქვეყნისა და საკუთარი ოჯახისადმი წარმოაჩინა ამ ფენომენა.

ჯერ კიდევ უძველეს დროს, წარმართობის ხანაში, ქართველურ ტომებში ფართოდ იყო გავრცელებული ცეკვა-სიმღერა. საბრძოლო მოქმედებაც კი საგანგებო ცეკვა-სიმღერით იწყებოდა. ეს ტრადიცია შემდეგაც გაგრძელდა. ქართველთათვის ტრაგიკულ კრწანისის ბრძოლაში (1795წ.) ერეკლე II-ის ლაშქარს ცეკვა-სიმღერით დავით მაჩაბლის დასტა უძლოდა (გავიხსენოთ ლადო ასათიანის ლექსი „ფიცხელ ომში რომ მღეროდა მაჩაბელი“).

დიდი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი საგანგებოდ მიუთითებს, რომ შემდგომად არმაზის (კერპი) თაყვანისცემისა „ჰყვიან ნადიმნი... როკვითა ფერხისათა, პირობითა სახიობითა და ძნობითა...“ განსაკუთრებული ხატოვანებით აღნიშნავს მეფე თამარის პირველი ისტორიკოსი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს, ავტორი რომ დიდი მეფის კარზე იყო, „სიმრავლენი სახიობათანი“. „სახიობა“, ცხადია, პირველ რიგში, ცეკვის კარზე იყო, „სიმრავლენი სახიობათანი“.

ვა-სიმღერას გულისხმობდა. ქართული ცეკვის მრავალფეროვნებას განაპირობებს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებთა თავისებურება. სწორედ ეს ხასიათი ჩანს ხალხურ შემოქმედებაში. ვფიქრობთ, ნიშანდობლივია, რომ ივანე ჯავახიშვილმა ერთ ზაფხულს საგანგებოდ წაიყვანა ქართლში ზაქარია ფალიაშვილი. აქ კომპოზიტორმა მოისმინა და ფონოგრაფზე ჩაიწერა ხალხური სიმღერები. ზაქარია ფალიაშვილს ქართლის სხვა სოფლებიც მოუნახულებია, სადაც ჩაუწერია „აბესალომ და ეთერის ლეკური“, რომელსაც ივანე ჯავახიშვილის წვლილის აღსანიშნავად, „ივანეს ლეკურს ეძახდა“.

ქართულმა უნატიფესმა და ულამაზესმა ცეკვამ სრულყოფილად წარმოაჩინა ქართული კაცის მაღალი სულიერება, დიდი სიბრძნე და ფართო ნიჭიერება. იგი ქვეყნის ხელოვნების ჭეშმარიტი განძია და მტკიცედ დაიმკვიდრა თავისი ადგილი მსოფლიოს საგანძურში. სწორედ ქართული ცეკვა და სიმღერაა მარადიული სიცოცხლის გარანტი და უძველესი ლირსეული ტრადიციების მქონე ქართული ერის უკვდავებას განაპირობებს.

### როინ მეტრეველი აკადემიკოსი

P.S. მადლობა პატონ რეზო ჭანიშვილს ამ წიგნის შექმნისა და მასზე ზრუნვისათვის.

## ქოჩობების წიგნის მაბიუჩი ქალი

ახლაც ყურში მესმის დედაჩემის ნამღერი სვანური „ნანა“. ბევრჯერ მიფიქრია, რამ გადაარჩინა მეთქი საქართველო ამდენ ომსა და უბედურებაში, და ყოველთვის ერთ დასკვნამდე მივდიოდი: ჩვენი ერი, ჩვენი ლირსეული ხალხი თანამედროვეობამდე ჩვენმა გენიალურმა ფოლკლორმა მოიყვანა, იმ კონსერვატულმა ტრადიციებმა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში დუღაბდებოდა ხალხური სიბრძნის სამჭედლოში.

მდიდარი ტრადიციების ქვეყანას მდიდარი ფოლკლორი, ანუ საოცარი ჰანგი და განუმეორებელი როკვა აქვს. ჩემი კუთხე და მისი ცხოვრებაც ხომ ხალხური სიბრძნის აკვანია. გადიოდა წლები და ფართოვდებოდა ჩემი ცნობიერება. მასთან ერთად ლვივდებოდა ჩემში ის ცეცხლი, რომელიც ჯერ კიდევ ლვთიურმა ამირანმა დაანთო უხსოვარ დროში, ყოველი ჩემი სულიერი განცდებით ნამღერი ფრაზა და ყოველი გადადგმული ნაბიჯი ჩემში მისტიურ განცდებს იწვევდა და სულ უფრო უუხლოვდებოდი ხელოვნების მაგიურ ძალას.

აკი მოგახსენეთ, ჩემი ლტოლვა ხელოვნებისაკენ დედაჩემის ნამღერი სვანური „ნანათი“ დაიწყო მეთქი და გადავწყვიტე ჩემი სიცოცხლეც ხელოვნებისათვის ზვარაკად შემეწირა, თუკი ამ შესანირს ხელოვნების ღმერთი მიიღებდა. სიჭაბუკიდან ვეუფლებოდი სვანური სიმღერის ზღაპრულ ფენომენს. რაც მეტს ვიძენდი, მეტი მინდოდა. ნათელი გახდა, რომ თითოეული სიმღერა გააზრებული ქმნილება და საცეკვაო საფერხულო ნიმუშები-სგან განუყოფელი იყო. მე არ ვიცნობდი დღემდე არსებული ცეკვის ჩაწერის სისტემებს, პირობით ნიშნებს და იძულებული ვიყავი ჩემთვის გასარკვევი პირობითი ნიშნები გამომეგონა და იმით მეხელმძღვანელა. ჩემმა დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ ყოველ საფ-

ერხულო იღეთს თუ სხეულის ნებისმიერ მოძრაობას თავისი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. მივიწყებული ფრაგმენტებით ვცდილობდი სრულყოფილი სახე მიმეცა იმ ფერ-ხულებისათვის, რომლებიც ჩემი სულიერი განცდების დასაქმაყოფილებლად მოსვენებას არ მაძლევდა. უამრავი წინააღმდეგობა მხვდებოდა გზადაგზა, მაგრამ თითოეულის გადა-ლახვა განუმეორებელ სიამოვნებას მანიჭებდა. ცოტ-ცოტაობით ნაგროვები მასალები „შეუმჩნევლად“ 33 ფერხულამდე ავიდა. მათ შორისაა: „მგზავრული ფერხული-ცერუ-ლით“, „ლაგუშელა-ფერხულით“, „როსტომ ჭაბუკ“, „დალა კოჯა ხელდვაჟალეს“ უცნობი ვარიანტი და სხვა მრავალი.

1961 წელს, რაიონის ხელმძღვანელობის დაუინებული თხოვნით, მუშაობა დავიწყე ლენტების კულტურის სახლში, სადაც კარგი პირობები მქონდა სამუშაოდ. ბუნებრივია, მაშინვე დავიწყე ფიქრი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის შექმნაზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცეოდა სვანური ფოლკლორის სრულყოფილად აღდგენა-და-მუშავებას. და, აპა, პირველი სერიოზული წარმატებაც. 1962 წელს ჩემი ინიციატივით საქართველოს რადიომ ჩაინირა ანსამბლის მიერ შესრულებული სიმღერები: „ადრეკილა“, „ზარი“, „კვირია“ და სხვა. სულ 11 წარმოები.

1966 წელია. დგება ჩემს ცხოვრებაში განსაკუთრებული მომენტი. იმართება რესპუბლიკური ოლიმპიადა-დათვალიერება. ჩემმა ანსამბლმა პირველი სერიოზული გამოცდა უნდა ჩააბაროს. ოლიმპიადა კარზეა მომდგარი და მატულობს ჩვენი ვნებათა ღელვაც. ვერ აგიხსნით იმ განცდას, რაც ამ დროს გამაჩნდა, რადგან არაფრისგან დაზღვეული არა ხარ, მაგრამ შეუვალია სვანის ბუნება, გინდაც ის იყოს ახალგაზრდა. რესპუბლიკურმა ოლიმპიადამ დიდი წარმატებით ჩაიარა.

მეორე დიდი აღიარება იყო მოსკოვში საკავშირო ფესტივალში მონაწილეობა, რასაც ჯილდოსთან ერთად საკავშირო კულტურის სამინისტროს მადლობის წერილიც მოჰყვა. მკრეხელობაში ნუ ჩამომართმევთ თუ ვიტყვი, რომ წარმატებები შემდგომ წლებშიც ნორმად იქცა. კვლავ ოლიმპიადები, კონკურსები და კვლავ აღიარება, დიდი სტატია გაზეთში და ფოტო-სურათები. შემდეგი კომენტარით: „თბილისში მხატვრული შემოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე, რომელშიც საქართველოს ყველა რეგიონი და დედაქალაქის კოლექტივები ღებულობდა მონაწილეობას, წარმატებით გამოვიდა ლენტების რაიონი. წარგზავნილება მეტუთე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე სვანური შემართებით საერთო მოწონება დაიმსახურეს. კოლექტივს დიდი წარმატებისათვის უიურიმ პირველი ადგილი მიაკუთვნა, ხოლო მისი მონაწილეები დააჯილდოვა ოქროს მედლებითა და პირველი ხარისხის დიპლომებით“.

ერთხელ იაპონიიდან მომღერალთა გუნდი სტუმრობდა საქართველოს. მათი მოგზაურობის დასკვნითი ნაწილი წყალტუბობში იმართებოდა. მათ მიერ შესრულებულმა ქართულმა სიმღერებმა ყველა გაგვაოცა. ისინი ხომ ჩვენს საგანძურს, ქართულ ჰანგს დიდი ოსტატობითა და ჰანგოვანი შემართებით ასრულებდნენ.

თურმე, რა ხანმოკლე ყოფილა წუთისოფელი. მთელი ცხოვრება სვანური ფოლკლორის კვლევა-ძიებას მივუძღვენი, მაგრამ, ვფიქრობ, ბევრია კიდევ ფარდააუხდელი, გამოსაკვლევი, მოსაძიებელი და სამზეოზე გამოსატანი; თითოეული კუთხის მაჯისცემა ხომ ასე აძლიერებს მთლიანი საქართველოს გულის ფერქვას. გავა დრო, ჩვენ აღარ ვიქნებით, ჩვენი ფოლკლორი კი მუდამ გააოცებს მსოფლიოს. ფოლკლორი რომლის ერთ-ერთი ძირითადი შენაკადი სვანური ფოლკლორიც არის.

მე არ ვფიქრობ, რომ ცოტა ვიცხოვრე. არ ვფიქრობ, რომ ჩემი შესაძლებლობის მაქსიმუმი გავაკეთე, მაგრამ იმას კი ხმამაღლა ვიტყვი, რომ სვანური ფოლკლორის შემდგომი განვითარებისათვის, ისევე როგორც სრულიად საქართველოს ფოლკლორისათვის, თავი არ დამიზოგავს და დარწმუნებული ვარ, ათჯერ რომ დავბადებულიყავი, ათჯერვე იგივეს გავაკეთებდი, რაც დღემდე მიკეთებია.

ჯოკია მეშველიანი  
საქართველოს სახალხო არტისტი

## წარმომადგენი მონაცენები

ქართული ცეკვა ეს არის კაცობრიობის მონაპოვარი, რომელმაც დროთა განმავლობაში კლასიკური სახე მიიღო. მე თვითონ ქორეოგრაფიასთან შეხება არ მქონია, მაგრამ ვთვლი, რომ ეს ის ფენომენია, სადაც თვალნათლივ იკითხება (ქართული ხალხური ცეკვა მაქს მხედველობაში) ჩვენი რაობა. ცეკვებში ყველაზე მეტად ჩანს ქართული წესი და ტრადიცია, ქართველი კაცის ტემპერამენტი. თუ დავაკვირდებით, შესამჩნევი გახდება ჩვენი წინაპრების ფილოსოფიური აზროვნება, რომელიც პლასტიკის, ცეკვის ენითაა გაცხადებული.

ოთარ მელვინეთუხუცესი  
რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,  
საქართველოს სახალხო არტისტი, მსახიობი

## ქართული ფოლკლორი ქოჩობების უფლებაზე მომსახულეობის განვითარების გარემონა

აღიარება იმისა, რომ ცეკვა არის სხეულის მოძრაობა და მდგომარეობა, რომელიც რიტ-მით და მუსიკის თანხლებით ქმნის მხატვრულ სახეს, ვფიქრობ, რომ ძალიან „დარიბული“ განმარტებაა საცეკვაო ხელოვნებისა, უფრო ზუსტად კი, ფოლკლორული ქორეოგრაფიის დახასიათებისა.

მიმაჩნია, რომ სხეულის პლასტიკა, სტატიკა და დინამიკა, იმპროვიზებული რიტმით, მუსიკითა და ვოკალითაც კი, ბოლომდე სრულქმნილი მაინც არ არის და მართლაც მხოლოდ მხატვრულ სახედ რჩება მანამ, სანამ ცეკვაში, როგორც ფენომენში, მისი მამოძრავებელი, ეროვნული სულისა და ხასიათის ენერგეტიკა არ გამოასხივებს. სწორედ ამ მდგომარეობაში ხალხური ცეკვა ხელოვნებაზე მეტია და მხატვრული ნარმოსახვაა ერის გენეტიკური კოდისა.

დავფიქრდეთ, იქნებ ეს არის ახსნა იმისა, რომ მხოლოდ ქართველს ან მის მონათესავეს და მხოლოდ საქართველოს მიწა-წყალზე შეუძლია იმ სისრულით და ინტენსივობით შეითვისოს ჩვენი ცეკვების ფორმები და შინაარსი, რომლებიც მთლიანობაში განაპირობებენ ქართული ცეკვის სტიქით, ექსტაზის არეალის შექმნის მიღწევადობას.

ასეთი დამოკიდებულება ქართული ფოლკლორული ქორეოგრაფიის მიმართ ჯერ კიდევ ბათუმიდან – ბავშვობის წლებიდან გამარინა, როდესაც საქართველოს ულამაზესი მხარის, აჭარის „იდენტიფიკაციის შიფრი“ აჭარულ ცეკვაში „ამოვიკითხე“, რაშიც აღბათ დიდი წვლილი ჩემს მასწავლებელს, დიდ ქორეოგრაფს – ენვერ ხაბაძეს მიუძღვოდა.

მას შემდეგ ბევრმა წელმა განვლო, და, სრულიად შემთხვევით, მოსკოვში, სასტუმრო „ინტერკონტინენტალში“, თითქმის უმნიშვნელო შემთხვევამ დამარწმუნა, რომ ჩემს ემოციებს რეალური განზომილებები გააჩნდა.

დაძაბული სამუშაო დღის ბოლოს, სასტუმროს ბიზნეს-კლუბში, მყუდრო ადგილას, მარტო ვიჯექი მაგიდასთან. შევნიშნე, რომ საცეკვაო არენასთან ახლოს ისხდნენ ქართველ მოცეკვავეთა ელიტის წარმომადგენლები – „სუხიშვილები“. მათთან ერთად იყო ქართული ცეკვის „პატრიარქი“ – თვით ბატონი ილიკო სუხიშვილი. დროდადრო ახალგაზრდა „სუხიშვილები“ რესტორანში ცეკვისთვის დამახასიათებელი აღტყინებითა და ტემპერამენტით, ილეთების სრული სპექტრის ენერგიული დემონსტრირებით წარმოაჩენდნენ თავიანთ ოსტატობას. მოულოდნელად „დიდმა სუხიშვილმა“ მოწინებით, სრულიად ახალგაზრდა ქალბატონი გამოიწვია და დაიწყო ცეკვა. ბატონმა ილიკომ, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, დახვეწილი მოძრაობით, სულ რამდენიმე სახასიათო, ემოციურ და მხატვრულ შტრიხს გაუსვა ხაზი, რითაც ახალგაზრდებთან შედარებით აღბათ ასჯერ ნაკლები ფიზიკური ენერგია დახარჯა და ასჯერ მეტი „ემოციის ენერგეტიკული ველი“ შექმნა.

ბუნებრივია, რომ ქართული ფოლკლორული ქორეოგრაფია, როგორც პროცესი ხალხური ცეკვის შემქმნისა, განვითარებადია და სიახლეებზეა ორიენტირებული, მაგრამ ამ პროცესში მთავარია, რომ ქართულ ცეკვაში უცხო ანალოგიების მექანიკურად შემოტანა კი არ მოხდეს, არამედ განხორციელდეს შერწყმა ქართულ ცეკვასთან მათი „გადმოქართულებით“, რომელიც რთული და ინერციული პროცესია, რადგანაც მას ხანგრძლივი შემეცნების ლოგიკა განსაზღვრავს. სხვა შემთხვევაში იქნება მხოლოდ წამიერი, შემოქმედებისათვის არასახასიათო აფეთქება, თუნდაც მომხიბელები და წარმატების სწრაფად მიღწევადი გამოსვლებით, ნაცვლად ქართულ ფოლკლორულ ხელოვნებაში შემოქმედებითი წვის მდგრადი და მუდმივი პროცესის შენარჩუნებისა, რომელიც ტრადიციებზე დაფუძნებით, განვითარების პროგრესის წინაპირობაა.

ამდენად, დაუშვებელია, რომ ქართულ ფოლკლორულ ქორეოგრაფიაში, ცეკვის საკონცერტო ხელოვნების პრაგმატული და კომერციული ინტერესები წინ უსწრებდეს უშუალოდ ეროვნული საცეკვაო ხელოვნების განვითარების კანონზომიერ და ისტორიულ მოთხოვნებს, რომლებიც განაპირობებენ მსოფლიო ცივილიზაციის წინაშე ჩვენი ფოლკლორული ქორეოგრაფიის საქვეყნო მისიას – ქართველთა განსაკუთრებული თვითმყოფადობით წარმოჩენას.

ელგუჯა მექმარიაშვილი  
სამხედრო მეცნიერებათა და ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, გენერალ-მაიორი,  
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი  
პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის  
გენერალური კონსტრუქტორი

## ქართული ცეკვა - ფასლულებები სახაც

ქართული ცეკვა უკიდურესად სპეციფიკური და ორიგინალური ხასიათის მოვლენაა. იგი ჩვენი ერის სულიერ არსს გასაოცარი სიზუსტით ასახავს. ქართულ ქორეოგრაფიაში გასხვაულდა ჩვენი ხალხის ჰეროიკული წარსულის მთელი ეპოქეა. ეს არის ეგზოტიკური ტემპერამენტით გაჯერებული ხელოვნება, რომელიც ოდითგან ქართველთათვის ნიშან-დობლივ თვითმყოფადობასთან იყო ასოცირებული. ქართულმა ფოლკლორმა შეძლო უპი-რობოდ დაემკვიდრებინა შესაფერი ადგილი მსოფლიო ფოლკლორული საგანძურის ავან-გარდში. შეუძლებელია ცერებზე შემართული ვაჟებისა და ნაზად მონარნარე გოგონების ცქერამ გულგრილი დატოვოს მათი შემყურე ადამიანები. სრულიად განსხვავებულ სანა-ხაობას ძალიან ღრმა ემოციების გამოწვევა შეუძლია. მრავალწახნაგოვან შემოქმედებას შეუძლია ერთმანეთის მიყოლებით აღძრას როგორც მხიარული, ასევე მელანქოლიური, როგორც საპრძოლო, ისე სასიყვარულო და რომანტიკული განწყობა. შეუძლებელია ქარ-თველ კაცს განუსაზღვრელი სიამაყის განცდა არ დაგეუფლოს, როგორც კი გაიხსენებ, თუ რაოდენ დიდი და ფასდაუდებელი საუნჯის მფლობელი ხარ.

**არჩილ მინდიაშვილი  
ნმიდა სამების საკათედრო ტაძრის პროექტის  
მთავარი არქიტექტორი**

\*\*\*

ქართული ხალხური ხელოვნება, კერძოდ, ქორეოგრაფია, უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს. ადამიანის განვითარების ყოველ ეტაპზე ქორეოგრაფია თავისი საცეკვაო მოძ-რაობებით მიესადაგებოდა იმ პერიოდის ყოფა-ცხოვრებას, ჭირ-ვარამს, საომარ თუ მეტ-ნაკლებად დალხენილ ცხოვრებას.

თუ შეეცდები, ღრმად ჩასწვდე ქართული ხალხური ცეკვის დინებებს, აუცილებლად მიხვალ დასკვნამდე, რომ ჩვენი ეროვნული ცეკვები შექმნილია ღმერთის მიერ. ქართული ცეკვა კოსმიურია, ზებუნებრივია და მაგიური ძალა გააჩნია.

განადგურდნენ იმპერიები – ჩვენ ვართ!

გადაჯიშდნენ დიდი და მცირე ერები – ჩვენ ვართ!

დაინგრნენ სახელმწიფოები – ჩვენ ვართ!

ვიქენებით, სანამ საქართველოში ცეკვავენ ქართულად, მხოლოდ ქართულად!

**ოთარ მიქელაძე  
აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო  
ანსამბლის დირექტორი  
ბათუმის საპატიო მოქალაქე**

**გოგი ჩაჩავა  
ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი  
ბათუმის საპატიო მოქალაქე**

## ლამაზი, ლალი სანახაობა

ყოველ ხალხს საკუთარი საცეკვაო ტრადიციები, საკუთარი ქორეოგრაფიული ენა, გამომსახველობის ხერხები გააჩნია. ცეკვის განვითარების ისტორიულმა პროცესმა ჩამოაყალიბა მისი ძირითადი სახეობა – ხალხური ცეკვა, რომელიც ხალხური შემოქმედების ერთ-ერთი უძველესი ფორმაა და მოითხოვს ღრმა მეცნიერულ კვლევას.

უძველესი ქართული ცეკვები, ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში, აღიარებული იყო უცხოელთაგან, როგორც ლამაზი, ლალი სანახაობა.

ქართულ ხალხურ ცეკვებში საქართველოს ისტორია იკითხება. საუკუნეების განმავლობაში ქართველ ხალხს უამრავი ბრძოლა გადაუტანია, მრავალჯერ უგემია გამარჯვების სიტკბო და დამარცხების სიმწარეც განუდია, მაგრამ არასოდეს ქედი არ მოუხრია, სულიერად არ დაცემულა. როცა კი მტერს უკუაქცევდა, ხალხი ხმალს ქარქაშში აგებდა, გუთანს კიდებდა ხელს და შრომას ადიდებდა. მათ სულიერ სიმტკიცეს ხალხური ცეკვები აძლიერებდა.

სწორედ ხალხური ცეკვები იყო ის დიდი ეროვნული ფენომენი, რომელშიც გამოსჭვიოდა მებრძოლი სულისკვეთება, გმირობა და სიმამაცე. ამის მაგალითებია: ცეკვები „ხორუმი“, „ფარიკაობა“, ორ ან სამ სართულიანი „ფერხული“ და მრავალი სხვა.

ქართული ხალხური ცეკვა ხომ მოძრაობითა და პლასტიკით გამოხატული სატრფიალო პოემაა, რომელიც გადმოცემულია კეთილშობილური გრძნობები, კერძოდ, ქალისადმი მოქრძალებული დამოკიდებულება, სადაც მამაკაცის ბუნებრივ ატლეტიზმს ერწყმის სიკელუცე და სინარნარე მანდილოსნისა, რომელიც გედივით დაცურავს სცენაზე. თუ მგოსნები ამ ტრფიალს ჰიმნს უმღერიან, მუსიკოსები კი მელოდიური ჰანგებით მას გუნდრუეს უკმერენ, „ქართულის“ მოცეკვავენი პლასტიკური მოძრაობით გამოხატავენ ამას, რომლის ენაც, ჩემი აზრით, უფრო მეტყველი და მრავლისმთქმელია.

ჩვენ, ქართველებს, ხომ განსხვავებული კულტურა გვაქვს და სწორედ ქართველი მოცეკვავეების დიდი ოსტატობა იმაში გამოიხატება, რომ თავიანთ ცეკვებში ისინი იცავენ ეროვნულ საუნჯეს, რაც მსოფლიო ცივილური სამყაროს უდიდესი განძია.

ხალხური ცეკვების ანსამბლების რეპერტუარში შეტანილია ისეთი ცეკვები, რომლებიც განსაზღვრავენ ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიულ კულტურას, ეთნოგრაფიულ და ისტორიულ ფასეულობას, ანსამბლების ხელმძღვანელობამ, ბალეტიზირებულ-თეატრალური გადაწყვეტით, ხალხური ცეკვები აიყვანეს მსოფლიო მასშტაბის უმაღლესი რანგის ხელოვნებამდე.

მე თავად ვარ იმის მოწმე, თუ როგორ ახლებურად დაიდგა ცეკვები: „ქართული“, „აჭარული“, „ხევსურული“. ეს მობზრიალე, საოცარი მოცეკვავეები სახიფათო ნახტომებით უშიშრად მიდიან რისკზე, ისინი თავპრუდამხვევი სისწრაფით ერკინებიან ერთმანეთს, ნაპერნკლების კორიანტელში ტრიალებენ მუხლებზე და თანაც ისეთი სისწრაფით, რომ მაყურებელს გულისძგერა უჩერდება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ქართველ მოცეკვავეთა წარმატების ძირითადი მიზეზი უდავოდ გახლავთ მოზარდი თაობის სწორი ქორეოგრაფიული აღზრდა.

საპედნიეროდ, ჩვენ გვყავს ისეთი კვალიფიციური პედაგოგები, რომელთაც ხელენიფებათ ეს ურთულესი საქმე. სწორედ მათი დაუღალავი შრომის შედეგია, რომ სახელმწიფო ანსამბლებში მოხვედრილი მოზარდები ადვილად ეუფლებიან ახლებურ ორიგინალურ ქო-

რეოგრაფიას, შესრულების მაღალ ოსტატობას და თავიანთი ტემპერამენტითა და სინარ-ნარით აღაფრთოვანებენ მაყურებელს. ამიტომაცაა, რომ ქართველი ერის მომხიბლავმა, წარმტაცმა ცეკვებმა „დაიმონა“ და მოაჯადოვა ჩვენი პლანეტის ხუთივე კონტინენტი, გააოგნა და განაცვიფრა მილიონობით მაყურებელი.

მსოფლიოს გამოძახილი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ აგერ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც, ჩვენი მოცეკვავე ანსამბლების სახით, საქართველო დააბიჯებს მთელს პლანეტაზე.

ჯიმი მიქელაძე  
გენერალ-ლეიტენანტი

## ცხავი - ჩვენი იმპერიი თვითმყოფადობის გამოხატულება

ქართული ხალხური ცეკვა განუმეორებელი ქართული ფენომენის ერთი მკაფიო ნიშანია, ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის გამოხატულება.

ქართული ცეკვა მარტოდენ როკვა როდია, ჩვენი ცეკვა ჩვენი დაუმორჩილებელი სულის კივილია, რაინდობაა, ქართველთა ყოფის დრამატული სურათხატია გრაციით გამოხატული. არ ვიცი, სხვა რომელიმე ერის ცეკვა ისე გამოხატავს თუ არა იმ ერის ტემპერამენტს, ეროვნულ ხასიათს და, თუ გნებავთ, ისტორიასაც, როგორც ამას ქართული ცეკვა აკეთებს. ქართულ ცეკვებში ჩვენი ბედისწერაა განსხეულებული. იქ მტრის ნინააღმდეგ ომიც ჩანს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ძმათა ომის სურათიც გაკრთება, ომისა, რომელსაც ქართველი ქალის მანდილი აშოშმინებს. ვისა აქვს რთულსიუჟეტიანი ცეკვა – ნოველა, როგორიც გახლავთ „ხორუმი“? რა სინატიფე, სიმწყობრე, მზვერავის იდუმალება, სამშობლოს დაცვის ნიჭი და გამარჯვებით ტებობის ზემის ფეიერვერკია „ხორუმში“. ასე, რომ მე ვამაყობ: „ქართული ცეკვა საქართველოს ისეთივე ეროვნული განძია, როგორც „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ქართული ხალხური სიმღერა...“

რევაზ მიშველაძე  
რუსთაველის და სახელმწიფო პრემიების  
ლაურეატი, პროფესორი, მწერალი

## ნინაპება მიმდინარეობის მარატინის გამომდვირება

ქართველი ხალხის მზენათელი მწერალი ნოდარ დუმბაძე გვაცნობებს: „მე ჩემი თვალით მინახავს საქართველოში ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ... ჩვენი ტაძრების, სიმღერისა და ცეკვების დიდებულებით დარეტიანებული, სვეტიცხოვლის ეზოში მუხლებზე დამხობილი და ცაში ხელაპყრობილი უცხოელი, როგორ ევედრება გამჩენს – თუ შეგიძლია, ეს უნიკალური ქვეყანა შეუნახე კაცობრიობასო.



ეს სიტყვები სიხარულისა და აღფრთოვანების მომგვრელიცაა და ქართულ ცეკვაზე უკეთ ფიქრისა და ოცნების შთამაგონებელი. ვიტყვით, რომ ქართულმა საცეკვაო ხელოვნებამ ღირსეულად დაიმსახურა ღირსსაცნობი ქება-დიდება. თვალხილულად დაგვისურათა ქართველების მიერ უხსოვარ დროიდან შექმნილი მრავალისმეტყველი პლასტიკური სახეობები, რომლებშიც წიგნივით იკითხება ჩვენი ხალხის სულიერი სიწმინდე, ზნეკეთილობა და საუკუნეობრივი ტრადიციების სიცხადენი.

მართლაც, მდიდარი ქორეოგრაფიული მემკვიდრეობა გადმოგვილოცეს წინაპრებმა, რამაც ერთხანს ჩემი ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლებიც გაინაპირა. ვცეკვავდი თვითმოქმედ და პროფესიონალურ კოლექტივებში. დიდმა ენვერ ხაბაძემ შემაყვარა ქართული ცეკვა და მადლიანი შემოქმედებითი წლები შემოიტანა ჩემს ცხოვრებაში... არ მავიწყდება ბათუმის საქალაქო პროფესიონალური ვოკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლი „სალალობო“. აქ ბატონ ენვერთან ერთად ხიბლიანი საცეკვაო კომპოზიციები დაამუშავა ახალგაზრდა ზაურ ლაზიშვილმა. მისივე „მთიულური ქალ-ვაჟთა საზეიმო“ და ენვერ ხაბაძის „განდაგანა“ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფილმში – „ჩემი მეგობარი სიბილა“ აისახა.

იმ დროისათვის საუკეთესო შემსრულებლობით გამოირჩეოდნენ ფატმან კობალაძე, გივი და ჯემალ ჩიჩუები, იაშა ხალვაში, თამაზ ჯახუჭაშვილი, ვახტანგ ინგოროვა, თამაზ ბეჟანიძე, გურამ ბაკურაძე, ზურაბ ბალდადიშვილი, თემურ ბოლქვაძე. ბუნებრივია, უნდა დავასახელოთ ვახტანგ მეფარიშვილი, გოგი ჩაჩიგა, ოთარ მიქელაძე, ანზორ სიხარულიძე, ავთანდილ ნაკაიძე, ნუგზარ თოდრია, ნუგზარ შალიკაშვილი, ბეგი ხუხუნაიშვილი, ნაზი დევაძე, იზოლდა მსხილაძე და სხვები.

ყოველთვის პატივისცემის გრძნობით ვიხსენებ სახლგანთქმულ ქორეოგრაფებს ალე-ქსანდრე ჯიჯეიშვილისა და გივი ჩიხლაძის სასწავლო-პედაგოგიურ და სადადგმო ხელოვნებას.

უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ თბილი ურთიერთობა მქონდა ლეგენდარულ ილიკო სუხიშვილსა და ნინო რამიშვილთან, თენგიზ სუხიშვილთან მეგობრობას რა სჯობდა! მეგობრობის წლები ვუწოდე ფრიდონ სულაბერიძესთან, ომარ მხეიძესთან, ჯუმბერ ბერაძესთან დამოკიდებულებას.

... თამამად შემიძლია ვთქვა, თუ რა მიმართულებით უნდა წარიმართოს ქართული ცეკვის ცხოვრება. ესაა ხალხურობისადმი შეუქცევადი ერთგულება. აუცილებელია ქართულ ცეკვას შევუნარჩუნოთ აზრის, შინაარსის, შთამაგონებელი იდეის გამომხატველობა. მშრალი, არაფრის მთქმელი ტექნიკის გამოყენება, გაველურებულ ხტომებზე შეკონინებული „საცეკვაოები“ სრულიად უნაყოფოა. სიახლეთა შეტანა სადადგმო კომპოზიციებში ხალხურობას უნდა ეფუძვნებოდეს, ხალხში სასიკეთო მისწრაფებებს უნდა აძლიერებდეს.

ისტორია გვამცნობს, რომ დავით ალმაშენებლის მითითებით არც თუ ისვიათად იმართებოდა „სანურთნელი, სულისა გასაათენი“ სახიობა-განცხრომანი, თამაშ-წარმოდგენები და „როკვანი“, რომლებიც მეომრებს, ახალგაზრდებს, ხალხს შთაგონებდა ზნეობრივ სისკეტაკეს, მხნეობას, სიმამაცესა და ოპტიმიზმს.

აյ აღნიშნულის მიხედვით აღიქმება, რომ ქართული ცეკვა არის ადამიანის სულისა და ზნეობის აღმზრდელი, ნებისყოფისა და ხასიათის ჩამომყალიბებელი. ასეთად გვესახება ცეკვა „ხორუმი“, რომელიც მკაფიოდ გვისურათებს ქვეყნის სიყვარულსა და მისთვის თავდადებას. სიდარბაისლის, რაინდული სულისკვეთების განწირებას გვიქმნის ცეკვა „სადარბაზო-ქართულით“, სინაზისა და ლირიზმის მხატვრული ფერადოვნებით გვიზიდავს ცეკვები „სამაია“, „ნარნარი“, „მედაირე ქალთა ცეკვა“ და სხვებიც.

ასე რომ, სანაქებო ქორეოგრაფიული განძეულობა გაგვაჩინია და მისი სათუთად შენახვისათვის დიდი ძალისხმევა გვმართებს.

მოვალენი ვართ ეროვნული სინდისიერებით ავუბათ მხარი ქართული საცეკვაო ხელოვნების ღირსებაშემკულ მოღვაწეთა მამულიშვილურ შემოქმედებას. ქართული ცეკვა ყოველთვის იქნება ჩვენი ხალხის ეროვნული მეობის სისხლსავსე პლატიკური მემატიანე.

ვალერი მოქერია  
საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა  
შემოქმედებითი კავშირის საპატიო წევრი, მეცენატი.

## ქართველი ხასიათი მონაცოვანი

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიას, ჩვენს საცეკვაო ხელოვნებას ქართველი ხალხის უდიდეს მონაპოვრად ვთვლი. ყველა ერის და ხალხის ფოლკლორულ ხელოვნებას ვცემ პატივს, მაგრამ იმ სიმაღლეზე და ისეთ მაღალ დონეზე საცეკვაო ფოლკლორი ჯერ არავის აუყვანია, როგორც ეს ჩვენ ქართველებმა შევძელით.

ქართული ცეკვა დღევანდელ დღეს კიდევ იმით იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომ მოგვეძალა ქართული ბუნებისა და ზნეობისათვის მიუღებელი ტენდეციები, რაც მა-

მაკაცური საწყისისადმი ავადმყოფურ დამოკიდებულებასა და გამოვლენაში მუდავნდება, და აქაც, ქართულმა ცეკვამ, რომელშიც ყველაზე მეტად დევს ქართველი კაცის ბუნება, ხასიათი, ვაჟკაცობა, რაინდობა, თავისი სიტყვა უნდა თქვას და შეუნარჩუნოს ქართველ კაცს მისი ღირსებები.

სანდრო მრევლიშვილი  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი,  
რეჟისორი

## ცეკვა უჩის ბაზოსის ბაზის სიტყვა

ქართული ცეკვა ის პირველი მერცხალი იყო, რომლითაც მსოფლიომ ჩვენი ერის მიერ შექმნილი კულტურული მემკვიდრეობა გაიცნო. საბედნიეროდ, ქართული ცეკვა ამ დროისათვის ისეთ სიმაღლეზე იდგა, რომ სხვადასხვა კონტინენტის ადამიანებს ძალიან დიდხანს გაჰყვათ სულიერ საგზლად მაშინდელი შთაბეჭდილებები. დიდი ილიკო სუსიშვილისა და ნინო რამიშვილის მიერ ქართული ცეკვის უძველესი ტრადიციების აღორძინება სწორი და ყოველმხრივ გამართლებული გზა იყო. ცეკვა ერის ხასიათის, მისი ტემპერამენტის გამომხატველია და ამავდროულად, ხალხის ისტორიულ მეხსიერებასაც ინახავს. დღევანდელი ქორეოგრაფები ამ მოვლენას კარგად გრძნობენ და, შესაბამისად, აღწევენ კიდევაც სასურველ წარმატებებს. ქართული ცეკვა, მის სასიმღერო კულტურასთან ერთად, კიდევ ბევრჯერ ასახელებს ჩვენს სამშობლოს.

თენგიზ მუშკუდიანი  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
პროფესორი

## 30 წელი „სახიშვილების“ ანსამბლი

„...ქართული ცეკვა ჩვენი ეროვნული მუზეუმია და დიახაც – ხელშეუხებელი. იგი არც ერთი ანსამბლის საკუთრება არ გახლავთ.

მისი ერთადერთი პატრონი და მემკვიდრე ქართველი ერია“.

ცამდე მართალია პოეტი თავის მოსაზრებაში, როდესაც ბრძანებს – „...მისი ერთადერთი პატრონი და მემკვიდრე ქართველი ერიაო“. გავბედავ და ვიტყვი, იმას, რის უფლებასაც მაძლევს ის ჩემი წილი ოფლი და გარჯა, რაც მე გამიღია ჩვენი დიდი ანსამბლის მართლაც, ოფლისმღვრელ და ქანცისგამწყვეტ ცხოვრებაში 30 წლიანი მონაწილეობით.

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის, რომლის დამფუძნებლები და უცვლელი ხელმძღვანელები ბრძანდებოდნენ ქალბატონი ნინო და ბატონი ილიკო, დიდი დამსახურების გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ეროვნული კულტურა და შემოქმედება... მაგრამ, მიუხედავად მათი ფასდაუდებელი მოღვაწეობისა, როგორც ბრწყინვალე შემსრულებლებისა, კვლევა-ძიებით

დატვირთული ყოველდღიური ცხოვრებისა, მათ არც ერთხელ არ განუცხადებიათ პრე-ტენია ამა თუ იმ ცეკვის ავტორობაზე. მათგან ხშირად გაიგონებდი: „ჩვენ ვეძებთ, ვპოუ-ლობთ, ვხვეწთ, ვამდიდრებთ და კვლავ მის მემკვიდრეს, ქართველ ერს ვუბრუნებთო...“ ამანაც განაპირობა „სუხიშვილების“ ანსამბლის ესოდენ საოცარი წარმატება მსოფლი-ოს ყველა კონტინენტზე. ყველა ქვეყანაში დამსახურებულად მოპოვებული გამაყრუ-ბელი აპლოდისმენტების განუწყვეტლივ ატმოსფეროში. შემთხვევა არ ყოფილა ანსამბ-ლის ხელმძღვანელებსა და ყველა მონაწილეს არ ეგრძნოს უდიდესი მადლიერება თავისი წინაპრებისადმი, რომელმაც ათასწლეულებში შექმნა, გამოატარა და ჩვენამდე მოიტანა „მსოფლიოს მერვე საოცრება“, საოცრება, რომლის მემკვიდრეც ჩვენც გავხდით, ჩვენც გავითავისეთ უდიდესი პასუხისმგებლობა ჩვენი ერის შემოქმედებითი გენის მიმართ, რო-მელმაც მოგვამადლა ნიჭი და ძალა დარბაზთა თუ სასახლეთა „პყრობისა“.

ალბათ, ჩემი გულისნადების ეს მონაკვეთი, განსაკუთრებულად, იმიტომ გამოვკვეთე, რომ ეს ქანცის გამწყვეტი მოგზაურობანი ოდენ ტკბობად და ქონების მოსახვეჭად ეგონა და ჰერნია მავანთ. აქ უცილობლივ იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ სწორედ ქართველ-მა მოცეკვავებმა პირველებმა 50-იან წლებში თავდაუზოგავად იტვირთეს თავისი ერისა და ქვეყნის ღირსებისა და ნიჭის განფენა მთელს მსოფლიოში. განა ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო, („სუხიშვილების“) ანსამბლის მეშვეობით არ გაიცნო ჩვენი პატარა, მაგრამ საოცრად დიდი კულტურისა და ისტორიის მქონე ქვეყანა მსოფლიომ?!

როგორ შემიძლია აქვე არ აღვნიშნო, რომ ქართული როკვა ეს არის უდიდესი (ალბათ, მსოფლიო ხალხთა ცეკვათა შორის) კედელი და დამცავი მექანიზმი ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობისა.

შეიძლებოდა წიგნისა და ჩემი მცირე წერილის შინაარსობრივი და აზრობრივი დატვირ-თიდან გამომდინარე ასეთი შენიშვნებიდან თავი შემეცავებინა, მაგრამ თუნდაც შენიშვნის სახით, მაინც ვიტყვი: ქართული ცეკვა თავისი ქორეოგრაფიული ტექსტითა და ლექსიკით, ფორმითა და შინაარსით, მემკვიდრეობითა და ტრადიციებით, სასიმღერო და საცეკვაო მუსიკით იმდენად მრავალფეროვანი და მდიდარია, რომ ყველამ, ვინც ქართული ხალხური ქორეოგრაფიის სფეროში მოღვაწეობს, დიდმა თუ პატარამ, ჩვენს ეროვნულ განძსა და ფენომენს თავს არ უნდა მოახვიოს უცხო პლასტიკის მინარევები და უცხო ტომთა მუსი-კალური საცეკვაო რიტმები.

და, ბოლოს, დასკვის სახით ვიტყვი: მე მადლიერი ვარ ჩემი ბედისა, რომელმაც შემახ-ვედრა საქვეყნოდ ცნობილ პედაგოგებსა და ქორეოგრაფებს: ჯანო ბაგრატიონს, ბუჟუტი დარახველიძეს, ანტონ ჩიხლაძეს. მადლიერი ვარ ჩემი ბედისა, რომელმაც შემახვედრა ქალბატონ ნინოს და ბატონ ილიკოს. რაც შეეხება ქალბატონ ნინოს, მქონდა ბედნიერება ამ საოცარი ხელოვანის პარტნიორი ვყოფილიყავი და მისი დედა-შვილური სიყვარული არ მომელებოდა. მე მადლობელი ვარ ჩემი ბედისა, რომელმაც მომანიჭა ბედნიერება სრული-ად საქართველოს კუთვნილებად აღიარებულ და მსოფლიოს მერვე საოცრებად წოდებულ „სუხიშვილების“ ანსამბლში გამეტარებინა 30-წელი, მემოგზაურა 100-მეტ ქვეყანაში და ყველა მისი რთულ, მაგრამ ზღაპრულ წარმატებათა უცვლელი მონაწილე ვყოფილიყავი.

ომარ მხეიძე  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
ეროვნული პრემიის ლაურეატი,  
თბილისის საპატიო მოქალაქე

## ყველა ქართველი მოსახლეობა

ქორეოგრაფიული ხელოვნება ერთ-ერთი უძველესი ხელოვნებაა მსოფლიოში. ქართული ხალხური ქორეოგრაფია მრავალსაუკუნოვანია და ასე საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა ქართული ცეკვის და ქორეოგრაფის კულტურა. დღეს ქართული ქორეოგრაფია და ცეკვა უმაღლეს დონეზეა განვითარებული, მდიდარი და მრავალფეროვანია, რაც საამაყო და მისასალმებელია.

ქართულ ცეკვას არაერთხელ უსახელებია საქართველო, არაერთხელ დაუცავს მისი სახელი... ქართული ცეკვა – ეს ხომ ღვთისგან ნაკურთხი როკვაა... ღვთისადმი მიძღვნილი... ქართული ცეკვა გენიაა... გენია თითოეულ ადამიანში ჩაქსოვილი... რადგანაც საქართველოში თითოეული ადამიანი მოცეკვავეა... თითოეულ ადამიანშია რიტმი, ტემპერამენტი, ცეცხლოვანი მოძრაობები... ქართულ ცეკვაში ქალი – გედია – ნაზად მონარჩარე, მამაკაცი – არწივი – ლალად ფრთაგაშლილი, რაინდი და ვაჟავაცური... სწორედ ქართულმა ცეკვამ და სიმღერამ მოიტანა აქამდის მრავალ ჭირვარამგამოვლილი ჩვენი „საფიცარი სამშობლო“... სწორედ მან გადაარჩინა ქართველი ერი გადაჯიშებას, სწორედ მან შეუნარჩუნა ქართველ კაცს გამძლეობა და ბრძოლის შინი...

ჯემალ ნავროზაშვილი  
საქართველოს სახალხო არტისტი

## ქართველი ხავანი სიღიხი სხოვების სფერო

ნარატიული წყაროებისა თუ არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემების გულმოდგინე ანალიზის საფუძველზე ქართველმა ისტორიკოსებმა და ხელოვნებათმცოდნეებმა კარგა ხანია ნათელჲყვეს, რომ ქართული ცეკვის ისტორია იწყება ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, ქრისტიანობის გავრცელებამდე დიდი ხნით ადრე. არა მარტო ჩვენში, არამედ საერთოდაც, ქორეოგრაფია ყველაზე ძველი ხელოვნებაა. ივანე ჯავახიშვილის, ვახტანგ კოტეტიშვილის, კორნელი კეკელიძის, შალვა ნუცუბიძის, გიორგი მელიქიშვილის, შალვა ამირანაშვილის, დიმიტრი ჯანელიძის, დავით ჯავრიშვილის, ლილი გვარამაძის ნაშრომებმა ჩვენ გვიჩვენეს ხელოვნების ამ დარგის ნარმოშობა, განვითარება და მისი მაღალი საზოგადოებრივი ფუნქცია ქართველი ერის ცხოვრებაში, გვიჩვენეს, რომ ეს უმშვენიერესი ხელოვნება არასოდეს არ ყოფილა უბრალო სამკაული; ეს იყო სფერო სულიერი ცხოვრებისა, ეს იყო კერა აღზრდისა, რომელსაც უნდა განვითარებინა და განემტკიცებინა ლტოლვა ჭეშმარიტებისა, სიკეთისა და სილამაზისადმი. სიყვარულის მაღალი და ფაქიზი გრძნობა შეიძლება გამოხატო ლექსითა თუ პოემით, შეიძლება ასახო იგი ფერწერულ ტილოზე, შეიძლება გამოხატო ცეკვით. არ არის ადამიანის სულში არც ერთი გრძნობა, რომლის გადმოცემა ქორეოგრაფიულ ხელოვნებას არ შეეძლოს. ამიტომ ხდებოდა, რომ საუკუნეთა ვრცელ მანძილზე ქართველი ხალხი თავის უგულითადეს გრძნობებსა და ფიქრებს, აზრებსა და იდეებს, მთელ თავის სულიერ სამყაროს გადაშლიდა ხოლმე არა მარტო მხატვრული ლიტერატურის ქმნილებებში, არა მარტო ხუროთმოძღვრებასა და ფერწერაში, ქანდაკებასა და გრაფიკაში, არამედ ასეთივე ძალით გადმოსცემდა თავისი

სულის მუსიკას ქორეოგრაფიულ ხელოვნებაშიც. სამშობლოს სიყვარულისა და მისთვის თავდადების იდეას განამტკიცებდნენ არა მარტო გიორგი მერჩულესა თუ მთაწმინდელების თხზულებანი, არამედ ის ხელოვანიც, რომელმაც პირველმა შეასრულა ხორუმისა თუ ფერხულის კომპოზიცია და რომლის სახელიც დღეს აღარ ვიცით. ქართული ცეკვა მუდამ განუყრელი იყო ქართველი კაცისა და ქალის შრომისა და ბრძოლისაგან, მასში აირეკლა მისი სიყვარული, მისი სიკეთე, მისი სიძულვილი შემოსული მტრისადმი. ამიტომ არის, რომ ქორეოგრაფიული მოტივები ესოდენ ხშირად გვხვდება სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებშიც, არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნ თასებზეც; მასზე წერენ მე-მატიანენიც, ძველი ქართველი პროზაიკოსებიც და პოეტებიც. ყოველივე ეს მოწმობს, თუ რაოდენ უმდიდრესი ტრადიციები აქვს უმშვენიერეს ქართულ ცეკვას.

გიორგი ნატროშვილი  
მწერალი

\*\*\*

ქართულმა ხალხურმა ცეკვებმა თავისი ქორეოგრაფიული გენით უბრწყინვალესი ფურცლები ჩანს ჩანს მსოფლიოს ქორეოკულტურაში.

ირმა ნიორაძე  
მოცეკვავე

## ქართული სიცოცხლის უძველესი ხასიათი

ქართული სული ვაჟკაცურ  
ცეკვებში ამღერებული,  
ხან დინჯი, როგორც ლილეო,  
ხან ფიცხი, გახელებული;  
მოსხლეტილ ზვავთა ზრიალი,  
ცაში ნავარდი არწივად,  
ფართა და ხმალთა ჯახანი,  
შეტევა, თავის განწირვა;  
მკლავებში გამომწყვდეული  
ოცნება, უსაზღვროება,  
ქალ-ვაჟთა ტრფობის უკვდავი  
და უნაზესი პოემა...  
რაც კი უხსოვარ დროიდან  
ჩვენს გულში ცეცხლად ანთია,  
ქართველ ხალხს ქართულ ცეკვებში  
ჩაუქსოვ-ჩაუხატია.

იოსებ ნონეშვილი  
რუსთაველის პრემიის ლაურეატი,  
პოეტი

## 320 ს ჟყვაში ქართველები სახავავენ...

ვენის ტყეში	მუხა მუხას ეკვრის	წვერზე
ქართველები ცეკვავენ,	და ქალ-ვაუთა	რად
ვენის ტყეში,	სიყვარულის პოემა	დგებიან ნეტავი,
ვენის ცისფერ ტყეში,	იწერება	ხომ
მაღალ მთებში	სიმღერით და ცეკვით.	არ უნდათ
მზე ჩახჩახებს მგზნებარედ,	მოჰყოლიათ	მზეს
ხან მჩქეფარედ	მზეჭაბუკებს, მზექალებს	შეავლონ ხელი?
მოთქრიალებს თქეში.	ლელვის ღონე	დოლი ცხარობს,
ხან ზღვა ღელავს,	და სილალე ქართა.	ცეცხლის მიმომფანტველი,
ხან მოლელავს არაგვი,	ვენის ტყეში	სალამური
ხან ვეფხვების	ქართველები ცეკვავენ...	ჰყება ქართულ ზღაპრებს
თარეშია მთაში.	ეს ვენის ტყის	და ჭალარა
ტაშს უკრავენ	ზღაპარია მართლაც.	კავკასიის ნათელი
ზანგნი, ფრანგნი, არაბნი...	დასდგომიათ	ეფინება
შეძახილი,	თავზე ჩრდილი შტრაუსის,	ქარაფოვან ალპებს.
სიმღერა და ტაში.	უკვირს მათი	ვენის ტყეში
ხან პირიმზე	ცეცხლოვანი ცეკვა.	ქართველები ცეკვავენ,
მოანათებს საროს ტანს,	მზის სიცილში,	ვენის ტყეში,
ხან ჭაბუკა	ღვართქაფების ხმაურში	ვენის ცისფერ ტყეში.
ჭიდილია ფიცხი.	საქართველოს	მაღალ მთებში
- ბრავო! - ყვირის	მთების გული რეკავს.	მზე ჩახჩახებს მგზნებარედ,
გრეტენი თუ შარლოტა,	ფოთოლ ფოთოლ	ხან მჩქეფარედ
- ბრავო! - ყვირის	მზის ალმური იღვრება	მოთქრიალებს თქეში.
იანი და ფრიცი.	და ირხევა	ვენის ტყეში
მოგოგმანობს	სხივთა დასთადასი.	ქართველები ცეკვავენ,
გოგნი გოგნი გოგონა,	სადღაც ისმის	ვენის ტყეში,
მოაქვს მთელი	ტიროლიის სიმღერა,	ვენის ცისფერ ტყეში.
საქართველოს ეშნი...	ჩვენებური	
და გოგონას	კრიმანჭულის მსგავსი.	<b>იოსებ ნონეშვილი</b>
თვალთა ჭიაკოკონა	- რა ტანი აქვთ, ისმის	
ლამის ცეცხლად	გაუბედავად,	
აბრიალდეს ტყეში.	- რა თვალები,	
მკლავი მკლავზე,	ელვასავით	
ტოტი ტოტზე მოება,	მჭრელი.	
სიხარულით	ფეხის	

## ქართული ხელი - ქართული სახალი

ყოველი ერის ხალხურ საუნჯეს სხვადასხვა უანრისა და ხასიათის ქმნილებები ამშვენებენ. ხალხური საცეკვაო ხელოვნების წყაროდ ხალხური შემოქმედება გვევლინება.

ქართულმა ცეკვამ უამრავ უამთა სიავეს და ისტორიის ქარტეხილებს გაუძლო, ათასწლეულებისა და საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა ის. ჩვენი სახელოვანი წინაპრები აჩუქურთმებდნენ ამუშავებდნენ მხოლოდ ლირებულს, საუკეთესოს, აზრიანს და თავის მდიდარ გამოცდილებას მოდგმიდან მოდგმას, თაობიდან თაობას გადასცემდნენ.

ამიტომაც დღემდე შეინარჩუნა ჩვენმა ეროვნულმა საუნჯემ – ქართულმა ცეკვამ აზრი და მარადიულობა, ფორმა და შინაარსი.

დაე, ჩვენი მომავალი თაობებიც გაჰყვნენ დიდ წინაპართა ნატერფალს, რათა დაუცხრომლად იზრუნონ ქართული ცეკვის სიწმინდისა და თვითმყოფადობისათვის.

გივი ოდიკაძე  
საქართველოს დამსახურებული არტისტი,  
ლირსების ორდენის კავალერი

## ქართული ხელი

ცეკვაში უფლის მადლით შემოგვრჩა,  
ქართული სული და რაინდობა...  
მიუწვდომელი ქალის სინორჩე,  
თეთრი მანდილით რომ დაინდობა...  
როცა ვაჟკაცებს ცერიდან ცეცხლი,  
წაეკიდებათ სხეულზე მწველად...  
მგონია, ბრწყინავს კავკასის ვერცხლი  
და ხანჯლის პირზე უშიშრად ვწევარ...

ვაჟა ოთარაშვილი

## პოეტები ქოჩობებისა

ქართულ ცეკვაში ქართველი ერის მსოფლმხედველობრივი საწყისია გამჟღავნებული, საწყისი, რომელსაც ქართული ქრისტიანული თუ ადრექრისტიანული კულტურა ემყარება.

ქართული ცეკვა თავისებური პოეტური ქორეოგრაფია. იგი ქართული ანბანივით იდუმალი და თავისი გენიალურობით აღმაფრთოვანებელია. ქართულ ცეკვაში შერწყმულია უძველესი ქართული ფოლკლორის და მითოსის ნაკადი. ქართულ ცეკვაში წარმოჩინებულია ერის ქრისტიანული რწმენის, როგორც ეროვნული იდეოლოგიის, როგორც სახარებისეულ მცნებათა ერთგული ერის ფსიქოლოგიურ-ვიზუალური, ასევე შინაგანი ბუნება, სულიერი სიღრმეები, აგრეთვე მითოლოგია და ხალხური ეპოსი. „ჩვენ მზის შვილები ვართ,“ – ამბობდა გრიგოლ რობაქიძე. ქართულ ცეკვაშიც სამყაროს დედა-მზის მისტე-

რიაა განფენილი, ცეკვის ილეთებით ქართული სულის უკვდავების მისტერია, სამყაროს უკიდეგანობის და ლვთიურობის მისტერია.

ქართული ცეკვა მშობლიური მიწის სიყვარულით სავსე ხალხის ცეკვაა, ხან გამარჯვების ყიუინა ისმის ამ ცეკვაში, ხანაც – მწუხარების უინი...

ვაჟა ოთარაშვილი  
გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი,  
საქართველოს მწერალთა კავშირის  
თავმჯდომარის მოადგილე, პოეტი

## ჯარისა ხავამ მსოფლიო ეკისყირი

ჯერ კიდევ ჩვენ წ.აღ.-მდე ქართულ ტომთა მეომრები ბრძოლაში სიმღერითა და ცეკვა-თამაშით ებმებოდნენ. იმის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ქართული ქორეოგრაფია კი ყოველ დღე იხვეწებოდა და ჩვენმა წინაპრებმა დღემდე საოცარი სიმდიდრით შემოგვინახეს.

დღეს ქართველმა კორიფეებმა ჩვენი ეროვნული ქორეოგრაფია უმაღლეს მწვერვალებამდე აიყვანეს, ამაში დიდი წვლილი მიუძღვით ქალბატონ ნინო რამიშვილს და ბატონ ილიკო სუხიშვილს, დიდ ჯანო ბაგრატიონს და ბუხუტი დარახველიძეს, რეზო ჭანიშვილს და რევაზ ჭოხონელიძეს. მე ეს გვარები იმიტომ ჩამოვთვალე, რომ ამ მოღვაწეების შემოქმედებასაც ვიცნობ და ასევე მათთან მქონია შეხების ნერტილები.

ქართულმა ცეკვამ დაიპყრო მსოფლიოს ცივილიზებული სამყარო, რომლის მოწმეც მე გახლავართ.

ეს დიდი გამარჯვებაა ქართული კულტურისათვის.

ირაკლი ონოფრიშვილი  
საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე,  
რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

## იმპერიი ხავამის შემართვი ე წატოში ჯარისა ხავამი

ფაქტია, რომ ეროვნული ცეკვების, ეროვნული ხელოვნების შემქმნელი, უშუალო ავტორი – ქართველი ხალხია და ამიტომაც უწოდებენ მას ხალხურ ქორეოგრაფიას. იგი (ქართული ცეკვა) ჩვენი ერის სიბრძნეს და დიდ ძალას წარმოადგენს, ხალხურ მუსიკასთან და ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად.

მთიულეთში, ხევსურეთში, თუშეთში ძალიან ბევრ ოჯახში შეხვდებით ძველ ფარდაგებსა თუ ხალიჩებზე გამოსახულ ცეკვის სცენებს. მე მაქვს უნიკალური, ორსაუკუნოვანი საგვარეულო საქორწილო ტახტი, რომელზეც ხეზე ჭრაში ამოკვეთილია სტილიზირებული



მოცეკვავები და ნადირობის სცენები. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, როგორი ძლიერი ყოფილა ჩვენ ხალხში ქართული ცეკვისადმი სიყვარული.

მე ამ დიდებული ხელოვნების სპეციალისტი, ხელოვნებათმცოდნე, ქორეოგრაფი არა ვარ, არც მაქვს უფლება ბევრი ვილაპარაკო ამ თემაზე, მაგრამ ერთი კი მნამს: უკვდავია ჩვენი ქართული ცეკვა და საერთოდ ქორეოგრაფია, რადგან ჩვენი საცეკვაო ქართული ფოლკლორი ათასწლეულების სიღრმიდან იღებს სათავეს და მარტო ქალაქებიდან კი არა, პატარა მთის ქართული სოფლებიდანაც კი ნაკადულებად მოედინებოდა. მოედინებოდა და მდიდრდებოდა ურთულესი საცეკვაო ხელოვნება. დღეს ჩვენი ქვეყანა უკვე თავისუფალია მტრის ორასწლიანი ურდოსაგან. მნამს, რომ ქართული სახელმწიფო აყვავდება და ასევე აყვავდება ქართული ხელოვნებაც, მათ შორის, ჩვენი ქართული საცეკვაო ხელოვნება!

ილია პატაშური  
საქართველოს სახალხო მხატვარი,  
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,  
პროფესორი

## მსოფლიოს მექანიკური საოცენები!

მსოფლიოს მერვე საოცრება! – ასეა სახელდებული ღვთივურთხეული და ღვთიური მაღლით გასხივოსნებული ქართული ცეკვა. მასში, როგორც სარკეში, ისეა არეკლილი ქართველი კაცის ხასიათი, თავისუფლებისკენ სწრაფვა, ვნების სიცხოველე, აზრის სიძლიერე, ნებისყოფის სიმტკიცე, ნათელი ოპტიმიზმი და ხვალინდელი დღის რწმენა.

მსოფლიოს მრავალი ერის წარმომადგენელი მოხიბლულა ქართველი ქალის სინარნარით, სინაზით, სინატიფით, კდემამოსილებით და პირიქით, ქართველი ვაჟკაცის სიმამაცით, ქედუხრელობით, შრომისა და ბრძოლის უინით, დაუოკებელი, გახელებული, ზღვარგადასული ტემპერამენტით, ქალისადმი მორიდებული, მოწინებული მოპყრობით, რაც ქართული მანდილისადმი დამოკიდებულებაშიც იჩენს თავს.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წარმომადგენელთ უცდიათ ქართული ცეკვის /და სიმღერის /შესწავლა-შეთვისება და ამ საქმისათვის არც სიბეჭითე დაუკლიათ და არც მონდომება, მაგრამ ის ცეცხლი მაინც ვერ დაუნთიათ, მკლავი ისე ვერ გაუმამაცებიათ, ხმალთაგან ცეცხლიც ისე ვერ უკვესებიათ, როგორც ამას ქართველი ვაჟკაცები აკეთებენ და ეს ყველაფერი მხოლოდ იმის გამო, რომ, როგორც ამას გრიგოლ რობაქიძე ბრძანებდა, საამისოდ „რასსა“ არ ჰყოფნით.

ბედნიერია ერი, რომელსაც ასეთი ცეკვა და სიმღერა, ასეთი უნიკალური ფოლკლორი აქვს. ბრძენია ის ერი, რომელმაც „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“ შექმნა, უკვდავია ის კულტურა, რომელსაც „ქართული“ /ცეკვა/ და „ჩაკრულო“ /სიმღერა/ გააჩნია. ქართული კულტურის უკვდავება კი ჩვენი ერის უკვდავების უცილობელი გარანტიაა.

მაშ, გაუმარჯოს ქართულ ცეკვას, ქართულ სიმღერას, ქართულ ზეპირსიტყვიერებას, ქართულ ტრადიციულ ხელოვნებას, ქართულ კულტურას ე.ო. ყოველივე იმას, რაშიდაც ცოცხლობს ქართული სული და ქართული გენი.

მადლობა ქართულ ცეკვაზე ფანატიკურად შეყვარებულ იმ ადამიანს /ბატონ რეზო ჭანიშვილს/, ვისაც ამგვარი წიგნის შექმნის იდეა დაებადა.

თემურ ქლენტი  
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი, პროფესორი

## ჩვენი ახსებობის ნუაზო და მიზანი

ჩემი არსებობის წყარო ქართული ხალხური ქორეოგრაფიაა. ამ ხელოვნების წანაგები ისეა გაზავებული ცხოვრებაში, ისეთი მყარია, შეუდრეველი, რომ დროსა და სივრცეს არ ემორჩილება. ჩემთვის ცეკვა იგივეა, რაც კომპოზიტორისათვის – მუსიკა, პოეტისათვის – ლექსი, მხატვრისათვის – სურათი...

ნინო რამიშვილი  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

## ცეკვა ქართველი ების ხასიათის ბაზობის გამოხატვისას

„პირველთაგან იყო სიტყვა, და სიტყვა იგი იყო ღმერთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყვა იგი.“ ხელოვნება ერის შემოქმედებაა. ერი კი ხელოვნებით საკუთარი იდენტურობის უწყვეტობას ქმნის, რომელიც რეფლექსურ დონეზე მემკვიდრული ინსტინქტების აზრობრივი დახვეწით ხორციელდება. „აზრი სიტყვით იბადება, ქმედებით მატერიალიზდება“ – ქართულ ცეკვაში ყოველი ქმედება ერის ხასიათის ისტორიული მემკვიდრულობით არის გაუღენილი. ქართული ცეკვის ხელოვნებამ თეატრალიზებულად შეითვისა მრავალ-საუკუნოვანი განვითარების ტრანსფორმაციები და ერის კულტურული მემკვიდრეობა საკუთარ ქორეოგრაფიას შეუთანხმა.

როინ რიჭვაძე  
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
მწერალი

## ქართველი ბანია ჩოვათ ბანფენილი!

„ქართული გენია როკვით განფენილი“

„ვაშა როკვის ჯადოქარნო: ქალებო და ვაჟებო! ვაშა! ვაშა!“

„გაუმარჯოს საქართველოს საოცარ პლასტიურ ძალას!“

„ქართულ ცეკვას ქართველის მსგავსად ვერავინ იცეკვებს, რასასა არ ეყოფა.“

„ხანჯლური“ (მთიულური) – ამ როკვისათვის მე ავირჩევდი სახელად „მზიური“, – მზის ახალისება კაცის ტანში ნამდვილი. მროკავი ვაჟებიც ხომ მზისფერ მენამულ ჩოხებშია. რა წარმტაცია სურათი. ნაბდებს რომ მოიხსნიან და მწკივად, გრძლად წყობით, თითო-თითო ამზეურებული იმართებიან! ნელად ეშვებიან კავკასიის თხემებიდან. ჯადო რიტმები ქართველურ გართულებული ბრუდამხვევნი. ბუნებას არ მოუცია ჩემთვის ნიჭი როკვისა – სამაგიეროდ მონიჭებული მაქვს გზნება რიტმული დენისა და ანდირული. პირდაპირ ვიტყვი: ვერა რა შეედრება მზის ტანში ახალისებით „ხანჯლებში“ მორდვეულ რიტმს (ახლაც მივლიან ტანში). იშლებიან ნელად, იზრდებიან თანდისთან. სულ უფრო და უფრო მატულობს თრობა. ბოლოს თითქოს ახევებულ ტანებმა სრულიად დააოკოს უეცარი თავ-შეყენებით კიდევ უფრო ამხედრებული, ერთი-მეორის მიჯრად შეერთებული. შეწყვეტა ასეთია, რომ ფანტაზიაში როკვით ატესილობა გრძელდება. ჰგონებს: მზით მთვრალებს განზე ბედაურები უცდიან. ხედავენ: ახტებიან, მოაგელვებენ, მონავარდობენ, ყიუინი, ხივილი. ხედავ: უფსკრულისაკენ გაფრენილებს უზანგებიდან. აგერ უფსკრულიც – ერთი მოძაბვა და უფსკრულს თავს ევლებიან, ვითარ ნადირლმერთები. ეს როკვა რომ ენახათ შამილს, სანდრო ყაზბეგს, ვაჟას ვეღარ მოითმენდნენ და მროკავთ შეუერთდებოდნენ.

„მხედრული“ დიონისური ზღვარგადალახვა. ისეთი რომლის მსგავსი იქაც არ მოლან-დებიათ, საცა დიონისი წარმოიშვა, თრაკიაში. ყივილი, ხივილი, ყიუინი, ჩახაჩუხი ხმალ-თა და ტერციალინაკვერჩხალთა. ნამდვილი გრიგალი, თავმოშორებული, ხოლო გრიგალ

გახელებული რიტმებით დაურბეველი. ირგვლივ ზათქი-ზანზარი. ეს შეხლა შეხეთქება არაა ბრძოლა, იგი შეჯიბრია, შეჯიბრი: მორცინალთა. მოჯიბრენი თითქოს დამხვდურებია, რომლებიც თუ მტერი თავს დაესხნენ შეტევაზე გადავლენ, მომხვდურებს მიწასთან გაასწორებენ. ეს როკვა უნდა ენახათ: ალექსანდრე მაკედონელს, მეფე ერეკლეს, გიორგი სააკაძეს – რა იქნებოდა!!!

„შეჯიბრი“ – მთელი დასი ეფინება სცენას და ჰყენს საქართველოს მზეს. ესაა გვირგვინი, მთელი ცეკვის აპოთეოზი ნამდვილი საქართველოსი. ქალები ახლა მეტი ხიბლით როკავენ. როკვა – გოგმანი, გოგმანი – სრიალი, სრიალი – ტორვა, ტორვა – ცურვილი და ახლა ყოველივე ეს თვალმომჭრელი ლივლივი. გედები, თეთრი გედები ხან ფრონტალურ გამწკრივებულნი ჰაეროვნებით, ხან მარაოდ გაშლილნი, რომლებიც ვაჟებს ცისარტყელებად ეფინება და იწყება დატყვევებული ვაჟების როკვა ცალ-ცალკე. ერთი ცვლის მეორეს, მეორე – მესამეს, მესამე – მეოთხეს და ასე ბოლომდე, ყოველი თავისებურ როკავს. თავისებურება თითეულის – ხალასი შედევრია. არა, არიან მოშურნენი? არა, არიან მოქიშპენი? არა, არიან მეტოქენი? არა, მაშ? – რეიედ გულის მომგებნი არიან. ცისარტყელისა ბოლოს: ქორნილური ამხედრება ყველასი, ქალებისა და ვაჟებისა. როცა როკვას ვხედავდი მაყურებელთა შორის, განზე ნათელმფენი თამარ მელანდებოდა, – გულის ფეთქვა ყოველი ქართველისა, და მის გვერდით მეფე დავით აღმაშენებელი.

## ცეკვა! ცეკვა! ცეკვა!

მოშორებით უკრავს საზანდარი, ცეკვავენ „ლეკურს“, ეს ცეკვა ქართულია და გარდა ქართველისა მას ვერ იცეკვებს ვერავინ: რასსა არ ეყოფა. ვაჟი გამოიხმობს სათნოების დას ქართველის, რამდენი ვაჟკაცური შეტევა, რამდენი კამარა სიყვარულის თუ ტრფიალის პოემის?! ბოლოს: თითქოს ქალის დატყვევება და აჭრილი კამარით მისი გატაცება. მაგრამ არა, ტყვექმნილი ქალი ვაჟის მკლავებისათვის მთელი სხეულით გადახსნილი – (თითქოს ეს ათამაშებული სხეული აფეთქილი გულია მარტო) უეცარი მოსხლეტით ვაჟის რკალიდან გავარდება ქალწულური დარცხვენით. ცეკვა თითქოს წყდება: არ თავდება. ეს ბეჭედია ქართული რასის და მისი სირაინდის.

გრიგოლ რობაქიძე

## ჩახორცი ცეკვა...

ბევრს უთქვამს და ყველას სხვადასხვაგვარად. მე კი ვფიქრობ, რომ ქართული ცეკვა თავის გამომხატველობითი ფორმითა და შინაარსით ადამიანთა გრძნობების, განცდებისა და შთაბეჭდილებების მაყურებელზე განდობის ხელოვნებააა, რომელიც თავის თავში აერთიანებს მუსიკალური ბგერების საოცარ ულერადობას, პოეტურ აღმაფრენას, მხატვრობას, სასცენო და თეატრალური ხელოვნების გამომსახველობითი ელემენტების

ფერწერულ სპექტრს. სხვაგვარად თუ ვიტყვით, ცეკვა ემოციებით დამუხტული პოეტური ნაწარმოებია, სადაც მოცეკვავე პერსონაჟები გადმოგვცემენ ისტორიულ-ლიტერატურული, მითიური და თანამედროვების გარემოს განწყობას, მათ ხასიათებს, ოცნებებს, მიზნებს, გვესტურებიან, გვიყვებიან მათ საგმირო ამბებს, უმღერიან ვაჟკაცობას, მეგობრობასა და სიყვარულს, რითაც ესთეტიკური ტკბობის განცდებს აღძრავენ საცეკვაო ხელოვნების მოყვარულ ადამიანებში.

ყოველი ამის შემოქმედი და სულისჩამდგმელი ჩვენი სახელოვანი ქორეოგრაფები და ინდივიდუალური შემსრულებლები არიან, რომლებიც სამშობლოს ისტორიის, სასცენო და საცეკვაო ხელოვნებაში ღრმად განსხავლულობისა და მდიდარი ფანტაზიის წყალობით საცეკვაო ხელოვნების შედევრებს ქმნიან. მათ შორის უდაოდ ძნელია გამოვყოთ ერთი რომელიმე. ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხის ცეკვები ღრმა ეროვნული ხასიათით, შინაარსით, პენითა და ლაზათით გამოირჩევიან მთელ მსოფლიოში. აյ ყოველთვის ვგრძობდი და ვგრძობ უფლის ძალასა და მადლს.

**ლევან როხვაძე**  
საქართველოს საპატრიარქოს ჩოხოსნების  
წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის  
იმერეთ-ქუთაისის წინამძღოლი

## ქართული ცეკვა - ისტორიული და მოemporary გამოხატვები

ქართველი ხალხი თავისი თვითმყოფადობითა და კულტურით უძველესი ერია არა მარტო კავკასიაში, არამედ მსოფლიოს ხალხებს შორის. მას გააჩნია ერისთვის დამახასიათებელი ყველა თვისება; ენა, დამწერლობა, ხელოვნება და კულტურა. მინდა გამოვყო ქორეოგრაფია, როგორც ერის სულიერი ყოფიერების გამომხატველი.

ქართული ცეკვა (ქორეოგრაფია) ქართველი ერის სულის, მისი წარსულისა და მომავლის გამოხატულებაა.

ქართული ცეკვები განუმეორებელია ისევე, როგორც ქართველი ხალხის მრავალ-საუკუნოვანი თვითმყოფადი მდიდარი კულტურა; ქართული ცეკვებით მოიხიბლა ჩვენი პლანეტის თითქმის ყველა ხალხი, აგრეთვე სპეციალისტები, ქორეოგრაფები. აღფრთოვანებულ შეფასებებს აძლევს მსოფლიოს პრესა: „ეს დაუკერებელია, ფანტასტიკა“.

ქართული ცეკვების მსოფლიო აღიარება ქართველი ერის კულტურისა და ისტორიის აღიარებაა და სრულიად საქართველოს გამარჯვება.

**ნოდარ რურუა**  
საქართველოს დამსახურებული მხატვარი,  
ლირსების ორდენის კავალერი

\*\*\*

ქართული საცეკვაო კულტურა უდაოდ შეუდარებელია თავისი ორიგინალობით, მომზიპლელობით, ქართველთა ეროვნული სულიერებით, მისი განსაკუთრებულობითა და სახიერებით.

ნინო საკანდელიძე,  
მანუჩარ შერვაშიძე  
საქართველოს სახლო არტისტები

## ხალხური მაჩალებები

მდიდარი და მრავალფეროვანია ქართული ხალხური ხელოვნება. ხალხში შექმნილა და შენახულა მრავალი ლექსი თუ სიმღერა, მელოდია თუ ცეკვა, რომელთაც დიდების შარავანდედით შეუმოსავთ ჩვენი ერის სულიერი საგანძურო. ხალხური საუნჯისაგან ზოგი მათგანი ისტორიაშ დაუზიანებლად შემოგვინახა, უფრო უმეტესი კი ავტედითი ისტორიის წყალობით დავიწყების ჩრდილში მოექცა.

მტვერწაყრილი ხალხური მარგალიტების მოძებნას ხანგრძლივი შემოქმედებითი ძიება ესაჭიროება. მათი თავმოყრა, აღდგენა და ისევ ხალხისათვის დაბრუნება მამულიშვილური, ეროვნული საქმეა.

გიორგი სალუქვაძე  
საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე,  
საქართველოს დამსახურებული ინჟინერი,  
სახალხო არტისტი,  
ქორეოგრაფი

## საქართველოს მუსიკური მუნიციპალიტეტი საქართველოს კონსორტი

უპირველესად, ნება მომეცით, ალვინშნო, რომ მხოლოდ ქართული ხალხური ქორეოგრაფიისადმი დიდმა პატივისცემამ და განსაკუთრებულმა დამოკიდებულებამ გამაბედინა, დავთანხმებოდი პროფ. რ. ჭანიშვილის თხოვნას – მეთქვა რამოდენიმე სიტყვა ამ ფენომენზე. თუმცა ვარ ქორეოგრაფიული შემოქმედის ოჯახიდან და თანაც ახალგაზრდობაში ზოგჯერ მონაწილეობაც მიმიღება, როგორც მოცეკვავეს, სხვადასხვა დონის წარმოდგენაში.

ჩემთვის ქართული ქორეოგრაფია არის ჩვენი ქვეყნის კულტურის წიაღში არსებული ხალხური შემოქმედებიდან ერთ-ერთი თვალსაჩინო თვალმარგალიტი, ანუ მრავალ საუკუნეთა მანძილზე აპრობირებული კულტურის ნაწილი. ამას მაფიქრებინებს არა მარტო ის

ქორეოგრაფიული მიღწევები, რომელთა ხილვის საშუალებაც დღეს მაქვს, არამედ ჩვენი ქართული ხალხური ქორეოგრაფის უმდიდრესი შემოქმედებითი ისტორია.

სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა შემოქმედებაში ჩვენი ქორეოგრაფიული სკოლა, ჩემი აზრით, ყოველთვის თავისი ენით მეტყველებდა და ეს იყო ქართული ენა, ანუ ქორეოგრაფია, შესისხორცებული ქართულ ყოფიერებასთან. ამ განწყობას, კოლორიტისა და ფაქტურის ჰარმონიულ შერწყმას სხვა რომელიმე ერი მხოლოდ თავის საკუთრებად ვერასდროს მიიჩნევს, რამეთუ ეს წმინდა ქართულია, ქართულ სულიერ ატმოსფეროსთან დაკავშირებული. ამაღლებული მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ-პოეტური სამყარო გადმოცემულია როვეთ, რამაც განაპირობა ქართული ქორეოგრაფიული სკოლის მსოფლიო აღიარება. მუსიკა ვახსენეთ და უნდა აღვნიშნო, რომ ქორეოგრაფიაში ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი მუსიკას, არამარტო როგორც საშუალება ცეკვისა, ტემპისა და რიტმის გადმოსაცემად, არამედ უფრო მის უანრობრივ დატვირთვას, ქორეოგრაფიულ ნაწარმოებში ჩადებული გრძნობებისა და თემის უკეთ გასასწავლად. მისი საუკეთესო ნიმუშები გვაქვს, როგორც წარსულში, ისე დღეს მოქმედი ჩვენი სახელოვანი ანსამბლების რეპერტუარში, მაგალითად, ვოკალურის თანხლებით შესრულებული ნომრები.

მე, როგორც არქიტექტორი, ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიასა და ქართულ ხალხურ ხუროთმოძღვრებას შორის ზოგიერთ მსგავსებას ვხედავ. მაგალითად, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების მრავალფეროვნების მხრივ საქართველო მართლაც მდიდარი ქვეყანაა. ძნელად თუ შეხვდებით სხვაგან ესოდენ მცირე ტერიტორიაზე ერთმანეთის გვერდით ასეთ მრავალფეროვან არქიტექტურას. განსხვავებულს, თავისებურს და იმავდროულად ერთიანს, ქართული სულით დატვირთულს. ასევე შეიძლება ითქვას, ჩემი აზრით, ქართულ ხალხურ ცეკვებზე, მის მრავალფეროვნებაზე, მათ განსხვავებულობაზე კუთხეების მიხედვით და იმავდროულად ერთიანზე, რომელსაც ერთი ისეთი დიდი ძალა ადულაბებს, როგორიცაა „ქართული გენია როკვით განფენილი“ (გ. რობაქიძე, 1962, უნევა). ქართული ცეკვა ეს არის სულისა და სხეულის ზეიმი; ქართული ცეკვა ჩვენი ცხოვრების სხვა და სხვა ეპიზოდების; შრომის, ბრძოლის და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ქალისა და მამაკაცის უსიტყვო ტრფიალის გრაფიკული გადმოცემაა, ანუ, ეს არის განძი, რომელსაც ჩვენი სახელოვანი შემოქმედი, ქორეოგრაფიულად მოაზროვნე ტრადიციისა და საკუთარი შემოქმედებითი ინდივიდუალურობის ერთმანეთთან დაკავშირებით ახერხებდნენ და დღესაც წარმატებით ანვითარებენ. რა თქმა უნდა, ყველას ერთი ხარისხით არ გამოსდის და არც შეიძლება გამოსდიოდეს. წარსულისგან განსხვავებით დღეს ქართველ ქორეოგრაფთა წინაშე მეტი სირთულეებია. აქ მიზეზი მრავალი უნდა იყოს. ერთ-ერთი, ჩვენი აზრით, ის არის, თუ ვინ როგორ გაიგო დღევანდელი ცხოვრებისეული მოთხოვნების არსი, ჩვენს გარშემო მიმდინარე ევოლუციური პროცესები, რომელიც მთელ მსოფლიოს საკუთარ „თამაშის წესებს“ სთავაზობს. შესწევს კი ძალა და უნარი მათ დღევანდელი გლობალიზაციისა და საინფორმაციო სივრცის ასეთი დაახლოების პირობებში გაართვას თავი დაკისრებულ მოვალეობას და არ აჰყვეს ცდუნებებს, შეძლოს თავისი დაცვა, შენარჩუნება, განვითარება ისე, რომ არ მოექცეს სხვების ზეგავლენის ქვეშ და იმავდროულად, იდგეს თანამედროვე მსოფლიოს მოთხოვნათა დონეზე?

ამოცანა ძალზე რთულია, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ჩვენს სახელოვან მოღვაწეებს აქვთ ამის პოტენციალი, რა თქმა უნდა, თუ ის სწორად იქნება მიმართული. ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ ქართული ტრადიციული კულტურაა ის ერთ-ერთი ფენომენი, რომელსაც შეუძლია

დიდი როლი შეასრულოს ამ ამოცანის გადაწყვეტაში და იზრუნოს მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში ჩვენი თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის და ამ კონტექსტში, ჩემი აზრით, ქართულ ქორეოგრაფიას უჭირავს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი.

გიორგი სალუქვაძე (უმცროსი)  
არქიტექტურის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი

## ქართული ხელი

ანტიკურ პერიოდში ბერძნებმა ხელოვნების მხატვრული შთაგონება მუზების მითოლოგიურ სახეებში აღპეჭდეს. მათ შორის ცეკვის სამყარო აპოლონ მუსაგეტმა ტერფსიქორეს ანდო, რათა ბუნებით ნაკარნახევი სულისა და სხეულის ჰარმონიული შერწყმა მომხდარიყო. ტერფსიქორემ ადამიანი ცეკვის ნიჭით დაასაჩუქრა და სხეულის ისეთი სილამაზე შეაგრძნობინა, რომელშიც მისი ემოციები აირეკლებოდა.

დროის სწრაფ დინებაში, დაგროვილი ცოდნის ზეგავლენით პერმანენტულად განახლებად გარემოში უცვლელი რჩებოდა ადამიანის სულიერი, ფსიქო-ემოციური სახე და მუდმივად, კაცობრიობის დასაპამიდან დღემდე, არსებობდა მისწრაფება ეს შინაგანი განცდა-განწყობა სხვადასხვა ფორმით გამოეხატათ. ამის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა მხატვრული შემოქმედება, რომლის პირვანდელ, საწყის ფორმად ხალხური სიბრძნე, ფოლკლორი იქცა.

ფოლკლორში ლექსი, სიმღერა, ცეკვა – ყველაფერი ის, რასაც კი ხალხი ქმნიდა, მისი ეთნიკური ნიშან-თვისებისა და თვითმყოფადობის მატარებელი იყო. მსოფლიო კულტურა მრავალი ეთნოსის საგანძურია და ამ მრავალფეროვნებაში ქართულ ხალხურ შემოქმედებას განსაკუთრებული ადგილი ენიჭება.

ქართული ფოლკლორი, როგორც ზეპირსიტვიერი, ასევე, მუსიკალური და საცეკვაო, ფორმების სიუხვით გამოირჩევა. თითოეული დარგი საკუთრივ მისთვის დამახასიათებელ გამომსახველობით საშუალებებს იყენებს: ზეპირსიტყვიერება – ხალხურ სიტყვას, ეთნომუსიკა – ბერძნული ჰარმონიას, ფოლკლორული ცეკვა – ილეთთა ხალხური შესრულების მანერას, ხოლო ყველა ამ ხერხის სინთეზი ფოლკლორის ისეთ უნივერსალურ ფორმაში შეგვიძლია ვიხილოთ, როგორიც ცეკვა „ფერხულია“.

ქართული ფერხულის არქაულობას მრავალი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი გვიმოწმებს, რაც კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას სძენს ჩვენი ერის ფოლკლორულ მემკვიდრეობას მსოფლიო ხალხთა საცეკვაო ტრადიციათა კონტექსტში. ძვ.წ. II-III ათასწლეულებით დათარიღებული საფერხულო გამოსახულებანი (თრიალეთის თასზე და სამადლოს ქვევრზე) და, ასევე, უფრო ადრინდელი, ძვ.წ. VI-III ათასწლეულების მროკავ-მლოცველი ფიგურები (იმრისა და არუხლოს გორის თიხის ჭურჭელზე და ოზნის ფიალაზე) ქართული ქორეოგრაფიის პრეისტორიული ნარსულის ნათელ სურათს ქმნიან. ეს ძეგლები მეტად პარალელს ავლებენ მსოფლიო ცივილიზაციის იმდროინდელ მხატვრულ-კულტურულ მონაპოვართან, როგორიცაა ეგვიპტური, შუმერული, ხეთური და ანტიკური კულტურები.

ყოველივე ეს ნამდვილად საამაყოა ჩვენი მცირერიცხოვანი ერისათვის, ხოლო ამ ტრადიციების შენარჩუნება-განვითარების უწყვეტი გზა დღესდღეობით შეიძლება ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების აღორძინებადაც მივიჩნიოთ.

ქართული ცეკვის უნიკალურობაზე, შორეული ისტორიული წარმომავლობის გარდა, მისი მხატვრულ-სტილისტური და ესთეტიკური ღირებულებაც მეტყველებს. ეს არის უანრული და შინაარსობრივი მრავალფეროვნება, რომელშიც მითოლოგიურ სიუჟეტებს ჩაენაცვლა თემისა და სიუჟეტის საავტორო გააზრება. ცეკვის ნახაზის მარტივი გეომეტრიულ გრაფიკული ფორმები ორნამენტულ ფიგურებად გარდაიქმნა. ასევე, სახეცვლა განიცადა თვითმყოფადმა საცეკვაო ილეთმა და მისი პირვანდელი სტრუქტურული აგებულების შენარჩუნებით ახალი, სასცენო ქორეოგრაფიული ლექსიკა შეიქმნა.

ქართული საცეკვაო ფოლკლორის უნიკალურობა, ასევე ვლინდება იმ ქორეოგრაფიულ ფორმებში, რომელიც სრულებით უცხოა სხვა ხალხთა საცეკვაო ტრადიციებისათვის. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს სართულებიანი ცეკვა-ფერხულები, რომელთა წყობა ჩვენი ქვეყნის გმირული ისტორიული წარსულის ასახვას ემსახურება და, ამასთანავე, ერის კოსმოლოგიური მსოფლმხედველობის გამომვლინებად შეიძება მივიჩნიოთ.

მართალია, ადამიანს ცეკვის უნარი ტერფსიქორემ აჩუქა, მაგრამ, თითოეულმა ერმა საკუთარი მუსიკალური პლასტიკა სხვადასხვაგვარი ეთნო-სიმბოლური ნიშნებითა და არქეტიპული ფორმებით გაამდიდრა. ამ თვალსაზრისით, ქართველმა ხალხმა განუმეორებელი საცეკვაო ნიმუშები შექმნა, როგორც ფოლკლორული ასევე, თანამედროვე სცენის-თვის განკუთვნილი და ამ ცეკვებს მსოფლიო მაყურებელი საუკუნეზე მეტია, მხურვალე ტაშით აჯილდოვებს.

ანანო სამსონაძე  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,  
პროფესორი, ქორეოგრაფ-ქორეოლოგი

## სეი ასენაბს სხურს

ქართულ ცეკვას ფარული, ზოგჯერ ბოლომდე ძნელად გასაცნობიერებელი, შინაგანი მუხტი არანაკლებ ძლიერი აქვს, ვიდრე თვალისათვის ესოდენ მომხიბვლელი სილალე, სილამაზე და ემოციურობა. სული აცეკვებს სხეულს. მისი ტექსტის უძველესი პლასტიკი საკრალური და მისტერიულია. ქალის სინაზე და სინატიფე, ან სისხარტე და სიკეალუცე, ვაჟის შემართება და ცეცხლოვანი ტემპერამენტი, ერთისა და მეორის ზოგად სიმბოლოებს წარმოადგენს, რითაც ქართული ცეკვა მკვეთრად გამოირჩევა მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორული მემკვიდრეობისაგან (ამიტომ „როკვა“, რომელიც უშინაარსო „ხტუნვის“ ასოციაციებს იწვევს – მეხამუშება. „ცეკვა“ აშკარად კეთილხმოვანია, რბილია და მგონია, რომ მისი სემანტიკა ქმედების არსში ძევს.)

მინახავს ქართული ცეკვის ტრიუმფი საზღვარგარეთ. ეს იყო – ეროვნული სულიერების სასწაულებრივი აღზევება. ახლა ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ მაინც ვიტყვი: ოდესლაც თვითონაც ვცეკვავდი (ათეული წლების გადასახედიდან – მეც მიკვირს); სცენაზედაც კი

გამოვსულვარ (ეს სულ სხვა განცდაა, როცა შენს გენებში აკუმულირებული პოტენციის სხვისთვის, რაიმე სახით მაინც, გადაცემის შესაძლებლობა გეძლევა. ამიტომ, პროფესიონალი მოცეკვავე ბედნიერ ადამიანად მიმაჩნია).

ქართული ცეკვის თემატიკა კოდირებულია და გულისხმობს გარკვეულ ჩარჩოებს. მხოლოდ თემის შიგნით იხსნება მისი უკიდეგანო მრავალფეროვნება, რომელიც დროის მოთხოვნათა შესატყვისად იცვლებოდა (ალბათ). სწორედ ამიტომ უხდება ქართულ ცეკვას თანამედროვე რიტმი და ტემპი, გარკვეულწილად იღეთებიც (თუმცა მასში სანახაობითი ეფექტის ზედაპირული სიჭარბეც აშკარაა). და ბოლოს, თუ გვინდა და, რა თქმა უნდა, გვინდა ეროვნული სულიერების აღორძინება, ბავშვს უნდა ვასწავლოთ ქართული ცეკვა და სიმღერა – ეს ორი უნიკალური ფენომენი, ვასწავლოთ მეცნიერულად, ღრმად გააზრებული პროგრამით, გეგმაზომიერად და ასეთ შემთხვევაში კაცს სამარადეამოდ გაუჯდება სხეულში სიამაყე საკუთარი წარმომავლობისა.

**თამაზ სანიკიძე**  
**ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი**  
**პროფესორი**

## ქართული ცეკვა - იარაღის ჯიშობის ბაზოვინება

ყველა ჯიშსა და მოდგმასა ახასიათებს მიღრეკილება ცეკვისადმი, მაგრამ ისეთ სიმაღლეზე, როგორც ქართველებმა აიტანეს ქორეოგრაფიული ხელოვნება, ჯერ არავის შესძლებია. როდესაც ვალაგებთ ქართველი ხალხის ღირსებებს, მათ შორის ერთ-ერთი ცეკვის ნიჭია – უმაღლესი ჯიშობრიობის გამოვლინება ხელოვნების თვალსაზრისით. სიტყვიერების კულტურისათვის მიუწვდომელია, თვით უმდიდრესი ქართული სიტყვიერებისათვისაც კი, ქართული სიმღერისა და ცეკვის სრულქმნილების გამოხატვა. აქ მეტი ემოციაა საჭირო, ვიდრე გააზრება. სიტყვით მისი გადმოცემა შეუძლებელია. ამ საოცრების გადმოცემა მხოლოდ ქართულ ცეკვას შეუძლია.

**ლევან სანიკიძე**  
**მწერალი**

## ქართული ხასეხი ცეკვა ჩვენი სიახლე

ქართულ კულტურას მსოფლიო კულტურათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. დიდებულია ხელოვნების ყველა სფერო, მაგრამ სულ სხვაა ქართული საცეკვაო ფოლკლორი, რომელიც უძველეს დროიდან მოდის, ათასწლეულებს ითვლის და მასში განივთებულია საქართველოს ისტორია. ქართულმა ხალხურმა ცეკვამ ხომ აღფრთოვანებაში მოიყვანა ჩვენი პლანეტის ასეულ მილიონობით მაყურებელი და ამაში დიდია ჩვენი

ქორეოგრაფიული ანსამბლების საოცრად მაღალი საშემსრულებლო დონე. მათ შორის დაცასახელებ „სუხიშვილებს“, „რუსთავს“, „ერისიონს“, ახალგაზრდულ და საბავშვო ქორეოგრაფიას. მე, როგორც ქართველი მსახიობი და მრავალ ქვეყანაში გასტროლებზე ნამყოფი, მოწმე ვიყავი ქართული ქორეოგრაფიული გენის ტრიუმფისა. მეამაყება, რომ ვიცნობდი ნინო რამიშვილს, ჯანო ბაგრატიონს, ილიკო სუხიშვილს, ბუხუტი დარაზველიძეს... რომ ვმეგობრობდი ლატავრა ფოჩიანთან, ომარ მხეიძესთან, ფრიდონ სულაბერიძესთან, რევაზ ჭოხონელიძესთან, ბესიკ სვანიძესთან და სხვებთან.

დასკვნის სახით კი ვიტყვი: ყველა ქართველმა უნდა იამაყოს იმ დიდი ფენომენითა და განძით, რომელსაც ქართული ხალხური ცეკვა ჰქონდა.

გურამ სალარაძე  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიეპის  
ლაურეატი

## სინაზის, სინაჩენაზის, ბერის და სიმამაცის საოცრადი სინაზი

ჩვენს ხალხურ ცეკვებში ნათლად ჩანს ქართველი ადამიანის ბუნება-ტემპერამენტი, საოცარი გრაცია, სინაზე, სინარნარე, სიმამაცე, ქალის მიმართ უზადო პატივისცემა და კიდევ რამდენი ეპითეტის მოძებნა შეიძლება, რომ მიასადაგო მრავალ ათასწლეულების წიაღსვლაში გამოვლილ, ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობისა და ზნეობრივი ფასეულობების განუყოფელ ნაწილს – ქართულ ხალხურ ცეკვას.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნისა და ხალხის საოცარ ალტაცებას იწვევს ეს ქართული ფენომენი. ღვთის მადლით გადარჩენილ ერს თვალისჩინივით შემოუნახავს მშობლიურ აკვანში აღზრდილი, მარად უბერებელი, ვერცხლისწყალივით მოუსვენარი, საამო მელოდიებზე და რიტმზე აღზრდილი – ძირძველი ხალხური ხელოვნების ნიმუში (ქართული ხალხური ცეკვა). ვინ იცის რამდენი წლისაა უძველესი ტრადიციების გამგრძელებელი ეს საოცარი ფანტასტიკა?

მართლაც ფანტასტიკაა, საოცრებაა, მრავალი ერისთვის ხელმიუწვდომი.

ეს ჩვენი საკუთრებაა, ჩვენი სიყვარულია. ჩვენი ვალია მთელი პასუხისმგებლობით გავუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს – ქართულ ხალხურ ცეკვას. არ დავუკარგოთ მას ძირძველი ტრადიციები.

გურამ სალარაძე  
მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი,  
ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი,  
ევროპის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი

## ქართველი ხანა უფის საღილაშვილი ჰიმნი

...და შექმნა ღმერთმა ადამიანი, მამაკაცად და ქალად შექმნა იგი. დიდი მსგავსებაც ინება მათი და დიდი განსხვავებაც.

არსად, არც ერთ გარემოში და ქმედებაში არ არის მამაკაცი უფრო ვაჟკაცური, თავ-შეკავებული, დარბაისელი და ცეცხლოვანი, ხოლო ქალი – კდემამოსილი, მომხიბლავი, პლასტიკური და დახვეწილი, როგორც ეს ქართულ ცეკვაშია. ამიტომ ჩემთვის, ქართული ცეკვა უფლის ნების გამომხატველი და მისი სადიდებელი ჰიმნია.

ელდინ სალარაძე  
საქართველოს სახალხო არტისტი

## ქართველი ხანა ბალახრინა ქართველი ხელი

ქართული ხალხური ცეკვები, როგორც ცნობილია, ასახავენ ერის სიმტკიცეს, ხასიათს, ბუნებას. მართებულად შენიშნავდა ცეკვის ჯადოქარი ვახტანგ ჭაბუკიანი: „ქართული ხალხური ცეკვები გვაოცებენ გრაციით, კეთილშობილური მოძრაობით, ტემპერამენტით, ნარნარით და სიმსუბუქით. მასში გამოხატულია ქართველი ხალხის სული, საქართველოს მზე, მისი მთები, მისი ნაყოფიერი ველები, ტყეები და ბალები – ყველა სიმდიდრე და მრავალფეროვნება“. ქართულ ცეკვებში იმალება მითიური ამირანის მიზანსწრაფულობა, მთის ზვავი და დაუოცებელი მდინარის ენერგია. ქართულ ცეცხლოვან ცეკვას საფუძვლად უდევს ლირიკულ-რომანტიკული განწყობილება.

ქართულმა ცეკვამ გადაარჩინა ერის სული, მისცა ენერგია და ძალა ერს არსებობის მანძილზე დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ბრძოლის უნარის გამომუშავებასა და განმტკიცებისა. ცნობილი პოეტი ფრიდონ ხალვაში ამბობს:

ჩამოკრიფა ცა კალთაში  
ფეშტემლების ფერთაფრენამ,  
ამეტყველდა „განდაგანა“  
ლალი როგორც დედაენა!  
განდაგანა მონატრებით  
დავიწყების გადათელვა  
განდაგანა, სიცოცხლეში  
სიყვარულის ზღვასთან ღელვა.

ბორის (ჩაქუ) საფაია  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
ლირისტის ორდენის მფლობელი

## ფილონ სიცაბების

შეეპარაო სიბერე ბერთას  
შეეპარაო, იტყვიან სხვანი –  
„არა და არა!“ – მას დიდმა ღმერთმა  
უბოძა ცა და უბოძა ფრთანი.  
უბოძა მზე და უბოძა მთვარე,  
მგლის მოუღლელი უბოძა მუხლი,  
ქაჯეთის ციხეს კვლავ უხსნის კარებს,  
„ქართულ სულს კვლავაც ბეგარას უხდის.“  
უღმის ფიქრში იმ მამაც ტომებს,  
იყვნენ ცრუ სოფლის რომელნიც ურჩი,  
როკვას ისეთ ნაკვალევს ტოვებს,  
როგორც ტილოზე დიდ მხატვრის ფუნჯი.  
როკვას და ხედვას: ბინდში თვლემს სამცხე,  
ხანხალის ტბასთან განგაში არის.  
ღმერთმა არა ქნას ოდესმე დაცხრეს,  
ოდესმე დაცხრეს მის სულში ქარი.  
სტკივა ქემერტი და სტკივა რინა,  
ცოცხლობს კვლავ სულის წადილის გამო  
და ფეხით ისე ეხება მინას,  
თითქოსდა მისგან გაქცევას ლამობს.  
აფრქვევს მნათობი ცეცხლისა ალმურს,  
სწყდება ბროლ-ბაკმი თვალთაგან მუშთარს,  
როცა ქართველი დაუვლის დავლურს,  
მთვარე ხელებს შლის და იწყებს შუშპარს.  
შეეპარაო სიბერე ბერთას  
შეეპარაო, იტყვიან სხვანი  
„არა და არა!“ – მას დიდმა ღმერთმა,  
უბოძა ცა და უბოძა ფრთანი.

ერეკლე სალლიანი

## ოთახ მხებები

ებურძგლება ელვას ბეწვი,  
ხარ არგვეთელ ძმათა მოდგმა,  
გულში გჭირს და გულში გეწვის  
დედო ზარის ხმა და მოთქმა.  
გულში გჭირს და გულში გტკივა  
ჯავრიანი ვაჟის განცდა,  
კაცი მთასთან როცა მივა,

მთაც მივაო მაშინ კაცთან.  
 სისხლში მზე და ვაზის სული,  
 არაგვის და თერგის ხმა ხარ,  
 მაღლა ცამდე აზიდული,  
 მოარული თეთრი მთა ხარ!  
 ვერ აავსო ქარმა ბუქით  
 გზები, – შენგან დანალახი,  
 თავზე გადგას მთვარის შუქი,  
 ნისლი, – შენი ყაბალახი.  
 ზეცა სავსე სადაფითა,  
 მზე-ართვინით ამომსვლელი,  
 ლამე – შავი ნაბადი და  
 ჩოხა – სულის სამოსელი.  
 მოუმართავს სიმი ებანს  
 ცისარტყელას ფრთებქვეშ ვიშვით,  
 ცისკენ იწევს, ცერზე დგება  
 ქედუხრელი ჩვენი ჯიში.  
 ვცოცხლობთ: არა დავმიწდით და,  
 ზეცის გახსნას კვლავაც ველით,  
 მოხველ ფარვით-კრწანისიდან,  
 როგორც ბოლო არაგველი.  
 ხმაში რვალი, თმაში ვერცხლი,  
 სულსაც უამს, უამს ხელი.  
 ფეხის თითებს გასდით ცეცხლი,  
 მინას უვლის ურუანტელი.  
 ებურგდება ელვას ბეწვი,  
 ხარ არაგვეთელ ძმათა მოდგმა,  
 გულში გჭირს და გულში გენვის  
 დედო ზარის ხმა და მოთქმა.

**ერეკლე სალლიანი**

## სი ბუკანინის სანიტარი

სასწაულები კვლავაც დადიან! დადიან ფეხაკრეფით, ცერებზე აწეულნი და თანდათან უახლოვდებიან ცას. უახლოვდებიან და შემდეგ სასწაულებადვე უბრუნდებიან დედამიწას.

ქართული ცეკვა არ არის მარტოოდენ ცეკვა, ის რიტუალია, ერთგვარი რწმენაა.

როკავს მროკველი და დაატარებს თავის უხილავ სხეულს. თითოეულ მოძრაობას თავისი სახელი, თავისი წესი და რიგი აქვს, თავისი საუკუნეობრივი ტრადიცია.

ასეთი სულიერი მოძრაობით იწერებოდა „ვეფხისა და მოყმის ბალადა“, ზაქარია ფალიაშვილის „დაისი“. ქართველი მოცეკვავის სილალეს იგრძნობ ლადო გუდიაშვილის „სერაფიტას გასეირნებაში“, ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ აღწერილ არაგვის ზვირთთა



დენაში და უშბის მხრიდან მონაბერ ქარის ქროლვაში. ქართველი მოცეკვაშის უციდეგანო სევდაა ჩამდგარი ფიროსმანის მიერ უკვდავყოფილ უირაფის თვალებში. ქართველთ ცეკვაში თვლემენ ის მუსიკალური ტალღები, გონაშვილი რომ სახმო სიმებს გამოაცემინებდა.

ქართული ცეკვა მეოცნებეთა, მაძიებელთა, მეციხოვნებთა, უფლის მსახურთა, მხედრული სულით აღსავსე ვაჟკაცების ცეკვაა. მასში ჩანს ქართველი კაცის ღირსება და ქართველი ქალის კდემამოსილება.

ფიქრობ ქართულ ცეკვაზე და ამ ფიქრით უღრმავდები ქართულ სულს. ხშირად გექმნება შთაბეჭდილება, რომ შეხტება მროკველი და შეჩერდება დრო. არც ის იქნება გასაკვირი აღმოგხდეს: „მშვენიერი ხარ, შეჩერდი წამო!“ ბედისწერასთან შეჭიდებულის თავგანწირვაცაა ამ ნახტომში და სულიერი ენერგიის უმძლავრესი გამოსხივებაც.

როცა მსოფლიო საოცრებებზე ვმსჯელობთ, არ შეიძლება ქართულ ცეკვას გვერდი ავუაროთ.

შეუძლებელია ასეთი სრულყოფილი ხელოვნება მხოლოდ დროის რომელიმე მონაკვეთში შექმნილიყო. მის უკან საუკუნენი დგანან. ის თავის თავში ინახავს ჩვენი მოდგმის „წინარესამშობლოს“ ხატს. ქართულ ცეკვაში ერთდროულადაა თავმოყრილი. შუმერელთა ლურსმული დამწერლობით გადმოცემული საიდუმლო, ქალდევების ცისკენ აღპყრობილი მზერა, ხეთებისა და სუბარების სიმტკიცე და შემართულობა.

გერმანელი მხატვარი ვერნერ რუდიგერი წერს: „ქართული ცეკვის პროპორციები მე მაგონებს მთის ბროლის პროპორციებს. ეს სიტყვები მან წარმოთქვა მაშინ, როდესაც უცხოეთში გასტროლების დროს იხილა ანსამბლ „რუსთავის“ გამოსვლა.“

ჩვენი ვალია ეს განძი შთამომავლობას გადავცეთ ისეთი შეურყვნელი, როგორც ჩვენმა წინაპრებმა ჩვენ გადმოგვცეს.

ერეკლე სალლიანი  
პოეტი



## სიზმახშის ნი სახავით პერსეცია

ქართული ცეკვის შესახებ საუბარი პროფესიონალი ქორეოგრაფისათვის იოლიცაა და, ამავდროულად, საკმაოდ ძნელიც. იოლია იმდენად, რამდენადაც იგი შენი სულისა და სხეულის ნაწილად იქცა განვლილი ცხოვრების მანძილზე. ამდენად მასში შეუცნობელი, ძნელად გასაგები ან აღსაქმელი თითქოსდა რაღა უნდა იყოს, მაგრამ, როდესაც მთელი არსებით გაისიგრძებანებ, თუ რაოდენ დიდია ის სამყარო, რასაც ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნება ჰქვია, შეუძლებელია პასუხისმგებლობის გრძნობამ არ დაგაფიქროს.

ქართული ცეკვა თვით ქართველისა და მისი უშორესი წინაპრების ფიზიკურ – სულიერი არსებობის თანაზიარი მოვლენაა. მასში ჩანს ყველაფერი საუკეთესო, რითაც, საერთოდ, ქართველი ადამიანია ცნობილი და გამოჩინებული. ალბათ, ამის გამოვლინებაა ის გასაოცარი ფაქტი, რომ ნებისმიერ ადამიანს, ვისაც საქართველოს შესახებ აქამდე არაფერი სმენია, თუ კი იგი ერთხელ მაინც დაკვირვებული თვალით იხილავს და გონებით განსჯის, ქართლ-კახეთის, გურია-აჭარის, აფხაზეთ-სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის, თუშ-ფშავ-ხევსურეთის, ან კიდევ სამცხეთ-ჯავახეთის რეგიონებისათვის დამახასიათებელ ცეკვებს, შეუძლია თავი ერთს ისტორიის მცოდნედ ჩათვალოს. თითოეულ ცეკვაში ხომ თვალნათლივ იკითხება საქართველოს ცალკეული კუთხეების ადამიანებისათვის დამახასიათებელი ზენ-ჩვეულებები, ტრადიციები, მსოფლმხედველობრივ-რელიგიური წარმოდგენები, ოცნებები, სამომავლო ფიქრები. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ქართული ცეკვა ეს არის ფოლკლორში გაცხადებული ერის ისტორია.

ქართული ცეკვა რომ დიდი და დიადია, ეს იქიდანაც ჩან, რომ მას თაყვანისმცემელთა გარდა ბევრი მოშურნე და ბევრიც მოდარაჯე – მიმთვისებელი ჰყავს.

სად და ვისი სახელით აღარ შეხვდები დღეს ქართული ცეკვის კვალს, მის ქორეოგრაფიულ ქარგას, ილეთებსა და ილეთთა ნაკრებებს... საქმე ზოგჯერ იქამდიც კი მიდის, რომ

მუსლიმანური აღმსარებლობის ქვეყნებიდან სცენაზე გამოსული ანსამბლები ქრისტიანული ჯვრის გამოსახულებიან სამოსში ფარიკაობენ. ეს ერთობ რთული და მტკიცნეული საკითხია, თუმცადა თავი შეგვიძლია დიდი გრიგოლ რობაქიძის სიტყვებით დავიმშვიდოთ: სხვანი ქართულად ვერ იცეკვებენ, რადგან საამისოდ რასსა არ ეყოფათო...

ისევ ზემოთ ნათქვამს უნდა დავუბრუნდე. პირადად ჩემთვის, როგორც ქორეოგრაფი-სათვის, ქართული ცეკვა ესაა ცხოვრების წესი, ხორცი ხორციაგანი და სისხლი სისხლ-თაგანი.

ძილისა და სიზმრის დროსაც კი ცეკვაში ვცხოვრობ – ვცეკვავ ან ცეკვას ვდგამ. ზოგჯერ გამომეღვიძება და ვგრძნობ, რომ საოცრად დავიღალე სიზმრისეული შემოქმედების პროცესში. ეს დაახლოებით იგივე განცდაა, როდესაც ქორეოგრაფი რეპეტიციის დაამთავრებს. აი, ასეთი გრძნობით ვიღვიძებ, მივდივარ სამსახურში და აქ უკვე ყველაფერი თავიდან იწყება – ლექცია, მუშაობა ცეკვის დადგმაზე, კონკურსი, შეხვედრები კოლეგებთან, უიურის წევრთა შორის ყოფნა და ა.შ.

ბოლოს მივდივარ სახლში, ვეფერები ოჯახის წევრებს, ვცვლით შთაბეჭდილებებს, შემდეგ ძილი და ისევ ყველაფერი თავიდან იწყება.

აი, ესაა ჩემთვის ქართული ცეკვა!

### ბესიკ სვანიძე

საქართველოს სახალხო არტისტი,

ლირსებისა და ხალხთა მეგობრობის ორდენების კავალერი, პროფესორი

## მის აღმატებელებას კახიურ სახავას

მთის არწივი რომ ზეცას ხაზავს ვნებააშლილი,  
იმას მაგონებს ვაჟისაგან ხელი გაშლილი.  
რა ილეთები, რა ტანის რხევა, ჩახვეული, გადანასკვული,  
ქართული ცეკვა, მჩქეფარე, როგორც ალადასტური.  
არ დაიჯერო, ჩვენს ცეკვაში, მთავარია ფეხი გასმული.  
მოკრძალებაა ქალის მიმართ გონგადასული  
როკვის დროს ქალი ვაჟისაგან,  
ღმერთად აღქმული.

გივი სიხარულიძე

მწერალი, ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის პრემიისლაურეატი

## ფიქირი სის კახიური აზერვნების ფეხის ფეხი

ფერხული არის ქართული კაცის აზროვნების ფუძეთა ფუძე. ცეკვის ნიჭი ქართველის თანდაყოლილი თვისებაა. არ არსებობს ქართველი, რომელსაც ცეკვისადმი არაპროფესიული მიდგომა ჰქონდეს. ამრიგად, დახვეწილი შესტიკულაცია და ყოფითი მოძრაობების ემოციურობა სწორედ ცეკვის გენეტიკური ნიჭის გამოვლენაა.

მთელი ცხოვრების მანძილზე ქორეოგრაფიასთან განუწყვეტელი ურთიერთობა მაკავ-შირებს. ახალგაზრდობაში ვიყავი ანსამბლ „გორდელას“ სოლისტი და ზოგიერთ საგასტროლო მოგზაურობაში გვექონდა დიდი ბედნიერება ი. სუხიშვილის სახელობის სახელმწიფო ანსამბლთან ერთად გამოვსულიყავით.

## სანგალა ღა ბობონა

ყველა სოფელს ჰყავს თავისი გამორჩეული გოგო-ბიჭები. მაგრამ ეს ცანგალა სულ სხვა ყოფილა. არათუ თავის სოფელში, იგი ერთნაირად უყვარდათ თურმე მთელს ქართლსა და კახეთში, რაჭა-ლეჩეთში, და სვანეთში, იმერეთსა თუ გურიაში, აჭარასა და მესხეთ-ჯავახეთში, სამეგრელოსა და აფხაზეთში, თუშ-ფშავ-ხევსურეთსა და საქართველოს გარე, კავკასიონის გადაღმა ქვეყნებშიც კი, იმის გამო, რომ გამორჩეული და მარჯვე მოცეკვავე ყოფილა. ხოლო ყველა ამ ხალხებში, მარჯვე, მუხლმოუდრეკელი და ფეხის წვერებზე შემდგარი მოცეკვავები განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობენ. ვინაიდან უდრევი კავკასია, მტკიცე ხასიათთან ერთად, მარჯვე ცეკვასა და გმირულ სიმღერასაც გადაურჩენია.

რაც შეეხება ცანგალას, იგი, მართლაც, ცეკვის განუმეორებელი ნიჭით ყოფილა და-ჯილდოებული. სოფლად თუ ქალაქად, სადაც კი გამოჩენდებოდა, ყველა გოგონა ცდილობდა მასთან ცეკვა-თამაში ჩაბმას, რათა თავიანთი რჩეულებისათვის კიდევ უფრო მოენონებინათ თავი. ხოლო, მასთან ცეკვაში ერთხელ გაჯიბრებული ვაჟები მთელი ცხოვრება სიამაყით იხსენებდნენ თურმე – მე ცანგალასთან ერთად მიცეკვია და ზოგჯერ მისთვის ტოლიც არ დამიდევია. წარმოუდგენელი ყოფილა, ცანგალას ცეკვისთვის და მისი თავბრუდამსვევი ილეთებისთვის გეცქირა და აღტაცება არ გამოგეხატა. დღესაც, როცა ვუცეკერთ მის შვილთა-შვილიშვილის შვილებს – ვახტანგს, ჯორჯს, ილიკოს და ნინოს, ლატავრას, იამზეს, ფრიდონს, ომარს, ჯუმბერს, გიზოს, იაშას, დათიკოს და კიდევ მრავალს, სუნთქვა გვეკვრის და გაოგნებულები შეცეკერით ზენას: – ღმერთო, საიდან მოვიდნენ ეს განუმეორებელი, სწორუპოვარი მოცეკვავე ქალ-ვაჟი, ან რა ნიჭი მიეცი მათ, რომ გაუათმაგებიათ შენგან ბოძებული ტალანტი. საიდანმე მოსულან, თუ აქ, საქართველოში, დაბადებულან და გაზრდილან მათი დიდი წინაპრების სახელის სადიდებლად, დღესაც ფეხის წვერებზე შემდგარნი რომ აცვიფრებენ სამყაროს ქალისა და მამაკაცის ჯერ არნახული და გაუგონარი დამოკიდებულებით.

გომარ სიხარულიძე  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
პროფესორი

## ქართული ხანა ქართველი ხასიათი იბარებონა

ქართველმა ერმა ყოველი მისი განცდა და აზრი, გონი და მიხვედრილობა, ვნებათა ღელვა და მისწრაფება სიმწყობრით, სილამაზით, სიძლიერით, ნიუანსის სიფაქიზით აღბეჭდა უნივერსალურ საცეკვაო ენაში. ამ ენითაც გამოხატა სამყაროს შეცნობის სურვილი, აღმოჩენათა სიხარული, მიგნებათა ჟინი; უნინარესად კი აღავლინა უზენაესისა და ადამიანის მიმართ უწმინდესი აღტაცება, წრფელი დითირამბი და ომახიანი შეძახილი;

შეარღვია ადამიანური სამყაროს დაგმანული კარიბჭე, გამოიხმო იქ დავანებული განწყობათა, შთაბეჭდილებათა, მისწრაფებათა მრავალგვარობა, თითოეულ მათგანს გამოსახვის ორგანული ფორმა გამოუძებნა და შექმნა ნატიფი მოძრაობის, მოქნილი უესტის, მეტყველი მიმიკის, ცეცხლოვანი რიტმის, მოუხელთებელი ილეთის, მგრძნობიარე ვაჟკაცობის, კდემამოსილი ქალურობის ჰარმონია, ამაღლებული მშვენიერება...

თავისი არსებობის განმავლობაში ცეკვა, როგორც ერის სულიერი ცხოვრების ერთ-ერთი არსებითი ნიშანსვეტი, განუყოფელი ნაწილი იყო ხალხის ყოფა-ცხოვრებისა, მისი ჭირ-ვარამისა თუ გაუთავებელი ომებისა. ამიტომაც რა გასაკვირია, რომ იგი ხალხთან ერთად იპადებოდა, ვითარდებოდა და დღესაც მისი განვითარების დინამიკა უსასრულოა, როგორც დრო და სამყარო.

მეამაყება, რომ ჩემი სათქმელი საქართველოში და მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ცეკვით ვთქვი. მეამაყება, რომ ცხოვრების გზად (რომ მოხდეს სასწაული, რომელიც მხოლოდ ზღაპარში ხდება და მომეცეს საშუალება განვლილი გზის განმეორებისა, არც დავფიქრდებოდი და, იგივე ნახევარსაუკუნოვან გზას თავიდან უყოყმანოდ ავირჩევდი) ეს მეტად საპასუხისმგებლო, ურთულესი, მაგრამ ულამაზესი და უკეთილშობილესი გზა ავირჩიე.

მე ბედნიერება და სიამაყე ვახსენე. განა სიამაყის გრძნობა არ გეუფლება, როდესაც ქართულ ჰანგს და ქართულ როკვას ღმერთების სიმღერად და ცეკვად აღიქვამენ მსოფლიოში, განა დიდი ბედნიერება არ არის, რომ საქართველოში ჩვენ, მოცეკვავებს, გვპაძავენ ტანის ფლობისა და მდგრადი მანერების გამომუშავებაში. განა ჩვენი დამსახურება არაა, როდესაც ჩვენი ახალგაზრდების (და არამარტო ახალგაზრდების) სიარულში იკითხება საოცარი კულტურა სხეულის ლამაზად მიმოტანისა. დიახაც იკითხება და ეს განძია, რომელსაც „შურის თვალით“ აღიქვამენ მთელ პლანეტაზე. დასკვნის სახით კი ვიტყვი, რომ ქართული ცეკვა, ეს არის აბობოქრებული ოკეანე, რომლის ტალღებშიც იძირება მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხთა ქორეოგრაფია.

გულიკო სიხარულიძე  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
ლირსების ორდენის მფლობელი

## შემოქვედვითი ცნობისა ღ ტანაციის თვითმყოფალობა

დღეს ჩვენ, ქართველები (და არა მხოლოდ ქართველები, არამედ „სხვაც“ და მათი მიღმელი „სხვანიც“), ქართული ფოლკლორს თამამად და ხმამაღლა ვალიარებთ, როგორც ეროვნული კულტურის (და სხვათა „კულტურათა“) შემოქმედებითი ენერგიის და ტრადიციების ყველაზე თვითმყოფად, ანუ ყველაზე თვალსაჩინო, ყურადსაჩინო, გონითასაჩინო და, საერთოდ, მსოფლიო საასპარეზოზე ყველაზედ გამოსაჩენ დარგს ქართული კულტურის „დარგთა შორის“, დარგს, ერთიანს და განუყოფელს, დარგს, მრავალსახას და ლირსებებით თავმოსაწონ სახილველს!

კვლავდაკვლავ ესაა ერთდროულად სახილველად და სასმენად ყველაზედ ორგანული და უნივერსალური, ესაა ცხოველმყოფელობა ყველა დანარჩენ დარგთა შენივთებისა

ერთ დარგად – „ფერხისაი – ფერხულად“ და „როკვა – სამობად“ – ისევ სულხან-საბას განმარტებით – „ფეხის თითებით როკვანი“, – ანუ ერის ჯიშ-ჯილაგურ ღირსებათა გვირგვინი ქართული ქორეოგრაფია... – ესაა „ლილეო“ და „რამაიდა“ „ძაბრა-ჰარირა-ოხოხოია“ თუ „ზემყრელობა“... ესაა ქართული ფოლკლორის უმაღლესი პატრიოტულ-პოლიტიკური ნიმუში – „თამარ-დედოფალ“... და რა გასაკეირია, რომ ქართველს ხელეწიფება თავისი ერის წარდგენა მსოფლიო ასპარეზსა თუ სტუმრად ჩამობრძანებულ მაღალ სტუმართა წინაშე – ქართულ ქორეოგრაფიას, რომელშიც ჩაქსოვილია ცეკვაც და სიმღერაც „სამოს-სამკაულთა“ სრულ აღჭურვილობაში – „ვითარცა ღმერთს თუ ქალმერთს“!...

ჩემი აზრით, ასევე ცეკვის მთავარი მისიაა როკვა-სამობით აღზრდილი ეროვნულ თვითმყოფად ღირსებათა შენარჩუნება – განფენისა ყველა ასაკთა შორის და, ყველაზე მეტად, ნორჩთა, ყმაწვილთა და ჭაბუკთა შორის! რამეთუ, ქართველი ერის და სახელმწიფოს გადარჩენა და ამაღლება ძალუძს მხოლოდ მთელ ერს, ჯანსაღი ფერხისაითა და როკვა-სამობითა! ძალზედ გამდიდრებულს ენა ქართულითა და ქრისტიანული სარწმუნოებითა.

ეს არაა ოცნება!.. ესაა ზეამოცანა, რომელიც ღირს სიცოცხლედ ქართველთა „ღმერთების სწორი“ – ცეკვისაც, სიმღერისაც და... სიცოცხლის სიყვარულის მახარობლობისა!...

ლერი სიხარულიძე  
საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე,  
ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო  
ფესტივალების ლაურეატი, კინორეჟისორი

## ქვეს ვიხი ამ სიღირის ნინაშვ

მე ვარ ბედნიერი ადამიანი იმიტომ, რომ წლების განმავლობაში ვიყავი მონაწილე იმ დიდი წარმატებებისა, რომელიც თითქმის მსოფლიოს ყველა ქვეყნამ აღიარა. აღიარა ქართული ცეკვის სიდიადე. ბედნიერია ერი, რომელსაც ასეთი ხალხური ცეკვები აქვს. მე ქედს ვუხრი ყველა იმ ქორეოგრაფია თუ ქართული ცეკვის შემსრულებლებს, რომლებსაც თავისი დიდი წვლილი შეუტანიათ ქართული ხალხური ქორეოგრაფიის გამარჯვებაში. მაგრამ მინდა აქვე აღვნიშნო და გამოვყო ცეკვა „ქართული“, რომლის მსგავსი არაფერი შეუქმნია ქართველ ხალხს. აი, სად ჩანს ჩვენი ერის ნიჭიერება და სიბრძნე. ცეკვა „ქართულმა“ ხომ გვირგვინი დაადგა და მწვერვალზე აიყვანა ჩვენი ქორეოგრაფია. მე, რომელიც წლების განმავლობაში ვასრულებდი ამ ცეკვას, მაინც ვერ ამოვწურე მისი სიდიადე, მაინც გულნატკენი წავედი დიდი სცენიდან. სურვილი – გამომეძერნა ბოლომდე ქართული ცეკვის ძეგლი – ვერ ავისრულე. მე ქედს ვიხი ამ სიდიადის წინაშე და ვუსურვებ ყველა მოცეკვავეს, არ დაეკარგოს ეს საოცარი ცეკვა – ცეკვა „ქართული“.

ფრიდონ სულაბერიძე  
რესპუბლიკის სახალხო არტისტი,  
რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი

## თანდაყოცილი ბჩასია ღა პლატიპური

ჩვენი ხალხის სილამაზე, თანდაყოცილი გრაცია და პლასტიკურობა მისი ტემპერამენტი, კეთილშობილება, ქართულ ცეკვას მსოფლიო აღიარებას უქადიან მომავალში.

(აკი, კიდეც ახდა დიდი ხელოვანის თითქმის ერთი საუკუნის წინანდელი ნააზრევი რ.ჭ.)

**ალექსანდრე სუმბათაშვილი  
რეჟისორი**

## მართლი ბამოჩენი მსოფლიოს ხაცეთა ზეავებისაბან

ფესტივალის დროს მრავალი ერის ქორეოგრაფიულ ხელოვნებას გავეცანი და დარმშუნებით შემიძლია ვთქვა (თუმცა ამით ალბათ ახალს არას ვამბობ), რომ ქართული ცეკვა მსოფლიოს ხალხთა ცეკვებისაგან გამორჩეული და უნიკალურია.

ქართული ცეკვებისათვის დამახასიათებელია მაღალი ზნეობა, რაინდული სულისკვეთება. ძლიერი, ცეცხლოვანი, გაბედული ვაუკაცები საკვირველი მოკრძალებით ეპყრობიან ქალ-პარტნიორებს. ყველა ქართულ ცეკვაში ქალი ხელშეუხებელია! ის კი არა, ვაჟის ტანსაცმლის აფრიალებული ნაპირიცეკი არ შეიძლება მას შეეხოს! პატივისცემა, უდიდესი დაფასება, თაყვანისცემა ქალისა გასდევს ყველა ქართულ ცეკვას. ცეკვა „ქართულში“, „მოხეურში“ თვით იუმორისტულ „განდაგანაშიც“ კი ვაჟი და ქალი შორიდან აწონებენ თავს ერთმანეთს. ქალი ჩვენს ცეკვებში იმსახურებს მხოლოდ შორით, მოკრძალებულ ტრფიალს, უდიდეს პატივისცემას, ვაჟების გაშმაგებულ შერკინებასაც კი (ფარიკაობაში) წამიერად სწყვეტს მათ შორის ჩაგდებული ქალის მანდილი.

ეს სათუთი დამოკიდებულება ქალისადმი მკვეთრად ანსხვავებს ჩვენ ცეკვებს მსოფლიოს ხალხთა ცეკვებისაგან. ასეთია ქართული ცეკვის სული.

ქართული ფოლკლორული ქორეოგრაფია დაუფასებელი საუნჯეა და ჩვენი ვალია გავუფრთხილდეთ, არ დავკარგოთ მისი არც ერთი მისხალი.

**გივი სურვილაძე  
საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე,  
ლირსების, საპატიო ნიშნისა და რუმინეთის  
დიდების ორდენების კავალერი**

## წარიგი ზეავება

ჩვენო დიდო საუნჯევ,  
შენით ვმაღლობ, ვდიდგულობ,  
შენს როკვაში სამშობლოს  
ისტორიას ვკითხულობ.  
ქალთან მუხლზე დაჩოქილს,

რაინდულად ქედმოხრილს,  
 ცერზე შემდგარს, ღმერთისკენ  
 ლოცვით ხელებ აპყრობილს.  
 ავტელობამ ვერ გძლია,  
 მაინც ძერწე ქართული,  
 ვაჟკაცობის სიმბოლო,  
 „ხორუმი“ და „ხანჯლური“.  
 გადაურჩი უამთასვლის  
 ალმა-დალმა ბრუნებას,  
 ილეთებში ახვევდი  
 სამშობლოს ერთგულებას.  
 მუჰაჯირად გასული,  
 ჩემო ცეკვავ, ქართულო,  
 შენ, კოლხურო ლეგენდავ,  
 „ჯილველოდ“ მონათლულო.  
 ხიზნობაში, რჯულივით  
 თავი ძლივს რომ ინახე,  
 სიდიადე მეფური,  
 მაინც შემოინახე.  
 სიმღერასთან მხარიმხარ,  
 ზარით და მოძახილით,  
 გზას იკვლევდი „მხედრულით“,  
 ფარითა და მახვილით.  
 შენი მადლით შვილები,  
 კვლავაც დამიფრთიანე  
 და წრეშეკრულ ფერხულით  
 ერი გამიმთლიანე.

**ნოდარ სურმანიძე**  
**სახელმწიფო პრემიის ლაურეატი**

## ეს ასე მიმართი

ხალხური შემოქმედების დიდი ღირებულების ხაზგასასმელად მაღალფარდოვანი სი-  
 ტყვები სულაც არაა საჭირო. ეს ქართველმა კაცმა ოდითგანვე იცოდა. იგი ცეკვა-სიმღე-  
 რას ადამიანის არსებობის ისეთ აუცილებელ პროდუქტს ადარებს, როგორიცაა პური და  
 წყალი: „პურსა ჭამენ და ღვინოს სმენ, სიმღერას არ იტყვიანო“. აქ სიმღერა შერწყმულია  
 „პურთან ჩვენი არსობისა“ და ისიც სიცოცხლის წყაროს ორგანულ ნაწილს წარმოადგენს.  
 პურს, ღვინოს და სიმღერას (საცეკვაო მელოდიას) ჩვეულებრივ ცეკვაც მოსდევს ხოლმე.

ხალხური ცეკვა-სიმღერა შეიძლება შევადაროთ ქართველი კაცის ხმალშემართულ  
 ბრძოლას თავისი ერისა და მამულის დასაცავად.

დიახ, ქართულმა ცეკვა-სიმღერამ, რომელსაც ქართველი კაცი არ ივიწყებს ყველაზე მძიმე სიტუაციების დროსაც (თვით დატირებაც კი თავისებური მელოდია), ჩვენ შეგვინარჩუნა სულიერება, რაც ისეთ დონეზე ავიდა, რომ მთელი მსოფლიო განაცვიფრა.

შემოქმედებითი ფოლკლორი შემთხვევით არ შევადარე მამულის დაცვას. სიამაყისაგან გული ალბათ ყველა ქართველს შეუქანდა, როცა სულიკო უდენტისა და რეზო ჩხეიძის ერთობლივი შედევრის „ჯარისკაცის მამის“ ჩვენებისას ზარბაზნების გრიალი და ტანკების გრუხუნი ქართულმა მელოდიამ და რუსი გოგონას მიერ ქართული ცეკვის შესრულებამ შეცვალა. მე სიხარულისაგან ვტირი, როცა იაპონელი ან ამერიკელი ჩვენს „ჩაკრულოს“ მღერის, ანდა უკრაინელი ჭაბუკი სვანურად ცეკვავს. დამისახელეთ, რას შეუძლია ჩვენი ერი და ქვეყანა შეაყვაროს უცხოელს ისე, როგორც ქართულ ხალხურ შემოქმედებას.

მე ვლაპარაკობ სიყვარულზე, რომელსაც შეუძლია სიძულვილით დანგრეული აღადგინოს. ასევე შეიძლება ისაუბრო მოცეკვავეთა და მომღერალთა ურთიერთ სიყვარულზე, რომელიც, ჩემი აზრით, განსაკუთრებულია. ვერც კი წარმომიდგენია ქართული ცეკვის თუნდაც ორი შემსრულებელი ისე, რომ მათ ერთიმეორე არ უყვარდეთ; მახსოვს, როგორ და როგორ ეფერებოდა ერთმანეთს მთელი ანსამბლი, როცა ის შეუცდომლად ასრულებდა დიდებულ „განდაგანას“ და „მრავალუამიერს“. ხალხური შემოქმედებისადმი სიყვარული არც ახლა მშორდება და სიკვდილამდე გამყვება. გული მწყდება, რომ ასაკმა თავისი გაიტანა და ცეცხლოვან ცეკვას (სვანური, მთიულური, განდაგანა), რომელთაც ერთი ამოსუნთქვით ვასრულებდი, ახლა ვეღარ შევძლებ.

**რამაზ სურმანიძე  
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
მწერალი**

## ქართული სახავის მჩვენებელი ფეხისძველი

დიდი მწერალი ნიკოლოზ გოგოლი თავის დროზე წერდა: „ესპანელი ცეკვავს არა ისე, როგორც შვეიცარიელი, რუსი არ ცეკვავს ისე, როგორც ფრანგი, ერთ ხალხს აქვს სწრაფი ცეკვა, მეორეს – მსუბუქი, ასეთი მრავალსახეობა ხალხის ხასიათიდან გამომდინარეობს!“

ამ ფრთიან ფრაზაში ნათლად არის ასახული, რომ ქვეყნიერების სხვადასხვა ხალხებს ენა, ზნე-ჩვეულება, კულტურა და, რა თქმა უნდა, ეროვნული სულიერების პლასტიკური ფენომენი – ცეკვა ერთმანეთისგან განუსხვავებიათ, თავისებური შთაგონება, ბუნება-ხასიათი, სიდიადე გამოუკვანძვთ მასში.

მსოფლიოს ხალხურ ცეკვებს შორის ქართულ ცეკვას, მართლაც მრავალმხრივი ფერადოვნება, მიწიერი ნიშან-თვისებანი გააჩნია, სიბრძნითა და კეთილგონიერებით ხასიათდება, მკაფიოდ გადმოგვცემს მეგობრობის, სტუმართმოყვარეობის, სამშობლო მიწის განუზომელი სიყვარულისა და პატივისცემის ამაღლებულ განწყობილებას.

ასეა სწორედ, დიდ ქორეოგრაფიულ სიმდიდრეს ვფლობთ, სიამაყეს და ღირსებას რომ ანიჭებს თითოეულ ქართველ კაცს. „მე მუდამ მანცვიფრებდა ქართული ცეკვა თავისი ღვთაებრიობით. ქართული ცეკვის ურთულესი ნახაზები ცაში მნათობთა და ვარსკვლავთა მოძრაობისათვისაც კი შემიდარებია“. ნოდარ დუმბაძის ამ გამონათქვამისა არ იყოს



ပုဂ္ဂနိုင်ရေး၊ ခာဏျမားစွာရေး၊ ပုဂ္ဂနိုင်ရေး၊ ပြည်သူ့ရေး

ქართული ცეკვის ელვარე სცენიურობა, მიმტაცი კონფიგურაცია მართლაც შეუდარებელია. მისი გამომსახველი „ენა“, ქართულ სასაუბრო ენასავით ხვავიანია. აქვს მკაფიო მეტყველების უნარი, „ხორუმისებურად“ შეუპოვარი და ამაღლებულია, თვალდასატანებელი ვაჟკაცობითაც გვაჯადოებს, სინაზე-სინატიფითა და სიმსუბუქით უხილავ გრძნობიერებად გვაქცევს. შემთხვევითი არ არის, რომ დღეს თამამად ესაუბრობთ ახალი ქართული ხალხური ქორეოგრაფიის რაობაზე. ეს დროისა და ეპოქის მონატანია. ეპოქალური ხელოვნება კი უწინარესად ქართული ცეკვის ისტორიული ერთიანობის გამოხატულებაა. ახალი საუკუნის სუნთქვა, მაჯისცემა, ცხოვრების მოტივები ქართულ ცეკვას კვლავაც მოამკობინებს სიკეთეს, ისევაც მოვა მადლმოსილი, ნიჭმომადლებული თაობა. ოდითგან მოგვდგამს გაუხუნარი ზნეკეთილობა: „ის ურჩევია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“...

**თენგიზ სუხიშვილი  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი**

## ხელოვნების ძალა ხაცებისან მომისახურება

ხელოვნების ძალა ხალხისგან მომდინარეობს. მაგრამ ფოლკლორი, ცხადია დახვეწას საჭიროებს, ისევე როგორც ძვირფასი თვალი დამუშავებას. პროფესიონალი ქორეოგრაფი ცეკვას აშორებს ყველაფერს, რაც ზედმეტია, ამკვეთრებს, ავსებს და წარსულის პლასტიკურ მემკვიდრეობას თანამედროვეობასთან ახამებს.

**ილიკო სუხიშვილი  
საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველისა და  
სახელმწიფო პრემიების ლაურეატი**

## უნიკალური სახელი კიონი ხასიათი

ცეკვის მუზა განსაკუთრებით გულუხვი აღმოჩნდა ქართველებისათვის. იშვიათი მრავალფეროვნებით და საცეკვაო ილეთების სიმდიდრით ცნობილი ქართული ცეკვა იმდენივე საუკუნეს უნდა ითვლიდეს, რამდენსაც ეს კავკასიური ერი ინახავს თავის კოლექტიურ მეხსიერებაში. თავის მხრივ, ქართულ ცეკვაში კარგად ირეკლება ეროვნული ხასიათი, აზროვნების წესი, ევროპისა და აზიის შესაყარზე მცხოვრები ამ უცნაური ხალხის მრავალსაუკუნოვანი, უმძიმესი ისტორიული გამოცდილება.

**ილიკო სუხიშვილი-უმცროსი  
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,  
პრეზიდენტის „ბრწყინვალების“ ორდენის კავალერი**

## მსოფლიო სივრცისაში საბანქები

ტერფსიქორა, თავისი დეპის უმრავლესობისაგან განსხვავებით, დედამიწაზე მოსახლე ყველა ერისათვის ნაცნობი მუზაა. ზოგიერთ ხალხს არ გააჩნია ეპიკური პოეზია, ისტორიული ქრონიკები, ტრაგედია ან კომედია, მაგრამ დედამიწაზე, ალბათ, არ არსებობს უმცირესი ეთნოსიც კი, რომ არ ჰქონდეს გამორჩეული, იქნებ პრიმიტიული, მაგრამ მაინც მხოლოდ მისთვის დამასასიათებელი ცეკვა, ხოლო, რაც შეეხება ქართულ ცეკვას, ის მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურია.

ნინო სუხიშვილი  
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,  
პრეზიდენტის „ბრწყინვალების“ ორდენის კავალერი

## ცხავისა ღა სიმღერის სამაფო

საქართველოს ბუნების მშვენიერებით მოხიბლული, უნებლიერი იჯერებ იმ მითის რეალობას, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ უფლის მიერ მიწების განაწილებაზე დაგვიანებით მისულ ქართველებს უფალმა თავისი წილი მინა-წყალი დაუთმო... ქართველებს თავიდანვე გაუმართლათ.

განა გამართლება არ არის, გქონდეს დედამიწაზე უძველესი დამწერლობა, მუსიკალური ხმოვანებით გაჯერებული მეტყველება, უსაზღვრო შესაძლებლობის შემცველი ასო-ბგერა?! ერთ გოჯ მინაზე გაგაჩნდეს უამრავი კუთხე, განსხვავებული როგორც ადათ-წესებით, ტრადიციებით, მუსიკალური ინსტურმენტებით, ისე მეტყველების ინტონაციებით და გეოგრაფიული ადგილ-მდებარებითაც?! მაგრამ საქართველო ხომ მარტო მთები და ზღვები, მდინარეები და მცხუნვარე მზე არაა, საქართველო, უპირველეს ყოვლისა, მეგობრობის, სითბოს, სიყვარულის, თანადგომის, ვაჟკაცობის და ნიჭიერების ის სამეფოა, რომელიც მხოლოდ უფლის მადლიანი ლოცვა-კურთხევით შეიძლებოდა შემქმნილიყო, რაც ყველაზე მეტად ქართულ კულტურასა და ხელოვნებაზე აისახა.

საოცარია, მაგრამ ქართველი ხალხის საუკეთესო თვისებები ისე კარგად არაფერს შემოუნახავს დღემდე, როგორც ხალხურ სიმღერასა და ცეკვას.

აბა, მოუსმინეთ ქართულ მრავალხმიან სიმღერას და უპირველეს, რაც გაგაოცებთ, ერთმანეთის მოსმენის ის დიდი ნიჭია, რაც ასე გვაკლია დღევანდელ ყოფაში.

აბა, კარგად დააკვირდით ქართულ ცეკვებს, უპირველესი რასაც მასში აღმოაჩინთ, ესაა ზომიერება, კეთილშობილება და დისციპლინა, რაც ასევე გვაკლია დღეს.

სწორედ ამიტომ დღეს, როგორც არასდროს, აუცილებლობად მიმაჩნია ქართული ცეკვებისა და მრავალხმიან სიმღერების საყოველთაო, სავალდებულო სწავლება.

ქართველი კაცი მღერის და ცეკვას ყოველთვის, მღერის მაშინ, როცა უხარია და მღერის მაშინაც, როცა ძალიან უჭირს, იგი გლოვობს სიმღერით და ლოცვასაც სიმღერით ამბობს.

რომ არა სიმღერა და ცეკვა, სხვა რა გააძლებინებდა მტრებისაგან წარამარა შემოსევებით აწიოკებულ ქართველს. თვალი გადავავლოთ ქართულ ფოლკლორს და დავინახავთ,

რომ რამდენჯერაც მტერმა ქართველი ერის განადგურება და დაპყრობა მოინდომა, იმ-დენჯერ სიმღერით ფეხზე წამოდგა, ფეხზე წამომდგარმა კი იცეკვა და, როცა იცეკვა, სულიერადაც გამაგრდა და ასე ნელ-ნელა გმირობითა და სულიერებით აივსო ქართული ფოლკლორი.

ქართული გენი რომ მსოფლიო მოვლენაა, ამას ისიც მოწმობს, რომ გადამთიელსაც კი გაუჩინა მის უნიკალურ ჰარმონიულ წყობაში წვდომის სურვილი და დღეს ქართულ მრავალხმიანობას მღერიან ამერიკელები, მღერიან იაპონელები და ბევრი სხვა. მაგრამ უნდა აღინიშნოს ის, რომ ჯერ არცერთ მათგანს არ ეყო გამბედაობა იმისა, რომ შეეხონ ქართულ ქორეოგრაფიას. ბუნებრივია, რომ ამქეცეუნად ყველაფერი ცვალებადია; იცვლება დრო, იცვლება ფული, იცვლებიან ქვეყნის მეთაურები, იცვლება მოდაც, მაგრამ უცვლელი რჩება ჭეშმარიტი, მაღალმხატვრული ხელოვნება. განა ამის ნიმუში არ არის თაობათა ის ცვლა, რომელიც ალექსი ალექსიძის, დავით ჯავრიშვილის შემდეგ გააგრძელა ნინო რამიშვილმა, ილიკო სუხიშვილმა, ჯანო ბაგრატიონმა, გიორგი დარახველიძემ და დღეს, ჩვენდა საბედნიეროდ, მოღვაწეობენ და ღირსეულ მამულიშვილურ საქმიანობას ენევიან ლატავრა ფოჩიანი, თენგიზ სუხიშვილი, ომარ მხეიძე, რეზო ჭანიშვილი, ფრიდონ სულა-ბერიძე, რევაზ ჭოხონელიძე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ დასახლებულთაგან რომელიმე ერთი მათგანის შემოქმედებაც კი საკმარისი იქნებოდა ერთი ქვეყნისათვის, ჩვენი ქვეყანა კი იმითაც მდიდარია, რომ ასეთი გენიალური პიროვნებების მთელი კრებული ჰყავს. და მათთან ურთიერთობა სულ უფრო მარნეულებს ხელოვნების იმ უზარმაზარ პოზიტიურ გავლენაში, რასაც იგი ადამიანის სულიერებასა და პიროვნებებად ჩამოყალიბებაზე ახდენს.

**რუსუდან სებისკვერაძე  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, კომპოზიტორი**

\*\*\*

ქართული ხალხური ცეკვები სიღრმისეული ცოდნით, მრავალმხრივი ერუდიციითა და სრულყოფილებისაკენ დაუღვებელი ლტოლვით ხასიათთებიან.

**რობერტ სტურუა  
რეჟისორი**

## ბანვითახება მხოლოდ მაბისხალები ხაზით

ხელოვნება, რომელიც არ ვითარდება, განწირულია დასაღუპად. ეს აქსიომაა. მაგრამ ამ დებულების მომარჯვებისას აუცილებელია იმის გაცნობიერებაც, რომ ზემოთქმული მხოლოდ მთელ სფეროზე ვრცელდება და არ შეიძლება მექანიკურად გადავიტანოთ კონ-

კრეტულ ნაწარმოებებზე. ცალკეული შედევრები დასრულებული მთლიანობაა, ფორმა-შინაარსის ოპტიმალური და უფაქიზესი შერწყმა. ამიტომაც „ვეფხისტყაოსანს“ თუ „ლურჯა ცხენებს“, „დაისს“ თუ „ზვიადაურს“, „მთვრალ ხევსურებს“ თუ „იმერულ ნატურმორტს“ ამ თეზისს ვერ მივუყენებთ.

შეუძლებელია, უმკაცრესი ოპონენტიც კი არ დაგვეთანხმოს, მაგრამ, ალბათ, იქვე დასძენს: ეს არ ეხება ხალხურ შემოქმედების ნიმუშებს. ხალხურობა მარადიულ ცვალება-დობა-განვითარებას გულისხმობს. სწორედ ეს არის მისი სპეციფიკა. მართალიც იქნება. როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაში?

განვითარება უნდა დაეფუძნოს სწორედ ხალხურობის არსებით ტენდენციებს, ეროვნულ დვრიტას და არა უცხო ან მეორად საწყისებს. ეს კი არცთუ ადვილია, მით უფრო გლობალიზაციის ხანაში(სხადასხვა ხალხის შემოქმედების არნახული პოპულარიზაციის პერიოდში; დაპირისპირებულ გემოვნებათა დაკმაყოფილების სურვილის მოძალებისას).

თვალი გავადევნოთ ცეკვა „ქართულს“. ეს არის უმძაფრესი პოემა, ვაჟის ცხოვრების აზრი სიყვარულში დანთქმაა, მაგრამ ეს როდი აძლევს უფლებას ხელივით მოიქცეს. მისთვის ქალი სალოცავი ხატია და არა „მკლავქვეშ გამოსაჭერი“ დიაცი.

დავუკვირდეთ: ამაყი და მკერდზე ხელმოდებული უსწრაფესი როკვით უახლოვდება განაბულ ასულს. თავს ხრის და ეაჯება. ქალი თითქოს გაურბის (მიჯნურის განელების მიზნითაც)... მერე როგორ ვითარდება სიუჟეტი – შორით ტრფობა, შორით დაგვა და საბოლოოდ სიყვარულის აპოთეოზი. ხშირად მიფიქრია: „ქართული“ ქორეოგრაფიული ვარიანტი ხომ არ არის „ვეფხისტყაოსანისა“ – მეთქი. ერთი კი დაბეჭითებით შეიძლება ითქვას: ორივეში უბრნებინვალესად გამოვლინდა ჩვენი ერის გენია. მაპატიეთ, სიტყვა გამექცა.

დიახ, ახალი დეტალების თუ შტრიხების მიზანით მაგისტრალური ხაზის გამყარება ხასიათების გამოკვეთისათვის ხელის შეწყობა და არა ტრიუქებიდან მომდინარე ეფექტის შემქმნაა. ჩვენი ქორეოგრაფია იმითაც არის უნიკალური, რომ სხვადასხვა კუთხის სპეციფიკას ძალუმად ავლენს. ამიტომაც მოხევური თუ აჭარული ცეკვები ერთი არშინით არ განიზომების. ვიმეორებ: ნიუანსების შემოტანა უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტული ცეკვის მართებულად გაგებულ იდეას, ტიპაჟის სიმკვეთრეს, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მონაცემებს და ა.შ. ეს კი ხშირად დავიწყებულია. უნდა გვახსოვდეს: კალაპოტიდან გადმოსული მდინარე შთამბეჭდავია, მაგრამ საბოლოოდ მაინც ტბორებს გვიტოვებს.

**ნოდარ ტაბიძე  
მჩერალი**

## „ქართულ ხელობას ღერ ვეხევის ღანაღებს“

სიმღერისა და ცეკვის განუყოფლობა ადამის მოდგმის გაჩენიდან მოდის. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება სიმღერის სამსახურს შევალიე და ვთვლი, რომ ამ მხრივ ბედნიერი ადამიანი ვარ. იმაშიც უთუოდ გამიმართლა, რომ დავიწყე თუ არა სიმღერა, ჩემმა ოჯახმა უფლის ჩაგონებით მაშინვე გადაწყვიტა – როგორც მომღერალს უფრო მეტი წარმატება მექნებოდა, თუ სასცენო საცეკვაო ხელოვნებასაც ავითვისებდი. ასე გავხდი დიდი ჯანობაგრატიონის მოწაფე და შემდეგ უკვე ლეგენდარული ომარ მხეიძის პარტნიორი.

დარწმუნებული ვარ, თუ ცხოვრებაში რაიმეს მივაღწიე, ამაში განგების ხელის გარდა იმ უდიდესი სულიერი ენერგეტიკის კვალიც იყითხება, რომელიც ქართული ცეკვის მადლიდან, მისი იდუმალი ესთეტიკიდან, მაღალზნეობრივი ხალხური საწყისიდან და გასაოცარი პლასტიკიდან მომდინარეობს. ასეთ საუნჯეს დრო ვერაფერს აკლებს. მას დავიწყება არ უნერია.

**ცისანა ტატიშვილი  
საქართველოს სახალხო არტისტი  
რუსთაველის და ზ. ფალიაშვილის პრემიების ლაურეატი,  
პროფესორი**

## მისი შესაძლებელობები ბანეზომელი

ქართული ცეკვა საუკუნეების სიღრმიდან ამოზრდილი ხალხური ხელოვნებაა. მისი ფესვები ისე მძლავრადაა გადგმული მშობლიურ მიწაში, რომ იოლად ვერაფერი შეარყევს და ვერც სახეს შეუცვლის. ცეკვა ქართველი კაცისათვის ისეთივე აუცილებელი საქმიანობაა, როგორც ხვნა-თესვა, მცენარის დარგვა, გახარება, სტუმრიანობა, მამულის დაცვა თუ მოყვასზე ზრუნვა. სწორედ ამგვარი აუცილებლობის შეგნებითა და რიტუალური მონიჩებით ინახავდნენ ჩვენი წინაპრები გმირული სულისკვეთებით აღბეჭდილ ფერხულებს, სამხედრო-პატრიოტული შინაარსით დატვირთულ ცეკვებსა თუ სატრფიალო საცეკვაო ლირიკის ჭეშმარიტ შედევრებს.

მნამს, რომ ქართულ ცეკვას შეუძლია ადამიანში ყველაზე საუკეთესო თვისებები აღზარდოს, მასში გმირული საწყისი გააღვიძოს და საქვეყნო საქმეებისადმი ერთგულების გრძნობები გააღვივოს. ცეკვის მაგიურ ძალას შეუძლია ცხოვრებისაგან წაქცეული კაციც კი წამოაყენოს და იგი ბედნიერებას აზიაროს.

**ომარ ტვილდიანი  
საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე,  
ქორეოგრაფი**

## ქართული სიცის ღა ბანის ყივილი

ქართული ცეკვა ქართველის სულისა და გენის ყივილია, ჯიშის და რასის ცეკვაა, განსხვავებული ყველა ეროვნული ცეკვებისაგან. მასში ასახულია ქართული ხასიათი, ტრადიცია, ისტორია და ქართული თვითმყოფადი კულტურა.

ქართულ ცეკვაში ამაღლებულია ქალისა და მამაკაცის ურთიერთმიმართება, ქალის მანდილის კდემა, სინატიფე, სიძლიერე, შეზავებული სინაზით, ამასთან მამაკაცის რაინდობა, ვაჟკაცობა, შეუპოვრობა, იქვე მოკრძალება ქალის მანდილის მიმართ და გმირული სულისკვეთება.

იური ტორაძე  
ქორეოგრაფთა საერთაშორისო საქველმოქმედო  
ფონდის თავმჯდომარე,  
ლირსების ორდენის კავალერი

## ქართული ხელი ათასწლეულებს ითვლის

ცეკვა ადამინის სულიერი და ფიზიკური ენერგიის ელვარე გამოისხივებაა მხატვრული ფორმით. ის თანაბრად ავლენს ამა თუ იმ ხალხის თავგადასავალს, მის ისტორიულ გამოცდილებას, ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, შემოქმედებით ნიჭს, მუსიკალურობას, გამომგონებლურ სიმარდეს, სიჩაუქესა და ეროვნულ ხასიათს.

განსაკუთრებულია ქართული ხალხური ცეკვის, მისი ანსამბლებისა, დამდგმელებისა და ცალკეული შემსრულებლების დამსახურება სამშობლოს წინაშე. მათ შეინარჩუნეს და დღემდე მოიტანეს ქართული ხალხური ქორეოგრაფიის მადლი, ხიბლი და გამორჩეულობა.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში კი მიმოფინეს მსოფლიოს ყველა კუთხე-კუნძულში.

ბარაქალა ქართული ცეკვის სწორუპოვარ ოსტატებსა და მოამაგეებს, რომლებსაც ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვით ქართული კულტურის ტრიუმფალურ სვლაში საერთაშორისო ასპარეზზე. მათ შორის არაქართველი ცოტა როდია.

თითოეული ჩვენგანი მოვალენი ვართ პატივი მივაგოთ მათ დამსახურებას.

მინდია უგრეხელიძე

\*\*\*

1967 წელს ქართველმა მოცეკვავეებმა დაარღვიეს მსოფლიო საოპერო ხელოვნების ციტადელის – მილანის „ლა-სკალას“ საუკუნოვანი ტრადიცია. ეს იყო პირველი შემთხვევა ამ უნიკალური თეატრის ისტორიაში, თეატრისა, რომლის სცენაზეც ორგანულფილებიანი, ეროვნული პროგრამით გამოვიდა ერთი პატარა ქვეყნის, მაგრამ დიდი კულტურის მქონე ფოლკლორული ცეკვის ანსამბლი და ბრწყინვალე სპექტაკლით ღირსეულად და ტრიუმფით წარსდგა მომთხოვნი მაყურებლის წინაშე. უჩვენა მათ ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი გენიალური და უკვდავი საცეკვაო ხელოვნება, რომელიც ქართველი ხალხის სავიზიტო ბარათად იქცა მთელს დედამიწაზე და მყარად დაიმკვიდრა ღირსეული და სამართლიანი ადგილი ცივილიზებული მსოფლიოს კულტურის საგანძურში.

რეზონ შარიავილი. ქართული ხელოსნის სამსახური



## ქიუმფი

ილიკოსა და ნინოს ლეგენდა,  
ცერზე შემდგარი სამყაროს უვლის,  
მანდილითა და ხმლით შეფიცულებს,  
თანა სდევთ მადლი და ლოცვა უფლის.

სახელგანთქმულნი, როკვის ოსტატნი,  
ბევრგან შერაცხეს ცეკვის ვარსკვლავად,  
მაგრამ წინ რთული გამოცდა ელით,  
მათ ხომ მასპინძლობს დიდი „ლა-სკალა“.

„ლა-სკალას“ ახსოეს კორიფეულის,  
სულისშემძვრელი ხმები ხალასი,  
კარუზო, ჯილი, მონაკო, ლანცა,  
ლეგენდარული ქალი-კალასი.

აქ დღესაც ისმის, ახლაც ტრიალებს,  
გზებით აღვსილი ფეთქვა გულების,  
ვერდის, პუჩინის, ლეონკავალოს,  
და სხვა ტიტანთა დიდი სულები.

ეს ციტადელი – მუსიკის მექა,  
ზღაპრულ ტრიუმფებს როცა მოესწრო,  
ტოსკანინია მათი ავტორი,  
გენიალური, მკაცრი მაესტრო.

მშვენიერების აქ მოსაფენად,  
ქართული ჯიშის გიზგიზებს ცეცხლი,  
ქალ-ვაჟთა ლალი შენავარდება,  
არწივთ ირაო, გაფრენა მერცხლის.

„ფარცა“, „ხორუმი“ და „ხევსურული“,  
„ძველი თბილისი“ და „მუხამბაზი“,  
თვალწინ ცოცხლდება ერის წარსული,  
მარად უკვდავი, ასე ლამაზი.

ლატავრას ქროლვა კდემით მოსილი,  
როკვის გვირგვინი – ჩვენი „ქართული“,  
ფრიდონის გასმა სწორუპოვარი,  
გასაოცარი და შემართული.

„სამაიას“ და „დავლურის“ მზერით,  
როს გაირინდა მთელი დარბაზი,  
მე გამახსენდა სვეტიცხოველი,  
ჩემი მცხეთა და ჩემი არმაზი.

სცენაზე მოსჩქეფს უზადო ხიბლი,  
შნოს და ლაზათის მძლავრი ნაკადი,  
ვირტუოზული, თავბრუდამხვევი,  
ცეკვის ილეთთა უხვი კასკადი.

დაჰქრიან ისე, ვით ჯადოქარნი,  
ისმის ყიუინი, ულრიალი ხმალთა,  
რაინდთა შმაგი მხიარულება,  
და სინარნარე ღვთაებრივ ქალთა.

ანსამბლი ქვეყნის დიდ ისტორიას,  
თვალისმომჭრელი ცეკვებით ქარგავს,  
გაოგნებული მაყურებელი,  
წონასწორობას თანდათან კარგავს.  
და, ჰა, იწყება მროკავთ „შეჯიბრი“,  
ცერზე სრბოლაში, მუხლზე ტრიალში,  
მრავლისმნახველი „ლა-სკალას“ ჭერი,  
ლამის გაიპო ტაშის გრიალში.

ფეხზე ამდგარი გრგვინავს დარბაზი,  
„ბისსა“ და „ბრავოს“ არ უჩანს ბოლო,  
ფარდა იხსნება ისევ და ისევ,  
ცეკვას ცვლის ცეკვა, და სოლოს-სოლო.

არასდროს თვალით რომ არ ენახათ,  
მათ იქ იხილეს ეს სასწაული,  
ქართული გენის გამობრწყინება,  
ქართული სულის დღესასწაული.

ილიკოსა და ნინოს ლეგენდა,  
ქვეყნიერებას ტრიუმფით უვლის,  
მანდილითა და ხმლით შეფიცულებს,  
თავს ადგათ მადლი და ლოცვა უფლის.

თენგიზ უთმელიძე. 2012 წ.

## ქართული სახალხო ლიტერატური

ქართული მიწის წიაღიძან აღმოცენებულმა, საუკუნეთა მანძილზე შენარჩუნებულმა და დღემდე მოღწეულმა ხალხურმა ქორეოგრაფიამ არნახული აღმავლობა განიცადა. ქართულმა ცეკვამ, რომელმაც ხელოვნების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, თავისი უნიკალურობით, მრავალფეროვნებითა და თავისთავადობით აღტაცებაში მოიყვანა ჩვენი პლანეტის ხუთვე კონტინენტი.

ჩვენს დროში მოწმენი გავხდით ჭეშმარიტად ეპოქალური მოვლენისა: ქართული ცეკვის ფენომენმა გააოცა მთელი მსოფლიო, ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო მთლიანად მრავალ-საუკუნოვან ქართულ კულტურას.

ცივილიზებულმა სამყარომ აღიარა ჩვენი ეროვნული საგანძურო – „ფანტასტიკური, წარმტაცი, რომანტიკული, თვალისმომჭრელი, დაუვიწყარი, დიადი ქართული საცეკვაო ხელოვნება, აღსავსე შინაგანი მადლით, შთაგონებით, მარად უკვდავი მშვენიერებით.“ მსოფლიომ მუხლი მოიყარა ცერებზე შემდგარი მგზნებარე სულის წინაშე და ალალად დაულოცა ის ლაჟვარდოვანი გზა, დღეს ქორეოგრაფიული ხელოვნების მატიანედ რომ იქცა. ქართული ხალხური ქორეოგრაფია მსოფლიოს ხალხებისათვის გახდა ნამდვილი აღმოჩენა, ნამდვილი სასწაულებრივი ხილვა ჯერ უხილავისა და მანამდე არგაგონილისა.

ქართული ცეკვა „მსოფლიოს მერვე საოცრებად“ იქნა აღიარებული.

ქართულმა ცეკვამ მილიონობით მაყურებლის მოგონებაში დატოვა არა მხოლოდ მოცეკვავეთა ვაჟუაცური შემართება და დაუკეპებელი ცეცხლი, ქალთა სინარნარე და კდემა-მოსილება, არამედ თვით ქართული სული, მისი მთელი არსი, რომელშიც ასე მკაფიოდაა გამოსახული ხალხის გმირული ბუნება, სილამაზის აღქმა, მგზნებარე ტემპერამენტი, მიდრეკილება პოეზიისადმი, ბუნებრივი არტისტიზმი, ღრმა ინტელექტი და რაინდული კეთილშობილება.

ქართული ცეკვა – როკვით განფენილი გენიაა ერისა!

ქართული ცეკვა – სულიდან ამოძახილი მოძრაობაა!

ქართული ცეკვა – ერის უკვდავების გასაღები და მისი თვითმყოფადობის ერთი უმშვენიერესი გამოვლინება!

ქართული ცეკვა – მარადიული დღესასწაულია!

უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ ვეზიარე ქართული ცეკვის მადლს, ვამაყობ, რომ მონაწილე და თვითმხილველი ვარ ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების არნახული ტრიუმფალური გამარჯვებებისა და ამ საოცრებაში მოკრძალებული წვლილის შეტანის საშუალება უფალმა მეც რომ მარგუნა.

თენგიზ უთმელიძე  
საქართველოს სახალხო არტისტი

## ქართული სახალხო სტილი

ევროპისა და აზიის შესაყარზე მცხოვრები ხალხის მრავალსაუკუნოვანი, უმძიმესი ისტორიული გამოცდილების, ეროვნული ხასიათის, იშვიათი მრავალფეროვნებით და საცეკვაო ილეთების სიმდიდრით ცნობილი ქართული ცეკვა სათავეს წარმართობის ხანიდან იღებს.

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებამ და მისმა გამოცხადებამ სახელმწიფო რელიგიად ძლიერი ბიძგი მისცა ქართველური ტომების გაერთიანებას, ერთიან ერად ჩამოყალიბებას და ერთიანი ქართული კულტურის განვითარებას. ამ ერთიანობაში თითოეულმა ტომმა, თუ ეთნიკურმა ჯგუფმა, მოიტანა თავისი სპეციფიკური ადათ-წესები, ტემპერამენტი, ყოფითი ჩვევები.

ქართული კულტურისათვის ნიშანდობლივი პოლიფონიურობა სავსებით შეესაბამება ქართველთა საცხოვრებელი გარემოს ნაირგვარობას. ქართული საცეკვაო სტიქიის სიჭრელე და არაერთგვაროვნება სწორედ ამ პოლიფონიით არის ნასაზრდოები.

ქართულმა ცეკვამ, რომლის პლასტიკურმა „ტექსტმაც“ შემოინახა ერის სულიერება, უკანასკნელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ქართულ ცეკვას თავისი საბოლოო სიტყვა ჯერ კიდევ არ უთქვამს. XXI საუკუნეში იგი ახალი ელვარებით წარმოჩინდება და კიდევ უფრო მეტ გულშემატკივარს შემატებს დიდი ისტორიის მქონე მთელს ქართულ კულტურას.

ლამარა უთმელიძე  
საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე,  
ლირსების ორდენის კავალერი

## ჩვენი ეროვნული საუნაც

ჩვენი ხალხური, კოლორიტული და თვითმყოფადი ცეკვები მდიდარია თავისი მრავალ-ფეროვნებით; ვაჟვაცური სვანური, ცოცხალი და ჩქარი აფხაზური, რაჭული და გურული „ფერხულები“, „ხორუმი“, ქართლ-კახური საცეკვაო ნიმუშები, დიადი „მთიულური“, „ოსური“, ფიცხი „ხევსურული“, დარბაისლური „დავლური“, შეუდარებელი „ქართული“ და მრავალი სხვა. ყველა ეს ცეკვა ხალხის წიაღიდან შეაგროვეს და ხალხსავე დაუბრუნეს ქართული ცეკვის დიდოსტატებმა, რომ ჩვენი ეროვნული საუნჯე უმწიკვლოდ გადაეცათ თაობებისათვის.

დავით უშვერიძე  
საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე,  
ქორეოგრაფი

## ერთ ახა ცეკვა ქართული...

...ათასწლეულთა მიღმა ფეხის წვერებზე აინია მონადირე (სიმბოლურად თუნდაც ბეთქილი) და დაიწყო „აცეკვებული ნადირობა“.

...ქართველმა გუთნისდედამ ხნული გაავლო, ცას ახედა, მიწას დახედა, სოფლის და ზესთასოფლის დასაკავშირებლად მზისა და მთვარის სადიდებელი ფერხული ჩააბა, მუხის გარშემო წყლისა და ცეცხლის სტიქიებისადმი სავედრებელი სიმღერა-როკვა აღასრულა.

...მომხდურმა, გადამთიელმა დაპყრობა მოუნდომა, მამულს შეედავა. არ დაანება, შეებრძოლა – ფიცხელ ომშიც თითქოს როკავდა.

...ომიდან დაპრუნებულმა გამარჯვების სიხარული, ღირსებისა და სიცოცხლისათვის, სარწმუნოებისა და ეროვნული მეობისათვის ბრძოლა ცეკვა-ქმედებად აქცია. მათში იგრძნობა: საგაზაფხულო წყალდიდობა თუ კავკასიონის მთებიდან მოხეთქილ ზვავთა გრიალი, მეციხოვნეთა მიერ ციხის აღება და დაცვა, მტკიცედ მოქნეული ხმლის ფარზე დაჯახება; თითქოს ბედაურებიც იქვე უცდიან, რათა მყისიერად ზურგზე მოევლონ და მარადიულ უთანასწორო ბრძოლაში გადაეშვა...

...ზოგჯერ ნაწვიმარ ცაზე ცისარტყელა მოირკალება, „მზე ამზევდება“, სიყვარულისა და ტრფიალების იგავმიუწვდომელი პოემა სრულდება. საუკუნეებში ტანჯული საქართველოს წიალიდან სამა-როკვით მოედინება სიყვარული, სათნოება, რწმენა, მეგობრობა, ურთიერთდანდობა, გატანა, სიხარული, კდემა, სინაზე, ვაჟეაცური შემართება... და ცოცხლდება ქართულ ცეკვაში ქართველი ერის ისტორია, ბუნება, ხასიათი – უშორესი წარსულიდან დღემდე.

...ქართული ცეკვა ქართველი ერის ნივთიერი მემატიანეა: ქართული მიწის წიალიდან ამომზეურებული მოჭედილ-მოოჭვილი თასების, სარტყელების, ქანდაკებების, მონეტების, ფირფიტების, ჩვენი ტაძრების ფრესკების, უძველეს ქართულ ხელნაწერთა მინიატურების სახით ჩვენამდე მოდის განსაცვიფრებელი, განუმეორებელი, ორიგინალური, თვითმყოფადი ქართული „საცეკვაო ენა“. ქართული ცეკვა-სიმღერა ერის სულიერი ხერხემალია, მასში ჩადებულია ყველასგან გამომრჩევი ის ეროვნული თვითმყოფადობა, რომელიც ქართველს უშურველად, ცეკვა „ქართულივით“ ხელგაშლილი, მიაქვს მსოფლიო კულტურის საგანძურში... ქართული ცეკვა ქართველთათვის ღვთისგან ბოძებული ნიჭია, განძია – „ვეფხისტყაოსნისა“ და სვეტიცხოვლის ბადალი – თვალისწინივით მოსავლელი და გასაფრთხილებელი... უხეშად, მოურიდებლად ნუ შევეხებით მის ულამაზესა და უფაქიზეს სხეულს. ყოველთვის გვახსოვდეს, რომ „ხორუმი ქართული ცეკვაა“...

გიორგი უშიკიშვილი  
საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის  
დირექტორი, ანსამბლ „ლაშარის“ ხელმძღვანელი

## ზეპის ბახეში ჩვეთვის ახსებობა ნახმოებიცი

ცეკვა მაშინ ჩაისახა, როდესაც ადამიანი ამ ქვეყნად გაჩნდა და იგი მისი სულიერი და ფიზიკური მოთხოვნილების მთავარ ატრიბუტად იქცა. ქართველ ერს, რომელიც ესოდენ მდიდარია ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიული წარსულით და გააჩნია ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული მატრიარქატისა და პატრიარქატის ხანის უძველესი საცეკვაო ფოლკლორული ნიმუშების მრავალფეროვნება, გადაშენება არ უწერია. ცეკვის უკვდავება კი მის ხალხურობაშია.

ხელოვნების გრძნობა ადამიანში ღვთივმომადლებული ნიჭია, რომელსაც გაფრთხილება სჭირდება. იგი ჩვენი ფიქრისა და განცდის ლამაზად გამოხატვის საშუალებაა.

ცეკვა ის ძალაა, რომელიც ხიბლავს მის გარშემო მყოფთ და მათ გულებს იპყრობს, ხოლო პლასტიკურად მაღალ დონეზე შესრულებულ ცეკვაში მთელი სიღრმით და სისრულით აისახება ადამიანის შემოქმედებითი სული. ცეკვა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას ხალისიანს და შინაარსიანს ხდის.

რას ნიშნავს ჩემთვის ხელოვნება? – ყველაფერს. ესაა სიცოცხლე, სუნთქვა, ჰაერი, სიყვარული და სხვა ყველაფერი ერთად აღებული, რომლის გარეშე არსებობა შეუძლებელია. როდესაც მეორე სპეციალობით ფილოლოგიური დავამთავრე და სამეცნიერო საქმიანობას ხელი მივყავი, ისევ ქორეოგრაფიული ხელოვნებით ვარსებობდი, ვაქვეყნებდი ქორეოგრაფიასა და ქორეოგრაფებზე წერილებს. ამ ხელოვნებისადმი დიდმა პატივისცემამ გადამადგმევინა ნაბიჯი შემექმნა მონოგრაფიული ნაშრომები დიდ ხელოვანებზე – დავით ჯავრიშვილსა და ავთანდილ თათარაძეზე.

ასე რომ, კვლავ ჩემთვის საყვარელი ქორეოგრაფიული ხელოვნებით ვცხოვრობ და ვარსებობ.

რუსუდან ფაილოძე  
ისტორიკოსი

## ქართული ხიბობი ძალის ლაბიტუნი ინიციატივის მიზანის ბაზი

ქართული ხასიათის, თვითმყოფადობის ერთ-ერთი გენიალური გამოხატულებაა ქართული ცეკვა. ამიტომ მას, ბუნებრივია, ქართული კინოც ვერ აუვლიდა გვერდს. ქართული კინოკლასიკაც წარმოუდგენელია ცეკვის გარეშე. ფილმებში რეჟისორებმა ცეკვას მიანდეს იმ ემოციური, შინაგანი მუხტის აფეთქება, რომელიც ვერ განხორციელდებოდა მხოლოდ კინოხერხებით. საკმარისია გავიხსენოთ ს. დოლიძის „უკანასკნელი ჯვაროსნები“ და „ჯურლას ფარი“, ნ. შენგელაას „ელისო“ და მრავალი სხვა...“

როცა ქართული ფოლკლორის მოტივებზე შექმნილ ფილმ-ზღაპრებში „ჯადოსნური ლამე“ გაცოცხლებული ხის სულების ზეიმი მინდოდა გამომეხატა, მეც როკვა მოვიშველიე.

ფილმისა „მზე შემოდგომის“ ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი ეპიზოდიც ხომ ბატონ ლადო გუდიაშვილის ცეკვაა, სადაც ბატონმა ლადომ ის დავიწყებული ილეთები გაიხსენა, რომლებიც თავის დროზე, „ქეთო და კოტეში“ ასწავლა გენიალურ გიორგი შავგულიძეს.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული კინოს მსოფლიო აღიარებაში დიდია როლი ქართული როკვისა.

თემურ ფალავანდიშვილი  
კინო-რეჟისორი

## ქართული მიზანის ჩატარება

ლონდონში, ვატერლოოს ხიდთან დგას უზარმაზარი საკონცერტო თეატრი, თანამედროვე არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუში – „როიალ ფესტივალ ჰოლი“. იქ გაკრული აფიშები ინგლისის დედაქალაქის მცხოვრებლებს იწვევდნენ ქართული ცეკვების კონცერ-

ტზე. მე ლონდონში ქართველ მოცეკვავებზე მეტი აფიშა არ მინახავს. თუმცა, როცა კონცერტებს დავესწარი, მივხვდი, რომ ქართულ ცეკვებს რეკლამა არ სჭირდებოდა. სამი ათას ხუთას ადგილიანი დარბაზი ყოველთვის გაჭედილი იყო, ბილეთები კი იაფი როდი ლირდა. დარბაზში ტევა აღარ იყო მაშინაც კი, როცა „უემბლის“ სტადიონზე მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები ტარდებოდა. იმპრესარიოს სრულებით არ ეპიტნავებოდა ანსამბლის პოპულარზაფისათვის ზედმეტი ხარჯები გაეწია.

როცა ჩვენმა ლონდონელმა გიდმა ქალბატონმა ბრაუნმა გაიგო, რომ ქართველი ვიყავი, თვალები გაუბრნებინდა და მითხრა – ქართველი ქალები თურმე ულამაზესნი ყოფილან მთელს მსოფლიოში, ლონდონში ამას ყველა ლაპარაკობს, ვინც კი თქვენი ანსამბლი ნახა.

გიდი კონცერტზე მოვიპატიუე. იმ საღამოს თეატრში მობრძანდა ჩერჩილის ქვრივი. მეუღლის სიკვდილის შემდეგ იგი პირველად იყო სანახაობაზე. მან კონცერტის შემდეგ ლო-ჟაში მიიპატიუა ნინო რამიშვილი და ოლიკო სუხიშვილი, დიდი მადლობა გადაუხადა ანსამ-ბლის ხელმძღვანელებს უდიდესი სიამოვნებისათვის და მათთან ფოტოსურათიც გადაიღო.

**გურამ ფანჯიკიძე**  
**რესთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი,**  
**მწერალი**

## კახოვე ხარების სამშობლოს ეს ღია ცნასავით ცნების

ხშირად შევსწრებივარ უცხოელთა რეაქციას ქართული ცეკვის ხილვისას და მოწმე გავმხდარვარ მათი განუსაზღვრელი აღტაცებისა, რაც გამოწვეული იყო ჩვენი ცეკვების სილამაზით, მრავალფეროვნებით და დახვეწილობით. რაღა თქმა უნდა, უფრო ხშირად, თვითონ მოვხიბლულვარ და დავმტკბარვარ ამ განუმეორებელი სანახაობით.

და როდესაც, ზოგჯერ, ამ უკიდურესი ეკონომიკური შეჭირვების ჟამს, სილატაკეში ჩავარდნილ ჩვენ ქვეყანას ვუყურებ, სასონარკვეთილება მიპყრობს, გული მიტყდება ცხოვრებაზე და პესიმიზმში ვვარდები, როდესაც მეპარება ეჭვი ჩვენი ერის ნიჭსა და უნარში, მის შესაძლებლობებსა და პოტენციალში, მაშინვე საშველად ქართულ ცეკვასა და სიმღერას ვუხმობ.

ერს, რომელსაც შეუქმნია ისეთი საოცარი ცეკვები, როგორიცაა: „ქართული“, „ხორუ-მი“, „განდაგანა“, „სამაია“, და ა.შ. და ისეთი შედევრები როგორიცაა: „შენ ხარ ვენახი“, „ჩაკრულო“, „ლილე“, „ხასანდეგურა“, „მრავალუამიერი“... უფლება არ აქვს თავი ჩაქინ-დროს და სასონარკვეთილებას მიეცეს.

თავისი რიცხოვნებით მცირე ჩვენმა ერმა ხელოვნების ასეთი გენიალური ნიმუშების შექმნით კაცობრიობის ისტორიაში უკვე თქვა თავისი დიდი სათქმელი და იმედია მომა-ვალში კვლავაც იტყვის.

ჩემი აზრით, ყველა ქართველმა უნდა იზრუნოს ქართულ ცეკვასა და სიმღერაზე, მისი დიდებული ჰანგების და ულამაზესი საცეკვაო ილეთების შესწავლა-შენარჩუნებაზე, ამ მართლაც რომ ზღაპრულ სიმდიდრეს სამშობლოსა და დედა ენასავით უნდა გაფრთხილება.

მინდა გამარჯვება ვუსურვო ქართულ ცეკვასა და სიმღერას, ქართული სულის და გონის ჭეშმარიტ ზეიმს, მისი უდაო ნიჭიერების, სილამაზის და პოტენციის უტყუარ დასტურს.

ცხოვრებაში ერთადერთ რამეს საოცრად განვიცდი და განსაკუთრებით მწყდება გული, რომ არ ვცეკვავ და ჩემი როლი ქართულ ცეკვასთან მიმართებაში მხოლოდ აღტაცებული ცეკრით და ტაშის აქტიური დაკვრით შემოიფარგლება.

ცეკვა ხომ ჩვენი სულისა და სხეულის ერთობლივი დღესასწაულია, ზეიმია, ასახვაა იმ უმთავრესის და უმნიშვნელოვანესის, რაც ადამიანის შინაგან ბუნებას და მის არსს ნათლად წარმოაჩენს.

მე ყველა ხალხის ცეკვა მომწონს, რადგან თითოეული მათგანი თავისებურად და ზუსტად გამოხატავს მისი შემქმნელი ხალხის ბუნებას, კულტურას, ტემპერამენტს და შინაგან მეს. მაგრამ, მსოფლიო მრავალრიცხოვან ცეკვებს შორის, მაინც, ქართულ ცეკვებს გამოვარჩევდი, რომლებიც მთელ მსოფლიოში სამართლიან საყოველთაო აღიარებას იწვევენ.

თეიმურაზ ფანჯიკიძე  
ფჭილოსოფის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი,

## ქართული ხანა - ძირი ცეკვი

ყველაზე ნათელი და ძლიერი ემოცია, რომელიც ჩემს მეხსიერებას ბავშვობიდან შემორჩია, არის განცდა, რომელიც ქართულ ცეკვასთან ჩემს პირველ შეხებას ახლდა... ცოტა მოგვიანებით მივხვდი, რომ ეს იყო შეხვედრა ქართულ სულთან და ხასიათთან, ქართულ გენსა და ტრადიციასთან, რომელიც უნატიფესი, ცეცხლოვანი, დახვენილი პლასტიკით შემოიქრა ჩემს ბავშვურ სამყაროში ... და ეს განცდა დღემდე, როგორც დიდი ზეიმი, დიდი ბედნიერება, ისეა შემორჩენილი ჩემს სულსა და მეხსიერებაში... და, ალბათ, ვიდრე ქართული ცეკვა, ქართული ქორეოგრაფია, ქართული ფოლკლორი არსებობს – ჩვენს ერს „გადაშენება არ უწერია“.

ქეთევან ფეიქრიშვილი  
მსახიობი

## ჩის პოზიციიც ყველაზე ნათაელ ფორმირები ჩანს

ერის პოტენციალი ყველაზე ნათლად ფოლკლორში ჩანს. რითი და როგორ ცხოვრობდა ქართველი კაცი ცეკვებშია გადმოცემული. ეს იყო ბრძოლა მომხვდურის წინააღმდეგ, ეს იყო უდიდესი კდემა და სინაზე კაცისა ქალისადმი და გაუტეხელი ვაჟკაცური სული.

ქართული ხალხური ცეკვა უხსოვარი დროიდან გამოხატავს ქართულ ხასიათს, მებრძოლ სულს, ქალის სინატიფესა და სინაზეს, ვაჟკაცურ სიმტკიცეს.

შექმნილია უამრავი საცეკვაო ნომერი. საუკუნეების მანძილზე იხვეწებოდა და ვითარდებოდა ქართული საცეკვაო ხელოვნება.

ცეკვისათვის შექმნილი კოსტიუმები ასახავს საქართველოს კუთხეთა მრავალფეროვნებას, მათში დიდებულად არის გადმოცემული ამა თუ იმ კუთხისთვის დამახასიათებელი მცირე ნიუანსიც კი.

ძალზე ძნელია შენი ფოლკლორით შეუქმნა სწორი შთაბეჭდილება უცხოელ მაყურებელს ქვეყნის ტრადიციებზე, მაგრამ ქართულმა ტემპერამენტიანმა, ცეცხლოვანმა და მოხდენილმა ცეკვებმა, ჰარმონიულად შერწყმულმა სულის შემძვრელმა ცეკვამ ალაფრთოვანა უამრავი უცხოელი მაყურებელი და შეაყვარა მას ქართული საცეკვაო ხელოვნება და უძველესი ქართული კულტურა.

თაობიდან თაობას გადაეცემა ცეკვის ხელოვნების საიდუმლო, კვლავაც დაიზრდებიან ქართული სულით გაუღენთილი გოგო-ბიჭები, ქართული გენი არასოდეს გადაშენდება, ქართველი ერი კი მუდამ იქნება მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე თვითმყოფადი და საინტერესო ერი.

**ზაზა ფერაძე**  
ვახტანგ გორგასლის მე-III და II ხარისხისა და  
ლირსების ორდენის კავალერი,  
პოლიციის გენერალ-მაიორი

## XX საუკუნის მოლვანებების ბალაჩინეს ქართველი კონკრეტული

ქართული ქორეოგრაფია დიდი ეროვნული კულტურის უმშვენიერესი ნაწილია, სადაც თვალნათლივ არის წარმოდგენილი ქართველი ადამიანის ვაჟვაცური და ზნეობრივი სახე. უყურებ მას და თვალწინ გიდგება ყოფილი დიდი და ბრწყინვალე საქართველო, მისი მაღალზნეობრივი და მაღალესთეტიკური სული.

ცნობილია, რომ ყოველი ეპოქა თავის კვალს ამჩნევს ყველაფერს და, ცხადია, არ შეიძლება ქორეოგრაფიაც ყოფილიყო გამონაკლისი. მასაც მოუწია „ხარკის“ გადახდა. ამ „ხარკს“ შეუმჩნევლად, მაგრამ დღესაც ითხოვენ...

ამიტომაც არის დღევანდელი დღე ყველაზე მეტად საპასუხისმგებლო ამ დარგის სპეციალისტებისათვის.

XX საუკუნის მოლვანებებმა, შეიძლება ითქვას, გადაარჩინეს ქართული ქორეოგრაფია.

XXI საუკუნის მოლვანებებს კი მისი შემდგომი სრულყოფა მოუწევთ.

ღმერთმა ინებოს!

ამინ!

**ლევან ფირცხალაიშვილი**  
კარის წმიდა გიორგის სახელობის  
ეკლესიის წინამდლვარი, დეკანოზი

## სახანი ბუნების მიზანები

ქართული ხალხური ცეკვა ქართველი კაცის შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფია, რომელშიც არა ცალკეული შემოქმედის, არამედ მთელი ერის მსოფლალქმაა გაცხადებული. სწორედ არის ნათქვამი: ძველის სიახლე და ახლის სიძველე ისე ნათლად და ცხადად არსად არ არის შერწყმული როგორც ფოლკლორში, რამეთუ ჭეშმარიტად ხალხური ქმნილება რაც უნდა ძველი იყოს, მაინც ახლებურად უღერს, ვინაიდან მარად ცოცხალია და მოქმედია და, რაც უნდა ახალი იყოს, მაინც სიძველის ელფერი დაჰკრაგს, რადგანაც მრავალსაუკუნოვან ტრადიციულ ფესვებზეა ამოზრდილი. ეს არის ხალხის მთელი არსებობის მანძილზე ჩამოყალიბებული და ერთ მთლიანობად შედუღაბებული ხატოვანი სისტემა.

საყოველთაოდ აღიარებული დებულებაა, რომ ცეკვა ბუნების მიბაძეა. ჩვენს წინაპარს ადრეულ პერიოდში ყველაფერი ის, რაც მასში აღფრთოვანებას, შიშს თუ განცვიფრებას იწვევდა, ცეკვით და მისამაღლერით გამოუხატავდ. ცეკვა ხომ მოძრაობის ქვეცნობიერი გამოხატულებაა. დროთა განმავლობაში მოძრაობის ეს ფორმები იხვეწებოდა, მდიდრდებოდა ხალხის მატერიალურ და სულიერი ყოფის ელემენტებით. ტრადიცია რაღაცის ჩარჩოებში მოქცევაც გახლდათ და ამავე დროს ტრამპლინიც დროის შესატყვისი, გაახლებული მხატვრული აზროვნებისა.

ხალხური ცეკვები ჩემთვის უბრალო მოძრაობათა ჯამი კი არ არის, არამედ მხატვრული ნაწარმოებია, თავისი დასაწყისით, ექსპოზიციით, რომელსაც მოსდევს კულმინაცია, კვანძი, კვანძის გახსნა და დასასრული. აქ სულიერისა და ფიზიკურის, ცნობიერისა და ქვეცნობიერის, მოკლედ, მთელი ორგანიზმის მოქმედებაა, რომლებიც სამსახიობო გარდასახვის პროცესებში მთავარ როლს ასრულებენ და რომლებიც სცენური სახის სიზუსტეს, სიღრმეს და დამაჯერებლობას განაპირობებენ.

და ბოლოს, ქართული ხალხური ცეკვა ჩემთვის თვითგამოხატვის, თვითრეალიზების საშუალებაა. უდიდესი მადლიერებაა იმ ხალხისადმი, ვინც ეს საოცრება შექმნა, რამეთუ: „ხალხურო ცეკვავ, შენ, ღმერთების საგალობელიც ხარ და ჩვილი ბავშვის წმინდა მზერაც, ვაჟუცის ზნეობრივად ჩამომქნელი, იდუმალებით მოსილი ფრესკაც და მანდილოსნური ლოცვაც“.

ლატავრა ფოჩიანი  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

## სეილთა ღა ბულით ვეფეხის კანიკელი კოჩორბისაფინას

მართლაც, ბევრი გააკეთა ქართულმა ქორეოგრაფიამ. ვფიქრობ, საწყენი არ იქნება არავისთვის თუ ვიტყვით, რომ ისე არსად არ გამოიკვეთა ქართველი კაცის სულისკვეთება, როგორც ქართულ ცეკვაში.

მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ქორეოგრაფებისა და მოცეკვავეების დიდ არმიას როგორც ცოცხლებს, ასევე ჩვენგან უკვე წასულებს, რომლებმაც აქამდე მოიტანეს ეს მარგალიტები და მთელს მსოფლიოს დაანახეს (გაუცნობიერეს) ქართველი ერის არსებობის საჭიროება დედამინაზე.

შეიძლება ზოგჯერ ჩვენ, სხვადასხვა მიზეზების გამო, არც გვეცეკვებოდეს და არც გვემძერებოდეს, მაგრამ ქართველები ცეკვავენ, ქართველები მღერიან, ქართველებს უყვართ, ქართველები კითხულობენ „ვეფხისტყაოსანს“, ქართველები არიგებენ მტერსა და მოყვარეს, ქართველები იბრძვიან, რომ არ მოკვდეს ქართული სული, ქართული ტრადიცია და სიტყვა, ქართული ცეკვა და სიმღერა.

მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ამდენი ბავშვთა საცკვაო სტუდია არ არსებობს, როგორც საქართველოში. მე არ მეგულება ოჯახი საქართველოში, სადაც ერთი მოცეკვავე მაინც არ იყოს – ეს უკვე დიდი გამარჯვებაა, ეს არსებობაა, ეს სიცოცხლეა, ეს უკვდავებაა.

გეფერები შენ, ქართულო ცეკვავ, ვეფერები თქვენს საფლავებს, ჩვენგან წასულო ქართველო ქორეოგრაფებო, გეფერებით თქვენ, ვინც დღესაც ემსახურებით ამ დიდებულ საქმეს.

ჩვენ, ქართველი ქორეოგრაფები, ვდგამთ „ფარიკაობას“, სადაც არავინ არ კვდება, ვიბრძვითით ხანჯლებით – არავინ არ იჭრება, ვცეკვავთ „ქართულს“ და ცეკვით ვუხსნით სიყვარულს ქალს. ვაცეკვებთ ფრესკებს და ღმერთს ვადიდებთ. ამით ვეუბნებით მსოფლიოს – ჩვენ ვღალადებთ მშვიდობას – აი, ეს არის ქართული ცეკვა, აი, ეს არის ქართული ქორეოგრაფია.

**გელოდი ფოცხიშვილი**  
**საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მთავარი ქორეოგრაფი,**  
**ლირსების ორდენის კავალერი**

## აფეჩე თქვენ საჭირო!

ამბობენ, ქართველებს ღმერთმა დააბერტყა სიმღერისა და ცეკვის ნიჭიო. მე ამისა მჯერა. ყველა ქვეყანაში მღერიან და ცეკვავენ, მაგრამ ისე არა, როგორც ჩვენ დალოცვილ საქართველოში. ჩვენთვის ცეკვა მარტო გასართობი როკვა როდია. ის ადამინებს შორის კეთილი განწყობის, სიყვარულის, ქალ-ვაჟის ურთიერთმოქრძალებული დამოკიდებულების, ქალის კდემამოსილების, ვაჟის ვაჟუაცობის, პატრიოტიზმის გამომხატველი საშუალებაა. ცეკვა ქართველისათვის სულიერ მოთხოვნილებად იქცა.

ამიტომ არის ასე სათუთად მოსავლელი და ასალორძინებელი ხალხის წიაღიდან, ფოლკლორიდან, აღმოცენებული ეს საუნჯე – ქართული ცეკვა. ამ საერო საქმის წარმატებით გადასაჭრელად უდიდესი როლი აკისრია ქორეოგრაფიას – თითოეულ ქორეოგრაფს. ღმერთის წყალობით ასეთები ბევრი გვყავს. ქორეოგრაფის ვალია, არამც თუ შენარჩუნება ძველის, არამედ ახლის შეტანა ისევ და ისევ მიწის წიაღიდან აღმოცენებული ფოლკლორის ხარჯზე. ქორეოგრაფის უნმინდესი ვალია ცეკვის საშუალებით ახალგაზრდა თაობის აღზრდა პატრიოტული სულისკვეთებით.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ბევრი ქორეოგრაფიული სასწავლებელი და წრე არსებობს, მე მაინც მიმაჩნია, რომ საშუალო სკოლაში ქართული ცეკვა აუცილებელ საგნად უნდა ისწავლებოდეს. სრულებითაც არ არის აუცილებელი ახალგაზრდა სკოლის



დამთავრების შემდეგ პროფესიონალი მოცეკვავე ან ქორეოგრაფი გამოვიდეს. რა პროფესიის კაციც არ უნდა დადგეს, მინიმუმ ხუთი თუ მაინც უცეკვია ბავშვობაში; მას სასიკეთოდ წაადგება მთელ ცხოვრებაში.

ასეთ ადამიანს, (ე.ი. ქართველს) ათასი ეროვნების ადამიანიდან განასხვავებ სიარულით, ჯდომით, დგომით, მიხვრა-მოხვრით, ერთი სიტყვით, ქართული პლასტიკით. მაგალითისათვის შორს არ წავალ: საშუალო სკოლაში ცეკვის წრეში ვცეკვავდი. შემდგომ გავხდი დრამის მსახიობი. რუსთაველის თეატრში ორმოცდაათი წლის მანძილზე ჩემს მოკრძალებულ შემოქმედებაში დიდი როლი ითამაშა ცეკვამ – ჩემს მიერ შექმნილი სახეების თითქმის ოთხმოცდაათი პროცენტი პლასტიკაზეა აგებული. ხშირად მეკითხებიან: რომელ ანსამბლში ცეკვავდიო. პასუხი ერთია: საშუალო სკოლაში. დღესაც მადლიერებით ვიხსენებ როგორც სკოლის, ასევე თეატრის ქორეოგრაფებს. ქართველ ქორეოგრაფებს ერთხელ უკვე მოხდილი გაქვთ ვალი ერის წინაშე. ყველა თქვენთაგანი ხომ სხვადასხვა ანსამბლებში ცეკვავდით. თქვენი მეშვეობით გაიცნო მსოფლიომ ქართული ცეკვა ე.ი. საქართველო. ბუნებრივია, აქ ყველას ვერ ჩამოვთვლი. მაგალითისთვის ამ წიგნის ავტორი, ბ-ნი რეზო ჭანიშვილიც, კმარა. აფერუმ, ბიჭებო, თქვენ საქმეს. ახლა თქვენ არა ნაკლებ რთულ საქმეს ემსახურებით – შეუნარჩუნოთ და აუღორძინოთ ერს საუკუნეებით გადმოცემული საუნჯე. მე ღრმადა ვარ დარწმუნებული, ქართველი ქორეოგრაფები წარმატებით გაართმევთ თავს ამ რთულ ამოცანას და ქართულ ცეკვას უკვდავყოფთ!

ღმერთი თვენსკენ! ამინ!

**ჯემალ ლალანიძე**  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

## პისტილის ცნით ნაგითები საქართველოს ისტორია

გინახავთ, მოლაპარაკე მუნჯი, ყრუ, რომელსაც ესმის?!

ცეკვა უტყვი ისტორიაა ერისა. ქართული ცეკვა იგივე „ქართლის ცხოვრებაა“, პლასტიკის ანბანით გადმოცემული; ეს ანბანი ისეთივე ძველია და იშვიათი, როგორც ქართული დამწერლობა. აქ ყველა სტიქია ერთობლიობაშია მოცემული – ცეცხლი, მიწა, ჰაერი, წყალი და კიდევ რაღაც სხვა – სახელდაურქმეველი.

როცა ქართველი ცეკვავს, დანარჩენი მსოფლიო სუნთქვაშეკრული უცქერის მას და გაოცებასთან ერთად ნოსტალგიაც ეძალება დაკარგული „პირველსამშობლოს“ გამო, საიდანაც დაიწყო ყველაფერი. ალბათ, ამიტომ გვყავს ამდენი მტერ-მოყვარე; ყველას „სახლში“ უნდა, თავის ფესვებთან... მაგრამ, მამისეული დაპატარავებული სახლი მთელ თავის ნაგრამს უკვე ვეღარ დაიტევს.

**ვახტანგ ლლონტი  
პოეტი**

## სასიათის, ზემოქანისა და სიცის ციტინობის სიმუში

ალბათ, არაფერი არ გამოხატავს ისე ზუსტად ჩვენს ხასიათს, ტემპერამენტსა და, ბოლოსდაბოლოს, სულს, როგორც ხალხური ცეკვა.

ის საუკუნეთა წიაღიდან მოდის და გვიამბობს იმ დროზე, როცა ჩვენი წინაპრები ხმალით ხელში თავგანნირვით იცავდნენ სამშობლოს და გამარჯვების სიხარულს მშვენიერი ილეთებით გამოხატავდნენ.

ქართული ცეკვა ერთდროულად მგზნებარეც არის და მშვიდიც. მასში საკვირველად არის შეთანხმებული თითქოსდა თავანყვეტილი ტემპერამენტი და მოკრძალებულობა, სინატიფე. კაცი ხომ მთელი ცეკვის განმავლობაში ქალს არც კი ეხება. მე არაერთ- ხელ მიგვრძენია თავი ბედნიერად, როცა მაყურებელთა დარბაზიდან ჩვენი ბიჭებისა და გოგონების საოცარ მოძრაობას ვუყურებდი, ხოლო, როცა „ხორუმის“ ძუნი, რიტმული ჰანგები გაისმის და სცენაზე გვერდი-გვერდ ასეთივე ძუნი და ლაკონური მოძრაობებით შავჩაქურიანი რაინდები გამოდიან და სივრცეს ავსებენ, მაშინ კი ნამდვილად მეხუთება სული და ვხვდები, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ ასე ერთად ხელიხელჩაკიდებული და თავანეულები ამაყად შევაბიჯებთ მომავალ საუკუნეებში.

**ლანა ლოლობერიძე**  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,  
კინორეჟისორი

## ასეთი მუხლი ნაჩროებისგან ხელვაზების სხვა ღარებში

ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში წარმოიშვა და შემდგომ განვითარდა ხელოვნების მრავალი დარგი, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ქართულმა ხალხურმა ცეკვამ. მე პროფესიით მხატვარი გახლავართ და არ ვაპირებ და, ალბათ, ვერც შევძლებ, ხელოვნების ამ უმშენერესი დარგის ანალიზის გაკეთებას. მე მხოლოდ გავპედავ და ვიტყვი იმას, თუ რას წარმოადგენს ქართველი კაცისთვის და მათ შორის ჩემთვის, ცეკვა; ნურავინ მიწყენს და ვიტყვი, რომ ხელოვნების ვერცერთი დარგი ისე ვერ გამოხატავს თავისთავში ქართულ გენს როგორც ქართული ცეკვა. მასში საოცარი სიზუსტით აირეკლება ქართველი ადამიანის სულიერი და ფიზიკური თვისებები. ისეთი ემოციური მუხტი, როგორიც ჩადებულია ქართულ ცეკვაში, ალბათ, წარმოუდგენელია სხვა დარგებში ხელოვნებისა. როდესაც მე ვუცქერ ქართულ ცეკვას, მაშინვე მიჰყრობს წარმოუდგენელი სიამაყე იმისა, რომ ვარ ქართველი და ასეთი საოცრების შემქმნელი, როგორიცაა ჩვენი სიამაყე – ქართული ცეკვა.

გივი ყანდარელი

საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე,  
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი

\*\*\*

„ქართული ცეკვა მარტო სანახაობა კი არა, ქართული ერის სულიერი სილამაზის გა-  
მოვლენა, ხალხის ცხოვრების ძნელი, მაგრამ მომხიბლავი ისტორიის გადმოცემა.“

ალექსანდრე ყაზბეგი

## შენგან მოვალი შვერას!

ჩემი ფიქრებით, ჩემი ტკივილით  
უკვე შევასკდი ზეცას  
აქეთ გავძახე, იქით გავძახე  
ვეძახით დილის მერცხალს  
ზეცას შევძახე, მიწას ჩავძახე  
გაფრენილს ჩემგან მერანს  
ყველას ვეძახი, ყველას ვეძახი,  
ყველას ვეძახი ყველას.  
ენას ვეძახი, მშობელს ვეძახი,  
ვეძახი ჭიანჭველას,  
გადამირჩინე ჩემი სამშობლო  
ვესაუბრები ძერას

სიმღერას ჩემსას, ჩემსას სიმღერას  
ზღვით, ცით, შეფერილ ფენას  
ცერზე შემდგარო, ცეკვავ ქართულო,  
შენგან მოველი შველას.

ამირან შალიკაშვილი  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
რეჟისორი

## ჩვენი საუმაყო წვლილი ციცილიზაციის ისტორიაში

ქართველი ერი ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოს ხალხთა შორის. ათასწლეულები-  
სა და საუკუნეების განმავლობაში იგი ქმნიდა ისეთ შედევრებს, რომლებიც მას სხვა  
ხალხებისაგან გამოარჩევდა. მოვლენები, დამახასიათებელი ქართველი ხალხისათვის,  
საკაცობრიო საგანძურში შეტანილი წვლილიცაა.

ქართულ ცეკვაზეც მინდა ვთქვა ორიოდე სიტყვა: იგი გამორჩეული სანახაობაა, რომე-  
ლიც თავისი მოძრაობით, ნახაზით, რიტმით მშვენივრად წარმოაჩენს ქართული ხასიათის  
ორიგინალურობას, მის მრავალფეროვნებას. ქართულ ცეკვაშია არისტოკრატიული დახ-  
ვენილობაც, ლამის პირველშობილი პლასტიკაც, რაინდული ქმედებაც, ქალური კდემამო-  
სილება და დიონისური ვნების ხიბლიც. ქართულ სიმღერასთან ერთად, ქართული ცეკვა  
ჩვენი სამაყო წვლილია კაცობრიობის კულტურაში.

ედუარდ შევარდნაძე

\*\*\*

ქართულმა ცეკვებმა უდიდესი წარმატებებით დაიპყრო მსოფლიოს ყველა აღიარებული  
დარბაზი.

ჯემალ შელია  
შორეული ნაოსნობის კაპიტანი

## ის სიმღერები

ქართული ხალხური ცეკვა, ხალხურ სიტყვიერებასთან და სიმღერასთან ერთად,  
უდავოდ მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის დამამშვენებელი ბურჯია. ის ერთ-  
გვარი მემატიანეა ჩვენი ხალხის ისტორიისა. ალბათ, სადაო არ იქნება, თუ ვიტყვით,  
რომ მისი ფეხვები წარმართული პერიოდის რიტუალურ გამოხატულებას წვდება. თუმცა,

მრავალი საუკუნის განმავლობაში, იგი იხვეწებოდა, ვითარდებოდა და დღეს ქართული ხალხური საუნჯის განსაკუთრებულ გამოვლინებად და განძად მოგვევლინა.

მრავალი საუკუნის განმავლობაში ხალხის წიაღიდან აღმოცენებული, ჩვენთვის უცნობი ქორეოგრაფები და მოცეკვავეები, რომელთა სახელებმა, სამწუხაროდ, ჩვენამდე ვერ მოაღწია, თავისი შემოქმედებით ქმნიდნენ, ამდიდრებდნენ ქართულ ცეკვას და დროთა ვითარებაში დაიბადა სრულიად განუმეორებელი და თვითმყოფადი ქართული „როკვა“, რომელიც გამოხატავს ჩვენი ხალხის რაობას. უახლოესმა ისტორიამ, საბედნიეროდ, წარმოაჩინა იმ დიდ ხელოვანთა სახელები, რომლებმაც ქართული ხალხური ცეკვა კიდევ მეტად გაამდიდრეს, დახვენეს, შემდგომ საფეხურზე აიყვანეს და მსოფლიო არენაზე წარმოაჩინეს, როგორც კაცობრიობის კულტურის განსაკუთრებული, თავისთავადი გამოვლინება. ესენი არიან: ალექსი ალექსიძე, დავით ჯავრიშვილი, ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი, ჯანო ბაგრატიონი, ბუხუტი დარახველიძე, ავთანდილ თათარაძე, კონსტანტინე მანჯგალაძე, ჩვენი თაობის ოსტატები: თენგიზ სუხიშვილი, რევაზ ჭოხონელიძე, ბესიკ სვანიძე, უზადო მოცეკვავეები: ლატავრა ფოჩიანი, ომარ მხეიძე, ფრიდონ სულაპერიძე, იამზე დოლაბერიძე და სხვა განუმეორებელი ოსტატები ქართული ცეკვისა ჩვენი საზოგადოების და მსოფლიო მაყურებლის მეხსიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდა. მათი სახელებით ამაყობს და იამაყებს ქართველი ერი და მადლიერებით მოხსენებს შთამომავლობა. დღეს ახალი თაობა აგრძელებს ჭრადიციას. ბუნებრივია, ამასთანავე ეძებს ახალ ფორმებს, და ვიმედოვნებთ, რომ მათი ძიებანი ქართული ცეკვის განვითარებას შეუწყობს ხელს. მინდა გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი, რომელიც ქართული ცეკვით აღტაცებისა და ადამიანებზე ემოციურ გავლენის გამოხატულება გახლდათ.

1988 წელს თბილისში, მოსკოვის გავლით, ქართველ კინემატოგრაფიისტებთან სტუმრად ჩამოპრძანდა ჰოლივუდის ვარსკვლავი რობერტ რედფლორდი ოჯახის მრავალრიცხოვან წევრებთან ერთად. სწორედ იმ დროს ფილარმონიის დიდ დარბაზში უნდა გამართულიყო სუხიშვილების კონცერტი და გამოცხადებული იყო, რომ მას დაესწრებოდა ბატონი რედფლორდი.

ჩვენ დავხვდით სტუმრებს თვითმფრინავის ტრაპთან და გაცნობისა და თბილი მისალმების შემდეგ, იქვე შევთავაზეთ ბატონ რედფორნდს და მის ოჯახს, სუსიშვილების კონცერტზე დასწრება. ეს იყო საშუალება, რომ სტუმრებისათვის ჩამოსვლისთანავე განსაკუთრებულად წარგვედგინა საქართველო. ამასთანვე, ავუხსენით, რომ მას იქ უცდიდნენ ასობით თაყვანისმცემლები. ბატონმა რედფორნდმა გვთხოვა, რომ ოჯახის წევრები გაგვემგზავრებინა სასტუმროში, ვინაიდან ძალიან დალლილები იყვნენ და თვითონ კი შზადყოფნა გამოთქვა ჩვენთან ერთად დასწრებოდა კონცერტს.

მქუსარე ტაშით შეხვდა ჰოლივუდის ვარსკვლავს დამსწრე საზოგადოება, როდესაც იგი სკონაზე გამოვიყვანეთ და წარვუდინეთ მაყურებელს.

დაიწყო კონცერტი. ჩვენ გვერდიგვერდ ვისხედით პარტერში. ჯერ კიდევ არ იყო დას-რულებული კონცერტის პირველი ცეკვა, ბატონმა რედფორდმა მთხოვა, რომ ვინმე საჩ-ქაროდ გამგზავრებულიყო სასტუმროში და მისი ოჯახის წევრები კონცერტზე მოეყვანა. რა თქმა უნდა, ჩვენ ეს თხოვნა შევასრულეთ და ცოტა ხანში რედფორდების მთელი ოჯახი აღტაცებულები უკრავდნენ ტაშს სუხიშვილების ყველა ცეკვას. კონცერტის დამ-თავრებისთანავე მან მოისურვა ანსამბლის მესვეურებთან შეხვედრა. კულისებში რობერტ რედფორდი შევახვედრით დიდ ქალბატონ ნინო რამიშვილს. მან დაიჩოქა მის წინაშე და

დაუკოცნა ხელები. შემდეგ მგონი მთელი ანსამბლის წევრებს ეხვეოდა, ხელს ართმევდა, არცერთი მოცეკვავე ქალბატონი არ დატოვა კოცნის გარეშე. კონცერტის შემდეგ, ვახ-შამზე შემომიტრიალდა და მითხრა: „არა, საქართველო რუსეთი არ არისო!“

ვინ იცის, რამდენ უთვალავ მაყურებელს ქართულმა ცეკვამ გააცნო საქართველო და კარი გაუღო ქართულ სახელოვნებო და სულიერ სამყაროში.

**ელდარ შენგელაია**  
**საქართველოს კინომატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე,**  
**საქართველოს სახალხო არტისტი, კინო-რეჟისორი**

## ჩა აჩის ჩვეთვის კახოცი ზეავა?

ქართული ცეკვა ჩემთვის ქართული ფენომენის გამოვლინებაა, ქართული სულიერი კულტურის ერთი ნაწილია, ისეთივე თვითმყოფადი, როგორც ქართული უნიკალური მრავალხმიანი სიმღერა, მდიდარი, როგორც ქართული ლექსიკური ფონდი და მოქნილი, როგორც ქართული ზმნა.

ქართული ცეკვა ასახვა და ანარეკლია ქართული ცნობიერებისა, საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული ეტიკეტისა. ქართულ ცეკვაში კონცენტრირებულია ქართული ხასიათის საუკეთესო თვისებები და სულიერი ფასეულობანი: ვაჟკაცობა, სიჩაუქე, სიმკვირცხლე, მამაცობა, ქალური სინაზე, კდემამოსილება, ზომიერი სითამამე, იუმორი, ქალ-ვაჟის ჯანსაღი ურთიერთობა.

თვითმყოფადობა! მხოლოდ ამ აუცილებელი ნიშნის მქონე კულტურა შეიძლება იქცეს საკაცობრიო კულტურის გამორჩეულ ნაწილად. მოვიხმობ დიდი ილია ჭავჭავაძის სიტყვებს ქართული მუსიკის (ხალხური სიმღერის) შესახებ: „ქართული სიმღერა ხომ ევროპიულს სრულებით არა ჰგავს, ჰგავს კი აზიურს?“. ამ სიტყვების პერიფრაზირება რომ მოვახდინოთ და ვიკითხოთ – „ქართული ცეკვა ხომ ევროპიულს სრულებით არა ჰგავს, ჰგავს კი აზიურს?“ – პასუხი იქნება ერთი: არცერთს არ ჰგავს. ცნობილია, რომ დროთა ვითარებაში კულტურული კონტაქტების შედეგად ერთი ხალხი მეორისაგან ითვისებს გარკვეულ მიღწეულებს. მაგრამ ეს „ათვისებული“, ამავე დროს გათავისებული უნდა იყოს. სიმღერა და ცეკვა – ქართული სულიერი კულტურის უდიდესი მონაპოვარია. მასში ვლინდება ქართული ცნობიერება. უცხოელმა აქ უნდა დაინახოს (და ხედავს კიდეც) მის ისტორიულ ფესვებს, ქართველების ცხოვრების ნირს.

ბევრი თქმულა ქართული ხალხური ქორეოგრაფიის შედევრზე – „ქართულზე“, რომელიც მართლაც რომ სიყვარულის წარმტაცია პოემაა, რომელშიც ასახულია ქართველი ქალის სულიერი მშვენიერება და ვაჟის რაინდული ბუნება, რომელშიც ცეკვის ენით არის ნათქვამი: „სიყვარული აგვამაღლებს“, „იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა.“

ამავე დროს ქართული ცეკვა ჩემთვის არის გამოხატულება და ერთობლიობა იმ ნიშნებისა, რაც საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეს ახასიათებს – ბუნებრივი – გეოგრაფიული მრავალფეროვნება. აქედან გამომდინარე ტრადიციული მეურნეობის ფორმებისა და მატერიალური კულტურის მრავალფეროვნება, მრავალდიალექტიანობა სამეტყველო ენისა, მუსიკალური ენისა, ყველაფერი, რამაც განაპირობა სულიერი კულ-

ტურის ყველა კომპონენტის ყველა თავისებურება. ამიტომ ქართული ცეკვა ჩემთვის არის ეთნოგრაფიული ინფორმაციის შემცველი წყაროც.

და ბოლოს, მანც ქართული ცეკვა ჩემთვის არის ჰარმონიული მთლიანობა, მხატვრული შემოქმედების დარგი, რომელშიც ხალხის სული და გული დევს, რომელიც ყოველთვის სიამაყით მავსებს.

მანანა შილაკაძე  
ხელოვნებადმცოდნე, დოქტორი, პროფესორი

## სახან საცის ჯობახილი

ცეკვა, ზოგადად სულის ამოძახილია. ის მეტყველებაა, ნაყოფია სულისა და სხეულის შერწყმისა. საშუალებაა გამოხატო ყველა ადამიანური გრძნობა და განცდა: სიხარული, მწუხარება, ნალველი, სიყვარული, თავგანწირვა, იუმორი.

ქართული ცეკვა კი უმშვენიერესია მსოფლიოს ხალხთა ხელოვნებაში, უნიკალურია თავისი ფორმით, შინაარსითა და ხასიათით.

ქართული ცეკვა საქართველოს ისტორიაა, ის ეროვნული საგანძურია, მასში გამოხატა ხალხმა თავისი ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები და ეროვნული სული.

ქართველმა ხალხმა საუკუნეებს გამოატარა საცეკვაო ხელოვნება და არ დაკარგა ის თვითყოფადობა, რასაც გაფრთხილება და მოვლა სჭირდება.

დროს თავისი სიახლე მოაქვს, ერთ ადგილზე არაფერი ჩერდება, იცვლება ყოველივე გარშემო და სიახლე შემოდის ხელოვნებაშიც. ეს მართებული პროცესია. შეიძლება სტილიზირებული იყოს მუსიკა, კოსტიუმი, ნახაზი, მაგრამ, თუ დაინგრა და განადგურდა ის ძირითადი ეროვნული სინ्थინდე, ფოლკლორული ტრადიციები, თუ ქალი კაცს დაემსგავსა და კაცი – ქალს, თუ ცეკვა გადაიქცა სპორტულ შეჯიბრად ეს უკვე უმეცრებაა და დროებითი მოვლენა. ამას ისტორია არ მიიღებს.

ცეკვა არის ძეგლი, ფერწერული ტილო, მუსიკა, სიტყვა, იგი მოიცავს ყველაფერს. არსად ისე არ ჩანს რაინდული სული, ქალისადმი პატივისცემა, საბრძოლო შემართება, სინაზე, კდემამოსილება ან ვაჟეაცობა და შეუპოვრობა, როგორც ქართულ ცეკვაში.

ეს არის ის, რასაც შთამომავლობას ვუნახავთ როგორც ქართულს, როგორც მშობლიურს...

მიხეილ შუბაშიკელი  
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე,  
ლირსების ორდენი კავალერი,  
ქორეოგრაფი

## მსოფლიო ახერხე პირველი სახან ბაზის

ფილოსოფოსმა ბატონ ნიკო ჭავჭავაძემ პარლამენტის სხდომაზე ბრძანა: ქართველ ერს ყველაზე დიდი შემოქმედი ის ჰყოლია, ვინც პირველმა შეაჯვარა ვაზი და გამოიყვანა ყურძნის ჯიში „რქანითელი“. მართლაც, გენიოსი ყოფილა ის, რომელსაც დიდი შრომის შედეგად დვინო დაუყენებია. აი, იმ უხსოვარი დროიდან მოდის ქართველი კაცის სიბრძნე,

მეტყველება, პოეზია, სიმღერა და ცეკვა, რომლის მსგავსი რამ სხვა ერს არ გააჩნია. საოცრებაა ჩვენი ეკლესიები, რომლებსაც ისევ ვაზის ჩუქურთმა ამშვენებს. აი, იმ უხსოვარი დროიდან მოდიან ერთად ხელოვნების სახეები და ჩვენი სისხლხორცეულ და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. ქართველმა კაცმა ღვინო მხოლოდ „დაასხი – დალიესთვის“ კი არ გამოიყენა, არამედ მასში ჩადო სიბრძნე და გამჭრიახობა ისეთი, რომ მსოფლიოში ბადალი არ მოეპოვება, იმდენად თვითმყოფადია და არავის არა ჰგავს. მსოფლიო არენაზე პირველად ცეკვა როდის გავიდა და როგორი წარმატება ჰქონდა მას, ამაზე საუბრით თავს არ შეგანყენთ. ახლა დიდი წარმატებით ქართული სიმღერაც გადის, ამას, ალბათ, მიჰყვება ჩვენი უნიკალური ჯიშის ღვინოები და, თუ მას ქართული ჭიდაობაც (მხოლოდ ქართული) მიჰყვა, მერე ალბათ მართლაც დაიპყრობს მსოფლიოს კულტურულ სფეროს ეს პატარა ქვეყანა, რომელსაც საქართველო ჰქვია. მაშინ კი თამამად შევსვამ ჩვენი წინაპრების სა-დღეგრძელოს და შევაქებ მათ ნამოქმედარს.

**შოთა ჩაკვეტაძე  
კომპოზიტორი**

## 1 ჩესტიზმითა და პირველი ჩოტი ბამოჩენი

არტისტიზმითა და პლასტიკურობით მსოფლიო ხალხებს შორის ქართველები აშკარად გამოირჩევიან. ჩვენი ერის ეს მოქარბებული ნიჭიერება ყველაზე სრულფასოვნად უბად-ლო ქართულ ცეკვებში ვლინდება. იქნებ ვინმე შემომედავოს, მაგრამ, რომ არა ჩვენი ცეკვები, არც ქართული ფეხბურთი იარსებებდა. ის ქართული ფეხბურთი, რომელიც შე-დეგის გარეშეც ინარჩუნებს სილამაზეს.

**გელა ჩარკვიანი  
დიპლომატი, საზოგადო მოღვაწე**

## ბინილები ქათური ჩოხა

„მაგრამ გაიგებთ ერთხელაც, ვინ ახლოს ვდგევართ ღმერთანა,“ – ასე ამბობდა დიდი ვაჟა-ფშაველა... მაშ ერთი კავშირით, ერთი ჯაჭვით, ერთი სულისკვეთებით, ერთად, ერთად, ხორუმი-ვით ერთად, მხოლოდ ერთად ყოფნა თუ გადაარჩენს ქართულ ქორეოგრაფიას და სრული-ად საქართველოს.

„ლექსი ვეფხისა და მოყმისა“ ავტორისა არ იყოს, იკარგებიან გენიოსები, ხალხი შობს მათ და ხალხშივე იკარგებიან...

ვინ იცეკვა პირველი „ქართული“, ვინ იყო ის, ვინც პირველყოფილის სიშმაგითა და ველურობით ფეხს თითქოს არ აკარებდა მინას და ზეცას შესციცინებდა?

„ცერული“ ქართველი ერის გამარჯვების განუყრელი და დამახასიათებელი ილეთია, დაახ, მთელი „ცერული“ ერთი ძვირფასი ილეთია, გენიალური ქართული როკვისა. არაა ეს მარტო ცეკვა, არაა ეს მხოლოდ როკვა, იმ წარმართულთან და პირველყოფილის, ველური ცეცხლივით აბრიალებულ სიყვარულთან ერთად სჩქეფს სიხალისე ქართული სისხლის, დუღს სევდის მორევი, ხოლო მორევში ამოვლებული სვანური „ლემ“ კოშკებზე ფრიალებს.

საიდან მობრძანდება როკვა ქართული? ქრისტიანობამდე ხანიდან, კერპთაყვანისმცემლობის დროიდან, მაგრამ უფრო კი – ქართველი კაცის სისხლიდან, ქართული გენიდან. უხსოვარ დროში ქართული ცეკვის ილეთები ჭინკებივით დახტოდნენ იბერთა ძარღვებში.

გინახავთ „მოხეური“? კი, რა თქმა უნდა. სილალითა და ტრფიალით დაბინდული ცეკვა, ლექსის სტრიქონებივით დატეხილი ილეთები, ბზრიალი ცერ-ილეთებზე, მუხლზე დაცემული ჭაბუკის თავდაუზოგავი ერთგულება მზეთუნახავის წინაშე.

ყველაზე უფრო ქართული ცეკვა, რომელშიც ჩვენი ბედუეულმართი ისტორიის ცოდვა-მადლია ჩაქსოვილი, ალბათ, მაინც „ხორუმია“. აი, გამოჩნდა პირველი მაცნე, შემძახებელი, მოწინავე, პირველგანწირული, მას მოჰყვებიან ერთმანეთს ჩაკრული და ჩახვეული, ერთმანეთს გაუცილებელნი, ერთად განწირულნი, ანდა სულაც ერთად გამარჯვებულნი.

იქნებ ხორუმმა გადაარჩინოს ქართული ენა, რომელიც დღეს აჭარაში ასე მზესავით ჰყვავის?

სვანური „მურყვამობიდან“ მოყოლებული, „ადრეკილას“ ფერხულს რომ ცეკვავდნენ, ამირანის, ავთანდილის თუ გურული ფერხულით დამთავრებული, სულ ერთად ყოფნას ესმება ხაზი. არა ცალკე, არამედ ერთად, ერთად, მხარი მხართან, ხანჯალი ხანჯალთან, თოფი თოფთან, კაცი კაცით, მაგრამ რა დაამთავრებს ქართულ ცეკვას?

ჯანსულ ჩარკვიანი  
რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პოეტი

## ქართული სენა ზესალოებები ფინომენი

ქართული ეროვნული ენერგიის გამოვლენის, ბოლომდე გადმოცემის, სახიერი ჩვენების ერთადერთი საშუალება – ქართული ცეკვაა!

ხელოვნების ვერცერთი სახეობა ვერ იძლევა ემოციური მუხტის, ენერგიის ხარჯვის, გამოვლენის, მუხტის გადმოტანის იმდენ საშუალებას, როგორც ცეკვა!

„ხოლო ქართული ცეკვა ეს ზეაღმატებული ფენომენია. მე არასდროს მინახავს უფრო აღფრთოვანებული, დამუხტული, გაოგნებისაგან – გონდაკარგული, ნანახით გაოცებული – მაგრამ ბედნიერი სახეები, სახე და გონი: რომელმაც აღმოაჩინა – შეიცნო კიდევ ერთი საოცრება, – რომელსაც ქართული ცეკვის ფენომენი ჰქვია.

არასდროს მომისმენია უფრო სულისშემძვრელი და აღფრთოვანებული „ბრავოოო!...“ არასდროს შემიგრძენია მსგავსი გაოგნებით გამოწვეული დუმილი – უფრო სწორედ არასდროს მინახავს მსგავსი გაოგნებული „დამუნჯვებელი“ სახეები!

და ეს „ბრალია“ ქართული ცეკვის! ქართული გენის – რომელიც ასე რიგად აოგნებს და აღაფრთოვანებს მხილველს, განსაკუთრებით კი უცხოელს, სხვა ტომისა და კულტურის მქონეს.

მე ჩემი პროფესიისა და ბედის... თუ „სხვადასხვა ქარტებილთა“ გამო, ხშირად მიხდებოდა არაერთი რესპუბლიკური კონკურსისა და ფესტივალის რეჟისორობა თუ შიურის წევრობა, ხოლო დღეს, როდესაც ესპანეთში თუ ლიტვაში რამდენიმე კონკურსისა და ფესტივალის მთავარი რეჟისორი, ხოლო ესპანეთში, გერმანიაში, ბალტიისპირეთში, უკრაინასა თუ ბელორუსიაში საერთაშორისო კონკურსების შიურის წევრი ვარ, დაბეჭითებით შემიძლია ვთქვა: – სადაც ქართული ცეკვა გამოჩნდება – გაიელვებს, იქ „მუზებიც კი დუმან“ ე.ი. ყველა დაფნის გვირგვინი, ტაში, ბრავო და აღფრთოვანება „ქართველთა წილხვედრია“

მე ვერ ვივიწყებ ბატონების: ხოსე მოლეროსის (ესპანეთი, ლორეტი დე მასის საერთაშორისო კონკურსისა და ფესტივალის) ვიქტორ ლეისის (გერმანია, ბერლინის საერთაშორისო კონკურსისა და ფესტივალის) დამფუძნებლების და ლიტველი მეგობრების სახეებს, რომელიც სულმოუთემელად მეკითხებოდნენ: „ქართველები ხომ ჩამოვლენ?“ და უნდა გენახათ მათი შეშფოთება, თუკი საკონსულოებში (ვიზების გაფორმების დროს) პრობლემები იქმნება, რადგან მათ იციან – ქართული ცეკვის გარეშე კონკურსი თუ ფესტივალი „ვერ შედგება“, ყველაფერს ხიბლი და „ძალა“ ეკარგება. და, რა თქმა უნდა, შეუძლებელია მუხლი არ მოიყარო! აღფრთოვანებისა და მადლიერების სიტყვები არ თქვა იმ ადამიანთა მიმართ, რომლებმაც დღემდე შემოგვინახეს ქართული ცეკვა!

მადლობა მათ, ვინც დღესაც მუხლჩაუხრელად ემსახურება და ჭირისუფლობს ამ საოცრებას – ქართულ ცეკვას!

ვასილ ჩიგოგიძე  
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე,  
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,  
ლირსების ორდენის კავალერი, რეჟისორი

## ქართული სურის ანბანი

ალბათ, იშვიათია საქართველოში ადამიანი, ვისაც ბავშვობაში მაინც არ უვლია ცეკვაზე...პატარაობისას მეც მიმაბარეს მშობლებმა ანტონ ჩიხლაძესთან და ანბანის პარალელურად შევუდექი ქართული ცეკვის ილეთების შესწავლას.

აქედან დაიწყო ჩემი სულის ფორმირება და კავშირი მამა-პაპათა ტრადიციებთან და ყველაფერ ქართულთან. თუმცა, კარგი დისკანტი აღმომაჩნდა და მალე სიმღერამ უფრო გამიტაცა...ბოლოს, მოხდა ისე, რომ ამ სიმღერით თითქმის მსოფლიო შემოვიარე, ქართულ ცეკვებთან, პროფესიონალ თუ მოყვარულ მოცეკვავებთან ერთად, რადგან ქართული ცეკვა და სიმღერა ერთმანეთისგან განუშორებელია.

„მე არ ვიცი, სად მდებარეობს საქართველო, მაგრამ დედამიწა ბედნიერია, რომ არსებობს ასეთი ხელოვნების ქვეყანა!“

„სად იყავი, ამერიკავ, დღემდე, რომ არ გინახავს და მოგისმენია ასეთი ხელოვნება!“ „ბატონებო, ადექით ფეხზე, როცა ქართველები ცეკვავენ და მღერიან,“ – წერდა ამერიკის პრესა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ამერიკაში 1974 წლის გასტროლების დროს.



ბედნიერი ვარ, რომ თავად ვიყავი ამ საყოველთაო აღიარების მოწმე და მხილველი.

სცენის კულტურული მდგარი ქართული სიმღერის გენით განებივრებული კაცი, აღტაცებით შევყურებდი სცენის ჯადოქარი ქართველი ბიჭების რაინდობასა და ვაჟკაცობას, სილამაზისთვის თავდადებულ შეჯიბრს.

საზღვარგარეთ პირველი – ქართული ცეკვა გაიჭრა და მერე სიმღერა, ცეკვა გახდა სავიზიტო ბარათი ყველგან... მაინც რატომ ცეკვავენ ქართველები ყველაზე უკეთ დედამიწაზე?

ალბათ იმიტომ, რომ ჯერ სული ცეკვავს და მერე სხეული...

ქართველი კაცის სული კი მზად არის თვითონ ღმერთსაც „გაეჯიბროს“ უკვდავებასა და სილამაზეში.

ამიტომ უნდა მსოფლიომ დახვენილ ქართულ ქორეოგრაფიას – „ქართული ბალეტი“ და „მერვე საოცრება“.

ბოლო დროს ახალგაზრდა ქორეოგრაფები გაიტაცა ჩვენი ცეკვების „ევროპულ“ ყაიდაზე სტილიზებამ, რაც საშიშ ტენდეციად მიმაჩნია.

რა თქმა უნდა, ქორეოგრაფია უნდა განვითარდეს, მაგრამ არა ქართული ტრადიციებისა და სულიერების დაკნინების ხარჯზე, არა გაუაზრებელი „ტრიუკების“ მოზღვავების გზით.არცერთი ხალხის ცეკვა მსოფლიოში საკუთრივ ხელოვნებისათვის არ შექმნილა თავდაპირველად. იგი შექმნა ეპოქის, ცხოვრებისა და სულის მოთხოვნილებამ და მხოლოდ შემდეგ ჩამოყალიბდა ხელოვნებად.ქართველებს არავის მიბაძვა არ გვჭირდება საერთოდ და მითუმეტეს ცეკვაში.

და ბოლოს, მე საგანგებოდ არ ჩამოვთვლი აქ იმ შესანიშნავ ქართველ მოცეკვავეებს, რომლებთანაც ერთად სცენის მტვერი და მღელვარება მიგემია. არ მინდა ვინმე გამომრჩეს... მაგრამ ამ წიგნის იდეის ავტორსა და დიდ შემოქმედს, ბატონ რეზო ჭანიშვილს – შესანიშნავ ადამიანსა და ხელოვანს – ცამდე მადლობას მოვახსენებ ჩემი მოკრძალებული აზრით დაინტერესებისა და ყურადღებისათვის.

**ომარ ჩიტაია  
ჟურნალისტი**

## ქართული ხელური ცეკვა ბავშვობიდანვე დიდ ინტერესს იწვევდა ჩემში. შემდგომ, მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში ქართული ქორეოგრაფიის რაობაში გარკვევას ვცდილობდი და მისი სიმინდის დაცვაზე მიფიქრია. ქართულმა ენამ ქალისადმი მამაკაცის უაღრესი პატივისცემის მაჩვენებელი მრავალი ნიმუში შემოგვინახა. ქალისადმი პატივისცემის, მისდამი მოწინების ეს გრძნობა ხატოვნადაა ასახული ცეკვა „ქართულში“. ამ ცეკვის სიფაქიზე, სილალე, ნატიფი ბუნება და ესთეტიკური დონე ქართველი ხალხის მაღალი ყოფით კულტურაზე მეტყველებს. ცეკვა „ქართული“ დიადი დღესასწაულების, ლხინის, სახალხო თავშეყრის აუცილებელი თანმხლები გახლდათ. ქართველმა ხალხმა მისი საუკეთესო თვისებები (გრძნობა, კეკლუცობა, კოპნიაბა, რაინდობა, თავდაჭერილობა, სწრაფი ორიენტირება და ა.შ.). მემკვიდრეობით თაობიდან თაობას გადასცა და დღემდე შეუბლალავად მოიტანა.

ქორეოგრაფიული ხელოვნება უნდა ემასახურებოდეს იმ გიგანტურ ძვრებს, რომლებიც ჩვენს დიად ქვეყანაში ხდება. შემოქმედებითი ნიჭითა და მდიდარი ფანტაზიით დაჯილდოებულმა ქორეოგრაფმა ცეკვებში უნდა ასახოს დღევანდელი ცხოვრების სულისკეთება, შინაგანი დინამიკა. ძიება უნდა ეყრდნობოდეს ნოუიერ ეროვნულ ნიადაგს. ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო: 1935 წელს ხალური ცეკვების პროფესიონალ შემსრულებელთა მსოფლიო ფესტივალზე, რომელიც ლონდონის უდიდეს დარბაზში „ალბერტ ჰოლში“ ტარდებოდა (ეს დარბაზი ათიათა მაცურებელს იტევდა) კონკურსის დაწყების წინა დღეს ჩვენთან მოვიდა საბჭოთა კავშირის მაშინდელი ელჩი დიდ ბრიტანეთში ბ-ნი მაისკი, რომელმაც გვითხრა, რომ, თუ ჩვენ გამარჯვება გვინდოდა, მაშინ ცეკვა უნდა შეგვესრულებინა ხანჯლებით. გამარჯვების სურვილი გაგვიორმაგდა, რადგან ეს სიტყვები ერთგვარ სტიმულად მივიღეთ. სანახაობითა და შეუპოვრობით განებივრებული ინგლისელი მაყურებელი აღფრთვანებას ველარ მალავდა, ეს იყო ენით აუნერელი სიხარულის გამოხატვა თითოეულისათვის.

ღმერთის მადლობელი ვარ, რომ მხვდა წილად მონაწილეობის მიღება ამ ფესტივალში; საცეკვაო ილეთების სიმდიდრით ცნობილი ქართული ცეკვა იმდენივე საუკუნეს უნდა ითვლიდეს, რამდენაც ჩვენი კავკასიური ტომი ინახავს თავის კოლექტიურ მეხსიერებაში, თავის მხრივ, ქართულ ცეკვაში ნათლად ირეკლება ეროვნული ხასიათი, აზროვნების წესი, ევროპისა და აზიის შესაყარზე მცხოვრები ამ უცნაური ხალხის მრავალსაუკუნოვანი, უმძიმესი ისტორიული გამოცდილება. ახლის გრძნობა, მძლავრი ტემპერამენტი, უდიდესი ემოციური გაქანება, მასშტაბების გრანდიოზულობა, ვაჟკაცური შემართება და ნებისყოფა, თავდადებული შრომით მოპოვებული გამარჯვება – აი, რა უნდა ასაზრდოებდეს სიახლეებს ქართულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში. საუკუნოვანი უკვდავი ქმნილებების შენახვა და დაფასება ჩვენი მომავლის უმთავრესი ამოცანა და მიზანი უნდა იყოს. ძირძველი ქართული უკვდავი ქმნილებების ნაირსახოვან „მარგალიტებს“ გაფრთხილება და მოფერება სჭირდება. ქართულ ხელოვნებას თუ აცოცხლებ, შენც გაცოცხლებს და ერსაც.

ანტონ ჩიხლაძე  
საქართველოს დამსახურებული არტისტი

## ქართული ხელვა - ჩვენი ცეკვის საბანძიში!

ქართული ცეკვა ჩემში, პირველყოვლისა, სიამაყის გრძნობას იწვევს! ცერზე შემ-დგარი ქართველი ვაჟკაცები – ფეხზე წამოჭრილი გაოგნებული მაყურებელი! მრავალ-ჯერ მინახავს ეს კადრები მსოფლიოს ნებისმიერ კონტინენტზე ჩვენი მოცეკვავების გას-ტროლებისას და გული სიამაყით ამვსებია!

ასეთი რეაქცია აქვთ უცხოელებს! მაგრამ ქართული ცეკვა ხომ უპირველესად ჩვენი, ეროვნული საგანძურია! ჩემი აზრით, ეს არის უზარმაზარი საგანძური – თუნდაც ახალი თაობის აღზრდის საქმეში... მოგახსენებთ, რასაც ვგულისხმობ... ქართულ ცეკვა გამოვლი-ლი პატარა ბიჭუნა თუ მომავალში პროფესიონალი მოცეკვავი ვერ გამოვა, კაცურკაცობა ნამდვილად არ შეეშლება! ხოლო თვალხატულა პატარა გოგონები – შემდგომში ქალბა-ტონები, კდემამოსილებას არასოდეს დაკარგავენ!

და კიდევ – ქართული ცეკვა ჩემთვის, როგორც მუსიკოსისთვის, არის ოდა, მრავალ-ჟამიერი ჩემი სამშობლოსი! მარადუამს დიდება ჩვენს სიამაყეს – ქართულ ცეკვას! იგი უკვდავია!

გიორგი ჩლაიძე  
ხელოვნების დამსახურებული მოლვანე,  
კომპოზიტორი

## ცის ისტორიული სახის ცით-ცითი უმნიშვნელოვანესი ნიშანსვები

ჩვენი ისტორიული, საპრძოლო, შრომითი, რიტუალური თუ ყოფითი უანრის ცეკვე-ბი, სცენაზე გრიგალივით შემოჭრილი ჩოხოსანი რაინდებისა და ნაირფერ კაბა-სამოსში გამოწყობილი უნაზესი ქალწულების ტრფიალებით აღსავსე, ნაირნაირი მოძრაობებით, მაღალი სულიერების, ვაჟკაცობის, მტკიცე ნებისყოფისა და ოპტიმიზმის ჭეშმარიტი სიმ-ბოლოა.

ქართული ხალხური ცეკვა ყოველთვის ღირსეულად ასრულებდა თავის ისტორიულსა და ესთეტიკურ მისიას, როცა საუკუნეების განმავლობაში დიდის რუდუნებითა და შთაგონებით ზრდიდა ჩოხოსან ყმანვილკაცობას სამშობლოს ერთგულებითა და საერთოდ, თავისუ-ფლების იდეალებისათვის საბრძოლველად, ყოველდღიურ ყოფას ულამაზებდა ამ გულან-თებულ რაინდებს და ტრადიციისადმი ერთგულებას უღვივებდა. ეს მისია ახალ ხარისხსა და ელფერს იძენს დღეს, აზვირთებული გლობალიზაციის პირობებში, მაგრამ გვჯერა, რომ ერს, რომელმაც ასეთი უმდიდრესი საცეკვაო კულტურა შექმნა, გადაშენება არ უნერია და ეს ქართული ფენომენი დიდი განძია მსოფლიოს კულტურული სამყაროსათვის.

ჩოხოსნები

## ქართული ცეკვის ბანსახათისაბური აღმისა ჩემოვნები ხატურიში

ქართულ ცეკვას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენი ერის კულტურაში. ყველა კუთხის ცეკვა საუკეთესო გამომხატველია მისი ეროვნულობის, ხასიათის, სილამაზის, სიყვარულის და შეუდრეველი ვაჟკაცობის. ის არის აკვანი, სადაც დედა ფაქიზად ზრდის თავის შვილს, რათა შემოუნახოს სამშობლოს ქართული ხალხური ცეკვის უძველესი ტრადიციები, შეუნარჩუნოს ის ფესვები, რითაც იკვებება ჩვენი ქართული კულტურა და ხელოვნება.

### სვეტლანა ჩოჩიუა

**საქართველოს პროფესიონული  
კულტურის-საგანმანათლებლო დაწესებულებების  
შემოქმედთა კავშირის თავმჯდომარე**

## ქართული ცეკვა - ჩვენი სიმაყის საფეხვები

ქართული ცეკვა ერის სულიერებისა და მაღალი ყოფითი კულტურის ორგანული ერთიანობის გამომხატველია. იგი ზედმინევნითი სიზუსტით ასახავს ჩვენი ხალხის ბუნებას, მის შეუდრეველ ხასიათს, შრომისმოყვარეობას, მებრძოლ სულისკვეთებას და ბუნებასთან თანაზიარობის ხარისხს.

დაკვირვებული თვალი და მოაზროვნე გონება ქართულ ცეკვაში ხალხის უძველეს ისტორიას და მის სიღრმეებში დატრიალებულ ქარბორბალასაც დაინახავს. უხსოვარი დროიდან მოყოლებული ქართველი ხალხი, ყველა სხვა ხალხების მსგავსად შრომობდა, იბრძოდა, ილხენდა და ბოლოს იბრძოდა, რადგან ურიცხვი მოშურნისა და მტაცებლისაგან ალყაშემორტყმულს გადარჩენის ფხიზელი ინსტიქტი მოსვენების საშუალებას არ აძლევდა. იგი მუდამ ცერზე შემართული, დაკუნთულ-დაძარლვული შეჰქურებდა მიწა-წყალზე ყოველი ახალი დღის დადგომას. აი, სწორედ ასე, ცერშემართული დგას დღეს ქართული გენი სცენაზე და ცეკვის რიტმს აყოლილი ელოდება დარბაზის უმძაფრესად აღმატებულ რეაქციას, იმ რეაქციას, რომელსაც პირველხარისხოვანი ანსამბლების წყალობით უკვე კარგა ხანია შეეჩინა ჩვენი საზოგადოება.

უყურებ ქართულ ცეკვას და მადლიერების გრძნობით ივსები იმ ღირსეული წინაპრების მიმართ, ვინც შექმნა, საუკუნეებში გამოატარა და ჩვენამდე მოიტანა მისი გენიალური უბრალოება, ესთეტიკური სისავსე და მთლიანობა...

ცეკვა „ქართული“, „ფარიცაობა“, „ხორუმი“, „განდაგანა“, სვანური ფერხული და მრავალი სხვაც ის სიმდიდრეა, რომელიც ერს ყველგან და ყოველთვის მისცემს თავაწეული სიარულისა თუ კანონიერი სიამაყის საფუძველს.

### თემურ ჩხაიძე

**საქართველოს დამსახურებული არტისტი,  
ღირსების ორდენის კავალერი**

## მსოფლიო მილნევის ნიმუშები - „ხორის“ ღა „კანიტიცი“...

ქართული ცეკვები – ქართველი ხალხის ხასიათის, ბრძნული აზროვნებისა და ქვეყნის ისტორიის ყველაზე ზუსტი ასახვაა. მათში მკაფიოდაა გამოხატული ქართველი ხალხის დამოკიდებულება სიცოცხლის, სიყვარულისა და მთლიანად სამყაროსადმი, ემოციურობა და კეთილშობილური მანერები, პოეტურობა და გმირობა, ტემპერამენტი, უმაღლესი სულიერების კულტურა.

ქართულ ხალხურ ცეკვებში ორიგინალურადაა ასახული ყოველი კუთხისათვის დამახასიათებელი თვითმყოფადობა და განსაკუთრებულობა. როგორი მრავალფეროვანიცაა საქართველოს ბუნება (პირქუში, თოვლიანი მთის მწვერვალებით და ამწვანებული, აბიბინებული მდელოებით) ისე მრავალფეროვანი და განსხვავებულია მათი მუსიკალური ინტონაციები და დიალექტი. ისე მრავლისმთქმელია მათი საცეკვაო ენა, ჰარმონიულად გაცისკროვნებული, მოზაიკის მსგავსად, რომელშიც მოძრაობის მასშტაბურობას საოცრად ერწყმის გრაციოზულობა და სინატიფე.

სხვა ხალხების კულტურებთან გაცვლის საუკეთესო საშუალებად ჩაითვლება ის უკვე არსებული, მაღალ მხატვრული ხელოვნების ნიმუშები, ქართული საცეკვაო ხელოვნების მაგალითები: „ქართული“, „ხორუმი“, „მხედრული“, „განდაგანა“, „ხანჯლური“ და სხვა. რომლებიც უკვე მრავალი წელია საყოველთაო, მსოფლიო მიღწევის ნიმუშებად ითვლებიან.

მსოფლიო გენიოსთა ჩამონათვალში ჩვენი თანამემამულების გვარებიც ბრწყინავს. მთელი პლანეტა გაყიდენთილია ბახის, ბერთოვენის, მოცარტის მუსიკით, გვხიბლავენ მიქელანჯელოს, ლეონარდოს, რაფაელის, პიკასოს და ფიროსმანის ქმნილებები, სულიერ სიამოვნებას გვანიჭებენ პეტრარკას, შექსპირის, გოეთეს, ნიზამის, რუსთაველის, პუშკინის, ვაჟა-ფშაველას და გალაკტიონის პოეზიის ნიმუშები. წარსულში მსოფლიო აღფრთოვანებული იყო კინის, ლაუტონის, როსის, სარა ბერნარის, ანამანიანის, სავინას, სმოკტუნოვსკის, უშანგი ჩხეიძისა და ვერიკო ანჯაფარიძის სამსახიობო ოსტატობით. საბალეტო სფეროს აცისკროვნებდნენ: ვესტრისი, მარია ტალიონი, ანა პავლოვა, ნიუინსკი, პეტია, ჯორჯ ბალანჩინი (გიორგი ბალანჩივაძე) და ვახტანგ ჭაბუკიანი.

დედამინის ხუთივე კონტინენტი ფეხზე წამომდგარი, ცეცხლოვანი ცეკვების რითმებზე აყოლილი აპლოდისმენტებით აჯილდოვებდა ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ბრწყინვალე სოლისტ ვირტუოზებს.

ქართულ ქორეოგრაფიას აგვირგვინებენ: ალექსი ალექსიძე, ილიკო სუხიშვილი, დავით უშვერიძე, მიხეილ სულხანიშვილი, ჯანო ბაგრატიონი, ბუხუტი დარახველიძე, ენვერ ხაბაძე, ომარ მხეიძე, თენგიზ უთმელიძე, ფრიდონ სულაბერიძე, ბესიკ სვანიძე, რეზო ჭანიშვილი, რევაზ ჭოხონელიძე, ნინო რამიშვილი, ნონა გუნია, ლეილა თათეიშვილი, ლატავრა ფორჩანი, იამზე დოლაბერიძე და სხვა. ახალმა თაობამ მსოფლიო სცენის დაპყრობის ესტაფეტა საბალეტო ხელოვნებაშიც მიიღო – ანანიაშვილი, ნიორაძე, ცისკარიძე, ხოლო ქართულ ქორეოგრაფიაში, ანსამბლებმა: „რუსთავი“, „ერისონი“, „როკვა“, „გორდა“, „მამული“, „მეტები“, ასევე საბავშვო ანსამბლებმა: „მერანი“, „იმედი“ და ბევრი სხვა.

ქართული ხალხური ფოლკლორის შემოქმედებითი კვლევა-ძიებით დაინტერესდნენ ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში. ფოლკლორული მასალის მოსაძიებლად და შესაკრებად უამრავი ექსპედიცია მოეწყო სვანეთში, აჭარაში, გურიაში, იმერეთსა და

ქვეყნის სხვა რეგიონებში, რამაც დიდი შედეგები გამოიღო. მასზე დაყრდნობით აღდგა უძველესი ნაციონალური ცეკვების ნიმუშები, შეიქმნა ფუნდამენტური თეორიული ცეკვები: ალექსი ალექსიძის, დავით ჯავრიშვილის, ლილი გვარამაძის, პავლე ხუჭუას, ავთანდილ თათარაძის მიერ. მათი შემოქმედების ღირსეულ გამგრძელებლებად გვევლინებიან: რეზო ჭავიშვილი, თემურ კომახიძე, გიორგი სუხიშვილი და სხვები.

ზემოთ ჩამოთვლილ შრომებში ვპოულობთ საინტერესო წყაროებს და ინფორმაციის იმ მნიშვნელოვან მარცვლებს, რომელიც ასულდგმულებს ცეკვის სფეროში ძიებებისა და აღმოჩენების გზაზე მიმავალ ახალგაზრდა მკვლევარებს.

დღეისათვის კვლევებისადმი ინტერესი საგრძნობლად გაიზარდა. ახალგაზრდა მკვლევარებმა აიტაცეს წინაპართა ესტაფეტა და იმედს იძლევიან, რომ ისეთი ფენომენი, როგორიცაა ქართული ხალხური საცეკვაო ხელოვნება – ძირფესვიანად და შესაბამისი ღირსებით იქნება შესწავლილი. მთელს მსოფლიოს აუცილებლად უნდა ვუჩვენოთ არა მარტო ქართული ცეკვების სილამაზე, ტემპერამენტულობა და ორიგინალურობა (რასაც წარმატებით ართმევენ თავს ხალხური ანსამბლები), არამედ ყველას გავაცნოთ მათი წარმოშობის, ჩასახვის ისტორია, უძველესობის ხარისხი, ინდივიდუალურობა, უნიკალობა და ფსიქოლოგიური სიღრმე.

**ალექსანდრე ჩხეიძე  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,  
აკადემიკოსი**

\*\*\*

ქართულ ხალხურ ცეკვებში ერთიანდება ერის გენიალური ნიჭი და სულის თვითმყოფადობა.

**თემურ ჩხეიძე  
რეჟისორი**

## სისხლისა ღა სეის ეთიუნობა

ქართულ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებში საქართველოს დიდი წარსული და ისტორია იკითხება, სადაც ჩვენი ერის სულიერი სამყაროა გადმოცემული.

ქალთა და ვაჟთა ცეცხლოვანი ცეკვები – ეს სისხლისა და სულის ერთიანობაა სხეულის აღმაფრენასთან ერთად.

ქართული ხალხური ქორეოგრაფია (ისევე, როგორც ქართული სიმღერები) ჩვენ წელთაღრიცხვამდე ცნობილი იყო მსოფლიოსათვის.

მომაჯადობებელია ხმოვანება ქართული ჰანგისა, როგვა კი, ხან საოცარი ლირიკის პოეზიაა, ხან კიდევ, ხმალთა და ფართა გამაოგნებელი რიტმი შეჯახებისა.

მთლიანობაში კი, ჰანგიც და როკვაც ჩვენი ქვეყნის უმდიდრესი ფენომენია, ხოლო მსოფლიო ცივილიზაციისთვის ის განძი, როგორც მრავალ ზღაპრულ მძივთა შესაძარია.

რეზო ჩხეიძე  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი

## მას ბალაშენება ას ცნების

არსებობს ღირებულებები, რომელთა გარეშე ერის, ხალხის, მისი ხასიათის წარმოდგენა არათუ ძნელი, არამედ წარმოუდგენელიცაა. სწორედ ასეთი მოვლენაა ქართული ხალხური საცეკვაო ხელოვნება. ქართული ცეკვა ქართველი კაცის არსებობის წესი, მისი სუნთქვა და მენტალიტეტის გამოვლენაა.

მე ღრმად მნამს, რომ ქართული ხალხური ცეკვის გარეშე არა მარტო ქართული კულტურა, არამედ თვით მსოფლიოს უდიდესი კულტურული სახეც კი უფერული გამოჩენდებოდა. ამიტომაც მჯერა, რომ ქართული ხალხური ცეკვა უპრალოდ მსოფლიო განძი კი არ არის, არამედ იგი მაგალითია მსოფლიოსათვის, მაგალითი ესთეტიკური სიმაღლისა, მშობლიური მიწისადმი ერთგულებისა, სიჩაუქისა, სიყვარულისა და ვაჟკაცობისა. ასეთი განძის მქონე ხალხს გადაშენება არ უწერია!

რამაზ ჩხილვაძე  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი

## ქართველი ხავანა ხაცეის ღიღებული ქმნილება

დღეს მადლიერი სამშობლო ჭაღარადმოსილ თაეს ხრის სახელოვანი შვილების წინაშე, რომლებმაც მეტად შორს გაუთქვეს სახელი თვითმყოფად ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიას. ესენი არიან დიდი მამულიშვილები: ნინო რამიშვილი, ილიკო სუხიშვილი, ჯანო ბაგრატიონი, ბუხუტი დარახველიძე, კონსტანტინე მანჯგალაძე, ენვერ ხაბაძე, გიორგი სალუქვაძე და სხვები.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარების დიდი მნიშვნელობა და მაღალი დანიშნულება კარგად ესმოდათ ერის რჩეულებს. ამიტომაც მოინდომეს, რომ მრავალ-საუკუნოვან დროთა სიღრმეში ჩაძირული ქორეოგრაფიული კულტურის ფესვები დღის სინათლეზე გამოეტანათ. ეს გზა მძიმე იყო, მაგრამ აღმავალი. ამიტომ სიტყვით ჭირს იმის გამოტქმა, რაც დაუღალავი შრომით უკეთებიათ ამ მამულიშვილთ და, პირველ რიგში, ალექსი ალექსიძეს, დავით ჯავრიშვილს, დიმიტრი ჯანელიძეს, ლილი გვარამაძეს, ავთანდილ თათარაძეს და სხვებს. დიდი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ყველა ისინი „მეროჭიკე ბერივით“ დადიოდნენ და საქართველოს ყველა კუთხეში ეძებდნენ საგანძურებელი მიმოფანტულ ცეკვის ილეთების მასალას, აპრიალებდნენ, თლიდნენ, აჩუქურთმებდნენ

და მარგალიტებად უბრუნებდნენ ხალხს. ეს მარგალიტები დიდებულად გამოიყენეს ნინო რამიშვილმა და ილიკო სუხიშვილმა, რომლებმაც შექმნეს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი და დიდი აღიარებაც მოიპოვეს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. მათი წარმატების შესახებ მსოფლიო პრესამ აღფრთოვანება ასე გამოხატა: „საქართველოს ცეკვის ანსამბლს მსოფლიო ტაშს უკრავს“-ო.

განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით აღნიშვნის ღირსია ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის რეზო ჭანიშვილის დაუდალავი კვლევითი-სამეცნიერო მოღვაწეობა, რომელმაც თეორიულად განავითარა და პრაქტიკულად განამტკიცა თავისი მეთოდური პრინციპები და შექმნა სქელტანიანი სახელმძღვანელოები, რითაც ფართო აღიარება მოიპოვა.

ქართულმა ხალხურმა ქორეოგრაფიამ არა მარტო ქართული კულტურა, ადათ-წესები ცერებზე ცეკვითა და სინარნარით აამეტყველა, არამედ ერის დიდი წარსულიც, ისტორიაც ასახა. აქ არის გამოხატული ქართველი ქალის სილამაზის, სინაზის, კდემამოსილების მზიური სხივოსნობა, გმირთა, ვაჟკაცთა მიერ სამშობლოს სიყვარული, სამშობლოს დაცვა, მთიელთა ყოფა-ცხოვრება, მანდილოსნის პატივისცემა და სხვა. მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის ჯადოსნური ცეკვა. კოცნა რომ შეიძლებოდეს, ყველა ცეკვას ვაკოცებდი, გულში ჩავიხუტებდი, რადგან იგი ისეთ ძალუმად მიიკვლევს გზას ჩვენს არსებაში, წვდება ჩვენი გრძნობის სილრმეებს, განცდის მწვერვალებს და გვევლინება განუმეორებელ საგანძურად, რომლის მსგავსი კაცობრიობას ჯერ არაფერი შეუქმნია. ამიტომ გვიძნელდება საკადრისი სიტყვებით შევამკოთ იგი, და დახმარებისთვის მივმართავთ იოსებ გრიშაშვილს:

„სიტყვებს, სიტყვებს ვერ ვპოულობ მისას შესაფერსა,  
დავდუმდები და დუმილით ვიტყვი ყველაფერსა“.

გიორგი ცაავა  
საქართველოს სოციალურ და ეროვნულ  
ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი,  
იურისტი

## ლიმან ჩავიხელოთ ურვენის საბანქურში

თუკი ხელოვნება სინამდვილის ასახვაა მხატვრულ სახეებში და ქორეოგრაფია ხელოვნების ერთ-ერთი სახეა, ჩემთვის ცეკვა არის ჩემი საკუთარი ცხოვრების, შინაგანი გრძნობების გამოხატვა პლასტიკისა და მუსიკის თანხლებით.

79 წლის მოხუცს, თქვენს მონა-მორჩილს, ალბათ მაქვს უფლება მოკრძალებული რჩევა მოგცეთ ახალგაზრდა ქორეოგრაფებს და კულტურის მოღვაწეებს. თქვენი მიზანი ყოველთვის უნდა იყოს, რომ საქმით გახდეთ ახალი საქართველოს საზოგადოების აღმშენებლობის განუყოფელი ნაწილი, სადაც პარმონიულად იქნება შეხამბული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა.

ვინაიდან ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდა ითვლება ჩვენი ქვეყნის საერთო-სახელმწიფოებრივ, საერთო კულტურულ, საერთო-სახალხო საქმედ, ამიტომ მთელი თქვენი ძალისხმევაა საჭირო, რომ ისტორიულად გადმოცემული საერთო კულტურიდან აითვისოთ ის, რასაც ნამდვილი ღირებულება აქვს. ღრმად, ნიჭიერულად ჩაიხედოთ ქართულ

ხალხურ ეროვნული საგანძურში, ჩასწვდეთ მისი პოეტური აზრის სიღრმეს, რომელიც ეს-ოდენ მდიდარი და კოლორიტულია, შეისწავლეთ, სწორედ წარმართეთ და განავითარეთ იგი.

ჭეშმარიტი ხელოვნების ნებისმიერი დარგი, ამ შემთხვევაში ქართული ხალხური საცეკვაო ხელოვნება, თუ საკუთარ ფესვებზე მყარად არ დგას, უთუოდ კარგავს თავის თვით-მყოფადობას და უნიკალურობას. სიახლის შეტანის წინააღმდეგი არ გახლავართ, მაგრამ გააჩნია როგორი ფორმითა და შინაარსით.

თქვენ გაქვთ უმდიდრესი ეროვნული განძი საკუთარ ადათ-წესებზე, ზნე-ჩვეულებებზე, ტრადიციებზე დაფუძნებული ხალხური შემოქმედება, არ დაუკარგოთ მას პირვანდელი სახე და განავითარეთ თქვენივე ეროვნული ცნობიერებით და შემოქმედებითი ფანტაზიით.

ჩვენს წინაპრებს საუკუნოებრივი ისტორიული თანაცხოვრების მდიდარი ტრადიციები აკავშირებთ. მნიშვნელოვანი ფასეულობებითა და მორალურ-ზნეობრივი ღირებულებებით სავსე ამ ისტორიულად გადმოცემულ კულტურულ მემკვიდრეობას თქვენი მხრიდან პატივისცემა, გაფრთხილება, მოვლაპატრონობა და თავის ადგილზე დაყენება სჭირდება. თუკი ეროვნულობა ინტერნაციონალობას ნიშნავს, მაშინ იყო კარგი ქართველი ან იყო კარგი ქისტი, ეს ნიშნავს იყო მსოფლიო მოქალაქე. ეს კარგად უნდა გააცნობიეროთ ქართველებმაც და ქისტებმაც. სწორედ ეს იყო ჩემი ცხოვრების და მოღვაწეობის სულისკვეთება და პათოსი.

მე, როგორც საქართველოში დაბადებულმა, ქისტი ხალხის წიაღიდან გამოსულმა ობოლმა ბიჭმა, თუკი ჩემი საკუთარი ხელოვნებით – „ცეკვა ქისტურით“ სიხარული მივანიჭე ჩემს ხალხს, ჩემს ქვეყანას, მაშინ მე, 79 წლის ასაკშიც კი, თავს ბედნიერად ჩავთვლი.

იოსებ ცათიაშვილი  
საქართველოს დამსახურებული პედაგოგი,  
საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე,  
მოცეკვავე

## ყოველი ჯაზი სახავა ვითი ეიღი პოემის ტოლიასი

ქართული ცეკვები არა მარტო ისტორიაა ჩვენი ერისა, არამედ მისი აწმუო და მომავალია. ამდენად მის მიმართ ზერელე დამოკიდებულება, მისი ხელყოფა ჩვენი წარსულისა და მომავლის სიკვდილის ტოლფასია.

ქართული ცეკვის ფენომენი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი ცეკვის ნახვის შემდეგ თთქმოს ერთი დიდი მაღალმხატვრული პოემა წაგენითხოს. როცა განვიხილავთ ქართულ ხალხურ ცეკვებს, როგორც ქართული ფოლკლორიდან წამოსულ საგანძურს, ნათლად დავინახავთ, რომ იგი მართლაც ხალხის გულიდან მოედინება და ხელშეუხებელია. მას დიდი ადგილი უკავია მსოფლიოს ცივილიზებულ სამყაროში, როგორც თვითნაბად და თვითმყოფად ხელოვნებას.

განა დიდი ვახტანგ ჭაბუკიანი კლასიკურ ცეკვას ქართული ხალხურობიდან არ ქმნიდა? „გორდა“, „მთების გული“, „სინათლე“ და ა.შ. ანდა მისი ინტერპრეტაციით ცეკვა „ხორუ-მი“ ფილმ-კონცერტში „ჯურლაის ფარი“ ხომ ამის ნათელი დადასტურებაა.



ქართული ხალხური ცეკვების განვითარებას XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე დიდად შეუწყო ხელი „სუხიშვილების“, „ერისონის“, „რუსთავის“, „აჭარის“, საბავშვო ქორეოგრაფიის და სხვა ანსამბლების ხანგრძლივმა გასტროლებმა მსოფლიოს ყველა კონტინენტზე.

ალბათ, იშვიათია ქვეყანა, რომელსაც ესოდენ დიდი წარმატება ჰქონდეს საზღვარგარეთ როგორც ეს ჩვენი ქვეყნის ცეკვის ანსამბლებს აქვთ მსოფლიო არენაზე. ამდენად, ქართული ცეკვები მართლაც რომ მსოფლიო ცივილიზაციის კუთვნილებაა, რომელსაც სათუთი მოპყრობა და გაფრთხილება ესაჭიროება.

იური ცანავა  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი

## ცაცა - ქათელი საცის ნათელი

ცეკვა ქართული სულის ის ნათელია, რომელსაც ხილვის შემდეგ ვერასოდეს დაივიწყებ. ქართულ ცეკვაში განივთებულია ქართველური გენის, კავკასიის მწვერვალებსა და ცაზე მოლაციცე წინაპართაგან ნაანდერძევი ხელოვნების სულიერი სილამაზე, ქართველი ქალის კდემამოსილება, ქართველი კაცის სიჩაუქე, ორლესულობა – გმირული და რაინდული კვეთება. ამ ორი საწყისის – ქალისა და მამაკაცის ჰარმონიული ესთეტიკური რაობა ცეკვით განსხეულებული უნიკალური კაცთმოყვარული ნიშანსვეტია მსოფლიო მასშტაბით...

იშვიათია ენა მსოფლიოში, სადაც იმდენი ქორეოგრაფიული ტერმინი იყოს, რამდენიც ქართულ ენაშია, ოლონდაც საჭიროა ამ სულიერი ფენომენის უფრო მეტი სივრცული განვენა დანახვა და დანახვება იმისა, თუ ვინ ვიყავით, ვინა ვართ, ვის და რას ვეთაყვანებით.

ბადრი ცხადაძე  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

## ქათელი ცაცაით შეისყვას საქათველოს შესახებ

საერთოდ ხელოვნების, განსაკუთრებით კი ქართული ეროვნული ხელოვნების ტრადიციული, საუკუნეების მანძილზე შესისლხორცებული უბრნებულების უანრია ცეკვა. მისი ნახვა ერთნაირად აღაფრთოვანებს მეფეებსა თუ დედოფლებს, პრეზიდენტებსა თუ პრემიერ-მინისტრებს, სამღვდელოების წარმომადგენლებსა თუ მიწის მუშებს, ნებისმიერ ადამიანს.

ქორეოგრაფიის მრავალი მცოდნისა თუ სპეციალისტის დამაჯერებელი მტკიცებით მთელ მსოფლიოში არ მოიძებნება ცეკვა „ქართულის“ ანალოგი და შესაბამისი აღტაცებითაც აღიქვამენ მას. უცხოელებს აკვირვებთ და ხიბლავთ ის უჩვეულო მოწინება, მოკრძალება, პატივისცემა, გნებავთ ქედის მოხრა, რასაც აქ მამაკაცი გამოხატავს უნ-

აზესი ქართველი ქალის მიმართ, რაც ყველა საუბრისა თუ გარჩევის დროს მაგალითად მოჰყავთ ხოლმე.

ცეკვაში ქართველი ხალხის ხასიათი, რწმენა, შეუდრევლობა პლასტიკური ფორმით გამოხატული, ეს არის უბერებელი ქართული სულის აღმაფრენის, ძალისა და ოცნების გამოვლენა.

ქართულ ცეკვას ყველაზე მასშტაბურად გააქვს ეროვნული კულტურა საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში. ამის ნათელი დადასტურებაა სუხიშვილების სახელმწიფო ეროვნული ანსამბლის, „ერისიონის“, „რუსთავის“ და მრავალი სხვა ქართული ანსამბლების საოცრად წარმატებული გასტროლები უცხოეთში. ამ გამოსვლებს მსოფლიოს მერვე საოცრებაც კი ეწოდა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მრავალ დიდ თუ პატარა სახელმწიფოში სწორედ ცეკვის ოსტატების გასტროლების შედეგად შეიტყვეს საქართველოს შესახებ.

**გიგი წერეთელი  
პოლიტიკოსი**

\*\*\*

ქათული ცეკვა მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი ნათელი სვეტია და ღმერთმა ნუ ინგრეს ამ სვეტის მოშლა.

**ზურაბ წერეთელი  
მხატვარი**

## ჩემი მამები, მამა, ნაცივას ალობინება

დაწმუნებული ვარ, წლების განმავლობაში საამაყოდ გვექნება ქართული ცეკვის ის შინაგანი აღქმა თუ დაუფარავი მოწონება, რაც გამოხატა ჩვენი პლანეტის უპირველესმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა. ნათლად ჩანდა, რომ მას განსაკუთრებით მოეწონა პატარა ბავშვების საოცარი პლასტიკისა და სილამაზის ცეკვა, განუმეორებელი „მხედრული“ თუ „განდაგანა“. ყველა სტუმრისა თუ შინაურის ნამდვილ აღტაცებას იწვევდა ბავშვების მიერ მაღალი ოსტატობით შესრულებული ცეკვები.

ვფიქრობ, ახალს არ ვიტყვი და მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავ, რომ ქართული ცეკვის სისტემატიზირებული პოპულარიზაციისა, ტრადიციების განმტკიცებისა და თაობათა აღზრდის საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ (ყოფილი პიონერთა) სასახლეს. აქ ყოველთვის მოღვაწეობდნენ და მოღვაწეობენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი ქორეოგრაფები, ქართულ ცეკვაზე ფანატიკურად შეყვარებული პედაგოგები, რისთვისაც ისინი ხალხისაგან დიდ მადლობას იმსახურებენ.

მრავალთაგან ერთი ბრწყინვალე კონცერტიც გამახსენდა. ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მოსწავლეთა სასახლის აღზრდილები გამოდიოდნენ. პატარებმა ცეკვის ისეთი ფანტასტიკური ზეიმი შექმნეს, ისეთი ცეცხლი დაანთეს, რომ ფეხზე მდგარი საზოგადოება დიდხანს აღტაცებით უკრავდა ტაშს. ჩემშიც ისე აენთო პატარების მიერ ცხადად გამოვლენილი ეროვნული სული, რომ ამ განცდით შთაგონებულმა ლექსიც დავწერე, რაც

მერე 1999 გამოცემულ კრებულში საერთო სათაურით „პატარა ბიჭი ძველი სურათიდან“ გამოვაქვეყნე და აქაც მინდა ამ დაუვინარი განწყობილების ნიშნად მოვიტანო.

პატარა მოცულობის ლექსს სათაურად სწორედ „კონცერტზე“ ეწოდება:

„ამაყ სახეებს მომავალთან მოელით შეყრა,  
ცეკვის ხალისი ტალღებივით აღწევს თაღამდე,  
სხვა არაფერი აღარ მინდა ამ ცოდვილ ქვეყნად,  
ოღონდ მთლიან და თავისუფალ მამულს ვნახავდე.  
ნელა ნათდება,  
თავს ცისკარი წყვდიადში იჩენს,  
და ირგვლივ სივრცეც ტყვიასავით აღარ მძიმდება,  
როცა ვუცქერი ამ პატარა ჩოხოსან ბიჭებს,  
ჩემი მამული მჯერა კვლავაც აღორძინდება.“

ბუნებრივია, მე ცეკვის მცოდნე თუ სპეციალისტი არ ვარ, უბრალოდ ჩემი პირადი შთაბეჭდილების ნაწილი გადმოვვეცი და პატარა წერილიც ჩემი ლექსის ბოლო სტრიქონით მინდა დავამთავრო: „ჩემი მამული მჯერა კვლავაც აღორძინდება“. თუ 10-12 წლის წინ ამის მჯეროდა, ახლა ათჯერ და ასჯერ მეტად მჯერა საქართველოს წინსვლისა და მისი თვითმყოფადი საცეკვაო კულტურის კიდევ უფრო გაბრწყინების.

## ნუგზარ წერეთელი საქართველოს დამსახურებული უურნალისტი, მწერალი

# ԵԱՀԵԿ ԵՎ ԵԱՀԵԿ ԵՎ ԵԱՀԵԿ

ქართულ სისხლს ქართული ცეკვა გენებიდან მოსდგამს. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენი ეროვნული ცეკვა არა მარტო ქართველებისათვის, მსოფლიო ხალხებისათვისაც მერვე საოცრება აღმოჩნდა. სხვა თუ არაფერი, კინოფილმებიდან მაინც გვინახავს, როგორ უფრა-  
ვდა ქართველ მოცეკვავებს მსოფლიო ტაშს!... თუმცა ყოველივე ამას, ზოგჯერ მაინც,  
ტაში არ ერქვა – ეს საწყისი მდგომარეობიდან ამოვარდნილი ჭკუაგადასული ადამიანების  
ზარხოშიდან გამოსვლას უფრო ჰგავდა!... ცეკვა და სიმღერა, აი, ქართველი ერის მსოფ-  
ლიო საზოგადოებასთან, ან თუნდაც თვით ღმერთთან, წარსადგენი სავიზიტო ბარათი.  
თუ ამას ქართულ ფოლკლორსაც დავუმატებთ, ამ ქვეყნად ჩვენს არსებობასაც მარა-  
დიული გამართლება ექნება!... გამორიცხული არაა, მაღალი ღმერთიც ასე ფიქრობდეს  
– დასაღუპად განწირული ქვეყნების სიიდან აქამდე საქართველო ათასჯერ მაინც რომ  
ამოშალა!...

## თამაზ წივწივაძე მწერალი

## ბალეტი ჯიშის, ქართული ჯიშის...

ასე მგონია, ყველაფერია ნათქვამი ჩვენს ეროვნულ ფენომენზე – ქართულ ცეკვაზე არა მარტო ჩვენში, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, სადაც ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ანსამბლები გამოსულან.

უკვე პრძანა გრიგოლ რობაქიძემ – „ქართული გენია როკვით განფენილი“...

„ქართული ცეკვა ჯადოქრობაა/ და ჭეშმარიტი დღესასწაული/ცეკვა კი არა ხალხის სულია/ერის სიმდიდრე და საწყალი.“

ეს სტრიქონები ყირგიზ პოეტს სორონბაი ჯუსუევს ეკუთვნის. და კიდევ: „იქნებ სწორედ ცეკვა „ქართულმა“ შემოგვინახა ყველაზე ზუსტად და შეულამაზებლად ქართველი კაცის ჭეშმარიტი, მაგრამ საგულდაგულოდ დაფარული სახე-სახე მარადიული მოთამაშის, რომელსაც მუდამ ამოძრავებს დაუძლეველი სურვილი, სინამდვილე სცენად, ცხოვრება კი სპექტაკლად აქციოს!“ – კოტე ჯანდიერი.

სამი საოცრად ტევადი და ლამაზი ნათქვამი ქართულ ცეკვაზე! ამაზე უკეთ ან ამ დონეზე თქმა რომ შემძლებოდა, აქამდე ათასგზის ვიტყოდი. მითუმეტეს, ორ ათეულ წელზე მეტი, ქართულ ცეკვებზე და მასში მოღვაწე ადამიანებზე ვამზადებდი სატელევიზიო გადაცემებს. ვრედაქტორობდი ქორეოგრაფიულ გაზეთ – „როკვას“.

**დავით წულუკიძე  
ჟურნალისტი**

## ქართული ხალხი სახავაბი გვარების ბიბიკით

ჩვენ, ბალეტმაისტერებმა და რეჟისორებმა, ღრმად და საფუძვლიანად უნდა შევისწავლოთ ხალხური შემოქმედება, ვისწავლოთ ხალხისაგან, ავავსოთ ჩვენი ბალეტი დრამატული შინაარსით, ვაშენოთ იგი მძაფრ სიუჟეტურ ქარგაზე, რომელიც ასე დამახასიათებელია ქართული ხალხური ცეკვებისათვის. მხოლოდ ხალხური ცეკვების სულში ჩაწვდომით შეიძლება ნამდვილი საბალეტო სპექტაკლების შექმნა.

ქართული ხალხური ცეკვები გვაოცებენ გრაციით, კეთილშობილური მოძრაობებით, ტემპერამენტით, ნარნარით და სიმსუბუქით. მასში გამოხატულია ქართველი ხალხის სული, საქართველოს მზე, მისი მთები, მისი ნაყოფიერი ველები, ტყეები და ბალები – ყველა სიმდიდრე და მრავალფეროვნება.

**ვახტანგ ჭაბუკიანი  
ბალეტმაისტერი**

## ქართვის ხელი - სამსახურთა შორის შეხვეძები

როკვა, რასა და გენი, ისე როგორც „ენა, მამული, სარწმუნოება!“ – რაოდენ ტევადი და მდიდარი შინაარსისაა ეს სიტყვები! წარმოთქვამს მას ქართველი კაცი და წარმოგვიდგება მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ისტორია ჩვენი ერისა. სიამაყით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში, მსგავსი, ასე განვითარებული და რთული ფორმის ფოლკლორი, თოთქმის არავის გააჩნია.

ერთგვარი ტრანსფორმაციით გადმოსული, თაობიდან თაობამდე იხვეწებოდა და ვითარდებოდა ქართული საცეკვაო კულტურა.

ათასწლეულებს მოითვლის ბუნების ძალების, ციური მნათობების, ცხოველების, ფრინველების გაღმერთება, თაყვანისცემა და მათი პატივსაცემი რიტუალების შესრულება, რომელიც შესამჩნევადაა გამოკვეთილი ქართულ ცეკვებში, უკვე ხორცშესხმული და ამაღლებული.

აკადემიურმა, თვითმოქმედმა, საბავშვო და ახალგაზრდულმა ანსამბლებმა დიდი მისია შეასრულეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უაღრესად მდიდარი ქართული კულტურის მიღწევათა გასატანად. მე მათ ქრისტეს მიერ წარგზავნილ მოციქულებს ვადარებს. ყველა ადამიანი თავისი გენეტიკის მძევალი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არც მომვალი ექნება.

მე, როგორც ჩემი ერის შვილსა და ქართული ქორეოგრაფიის მუხლჩაუხერელ მებრძოლს, ხმამაღლა შემიძლია გავიმეორო დიდებული კლასიკოსი მწერლის გრიგოლ რობაქიძის სიტყვები: „ეს ცეკვა ქართულია და გარდა ქართველისა, მას ვერ იცეკვებს ვერავინ, რასა არ ეყოფა!“

მართლაც, ღმერთების ცეკვას ბადალი არ ჰყავს დედამიწაზე!

გიორგი (გოგიტა) ჭანიშვილი  
მოცეკვავე

## ქართვის ხელი ათასწლოვან ბზეზე!

ქართული ცეკვა მსოფლიო უნიკალური მოვლენაა. უნიკალურია იგი თვითმყოფადი ფესვებითა და განვენილობით. ამას ადასტურებს მრავალი მნიშვნელოვანი ცნობა და დოკუმენტი. ქართულმა ცეკვამ თავისი სინკრეტული არსით განავითარა და წარმოაჩინა ხალხური სიმღერა, ლექსი და დრამა. ან დღემდე მოაღწია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნით – არქაული და განვითარებული ქორეოგრაფიული ფორმების შერწყმით. ეს გარემოება, როგორც ქართულ ზეპირსიტყვიერებაზე დაკვირვებით დასძენდა უნგრელი ფოლკლორისტი მარტონ იშტვანოვიჩი, საშუალებას იძლევა გავითვალისწინოთ ქართული ხალხური შემოქმედების ათასწლოვანი გზა.

დიახ! ქართული ცეკვა სათავეს იღებს რა მსოფლიო ცივილიზაციის კარიბჭესთან, დღესაც ამაყად მიიკვლევს გზას და ანცვიფრებს მსოფლიოს!

გიზო ჭელიძე  
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, იუნივერსიტეტის არსებული ფოლკლორის  
საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი

## ქართული ცეკვის ჩამოყალიბის ბანურფელი ნაწილი

რას ნიშნავს ცეკვა? მე დრამატული თეატრის და კინოს მსახიობი ვარ თუმცა, ეს არის ჩემთვის უაღრესად საყვარელი ხელოვნება. ძალიან მიყვარს ცეკვა. ვფიქრობ, რომ საცეკვაო ხელოვნება უაღრესად საჭიროა თეატრშიც და კინოშიც. ჩვენი მსახიობები რომ უკეთესად ფლობდნენ მას, უფრო პლასტიკური იქნებოდნენ, რადგან მისი უკმარისობა აშკარად იგრძნობა მათ მოძრაობაში. ეს ზოგადად, ხოლო რაც შეეხება ქართულ ცეკვას, ის ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

სოფიკო ჭიაურელი  
საქართველოს სახალხო არტისტი

## ქართული ცეკვის აკორძინა

ერთ-ერთი დიდებული რამ, რითაც ნამდვილად შეგვიძლია ვიამაყოთ, ქართული ცეკვაა, მხარს რომ უმშვენებს ჩვენს პოეზიას, მუსიკასა და მხატვრობას.

ჩვენს თვალწინ პოეზია და მუსიკა ცეკვად გარდაიქმნება, რომლის სიმაღლესაც ბევრი უცხოელი, თუნდაც „ცეკვის ჯადოქრად“ აღიარებული ხელოვანი ვერ შესწოდება.

ჩვენი ცეკვა მართლაც რომ უაღრესად პოეტურია და, ამდენად, მისთვის უცხო და მიუღებელია ე.წ. ქორეოგრაფიული ბელეტრისტიკა, ანუ რომელიმე ამბის ან მოვლენის ზედაპირული იმიტაცია, საითკენაც ამ ბოლო დროს, რატომდაც, ჯიუტად და დაუინებით ეწევიან მას, ჩვენი ქორეოგრაფიის გათანამედროვეობის საბაბით.

ამ შემთხვევაში, ალბათ, საჭირო იქნება იმის გახსენება, რომ, რაც ნამდვილია, ყოველ-თვის თანამედროვეა.

მითუმეტეს, გაუგებარია, როცა ჩვენს უნიკალურ, მაღალი ხელოვნებით აღბეჭდილ ცეკვას ისეთ ელემენტარულ ილეთებს უმატებენ, რომელთა შესასრულებლადაც, ალბათ, უფრო სპორტსმენები, კერძოდ, აკრობატები გამოდგებიან და არა მოცეკვავები.

ცეკვა სხეულის ვირტუოზული ფლობა კი არა, სხეულით ადამიანის სულისკვეთების ვირტუოზული გამოსახვა, გამონათებაა.

ჩვენს ხალხურ ქორეოგრაფიაში თითქოს მთელი თავისი მშვენიერებით იშლება ის, რა-საც ჩვეულებრივად ცხოვრებას ვეძახით, მაგრამ სინამდვილეში ციური კიბეა უკვდავე-ბისა. დიახაც, უკვდავია ხალხი, რომელიც ასე ცეკვავს, ანუ ასე ცხოვრობს, ასე ელტვის სიცოცხლის ცხოველმყოფელ სინათლეს...

თამაზ ჭილაძე  
მწერალი

\*\*\*

ქართული ცეკვა კაცობრიობის შემოქმედებითი ფანტაზიის უმაღლესი მწვერვალია.

ოთარ ჭილაძე  
მწერალი

## ქართული ცეკვა საქართველოს უცველებელი

ყველა ერს თავისი საცეკვაო კულტურა გააჩნია, მაგრამ ქართული ცეკვები მათ შორის განსაკუთრებულია, თავისი ფორმით, შინაარსით და ქორეოგრაფიული ტექსტით.

არის დიდი სახელმწიფო ობი – უზარმაზარი ტერიტორიებით, არის ქვეყნები ასეული – მილიონიანი მაცხოვრებლით და მათ გვერდით არსებობს პატარა ქვეყანა – საქართველო, რომლის საოცარ ფენომენს საცეკვაო ფოლკლორი წარმოადგენს; ფოლკლორი, რომელშიც ამ ერთი ციდა ქვეყნის უმძიმესი ისტორია იკითხება.

ქართული ცეკვის საოცარ ფენომენზე ისიც მეტყველებს, რომ შვიდი სამთავროსაგან შემდგარი საქართველოს, რომელსაც ერთი ენა-ენა ქართული აერთიანებდა, ყველა კუთხე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, საოცარი ქორეოგრაფიული ენით საუბრობდა და საუ-ბრობს დღესაც.

ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, თანაც, დიდი მწერლის ჭაბუა ამირეჯიბისა არ იყოს, „ჩვენ ობოლი ერი ვართ“, რამაც ალბათ განაპირობა კიდეც მისი რადიკალური განსხვავება სხვა ქვეყნების წეს-ჩვეულებებისა და, მათ შორის, ცეკვებისაგან. ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, რომ ჩვენი საცეკვაო ხელოვნების მრავალფეროვნება ემსგავსება ცისარტყელის ფორმასა და მრავალფეროვნებას.

XXI საუკუნემ ბევრ სიკეთესთან ერთად საფიქრალიც დიდი გაგვიჩინა. ბევრი ცდი-ლობს, შეეხოს არამარტო ჩვენს ჰანგსა და როკვას, არამედ ჩვენს მართლმადიდებლურ სარწმუნოებასაც, რომელმაც გადაარჩინა ჩვენი ერი სულიერ და ფიზიკურ განადგურებას.

მიუხედავად ყველაფრისა, მჯერა, რომ საქართველო შეინარჩუნებს უკვდავებასაც და უნიკალურ საცეკვაო ფოლკლორსაც.

ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ უნიჭიერესი ნინაპრების მიერ ჩვენამდე მოტანილი ხელშეუხებლად უნდა დარჩეს. არავის აქვს იმის უფლება, რომ ხელყოს ის განძი, რომელიც მსოფლიოს ანცვიფრებს. ამიტომ მოვუწოდებ ყველას, ვისაც კი შეხება აქვს ჩვენს საცეკვაო კულტურასთან (და არა მარტო საცეკვაო კულტურასთან), ნუ შეეცდება

სიახლის მიზნით თავს მოგვახვიოს უცხო ქვეყნებისათვის დამახასიათებელი საცეკვაო სიუჟეტები და პრაქტიკული მასალა (ქართულ ფოლკლორს გამდიდრება არ სჭირდება).

ქართული ცეკვა უნიკალური მოვლენაა მსოფლიოსათვის და ის ვერ იტანს უცხო მინარევებს. ჩვენი ყველაზე დიდი დამსახურება ერის წინაშე იქნება ის, თუ შევინარჩუნებთ მას პირველყოფილი სახით, რადგან ქართული ცეკვა საქართველოს უკვდავებაა.

**დოდო ჭიჭინაძე  
საქართველოს სახალხო არტისტი**

## მსოფლიო ქახთელი ქოჩობისბან მაბალის ილაბს

ჩვენი ერი დიდი სულიერებით გამოირჩევა; სიტყვა, სიმღერა, ცეკვა და მრავალი სხვა, რაც ქართველმა ერმა ათასწლეულების განმავლობაში ჩამოქნა და ისე შემოინახა, როგორც ცეცხლი ნაღვერდალში, ყოველ წამს შეგიძლია ააბრიალო. მათ შორის, ქართულ ხალხურ ცეკვას გამორჩეული ადგილი უკავია. ქართველთა უმაგალითო ნიჭიერებამ შექმნა მრავალფეროვანი, ყველა კუთხისათვის დამახასიათებელი, თვითმყოფადობით გაჯერებული, ყველასათვის გასაგები და ეროვნულობით დამშვენებული უანალოგო შემოქმედება, რომელმაც, სიმღერასთან ერთად, გაუძლო მრავალსაუკუნოვან ცხოვრებისეულ გამოცდას და ისე შეეგება ოცდამეერთე საუკუნეს, როგორც ძველ ნაცნობს. უფრო მეტიც, დანარჩენი მსოფლიო მისგან მაგალითსაც იღებს, თუ, როგორ უნდა უერთგულო შენი ხალხის კეთილ ტრადიციებს. აქედან გამომდინარე, ქართველი ერი მოვალეა მსოფლიოს შეურყვნელად შემოუნახოს ქვეყნის სიამაყე – ქართული ხალხური ცეკვა, მისთვის მშობლიურ, საცეკვაო და საფერხისო მუსიკასთან ერთად. ისე, რომ არ დაივიწყოს დროის მანქანის ძველთან ლამაზად დაბრუნების მზარდი მოთხოვნილება და თავბრუდამხვევი ტემპები. მჯერა, რომ ჩვენი ხალხი არ დაუშვებს ეროვნული საუნჯის დაკნინებას.

**ჯემალ ჭკუასელი  
ანსამბლ „ერისონის“ სამხატვრო ხელმძღვანელი,  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი**

## სიბერიით ბაზლითილი „ჩოხა“

მემატიანეს ცნობებმა და სიტყვაკაზმულმა მწერლობამ ქართველი კაცის ბუნების ბევრი საიდუმლო შემოგვინახა ისტორიული განვითარების სხვა და სხვა საფეხურზე. ზოგჯერ ზნესაც ვიცვლით, ზოგჯერ ფერსაც, მაგრამ მაინც გვქონდა ბევრზე ბევრი ისეთი

რამ, რომელიც მრავალ ეპოქათა გამოვლილი მუდამ თან გვდევდა, ქართულ ხასიათსა და ბუნებას გვინარჩუნებდა და გვიმტკიცებდა. ამიტომაც ქართველი კაცი, რომელიც თავისი არსებობის ათასწლეულებს ითვლის, სრული უფლებით ამაყობს თავისი წარსულით.

– „მას შემდეგ, რაც კაცობრიობამ გარჯა-მუშაობა წესად დასძო, მიწის ოფლით მორნყვა ჩვეულებად გადაიქცა, სიმღერა-მუსიკობა თან ახლდა, რომლის დანიშნულება ის არის, რომ ცხოვრებაში გაჭირვების უამს ადამიანს ბრძოლა გაუადვილოს და თვით საეჭვო საათიც ჩვენი არსებობისა ბედნიერად დაგვისახოს“. – არ შეიძლება არ დაეთანხმო ამ სიტყვებს. როცა ადამიანს თავისი ემოციების გამოსახატავად სიტყვაც კი უძლური ეჩვენა, „სიმღერა მუსიკობასთან“ ერთად მისი სულის იდუმალების გასახსნელად მოძრაობას მიმართა, რომელიც დროთა განმავლობაში დაიხვენა და დღეს ყველაფერ ამას ყველა ქართველისათვის თავის მოსახლეობელი ქართული ცეკვა ჰქვია. ხშირად, ისევე როგორც ქართულ სიმღერის მოსმენისას, ცეკვის ნახვისა და განცდისას თავისთავად ამოხეთქილა სიტყვები : რა ბედნიერებაა, რომ ქართველი ვარ! მადლობა ჩვენს უნიჭიერეს წინაპრებს ამ უდიდესი განცდისათვის! მადლობა იმ ღირსეულ ქართველებს, რომელთათვისაც უცნობი არ იყო არც გაჭირვება, არც სიხარული და ბევრი სხვა რამ. ყველაფერ ამას თავისი ჯანსაღი უმაღლესი გამოხატულება ჰქონდა. ქართველი კაცისათვის უცხო არც „შორით ბენდა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა“ – იყო, მაგრამ უშუალოდ გრძნობების გამომუდავნებისას არავითარი სასორწარკვეთა და უიმედობა. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითი ალბათ ქალ-ვაჟის უმშვენიერესი ცეკვა „ქართულია“. რა საოცარი მოკრძალება და პატივია ქალის მიმართ (და პირიქით) გამოსახული ამ მოძრაობებში, რა დიდსულოვანი და ამავდროულად რომანტიულია კაცი, რომელიც სწორედ ვაჟკაცურობის, სულიერი თუ ფიზიკური სიჯანსაღის ნათელი გამოხატულებაა!

მე ბედნიერ ადამიანად ვთვლი თავს, რომ ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც მუდამ ისმოდა მრავალჭირნახული ჩვენი ერის მიერ შექმნილი გენიალური ხალხის სიმღერები, ამავდროულად თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემთვის ცეკვაც ისეთივე ახლობელი იყო ბავშვობიდან და არის დღესაც, როგორც სიმღერა, რადგანაც დედაჩემის მამამ, ჩემმა უსაყვარლესმა ბაბუამ – ვალიკო კალანდაძემ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ამ უდიდეს ხელოვნებას დაუთმო. იგი, დღიდან დაარსებისა, იმ ანსამბლის წევრი და სოლისტი იყო, რომელსაც მთელი მსოფლიო სამართლიანად აღიარებდა საცეკვაო ხელოვნების სფეროში ერთ-ერთ გამორჩეულ მოვლენად. ეს ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი გახლდათ. მთელი ჩემი ბავშვობა ე.წ. „გოფილექტის“ ბალში მაქვს გატარებული და ენით აუნერელი ზეიმი იყო, როდესაც ბაბუა სუხიშვილების რეპეტიციებს მასწრებდა. რა დამავიწყებს ქალბატონი ნინოსა და ბატონი ილიკოს მიერ თუნდაც რეპეტიციებზე ნაჩვენები ილეთების და ანსამბლის მიერ შესრულებული „ხორუმისა“ თუ „ხანჯლურის“, „კინტაურისა“ თუ „ლელოს“, „სამაისა“ თუ „ნარნარის“ და ა.შ. ეშხს, ცეკვის ნახვისას განცდილ ჩემს ბავშვურ ემოციებს. სულ რამდენიმე წლის წინ, ჩემდა სამწუხაროდ, პირველად ვნახე ანსამბლ „როკვას“ მიერ შესრულებული რაჭული ქორეოგრაფიული სუიტა, რომელმაც (შეიძლება ემოცია ჩემმა რაჭულმა წარმომავლობამაც გაამდაფრა!) ასევე სიამოვნების ცრემლი მომგვარა. საოცარი თვითმყოფადობა, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პლასტიკა აქვს საქართველოს ყველა კუთხის ცეკვას. ამიტომაცაა ქართული ცეკვა გენიალური! ამიტომაც ამბობენ ყველგან და ყოველთვის: ნებისმიერი

ქართველი იმ უნიჭირესი ერის შთამომავალია, ვინც ქართული სიმღერა, ქართული ცეკვა და ზოგადად ქართული ხელოვნება შექმნა.

მადლობა იმისათვის, რომ დღეს ჩვენ მათი წყალობით თავმომწონედ და თავაწეულები ვამბობთ: მე ქართველი ვარ!

თამრიკო ჭოხონელიძე  
საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,  
მუსიკათმცოდნე

## ცაცა „ქათული“ მსოფლიო ქორეოგრაფიის მწვევალის ცენტრის

ქართული ცეკვა საოცარი ფენომენია. მისი მკაფიო ემოციურობა არაჩვეულებრივ ზე-გავლენას ახდენს მაყურებელზე. აღსანიშნავია ქართველი კაცის დამოკიდებულება ცეკვის მიმართ. ქართველ ერს შეიძლება სიმღერისა და ცეკვის ერი ვუწოდოთ. გრაციოზულობა, პლასტიკურობა, შინაარსობრივი სიღრმე, განვითარების მაღალი დონე – ყველა ეს თვისება დამახასიათებელია ქართული ცეკვისათვის. რაც შეეხება ცეკვა „ქართულს“, იგი მსოფლიოს ქორეოგრაფიის მწვერვალებს უტოლდება. მისი იდეურ-მხატვრული შინაარსი, რაინდული სულისკვეთება, ქალისადმი პატივისცემა და კდემამოსილება, უნიკალურს ხდის ამ ცეკვის თვითმყოფადობას.

კუკური ჭოხონელიძე  
საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე,  
პროფესორი

## ქათულ ცაცაში ნათლად ჩანს ჩვენი ცის ნახსენი, აწეულ ღა მომავალი

ქართულ ცეკვაში, მის ქორეოგრაფიაში ნათლად ჩანს ჩვენი ერის წარსული, აწმყო და მომავალი. ქართველი ქალის სინაზე, სინატიფე, სინარნარე და, რაც უმთავრესია, ხელ-შეუხებლობა. ქართველი მამაკაცის რაინდული სული, ძლიერება, ვაჟკაცობა და საპრძოლო იარაღის ოსტატური ხმარება. ყოველივე ეს სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულთან არის დაკავშირებული. აი, რა მისია აკისრია ქართულ ქორეოგრაფიას. ყოველივე ზემოთ აღნიშნული გადმოცემულია ქართულ ქორეოგრაფიაში პრენინვალე ქართული მუსიკის თანხლებით, რომელიც საქართველოს მრავალ კუთხეში გაისმის.

სიამაყით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ფოლკლორი მსოფლიოში სხვაგან არ მოიძებნება, ვინაიდან, როგორც პრძენი ამბობენ, რასა არ ეყოფათ. ეს უდიდესი ფენომენი ჩვენმა პატარა აღსაზრდელებმაც აიტაცეს. შეიქმნა უამრავი ბავშვთა ანსამბლი, რომლებიც თავიანთი კონცერტებით მთელს მსოფლიოში მოეფინენ.

ქორეოგრაფიამ პატარებს პატრიოტული სული ჩაბერა და ეს ყველაზე მეტად არის საჭ-ირო ჩვენი პატარა ერისათვის. ყოველივე ეს ქართული ქორეოგრაფიის დიდი წარმატებაა. არ შეიძლება არ აღინიშნოს აკადემიურ ანსამბლ „რუსთავის“ ტრიუმფალური გასტროლები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. სხვათაშორის, ამ ანსამბლის ერთ-ერთი დამაარსებელი მეც გახლავართ.

ანსამბლ „რუსთავის“ ამჟამად ხელმძღვანელობენ საქართველოს სახალხო არტისტები ფრიდონ სულაბერიძე და ანზორ ერქომაიშვილი, რომლებიც უდაოდ მადლობას იმსახურებენ.

ახლა მინდა შევეხო საქართველოს ხალხური სიმღერებისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული – აკადემიური ანსამბლ „ერისიონს“. ანსამბლი ყველაზე უძველესია საქართველოში. ანსამბლი 2005 წელს 120 წლის გახდა. სწორედ ამ ანსამბლში ჩაეყარა საფუძველი ქართული ქორეოგრაფიის განვითარებას. ანსამბლში სხვა და სხვა დროს მოღვაწეობდნენ ისეთი სახელგანთქმული ქორეოგრაფები, როგორებიც იყვნენ საქართველოს სახალხო არტისტები: დავით ჯავრიშვილი, ჯანო ბაგრატიონი, გიორგი დარახველიძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ავთანდილ თათარაძე, კონსტანტინე მანჯგალაძე, დამსახურებული არტისტები რევაზ ჭოხონელიძე, გივი ბუაჩიძე.

ანსამბლმა „ერისიონიმა“, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლავთ საქართველოს სახალხო არტისტი ჯემალ ჭუასელი, უდიდეს წარმატებას მიაღწია მსოფლიოს განთქმულ სცენებზე. „ერისიონის“ კლიპმა დაიპყრო როგორც ქართველი, ასევე უცხოელ მაყურებელთა გულები. „ერისიონის“ კონცერტი, რომელიც უცხოელებმა გადაიღეს, იყიდება მთელს მსოფლიოში. ამ წარმატებაში უდიდესი როლი ქართულ ცეკვას და ქართულ ქორეოგრაფიას ეკუთვნის, რისთვისაც უცხოეთის, კერძოდ ფრანგულმა გაზეთმა „ლემონდმა“ და ცოტა მოგვიანებით გაზეთმა „ფიგარომ“ ანსამბლ „ერისიონის“ მთავარ ქორეოგრაფს, თქვენს მონა მორჩილს, რევაზ ჭოხონელიძეს, მსოფლიო ქორეოგრაფიის მეტრი უწოდეს.

ეს ქართული ცეკვის გამარჯვებაა და აღიარება. და ბოლოს, როგორ შეიძლება არ აღინიშნოს ქართული ცეკვის, ქართული ქორეოგრაფიის ის ბრწყინვალე წარმატება, რომელიც ამერიკის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტის დროს მოხდა ქ.თბილისში. ქართულმა ცეკვამ ამერიკის პრეზიდენტი ააცეკვა. გზა დავულოცოთ ქართულ ქორეოგრაფიას და მის თაყვანისმცემლებს.

რევაზ ჭოხონელიძე  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი

## ქართული ცეკვა - ჩვენი ცის სიციხი ამაღლება

ერის მაღალზეობის, მორალური კეთილდღეობისა და რაინდული სულის გამომხატველი მრავალსაუკუნოვანი ქართული ქორეოგრაფიის ისტორია შორეულ წარსულში იღებს სათავეს. იგი მუდამ ეროვნულ ფესვებს ეყრდნობოდა, და ამანაც განსაზღვრა მისი განსაკუთრებული დანიშნულება ქართველი ერისათვის. ხალხურმა ცეკვამ და სიმღერამ ხომ დიდად განაპირობა ჩვენი ერის სულიერი ამაღლება და ასევე დიდი როლი ითამაშა მის

ფიზიკურ გადარჩენაში. დიდებულად ბრძანა აკაკიმ: ქართულ სიმღერასა და ცეკვაში ქართველის სული იკითხებაო.

ქართულმა ქორეოგრაფიულმა მრავალფეროვანმა „ენამ“ განაპირობა, მგზნებარება ცეკვების კვალითი ნახაზების სილამაზე, და მხოლოდ ქართული ცეკვებისათვის დამახასიათებელი ქორეოგრაფიული ტექსტი და ლექსიკა. ყველა ამ თვისებამ განაპირობა, რომ ქართულმა საცეკვაო ფოლკლორმა მოხიბლა. როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მილიონობით მაყურებელი.

რომან ჭოხონელიძე  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
ქორეოგრაფი

## ქართველი ქალი - მშვიდი ჩების სიმბოლო

საქართველო რომ განსაკუთრებული ქვეყანაა, ამაზე მისი გეოგრაფიული მრავალ-ფეროვნებაც მეტყველებს. ძნელია, ალბათ, იმის წარმოდგენა, რომ ერთ ციცქნა ქვეყანაში იყოს მთა-გორებიც და ზღვაც, მდინარეებით და ყვავილებით მოხატული ველ-მინდვრები. ეგზოტიკური და მარადმწვანე ხე-მცენარეებიც... და ეს ყველაფერი ჩვენია, საქართველოს კუთვნილებაა და ყველაფერი განსაკუთრებულია. სწორედ ამ განსაკუთრებულობამ განაპირობა ალბათ ამ ერის მრავალმხრივი ნიჭიერებაც. თუ იტალიელები ცნობილი არიან განსაკუთრებული ვოკალური მონაცემებით, თუ ბრაზილიელები გვხიბლავენ „სამბას“ განუმეორებელი ცეკვით, თუ ჩინელები გვალცებენ სხეულის ფლობის საოცარი უნარით, ქართველებს უფრო მეტი გვაქვს თავმოსაწონი და საამაყო.

შეხედეთ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილ, ერთ მუშტად შეკრულ და წელგამართულ მომღერალ მამაკაცებს, თუ არ მოგაგონებთ გულზეიად, ამყად თავაწეულ მწვერვალებს, მათ გულისმიერი ხმები კი ღვთაებრივ ულერადობას გადმოსცემენ.

ქართულ ცეკვებში ფრთხებგაშლილი მოცეკვავე მამაკაცი განა არა ჰგავს კავკასიურ ფრთხებგაშლილ არწიეს, რომელიც კამარას შეჰქრავს და ჯვარს გამოსახავს.

ეს ყველაფერი გენეტიკურია, ეს ყველაფერი უხვადაა ჩადებული მის ბუნებაში და ცეკვის, პლასტიკის საშუალებით ახერხებს მის გამომზეურებას.

გენეტიკურია ქართველ ქალთა სილამაზეც, რომელთა მშვენიერებას, კდემამოსილებას და ეშიან თვალებს მსოფლიოს არა ერთი პოეტი აღუფრთოვანებია – განა შეიქმნებოდა „ვეფხისტყაოსანი“ რომ არა თამარ მეფის მშვენიერება?!?

ამის კლასიკურ მაგალითად ისიც გამოდგება, რომ ვატიკანში რომის პაპს, იოანე პავლე მეორეს, თავის რეზიდენციაში ქალის სილამაზის სიმბოლოს ამსახველად გამოფენილი ჰქონდა მედეა ჯაფარიძის, ლიანა ასათიანისა და დოდო ჭიჭინაძის ფოტოები.

სწორედ ამ გენის ღირსეული გამგრძელებლები ერთ დიდებულ კასკადს ქმნიან სუხი-შვილებისა და სხვა ქართული ანსამბლების მოცეკვავე ქალების სახით, რომელთა შესახებაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უურნალ-გაზეთები წერდნენ: დაუჯერებელია ამდენი მშვენიერი ქალი ერთი ქვეყნის ერთ ანსამბლში იყოს გაერთიანებული.

საქართველო კი ყოველთვის განებივრებული იყო ასეთი ღირსეული შვილებით გავიხსენოთ თუნდაც დიდებული ქალბატონი ვარინგა წერეთელი (უკვდავი „სულიკოს“ ავტორი),



რომლის სილამაზეზე ლეგენდები დადიოდა და არა მარტო სილამაზეზე. იგი ცნობილი იყო სიმღერებისა და ცეკვების შესრულების საოცარი ნიჭიერებით.

ასეთ ქალბატონებზე ლაპარაკი დიდხანს შეიძლება, შეიძლება დაუსრულებლად, მაგრამ მე არ შემიძლია არ ვახსენო თანამედროვეობის უდიდესი ქალბატონები ქართული ფოლკლორიდან: ნინო რამიშვილი, ლატავრა ფოჩიანი, გულიკო სიხარულიძე, ნინო კირვალიძე... საბალეტო ქორეოგრაფიიდან: ვერა წიგნაძე, ნინო ანანიაშვილი, ირმა ნიორაძე, რომლებმაც მსოფლიო დონის კულტურის სიმაღლეებამდე აიყვანეს ქორეოგრაფიული ხელოვნება და სახელი გაუთქვეს ქართველი ქალების ნიჭიერებასაც.

მინდა ვუსურვო საქართველოს: არ მოჰკულებოდეს ლვთისმშობლის წყალობა და ნიჭიერი და ლამაზი ქალები.

რუსუდან ჭრიკიშვილი  
საქართველოს დამსახურებული არტისტი,  
ლირსების ორდენის მფლობელი

## მარაცხა ჩემი ჯათვალი!

ქალაქი პეტროზაგოდსკი – კარელია – ეს ჩრდილოეთია, თეთრი ღამეებით. აქ ცხოვრობს ქართველთა საკმაოდ დიდი დიასპორა, შრომობენ, სწავლობენ, მეგობრობენ, შექმნილია ქართული ოჯახები. ზოგი ბავშვი აქ დაბადებულია და დედები ასწავლიან ქართულს, ბავშვები

ბიც სწავლობენ, ქართულად კითხულობენ წიგნებს, ჩამოაქვთ საქართველოდან წიგნები, ფირფიტები ქართული მუსიკით, ქართული ფილმები... მაგრამ ეს არაა მთავარი...

აյ სწავლობენ ქართულ ცეკვას, შექმნილია მოცეკვავეთა ანსამბლი... შეიძლება ას-წავლო ენა, ამღერო კიდეც, მაგრამ ბავშვი, რომელსაც არ უნახავს სამშობლო, ცეკვავს „ქართულს“ როგორც ნამდვილი ქართველი – საქართველოში და, მე მივხვდი, რომ გენეტიკურად ჩვენში დევს ცეკვა, როკვა, მოძრაობა...

მხოლოდ ქართველი, სხვა ვერ იცეკვებს „რასაა არ ეყოფა“. მთელი ჩემი სიცოცხლე ვუყურებ ცეკვას, ვისები ემოციით, გრძნობით, მეამაყება ჩემი ქართველობა!

ბევრი რამ დაიწერა და დაიწერება ქართულ ცეკვაზე, ჩემს სპეციალობაში – ცეკვაზე მქონია აგებული მთელი წარმოდგენა.

შავგულიძე – ცეკვა – თეატრი!

ზაქარიაძე – ცეკვა – თეატრი!

ხორავა – გიურა – ყარაჩოლული – თეატრი – ცეკვა...

პეტროზავოდსკი, ცივა, ჩრდილოეთის ქარი უბერავს... და ბავშვები ცეკვავენ ქართულს... და მომდის ცრემლები... და ვამბობ: გმადლობთ, ქალბატონო ნინო, ბატონო ილიკო, ჩემო ფრიდონ, ძმაო ომარ... ჩემო თენგიზ, თქვენი ენერგია და სული ამ ბავშვებშია, თქვენ ბედნიერი ხალხი ხართ.

მადლობა შენ, ძმაო რეზო, არამარტო იმისათვის, რაც შენ ქართული ცეკვისათვის გაგიკეთებია, არამედ მადლობა შენ იმ ამაგისათვის, რაც შენ ქართული ქორეოგრაფიას დასდე.

გოგი ქავთარაძე  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,  
პროფესორი

## ქართული სახავანის სეირი მღბომაჲირბის ბამომხატველი

ქართული სიმღერა და ცეკვა, როგორც იტყვიან, ერთი დედ-მამის შვილები არიან. რიტმია მთავარი მამოძრავებელი ძალა ორივესთვის. რიტმის გარეშე მელოდია ვერ იარსებებს და რიტმის გარეშე როკვა ვერ იქნება. სწორედ რომ სიმღერა და ცეკვა არის ადამიანის სულიერი მდგომარეობის გამომხატველი. ამიტომ ყველა, ვინც თავისი შეგნებული ცხოვრების წლები მიუძღვნა ზემოთ ჩამოთვლილ ხელოვნების დარგების აყვავებას და განვითარებას, მოფერებას და სიყვარულს იმსახურებს ერისაგან.

თემურ ქევხიშვილი  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
რუსთაველის პრემიის ლაურეატი

## ქართული ხაცევის კონკრეტული მახალეობის ეს ამონაზე

გვახსოვდეს: ქართული ცეკვის ერთი ილეთი – ეს ერთი წინადადებაა. ილეთთა ერთიანობა და მთლიანად ქორეოგრაფიული სურათი კი – მთელი წიგნია და ამ წიგნს გაფრთხილება და სწორად წაკითხვა უნდა.

ქართული ხალხური ქორეოგრაფია მარადიული და ამოუწურავია, მაგრამ იგი მხოლოდ მაშინ ხდება ფასეული, როცა მას წარსულისა და აწმყოს მცოდნე, მხატვრული იერსახეებითა და ფორმებით, შინაარსით გამდიდრებული, ლალი ფანტაზიის მქონე, ლოგიკურად მოაზროვნე ნიჭიერი ქორეოგრაფების ხელი ეხება.

ენვერ ხაბაძე  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
ქორეოგრაფი

### ბანებანი

ფატმა კობალაძეს  
„წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა  
ალვის ხის ჩამონათალი,  
წყალო, დადექ და მითხარი  
საყვარლის შემონათვალი“  
აჭარული ხალხური

ჩამოკრიფა ცა კალთაში ფეშტამლების ფერთა ფრენამ,  
ამეტყველდა განდაგანა, ლალი როგორც დედა-ენა.  
ჩაქურებში ჩაკრულ სირმად ელავს ელვა მთის ნაოჭში,  
ეს რიტმები მიაქვთ ირმებს ბუჯგა რქებში მზეამოჩრილო.  
განდაგანა, – ვაზის ლერწი, სულის ლერძიე მოხვეული,  
განდაგანა, – ფრთების ქარი, ზვავი კლდეებს მოხეული.  
განდაგანა, – ნება, შვება, ცხელი ცრემლით განბანილი,  
განდაგანა, – მოქნეული ბწყარში ქართულ ანბანივით,  
აი, ნახეთ, წუთიც სიჯეელეს დაამგვანა,  
სისადავის, სისათუთის, სისალუქის განდაგანამ.  
მარცვალიც რომ არ გორავდა არც ბეღელები, არც ხვიმირში,  
განდაგანა ქოჩახელას სარჩო იყო ჭირში, ლხინში.  
სოფელ-სოფელ, ქალაქ-ქალაქ, ზეგან-ზეგან, ბარის ბარად.  
გულმრისხანე გრიგალები საალერსოდ გადამდნარან.  
ეს ჰანგი არ დაძველდება, შიგ ფეთქავენ ხმები ხვალის,  
ხმები მარგალიტად მღვრელი სულ ახალის და მაღალის  
ახლა ისე აზანზარებ სასახლეთა მაღალ ჭერებს,  
ვიცი, ჩემო განდაგანა, ვეღარავინ შეგაჩერებს.

## „ბენია ჩოვით ბანფენიი“

ბედნიერი შემთხვევის წყალობით 1972 წელს ერთ-ერთი საბჭოთა ჯგუფთან ერთად, პარიზს რომ მოვხვდი, კალისტრატე სალია გავიცანი. იგი ხომ ცნობილ ქართველოლო-გიურ უურნალს „ბედი ქართლისა“ – სცემდა. როგორლაც, საუბარში გრიგოლ რობაქიძე ახსენა, ომის შემდეგ, საფრანგეთში სუხიშვილების პირველი გასტროლების ნახვისას, ქართული ცეკვებით აღფრთოვანებულს რომ უთქვამს, – ეს არის ხალხის გენია, როკვით განფენილი.

ჩვენებური ცეკვის უკეთესად შეფასება სიტყვით, ალბათ, შეუძლებელია. აქ „ჩვენებური“ მე მთლიანად ქართულ ქორეოგრაფიაზე ვთქვი, თუმცა, ჩემთვის, აჭარის მკვიდრისათვის, ჩვენებური შეიძლებოდა ჩემს კუთხეში შენახულ – გადარჩენილი რამდენიმე დიდებული ცეკვისათვის უფრო მეწოდებინა. მართლაც რა საამაყოა და რა საოცარი. „აჭარული“, იმ ბენელი სამსაუკუნოვანი ტყვეობის დროს, როცა დედაენაზე მეტყველებას მოკლებული იყო (მეჯლისებზე) თავის მთავარ სათქმელს ხშირად ცეკვით ამბობდა.

ქართულ მრავალხმიან სიმღერასთან ერთად ქართულმა ცეკვამ დღეს მსოფლიო სახელი მოიხვეჭა და ძალიან მიხარია, რომ ჩვენი ეროვნული ხელოვნების ამ საკაცობრიო წარმატებაში უძველესმა ქართულმა მხარემ, ჩემმა აჭარამ, თავისი დიდებული წვლილი შეიტანა.

აქვე მინდა გავიხსენო ქართული ხელოვნების ერთ-ერთი მოსკოვური დეკადის ერთი სალამო დიდ თეატრში. მეც იქ ვიყავი და, მახსოვს, როცა ჩვენები „განდაგანას“ ცეკვავდნენ, მაყურებლის ისეთი აღტაცებული რეაქცია იყო, მე დარბაზს უფრო ამაღლებული შევცეროდი, ვიდრე სცენას. იქ ხომ ისედაც ვიცოდი, რა ხდებოდა. თუმცა გასაკვირი რა არის, როცა თბილისში ყოფნისას, თვით ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა თავი ვეღარ შეიკავა, – „განდაგანას“ მელოდიას ტანის რხევა, ხოლო შემდეგ ხელებიც, ლამაზად ააყოლა.

**ფრიდონ ხალვაში**  
რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი,  
პოეტი

## ოთა სახავას

ხელოვნებაზე უკეთ რამ შეიძლება გამოხატოს ჩვენი აღტაცება, მწუხარება, სიყვარული თუ სასოწარკვეთა? ხელოვნების ნებისმიერი სფეროს თავისი სრულიად განუმეორებული საშუალებები მოეპოვება ჩვენი სულიერი მდგომარეობის გადმოსაცემად.

მეოცე საუკუნის უდიდესი ქართველი მსახიობი აკაკი ვასაძე ამბობდა: თუ სცენას წამართმევთ, ჩემი სახლის ნინ ხალიჩას გავშლი და მაინც ვითამაშებო! მოცეკვავესაც ასეთი უინი აქვს... მას არ შეუძლია, არ იცეკვოს; ცეკვა მისთვის გრძნობების გამოხატვის უმოკლესი და საზეიმო გზა... ჩემი ბავშვობა მამაჩემზე – ვლადიმერ ხეთაგურზე ლეგნდებითაც დამამახსოვრდა. ხშირად მესმოდა – „ვლადიმერის ქალიშვილია, ამიტომაც ცეკვავს ასე...“ მე არ ვიცი, როგორ ცეკვავდა მამაჩემი ახალგაზრდობისას, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ ცეკვა ჩემთვის სულაც არ იყო მნიშვნელოვანი მხოლოდ იმ-

იტომ, რომ მამა ოდესლაც ბრწყინვალედ ცეკვავდა! მე არ შემეძლო არ მეცეკვა, მორჩა და გათავდა! საკმარისი იყო შესაფერისი მუსიკა მომესმინა, რომ ხელები თავისთავად ფრთებივით იშლებოდნენ. ზოგჯერ მუსიკაც არ მჭირდებოდა – შიგნიდან იკვლევდა გზას ჩემს მიერვე შეთხზული, ამამოძრავებელი მელოდია თუ რიტმი, რომელიც უნებურად „თავის ჭკუაზე მაცეკვებდა“. და თუმცა, სკოლის საცეკვაო წრის გარდა, სხვა ანსამბლებში არ ვმონანილეობდი, ცეკვა დღემდე რჩება ჩემში სრულიად განუმეორებელ საშუალებად გრძნობებისა და ემოციების გამოსამჟღავნებლად.

უამრავი მშვენიერი ცეკვა არსებობს ამ ქვეყნად და თითოეულს თავისი ხიბლი აქვს. ჩემთვის სამი ცეკვაა განსაკუთრებით აღმაფრთოვანებელი: „ცეკვა ქართული“, ოსური „სიმდი“ და ესპანური „ბოლერო“.

ბოლერო... იწყება თითქოს თვალის გახელით, გამოღვიძებით; იწყება ნელა, თანდათანობით, ნებიერი და თითქოს ზანტი მოძრაობით, მოქნილი სხეულის თანმიმდევრული დემონსტრირებითა და სულის სტრიპტიზით; იწყება ახალი დღის შესახვედრი რიტუალით და, სხეულის ბუტბუტით, როგორც ლოცვით, მიიწევს წინ მოულოდნელი დღის იმედით, ახალი ვნებების ტანში ურუანტელის მომგვრელი, რაღაც იდუმალი და უყყიფესი საგნების მსხვრევით.... და ეს მსხვრევა, ეს ვნება, ეს ურუანტელი თანდათან ძალას იკრებს და სამყაროს თვალწინ შიშვლდება... რიტმის უსასრულოდ მომატება აქ ისევე აუცილებელი ხდება, როგორც ჰაერი დახუთულ საკანში, და აპა, იგი უკვე აღწევს აპოთეოზს და ასე გგონია, ეს ველური დახვენილობა დაიპყრობს ყველასა და ყველაფერს! მერე... ვნებათალელვა სახეს იცვლის და სხვა ფაზაში შედის – რაღაც უფრო ამაღლებული, უფრო მნიშვნელოვანი, უფრო სანუკვარი ხდება. ეს, იქნებ, სამშობლოა? ეს, იქნებ, შენი ხალხია? ეს, იქნებ, აღვირახსნილი თავისუფლებაა, რომელიც „სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილი ირმების გუნდს წყარო ანკარა!“

„ცეკვა ქართული“... – ცეკვების დედოფალი! ქალისა და მამაკაცის ფრთხილი, უნაზე-სი გრძნობებით დამუხტული სრბოლა... ხელშეუხებლობა, – მიახლოებისთანავე განზე გადგომა, მაგრამ არა ღალატით, არა სიძულვილით, არა გაქცევით, არამედ ცეკვის რაინ-დული კანონით გამყარებული იმისათვის, რომ განმეორდეს მიახლოვება, გახშირებული სუნთქვის ფილტვებში ჩაბრუნება და მაინც უკან დახევა! იქნებ ეს ცეკვა, მასში ჩადებული ზნეობრივი ბედნიერების გასაღები გადაარჩენს, მოაქცევს და თვალებში წრფელად ჩახედ-ვის სურვილს გაუღვიძებს დღეს ერთმანეთის წინ ჯამბაზივით მოხტუნავე და იაფფასიანი ილეთებით შეიარაღებულ ქალსა და ვაჟს?.. იქნებ ეს ცეკვა გადაარჩენს, სულის სის-პეტაკის ნატამალს მაინც შეუნარჩუნებს ეგზომ უდისტანციოდ, სწრაფად დაახლოებულ წყვილებს – სიფაქიზე და მოკრძალება, „სავსე ქართული პატიოსნებით“, მხოლოდ ნარსულის კუთვნილებად რომ ესახებათ...

„სიმდი“ – ცეკვების მეფე! – ხან მთელ სიგრძეზე გაჭიმული ულამაზესი ხიდი, ხან მუშ-ტად შეკრული მთები, ხანაც ერთი-მეორეში გამავალი ფარფატი... „სიმდი – კრიალოსანი“, რომელიც ისე წვეთავს სულში, მისი განყვეტა არ იქნება! მამაჩემის მიერ შეკრული ეს ცეკვა, წინათ სტიქიურ მოძრაობებზე რომ იყო აგებული, ენით გამოუთქმელ გრძნობებს გამოიხმობს საუკუნეთა ჭიუხებიდან... სტიქიური „სიმდი“ ისეთ განწყობას მოიცავდა, რომ მისი ერთი ხელის მოსმით მოწესრიგება – „დავარცხნა“, უკვე ერისათვის აუცილებელი გონიერებისა და მთლიანობის ესთეტიკურ სიმბოლოდ იქცა! ამიტომ უფრო მეტადაა გულ-საკლავი ის დაქსასულობა, ის დაბნეულობა, რაც ასე დამთრგუნველ, მართლაც სტიქიურ მოვლენად ქცეულა, იმპერიული რუსეთის მიერ არაერთგზის თავსმოხვეული...

ცეკვაზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი, კიდევ უფრო დაუსრულებლად შეიძლება იცეკვო. ჩვენი სული მოძრაობს, იღვნის, ლოცულობს, აზროვნებს და ამ უკიდეგანო მოძრაობას – მამძრავებელს ამ ქვეყნიურიდან იმ ქვეყნიურობამდე – ცეკვა ჰქვია, ხოლო პირველყოფილი ადამიანებიდან მოყოლებულ უშუალობას – სხეულით სულის გამოხატვას კი – როკვა...

თქვენ აღტაცებული ხართ? თქვენ აღშფოთდით? ბენდიერი ხართ, ან უბედური? გულნატკენი? სამშობლოს გართმევენ და ბრძოლის უინით შეპყრობილი ხართ? სასონარგევეთათ? – რაღას უცდით, მომყევით! – აი, წამალი, აი, ხსნა, აი, სამშობლო, აი, სასწაული... – მაშ, ვიბრძოლოთ, – ვიცეკვოთ, ვიცეკვოთ, ჩქარა!

**მზია ხეთაგური  
პოეტი**

## ქართველი ხალხის პიროვნეული - ბამომსახველობითი ბინი

ქართული ხალხური ცეკვა ეროვნული კულტურის ისეთივე მშვენება და მონაპოვარია, როგორც სიმღერა, მხატვრული სიტყვა, ხუროთმოძღვრება და ფერწერა. ცეკვა ჩვენი სულიერი ცხოვრების ისეთივე ორგანული ნაწილია, როგორც მუსიკა და პოეზია. ამის მეტყველი დადასტურებაა დღემდე მოღწეული საქართველოს სხვადასხვა კუთხის, მრავალ-ფეროვანი სარიტუალო ცეკვა-თამაშობანი, ციხე-ტაძრების ფრესკული მოხატულობა თუ ორნამენტული გამოსახულება.

ცეკვაში თვალნათლივ ვლინდება ხალხის ყოფა-ცხოვრების ნიშან-თვისებები, შინაგანი ბუნება, სულიერი და ფიზიკური სილამაზე, ტემპერამენტი. ეს საქვეყნოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა. მართლაც, ქართველი ადამიანის კეთილშობილება, რაინდული სული, და მშვენიერი შეგრძნება დიდი ემოციური ძალით მუღავნდება ისეთ ქორეოგრაფიულ ქმნილებში, როგორებიცაა: ცეკვა „ქართული“, „ხორუმი“, „დავლური“, „სამაია“, „ცერული“, მრავალგვარი ფერხული, „მთიულური“ და სხვა. ყველა აქ ჩამოთვლილი ცეკვა ქართველი ხალხის პლასტიკურ-გამომსახველობითი გენიის მკაფიო გამოხატულებაა.

**გრიგოლ ხერხეულიძე  
ლიტერატურათმცოდნე, მკვლევარი, კრიტიკოსი**

## ქართველი ხალხის ჩანარის უძველესი ხელის სიძლიერის ბამომსახველობა

ქართული ცეკვა ქართული ეროვნული ფოლკლორის განუყოფელი ნაწილია, რომელიც შორეულ ეპოქაში ჩასახული მითებსა და ლეგენდებში გადმოცემული, დღეს ჩვენი თანამედროვეა.

ქართულ ცეკვაში ჩაკირულია ჩვენი ერის ყოფა-ცხოვრება, სულიერი ტრადიციები, რაც ესოდენ შერწყმულია ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან.

„ცეკვა ქართული“ რაინდული სულის გამოვლინება და ქართული კდემამოსილება; „ხორუმი“ – სამიჯნურო – სატრიუალო ეპოსი; „მთიულური“ – სიჩაუქე; „მხედრული“ – სი-

კასკასე; „ფარიკაობა“ – მანდილოსნის მიმართ ვაჟუაცის თავის მოდრეკა – პატივისცემა.

ქართულმა ცეკვამ შემოგვინახა საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა შრომითი და ყოფითი წეს-ჩვეულებები, საკულტო-სარიტუალო სცენები.

ცეკვა „ლაზური“ მეთევზეთა საბრძოლო შემართებაში გამოწრთობილი, „ოპოი-ნანა“ – ხალხური სალალობო თამაშობა; ოსური „ზილგა“, „სიმდი“, აფხაზური „შარათინი“, სვანური – „შუშპარი“.

განსაკუთრებით საყურადღებოა ცეკვა „ფერხული“, რომელიც მრავლად შეიცავს საკულტო-სარიტუალო ელემენტებს. არსებობს მესხური, მეგრული, სვანური, გურული, რაჭული ფერხულები; როგორც წესი, ისინი სიმღერის თანხლებით სრულდებიან. თქვენს ყურადღებას რაჭულ ფერხულზე შევაჩერებ – მოცეკვავენი წარმართული ასტრალური ღვთაების მზის გარშემო წრიულად მოძრაობენ, ქალები შიდა წრეზე, მამაკაცები გარე წრეზე, სიმღერის ძველი ტექსტი ასე იმღერებოდა: „რა - შოვ - რა დელი - ოდელი - ოდელა რა - შოვ - რა“. „რა“ ძველ ეგვიპტურად შუმერებშიც მზეს ნიშნავს, „შოვ“ – სახელითში „შოვ-ი“ მზის ტახტრევანს, მზის ამოსავალ ადგილს, „დელი - ოდელი - ოდელა“ – მისამღერი სარიტუალო საკულტო გალობა უნდა იყოს. ე.ი. „რა“ (მზე) – შოვ (ამოდი) – რა (მზე) - დელი - ოდელა რა (მზე) – შოვ (ამოდი) – რა (მზე) და ა.შ.

ქართული ცეკვა მზარდი და განვითარებადია. ცხადია, ყველა ეპოქას უნდა ჰქონდეს თანამედროვეობასთან შერწყმული მისი სტილი, მაგრამ არ უნდა დაირღვეს ასლის ძველთან აუთენტურობა. სწორედ ამ აუთენტურობამ შეინარჩუნა ბედის უკულმართობით საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს გარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულების სულიერი ტრადიციები, რაც მუდამ ახსენებთ, „თუ ვისი გორისანი არიან“.

ბევრი ავტორიტეტული გულშემატკივარი ჰყავს ქართულ ცეკვას, მრავალი წიგნი დაიწერა საცეკვაო ფოლკლორზე. დარწმუნებული ვარ წინამდებარე წიგნის ავტორის ჩანაფიქრიც სათანადოდ იქნება შეფასებული.

გელა ხუციშვილი  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
სამხედრო ძალების პოლკოვნიკი

## ქართული ხანა

ქართულ „როკვაში“ გადმოცემულია და ასახულია მამაკაცის რაინდული დამოკიდებულება ქალისადმი. ცეკვის დროს მამაკაცი ქალის გარშემო მოშორებით ტრიალებს, ურთულეს საცეკვაო ილეთებს ასრულებს და ამით მოკრძალებას და სიმკვირცხლეს ამკვიდრებს. ქალი კი ამ დროს ზეანეული ხელის მტევნებით, ტანის ნაზი რხევით, წრეში ტრიალებს და მოცეკვავე მამაკაცს თითქოს „შორით ტრფობას“ უცხადებს. ქართულ ცეკვაში აბსოლუტურად გამორიცხულია ქალისათვის ხელის ხლება, თავისკენ მიზიდვა, რაც ესოდენ გავრცელებულია სხვა ქვეყნებში.

ალბათ, ამიტომაცაა, რომ ცეკვა „ქართულმა“ ესოდენი პოპულარობა მოიპოვა როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში, ისე – მსოფლიოში.

არ შეიძლება აქვე არ გავიხსენოთ დავა იმის გამო, რომ გაუმართლებელია ქართული ცეკვის თანხლებ საკრავებად აკორდეონის, რუსული გარმონის და ზურნა-დუდუკის

შემოტანა. პირადად მე მიმაჩნია, რომ საქართველოში არსებული უძველესი ტრადიციის მიხედვით, ქართული ცეკვა-სიმღერის, აკომპანიმენტისა და ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრის თანხლებით უნდა სრულდებოდეს. მითუმეტეს, რომ ჩვენში არაერთი საცეკვაო სიმღერაა შემორჩენილი და გავრცელებული, რომელიც ცეკვის შინაარსს უფრო აღრმავებს და მის მხატვრულ მხარეს აღამაზებს.

ვფიქრობთ, რომ საქართველოს ცეკვისა და სიმღერის ანსამბლ „ერისიონის“ წარმატების ერთერთი საფუძველი ევროპაში ჩატარებული გასტროლების დროს სწორედ ის იყო, რომ ცეკვები ტრადიციული ქართული სიმღერების თანხლებით სრულდებოდა. სამწევაროდ, ახალმა დრომ და თანამედროვე ცხოვრებისეულმა მენტალიტეტმა ჩვენი ქართული სულიერების გამომხატველი ძველი ქართული ტრადიციები არსებითად შეცვალა. გადასხვა-ფერდა ძველი ქართული საცეკვაო ჩაცმულობაც. ამ თვალსაზრისით თვით გენიალური სოლიკო ვირსალაძის კოსტიუმებსაც შესაძლებელია აღმოუჩინოთ ნაკლი. არ შეიძლება, არ აღინიშნოს, რომ ქართულ ცეკვებში ბოლო წლებში ჭარბად შემოვიდა ჩრდილო-კავკასიელი ერების ცეკვის ელემენტები, რომელიც სიკეთეს არ უნდა უქადდეს ჩვენ ეროვნულ განძს – ქართულ ხალხურ საცეკვაო კულტურას.

ასევე, თანამედროვე ქართული ცეკვის ანსამბლებში ქალის საცეკვაო აქტივობა მეტად გაიზარდა. ქალი სცენაზე ძველებურად კი არ დაქრიალებს და დაგოგმანებს, არამედ ცეკვის მანერაში და რთული ილეთების იმპროვიზაციაში ეჯიბრება მამაკაცს და არცთუ ცუდად.

ქართული ცეკვის სამყარო უკიდეგანოა, ისევე, როგორც დრო და სივრცე და ყოვლად გაუმართლებელია მასში რაიმე მინარევის შეტანა. ქართული ქორეოგრაფია რომ ამოუნურავია, ამის მაგალითად ბოლო წლებში შექმნილი „რაჭული სუიტა“ გამოდგება, რომელიც აღაფრთოვანა ქართული საზოგადოება.

დიდი სიყვარულით და პატივისცემით მინდა გავიხსენო და მივაგო პატივი იმ ქორეოგრაფებსა და შემსრულებლებს, რომლებმაც კიდევ უფრო აამაღლეს და გაამდიდრეს ეს ხალხური შედევრი. ესენია: სუხიშვილები, ბაგრატიონები, დარაზველიძეები, გუნაშვილები, სულაბერიძეები, ფოჩიანები, ჭანიშვილები, მხეიძეები, დოლაბერიძეები, დვალები და მრავალი სხვა.

ვახტანგ ხუციძე  
საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

\*\*\*

„წარმართობის ხანაში ძვ.წ.აღ-ის IVს-ში ქართველურ ტომებში სამხედრო თუ საერო შინაარსის ცეკვა, მუსიკა, სიმღერები ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ამის დასადასტურებლად არსებობს მონაცემები, რომ ჭანების ტომის ხალხი საომარ მოქმედებას თურმე საბრძოლო შინაარსის მქონე ცეკვითა და სიმღერით იწყებდა. ეჭვგარეშეა, რომ ამგვარ ცეკვა-სიმღერას ფორმა-შინაარსის თვალსაზრისით უაღრესად მოწესრიგებული სახე ექნებოდა. სხვაგვარად იგი ვერ შეასრულებდა დამრაზმავ და სულისკვეთების ამამაღლებელ ფუნქციას.“

ივანე ჯავახიშვილი  
აკადემიკოსი

## მონიცაბით მოვაკებათ ჩვენი ხუცურის ძირისძირის - ხალხური სიმღერას და სახავას

ერთს სიცოცხლე, მისი გენეტიკური განვითარების ხაზი ყოველთვის გულისხმობს დროული განზომილების სამ ფაზას: წარსულს, აწმყოს და მომავალს. თუ ერთ თავის წარსულს ივიწყებს, ის წყდება საკუთარ ფესვებს და, რაც არ უნდა ნეტარი აწმყო ჰქონდეს, მომავალში არსებობა არ უნერია, რადგან ფესვებმოწყვეტილს, თავისთავადობის შენარჩუნება არ შეუძლია, კარგავს თავისთავადობას და იმ იმანენტურობას, სხვა ხალხთაგან რომ გამოარჩევს მას.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართული ხალხური ხელოვნება – ქართული სიმღერა და ცეკვა, რომელიც ქართველი ხალხის სულიერ წიაღში წარმოქმნილი, ზედმიწევნით სიზუსტით გადმოგვცემს ჩვენი ერისთვის დამახასიათებელ ბუნება-თავისებურებას, მის სულიერ-ზნეობრივ თვისებებს, საოცარ გენეტიკურ ნიჭს და ამაღლებულისაკენ საოცარ სწრაფვას. მთავარი მაინც ის არის, რომ ის (ხალხური შემოქმედება), როგორც თვითნაბადი ოქრო, თავისუფალია შენარევთაგან და წმინდა ქართული ეროვნული ფენომენის მატარებელია, ამიტომაც ჩვენთვის ჩვენივე ბუნების, სულისა და ზნეობრივი მრწამსის შესასწავლად მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

პირადად ჩემთვის არც სიმღერა და არც ცეკვა უცხო არ იყო. მამაჩემი კირილე პაჭკორიას ანსამბლის მომღერალი იყო და მქონდა ბედნიერება ბავშვობიდანვე მესმინა ქართული სიმღერის ისეთი კორიფეულისათვის, როგორებიც იყვნენ: კირილე პაჭკორია, ნოკო ხურცია, ლუდი ბაბილუა, ვანო მჭედლიშვილის და სხვათა განმაცვითრებელი „გალობისათვის“. ხოლო, რაც შეეხება ცეკვას, თავად გახლდით სახელმწიფო უნივერსიტეტის ანსამბლის მოცეკვავე და ვცდილობდი, მხარი ამება ცეკვის ისეთი ვირტუოზებისათვის, როგორებიც იყვნენ: ელგუჯა კალაძე, ლევიკო თურმანიძე, მურმან კიკაველიძე, ედნარ მეგრელიძე, ლექსო ნიკოლაძე და სხვები.

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ჩემმა თაობამ ქართული ცეკვის ვარსკვლავების მთელი პლეადა წარმოშვა; გავიხსენოთ თუნდაც: ომარ მხეიძე, თამაზ კიკალეიშვილი, ფრიდონ სულაბერიძე, თენგიზ სუხიშვილი, ჯუმბერ ბერაძე და მისთ...

არასოდეს დამივიწყდება და დღესაც თვალწინ მიდგას სამთა მთიულური, რომელსაც ასრულებდნენ ჩემი მასწავლებელი იაშა ზედაშიძე, გიზო ბერაძე და მურმან ლომთათიძე – ეს იყო ქართული სულის ცეცხლად გადმოფრქვევა.

საერთოდ, ქართულ ცეკვაზე მრავალი რამ შეიძლება ითქვას. ჩემთვის მთავარი ის არის, რომ იგი თავის ცეცხლოვანი დინამიურობით თუ წარნარა, ჰარმონიული მოძრაობით ქართველის ბუნების გამომხატველია, მის ჯიშს და გენს ესადაგება. ამიტომაც აღიქვა იგი დიდმა ქართველმა მწერალმა და მოაზროვნე გრიგოლ რობაქიძემ ქართული ჯიშის როკვად. მეტიც ქართული ცეკვა ასევე გადმოგვცემს ქართული ვაჟუაცის მებრძოლ ხასიათს, მისი ქალისადმი განსაკუთრებული მოწინებით დამოკიდებულებას, ქალის კდემამოსილებას და სხვ.

ერთი სიტყვით, ის გადმოგვცემს ჩვენ ისტორიულ წარსულს და იმ ბუნება-ხასიათს, ქართველი ერთს იმანენტურობა რომ შეიცავს ოდენ... ამიტომ, ჩემი ლრმა რწმენით, მისი პირველადი სახის შეცვლა არ არის სასურველი. განსაკუთრებით ჩემთვის მიუღებელია ის, რომ „გათანამედროვებულ“ ქართულ ცეკვაში ზედმეტი აქტიურობით გამოირჩევა „ემან-

სიპირებული“ ქართველი ქალი, რომელიც მოჭარბებული ენერგიით ტლინკებს ჰყავის. თითქოს თანამედროვე მსოფლიო საზოგადოებას სურს დაუმტკიცოს თავისი სექსუალურობა და თავაშვებულობა...

ყველას აქვს უფლება საკუთარი სურვილისამებრ იცხოვროს, მაგრამ ნურავინ შეეც-დება ჩვენი სულიერი საგანძურის შერყვნას, რადგანაც ამით ჩვენ შეურაცხვყოფთ ჩვენი ერის წარსულს.

ამიტომაც განსაკუთრებული მონიშებით მოვეპყრათ ჩვენი სულიერების, კულტურის ძირისძირს – ხალხურ სიმღერას და ცეკვას!..

ელიზბარ ჯაველიძე  
ფილოლოგიურ-მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი

## მჩვალეობა კონკრეტული საცხის კონკრეტული ცნა

შეუძლებელია, რომ სიუჟეტურად მდიდარი და თავისი ილეთებით განვითარებული ქართული ხალხური ცეკვები გვაროვნული წყობისა და ჩამორჩენილი ყოფის ნიადაგზე აღმოცენებულიყო.

მრავალფეროვანია ქართველი ხალხის ქორეოგრაფიული ენა, მას ახასიათებს ემოციური ფერების სიმდიდრე, ლირიულობა, კეთილმობილება, გულწრფელი სიხალისე, სიმარდე და სინარნარე, მგზნებარება და ცეკვის მოხაზულობის სილამაზე. ყველა ამ თვისებების გამო, ქართული ხალხური ცეკვები დღეს მიმზიდველი და ფართოდ პოპულარულია ჩვენს პლანეტაზე.

მოსკოვისა და ლენინგრადის სპეციალური ქორეოგრაფიული სასწავლებლების სასწავლო პროგრამებში ქართული ხალხური ქორეოგრაფია შეტანილია როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მასალა და ხალხურ სახასიათო ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში საპატიო ადგილი უჭირავს. ყველა ხალხის ცეკვის შინაარსის, მოხაზულობისა და შესრულების წესების ჩამოყალიბებაში და, საერთოდ, ცეკვის შექმნაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სოციალური პირობები, ხალხის კულტურისა და ზოგადი განვითარების დონე, ზნე-ჩვეულება, ტანსაცმელი და ამასთანავე გეოგრაფიული პირობებიც. ამას აშკარად ვხედავთ ჩვენს ქართულ ხალხურ ცეკვებშიაც.

დავით ჯავრიშვილი  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
ქორეოგრაფ-ქორეოლოგი



## სიყვაჩესას ხელით ბამოვნებაზე...

ქართველი ხალხისათვის ცეკვა ყოველთვის იყო მისი ეროვნული სულის, ნაციონალური თვითმყოფადობის, თუ შეიძლება ითქვას, ქართველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოვლენა.

სიყვარულსაც ცეკვით გამოვხატავდით, ერთობასაც, ბრძოლის უინსაც. თითქმის ყველა ქართველში დევს ეს მოთხოვნილება. თუმცა ყველას ერთნაირად კარგად არ შეუძლია მისი გამოხატვა, ყველა ერთნაირად კარგად არ ცეკვაც. ეს ბუნებრივია, მაგრამ საერთოდ, ქართველები, ჩინებულად მოცეკვავე ხალხად ვითვლებით. ამ შემთხვევაში საუბარი მაქვს არა მარტო მრავალ შესანიშნავ მოცეკვავესა თუ ფოლკლორულ ანსამბლზე, არამედ ჩვეულებრივ ადამიანებზე, რომლებიც მშვენივრად ცეკვავდნენ. ეს განსაკუთრებით ღინში ჩანს. ცეკვა ხომ ქართული სუფრის განუყოფელი ნაწილია.

ვიხსენებ ჩვენს უდიდეს მოცეკვავეებს, რომლებმაც ჩემზე ნარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს (ჩამოთვლას არ დავიწყებ, ვინმე არ გამომრჩეს), ჩვენს არაჩვეულებრივ ანსამბლებს და გული სიამაყით მევსება. ძალიან მიხარია, რომ ახალგაზრდა თაობა, ბევრი ბავშვი და მოზარდი დაინტერესებულია ამ ხელოვნებით. მათ საშუალება აქვთ სხვადასხვა

საყმანვილო ანსამბლში იცეკვონ. ეს იმას ნიშნავს, რომ არ წყდება მრავალი თაობის მიერ დიდი სიყვარულითა და დიდი შრომით დღემდე მოტანილი დიდებული ტრადიცია ქართული ცეკვის შენახვის, მოფრთხილებისა და შენარჩუნებისა. ამ ტრადიციებზე დაყრდნობით კი ახალი ფორმების ძიებისა.

თეატრალურ ინსტიტუტში ცეკვას დიდი ჯანმ ბაგრატიონი მასწავლიდა, ის, რაც მის-  
გან ვისწავლე, არაერთხელ გამომადგა ჩემს პროფესიაში, დრამატულ თეატრში.

რამდენი ქართველი მსახიობი ცეკვავდა და ცეკვავს შესანიშნავად. რამდენჯერ მიმიღია სიამოვნება მათი ხელოვნებით, კინოსა თუ თეატრში. ზოგიერთი პროფესიონალი მოცეკვავესაც კი ტოლს არ უდებდა.

უნდა გავუფრთხილდეთ ეროვნულ ცეკვას, ვიზრუნოთ მასზე, მოვუაროთ, შევინარ-ჩუნოთ, განვავითაროთ, ოღონდ ისე, რომ იგი თავის ფესვებს არ მოწყდეს.

სანამ იარსებებს ქართული ცეკვა, იარსებებს საქართველოც! თუ აღარ იქნება ქართული ცეკვა, ალბათ აღარც ჩვენი სამშობლო იქნება.

ლმერთმა ნუ ქნას!

დღიმა ჯაიანი  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

“ՀԵՂԱԴԱՐԱԿԱՆ ԿԵՐպ”

თითქოს დარბაზს სუნთქვა ეკვრის,  
თეთრი გედი ფრთებს რომ გაშლის,  
ეს ნამდვილად ქალი ცეკვას  
თუ ლერწამი კრთება ქარში?  
მიმინო დგას ცერზე ნეტავ  
თუ არნივი მისდევს ქედანს  
ეს ვაჟყაცის გული ფეთქავს  
თუ სიონის ზარი რეკავს?  
შორით წვა და შორით ფიქრი,  
შორით მზე და შორით მთვარე,  
ვაჟი შორით უვლის ირგვლივ  
მზედ ამოსულ ქალის თვალებს,  
შორით, შორით, შორით უვლის  
ისე კდემით – ისე ნაზად –  
მიჯნურისთვის ვაჟყაცს გული  
დაუგია ფიანდაზად.  
სიყვარულით ლალობს სული,  
ბობოქრობს და თითქოს ქარს ჰგავს  
ნანდაურს და გულის სურვილს  
ცერით წერს და მუხლით ქარგავს  
ჩვენ ბრძოლებში ფეხზე ვდგებით,  
არ გვჩვევია ქედის დრეკა,

ქართველები მუხლზე ვდგებით  
 მხოლოდ მაშინ, როცა ვცეკვავთ.  
 სამშობლოს და ღმერთის გარდა,  
 ვიჩოქებით მხოლოდ ქალთან.  
 ქალის გული ციხეს ჰგავდა  
 და ვკვდებოდით ციხის კართან  
 გზები ცეკვით დასერილი  
 სხვას ამ ქვეყნად ვის ჰქონია.  
 ან ცრემლებით დაწერილი  
 სიყვარულის სიმფონია.  
 მარტო კალმით ვწერდით განა  
 საქართველოს მატიანეს?!  
 „ქართული“ და „განდაგანა“  
 დროშასავით ვაფრიალეთ.  
 ალვანთან თუ ანანურთან  
 მტერი როცა ვატრიალეთ  
 „ხანჯლური“ და „ალვანური“  
 ხანჯალივით ვატრიალეთ.  
 რომ აოცებს დღესაც ყველას  
 და ქვეყნა გადარია –  
 „სამაია“ არის ფრესკა  
 და „ფერხული“ ტაძარია.  
 მამულს დღესაც კედლად უდგას  
 „ხორუმი“ და „ოდოია“  
 ის „დავლური“, როკვა, ბუქნა  
 ციხე კოშკთა გოდოლია.  
 შორით წვა და შორით დაგვა  
 მარტო ცეკვა ვის ჰქონია?!.  
 ქვეყნის გზებზე ცერით დაგვაქვს  
 საქართველოს ისტორია!

**ნოდარ ჭალალონია**  
**პოეტი**

## „ჩამოე ჩალას სხვა!“

ჩემთვის ძალიან დიდი პატივია ისეთ ფენომენზე საუბარი, როგორიც ქართული ცეკვაა.  
 ამავე დროს ძალიან რთულიც და საპასუხისმგებლოც...

ყოველთვის, როდესაც ქართულ ცეკვას ვუყურებ, იმდენად ძლიერია ზემოქმედების  
 ძალა, რომ ვინუსხები. ჯერ რითმებს ვყვები, შემდეგ მოძრაობას, ბოლოს კი, თითქოს  
 სცენაზე ვინაცვლებ და ამ საოცარი მთლიანობის ნაწილი ვხდები. რა არის ეს?.. – სხე-  
 ულის მისტიური განსულიერება, თუ ... „რაღაც სხვა!“, ანუ რაღაც – ძალიან მშვენიერი,  
 ძალიან მომხიბვლელი და მგრძნობიარე!.. რაღაც – ძალიან ვაჟკაცური, ძალიან ძლიერი

და რაინდული!.. ვერ ხვდები ეს ყველაფერი რეალობაა, თუ ზმანება?!.. იქნებ ეს რაღაც იდუმალებაა, რომელსაც სახელიც არა აქვს?!

ჰო, ცივი გონებით იცი, რომ ეს ცეკვაა, შენი ცეკვა, შენივე წიაღიდან ამოხეთქილი, მა-გრამ შენთვისვე აუხსნელი, კოდირებული, რომლის შიფრიც საუკუნეებშია განფენილი და რომელსაც პირადად მე ვერასდროს ამოვხსნი. თუმცა ერთი რამ დანამდვილებით ვიცი: – ჩემთვის ქართული ცეკვა ჩემი სიამაყეა, ჩემი ეროვნება და ჩემი სამშობლო, ჩემი წარსული და, რაც მთავარია, ჩემი მომავალი!

მარინა ჯანაშია  
საქართველოს სახალხო არტისტი

## მიმდინარეობის სახელი

ქართულ სახალხო თეატრალურ ხელოვნებას, ქართულ სიმღერასა და ცეკვას, მდიდარი ტრადიციები გააჩინია. ოდითგანვე ქართველი კაცი თავის ჭირსა და ვარამს, სიხარულსა და ბედნიერებას სიმღერებსა და ცეკვებში აქსოვდა. ამაღლვებელი და გულში ჩამწვდომი მეგრული „ნანა“ ხომ კოლხი ხალხის სულიერი ტკივილების გამომხატველია, კახური „მრავალუამიერი“ და „მუმლი მუხასა“, სვანური „ლილეო“ და „ბუბა“, გურული „ხასანბე-გურა“, ან იმერული შემოძახილი ქართველი კაცის ვაჟკაცური შემართების, სიმამაცის, ძალგულოვნების, სიცოცხლის, სიყვარულისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ნათელი დადასტურებაა, ხოლო „ხორუმი“, „ფარიკაობა“ და მთიულურ-მოხევური ცეკვები საუკუნეობით ხმალშეუსვენებელი საქართველოსა და მამულისათვის თავგანწირული ბრძოლის, შერკინების და გამარჯვების ცოცხალი სურათებია, „სადარბაზო“ და „ქართული“ კი კდემა-მოსილების, სილამაზის, მშვენიერების, ლირიზმის მადლიანი შემოქმედებითი ასახვაა.

დიმიტრი ჯანელიძე  
მეცნიერებისა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

## კართველ ხელის მთავრი ჩამო სხვანება!

რა არის ჩემთვის ქართული ცეკვა? პირველ ყოვლისა (ახლა დანამდვილებით შემიძლია ასე ვთქვა), ესაა – მთელი ჩემი ცხოვრება.

რომ გიამბოთ უფრო კონკრეტულად, ანუ იმაზე, თუ რატომ იქცა იგი ჩემს ცხოვრებად, ყოველგვარი შელამაზების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ ქართული ცეკვა ჩემი სულის საზრდო და მაღამოა; მან მიხსნა იმ ღრმა დეპრესიისაგან, რასაც სამშობლოზე ნოსტალ-გია ჰქვია.

ჯერ კიდევ 1949 წელს, როცა მოსკოვის ელექტრომექანიკური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი გახლდით, სწავლისაგან მოუწყვეტლივ აქტიურად ჩავერთე თვითმოქმედებაში. ჩამოვაყალიბე და ვხელმძღვანელობდი ქართული ხალხური ცეკვების სტუდენ-

აჭარელი



ლაზები



გურულები



ხემოვნები



იმერლები



სვანები



რაჭველები



ჯავახელი



ფშაველები



მოხევეები



ეთიულები



თუშები



ხევსურები



ქართლელები



კახელები



ინგილო



ტურ კოლექტივს. იმ დროისათვის თქვენთვის კარგად ცნობილი ბალეტმეისტერი გივი ოდიკაძე თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის მე-5 კურსის სტუდენტი გახლდათ და მისი დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგ თბილისში გამოემგზავრა, მე კი იოსებ ნონეშვილის სტრიქონებით შთაგონებული: „ჩვენს ცეკვებში თამამი სიხალისეა და ძირძველი ქართული სული“, საფუძვლიანად ვეცნობი დ.ჯავრიშვილის სახელმძღვანელოს ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაზე და 1955-57 წლებში ჩამოვაყალიბებ თვითმოქმედი სკოლა – სტუდია „ივერია“ და ხალხური კოლექტივი, ქართული ხალხური ცეკვების ანსამბლი „კოლხიდა“ (რომელიც 1957 წლიდან ილ.სუხიშვილის და ნ.რამიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლების თანამგზავრი იყო).

1974 წლიდან ხალხურ კოლექტივთან „კოლხიდა“ შეიქმნა საჩვენებელი სტუდია უმცროსკლასელთა და სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის „კოლხიდარი“, რომელიც დიდანს წარმატებით აგრძელებდა თავის შემოქმედებით საქმიანობას.

მიუხედავად წლების განმავლობაში სამშობლოდან შორს ყოფნისა, ქორეოგრაფიამ შეძლო, რომ არცერთი წუთით არ მოვშორებოდი ქართულ ფესვებს, პირიქით, სულ უფრო მეტი სურვილი მქონდა, რაც შეიძლება ღრმად ამენთო მისდამი სიყვარულით არაქართველი ეროვნების ხალხი, სულ უფრო მეტად „მომენამლა“ ისინი იმ საოცარი ენერგიითა და მუხტით, რაც უცხოა ჩრდილოელი ხალხისათვის და ასე დამახასიათებელია ჩვენთვის – ქართველებისათვის.

დღეს, როცა ამდენი გაკეთდა, სულ უფრო მეტად ვფიქრობ იმ ერთადერთ ენაზე, რომელზეც კაცობრიობა საუბრობდა სამყაროს შექმნის დღიდან, ვიდრემდის უფალი მათ სხვადასხვა ენაზე საუბარს დააწყებინებდა, ხომ არ იყო ის ერთადერთი საყოველთაო ენა – პლასტიკის, ქორეოგრაფიის ენა და შემდეგ ხომ არ მოიგონა უფალმა სიტყვა; განა რა შეიძლება ვიფიქრო სხვა, როცა 1955 წლიდან მოყოლებული დღემდე, ჩემს მიერ ქართული ცეკვის პროპაგანდას რუსეთში, სხვა არაფერი მოჰყოლია თუ არა მხარდაჭერა, ურთიერთგაგება და დაფასება. ამის დასტურია ისიც, რომ სულ მალე, 2007 წლის 29 მაისს, ქ.მოსკოვში აღვნიშნავთ ზემოთხსენებული კოლექტივის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

რევაზ ჯანიაშვილი  
რუსეთისა და საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოლვაწე,  
საქართველოს ქორეოგრაფიის „რაინდის“  
ორდენის კავალერი

## ჩამოთხვევის სამყარო და სივრცის ცალიერება

პროფესიონალი მოცეკვავის მიერ ქართული ხალხური ცეკვის თავისებურებების განსკადა და მისი შეფასება, ალბათ, იგივე იქნებოდა მორწმუნესათვის რომ გეკითხათ, თუ რას გრძნობს იგი ტაძარში შესვლისა და ლოცვის დროს. შეიძლება ეს შედარება მთლად კორექტული არ არის, მაგრამ ჩემთვის ცეკვა ნამდვილად ყველაფერია. მის შესახებ აზრის გამოთქმა კი შემიძლია, მაგრამ რამდენად ჭეშმარიტი იქნება ეს აზრი, ამის განსკადა ჩემს ძალებს აღემატება.

მე საკუთარი თავი ცეკვის გარეშე ვერ წარმომიდგენია. რაც ცხოვრებაში დღემდე მინახავს და განმიცდია, მათ შორის კარგიცა და ცუდიც, ყველაფერი ცეკვასთანაა დაკავშირებული. ცეკვა სულ პატარამ, საბავშვო ქორეოგრაფიულ ანსამბლში დავიწყე, ხოლო სცენას სუხიშვილების დიდი ანსამბლიდან დავემშვიდობე. თუმცა მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან აქტიურ სასცენო მოღვაწეობიდან ქორეოგრაფიულ-პედაგოგიურ სარჩევზე გადავინაცვლე. სხვაგვარად უბრალოდ არ შემეძლო, რადგან მე სხვა საქმის კეთება არ ვიცი და ეტყობა, ვერც ვერასოდეს ვისწავლი.

ბუნებით, სულითა და გულით, ასევე ვიწრო „მიმართულებით“ მე მთიულური ცეკვების სპეციალისტ ვარ, თუმცა განურჩევლად მიყვარს ქართული ცეკვის მთლიანი სამყარო. რაც უფრო ღრმად შევდივარ მასში, თანდათან უფრო ვრწმუნდები, რომ ერთი თაობის, მით უფრო, ერთი კაცის ნაშრომ-ნაღვანი, მისი მოწადინება ამ სამყაროსათვის თვალის შევლებას თუ ყოფნის მხოლოდ. ქართული ცეკვის ერთი უდიდესი საიდუმლო ისაა, რომ მას მარტო გონებით ვერ ჩაწვდები. ყველაფერთან ერთად, გულის სიღრმიდან წამოსული უდიდესი განცდა და წარსულის ტკივილიანი თანაგრძნობაა საჭირო. ეს კი ძალიან რთულია და არავინ იცის, შეძლებს კი მუჭისოდენა გული კაცისა დაიტიოს ეს უზარმაზარი სამყარო?!

ჯანო ჯანიაშვილი  
საქართველოს დამსახურებული არტისტი,  
ლირსების ორდენის კავალერი

## საბავშვო ქორეოგრაფიული ხასები შემოქმედების საბანძუში

ქართული ხალხური საცეკვაო კულტურა ღრმად დანახული სახე და სარკეა ქართული ხელოვნების ისტორიისა, რომელიც, თავის მხრივ, აღიქმება როგორც სრულიად საქართველოს ხალხური შემოქმედების საგანძურის უნიკალური ფენომენი.

ხელოვნების დარგებს შორის პირადად ჩემთვის ყოველთვის განსაკუთრებულად ახლობელი იყო საცეკვაო ხელოვნება. ყველა ჭეშმარიტი ქართველის მსგავსად, იგი ჩემში არსებობდა და ყოველთვის იარსებებს; მაგრამ მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, რომ სწორედ ცეკვის ხელოვნებით წარდგეს მსოფლიოს საუკეთესო თეატრების სცენაზე.

უფლის შემწეობით წილად მხვდა იმის ბედნიერება, რომ ამ კუთხით მცირე სამსახური გამეწია ქართული ქორეოგრაფიული კულტურისათვის.

1986 წელს მომეცა შესაძლებლობა, რომ ჩემი ინგლისელი მეგობრისა და იმპრესარიოს – დან კუინტრინისათვის წარმედგინა საუკეთესო საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლები, რომელთაგან საუკეთესოს დაუგეგმვადნენ გასტროლებს უცხოეთის ქვეყნებში.

ამ ღონისძიების ორგანიზებისათვის საჭიროა იყო გარკვეული თანხები (სტუმრების მიღება-გასტუმრება, საკონცერტო დარბაზის არენდირება და ა.შ.). პრობლემას დიდი გულისხმიერებით მოეკიდნენ იმუამინდელი კულტურის მინისტრი, ბატონი ვალერი ასათიანი და საქართველოს პიონერთა სასახლის (მისი ადრინდელი სახელწოდება) დირექტორი და ჩემი მეგობარი, გიორგი შალამბერიძე, რომლებმაც ჩემთან ერთად გაინაწილეს მატერიალური თუ საორგანიზაციო საქმეები.

ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში სტუმრების წინაშე წარსდგა 15 ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი, რომელთა შორისაც არჩევანი შეაჩერეს პიონერთა სასახლის ანსამბლ „მერანზე“.

1987-1992 წლებში დან კუინტონმა ამ ანსამბლისათვის მეტად საინტერესო გასტროლები გამართა გერმანიაში, პორტუგალიაში, საფრანგეთში, იტალიაში და 3-ჯერ ა.შ.შ.-ში.

მე წილად მხვდა ბედნიერება მეხელმძღვანელა დელეგაციისათვის, მით უფრო, რომ ანსამბლში ცეკვავდნენ ჩემი შვილები: ჯემალი და ნუგზარი.

ანსამბლ „მერანმა“ ყოველმხრივ გაამართლა დან კუინტონის, კულტურის სამინისტროს და სასახლის ხელმძღვანელობის იმედები. მის წარმატებებზე წერდნენ მსოფლიოს წამყვანი გაზეთები და მათ შორის „ნიუ-იორკ ტაიმსი“, „ვაშინგტონ-პოსტი“ და სხვა. განსაკუთრებულად სასიხარულო და საამაყოდ შეფასება მისცა ანსამბლს „ბი-ბი-სის“ საინფორმაციო სააგენტომ, რომელმაც აღნიშნა: ანსამბლ „მერანის“ გამოსვლა ჰამბურგის დიდ საკონცერტო დარბაზში მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდაო.

აღნიშვნის ლირისა ისიც, რომ ანსამბლი „მერანი“ ერთადერთია საქართველოში, რომელმაც სოლო კონცერტები გამართა ა.შ.შ-ს დედაქალაქის კაპიტოლიუმზე, ხოლო ქალაქ ლისაბონის დიდ საკონცერტო დარბაზ „კოლიზეუმში“ ცხრა დღის განმავლობაში ქართული საცეკვაო ხელოვნებით ხიბლავდა პორტუგალიელ და ჩამოსულ სტუმრებს, ანსამბლის არნახული წარმატების საიდუმლო კი მისი ხელმძღვანელის და სულისჩამდგმელის, დიდი ქორეოგრაფის ბატონი რევაზ ჭანიშვილის შემოქმედებით საქმიანობაშია.

მე დღესაც მზადა ვარ ნებისმიერი დროს გავუნიდო ანსამბლ „მერანს“ დახმარების ხელი, რადგან ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ კიდევ მომეცემა მათზე ზრუნვის შესაძლებლობა.

ომარ (ნუგზარ) ჯანჯალია  
საქართველოს დამსახურებული ინჟინერი

## კუთხით ზეპირ ცეკვის ბანდი

ღმერთმა ქართველებს თავიდანვე მოწყალე თვალით გადმოხედა.

ზეციდან მოვლენილი ნიჭიერების ღვთიური სხივი ქართველი კაცის მრავალნახნაგოვანმა ბუნებამ ცისარტყელას ფერებად დაშალა და კაცობრიობას ულამაზესი ციალ-ბრდლვიალით მიანათა.

ამ ბრწყინვალე შუქთა თამაშში ქართული ცეკვის ხელოვნება ისეთი კაშკაშა ფერით გამოირჩევა, შეიძლება თვალიც მოგჭრას და ბედნიერების ცრემლიც მოგგვაროს.

შემირცხვენია ის ქართველი, ვისაც ცეკვათა ცეკვის „ქართულის“ ხილვისას, „სამაიას“, „მთიულურის“, „სადარბაზოს“, „აჭარულის“, „რაჭულის“, – „სვანური ცერულის“, „ფარცას“, „ხორუმის“, „ფერხულის“ ხილვისას სიამაყე არ დაეუფლება.

„ფარიკაობა“ ბეჭედია ქართველ კაცში ჩაბუდებული უზარმაზი, ყოვლის წამლეკავი ძალისა, რომელსაც მხოლოდ სიყვარული – თეთრი მანდილი თუ შეაჩერებს.

მე ქართველი ვარ და რა გასაკვირია, თუ ქართული ცეკვის ხილვისას ფეხისწვერებზე შედგომის სურვილი მეუფლება, ბეჭისთავები შემითამაშდება და მკლავები ასაფრენად იწევს, მაგრამ – უცხოელები? უნახავის ნახვით სახტად დარჩენილები, თვალებგაფართოებული, სიხარულისგან აცრემლებულები, კარგა ხანს გონს რომ ვერ მოდიან და თავი სიზმარში ჰგონიათ, რაა ეს თუ არა ბეჭედი ქართული ცეკვის ყოვლად მომნუსხველი ხიბლისა.

ან სად შეუძლია ადამიანის ენას აღწეროს ცეკვა „ქართული“.

არსებობს ერთადერთი გამოსავალი – უნდა შენი თვალით იხილო, იგრძნო, განიცადო, დაიხარჯო სიხარულისთვის და აღივსო ბედნიერებით.

ცეკვა – უდიდესი განძია ერის შემოქმედებით განძთსაცავში, ერთ-ერთი უსაჩინოესი.

ღმერთო, დიდხანს მიეცი კაცობრიობას საშუალება ამ ბედნიერებით დატკბეს, გაიხაროს, ამაღლდეს ქართული ცეკვის მშვენიერებით.

გენი ქართული როკვით განფენილი,  
სისხლი მდუღარე და სული აფრენილი,  
მანდილი მოქნეული,  
მკლავი ფრთადქცეული  
მამაცი დიაცისთვის  
ცერზე აწეული,  
თვალი არწივის,  
ქედი ხარისა,  
დაფრინავს ქართველი  
ცის გასახარისად,  
ღმერთო აცეკვე დიდხანს  
ამინ!!!

გია ჯაფარიძე  
კინო-მსახიობი

## მალაცი აუცხახით ღამშვანებელი

თავმომწონე და თავმოყვარე ქართველებს ოდითგანვე მოდგამთ ხალხური ცეკვის მიმართ საოცარი სიყვარული. საამისოდ დიდი ნიჭიც აქვთ და დიდი გემოვნებაც. ცეკვა არის მისი სიცოცხლის თანამგზავრი შრომაში, ბრძოლაში, ჭირსა თუ ლხინში და მის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოუდგენიათ. ცეკვას კიდევ მეტი ელვარება ენიჭება, როცა იგი მაღალი კულტურით არის დამშვენებული.

ალექსანდრე ჯიჯეიშვილი  
საქართველოს სახალხო არტისტი,  
ქორეოგრაფი



ପ୍ରକଟନା ପତ୍ରିକା  
ପାଠ୍ୟ ପଦ୍ଧତି  
ଶ୍ରୀଶକ୍ତି

\*\*\*

ცეკვა... ყველაზე უკეთ ცეკვაში ისახება ერის სული, მისი ტემპერამენტი, ზნე-ჩვეულება, წარმოდგენა სილამაზეზე... ვისაც კი ოდესმე უნახავს მსოფლიოში უკვე კარგად ცნობილი ქართული ცეკვები, მისი სიდიადე და სილამაზე არასოდეს დაავიწყდება. ქართული ცეკვის პროფესიულმა თუ მოყვარულთა ანსამბლებმა, მართლაც რომ, მოაჯადოვეს მსოფლიო როგორც სილამაზითა და მდიდრული საცეკვაო კოსტუმებით, ისე ისტორიისა და ხელოვნების ჰარმონიული შერწყმით. გასაოცარია ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში არაპროფესიონალები, ადამიანები, რომელთაც საერთოდ არა აქვთ კავშირი ქორეოგრაფიულ ხელოვნებასთან, ცეკვავენ თავისუფლად და დახვეწილად.

ეს არის წმინდა ტრადიციების პატივისცემის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალება.

მე წილად მხვდა ბედნიერება დავსწრებოდი სახელგანთქმული „სუხიშვილების“ და აჭარის ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლების კონცერტებს. ჩემი უზომო გაოცება გამოიწვია მოცეკვავეთა თავბრუდამსვევმა ნახტომებმა, ქარბუქისებრმა ბრუნვებმა და გასაკვირმა ქორეოგრაფიამ, რომელიც სცენას დინამიური ენერგიით ავსებდა. მამაკაცები ცეკვავენ გასაოცარი სიზუსტით, ხოლო ქალები ანგელოზთა შესაფერი გრაციოზულობითა და სინარნარით მოძრაობენ. ქართველთა ცეკვები ფიზიკის კანონებს ეწინააღმდეგება, ქართული ცეკვა უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს როგორც მაყურებელს, ისე თავად მოცეკვავებს.

მამაკაცთა გუნდის მრავალხმიანი მღერა და ცეკვა ზანჯლებით – ეს ქართული ნაციონალური ხელოვნების სიამაყეა.

მე ვნახე არა ცეკვა, არამედ ფრენა და ქარიშხალი სცენაზე.

აკობ აზიზიანი  
სომხეთის რესპუბლიკის სახალხო არტისტი,  
პროფესორი

## მხოლოდ ერთი არასოდეს მომიზე ბაზენები

ფრენა არასოდეს მყვარებია. თუ ფრენა მიწევდა, ვცდილობდი დამეძინა და ადგილზე ჩაფრენამდე არ გამღვიძებოდა, უარეს შემთხვევაში თავს ვიმძინარებდი ხოლმე. გაგიკვირდებათ, მაგრამ თვითმფრინავიდან დედამიწაზეც კი არ გადმომიხედავს.

მხოლოდ ერთხელ, ერთადერთხელ მომინდა გაფრენა, ისე ძალიან როგორც ბედუინს – უდაბნოში წყალი.

ეს იყო მაშინ, როცა პირველად ვნახე ცეკვა „ქართული“.

ბელა ახმადულინა,  
რუსი პოეტი

\*\*\*

მე არ მჭირდება ადამიანები, რომელთაც სურთ ცეკვა, მე მჭირდება ადამიანი, რომელ-  
საც არ შეუძლია ცეკვის გარეშე, მაგალითად, როგორც ქართველებს.

**ჯორჯ ბალანჩინი  
ბალეტმაისტერი**

\*\*\*

ქართული ცეკვის ცეცხლოვანი ტემპერამენტი და მისი ღრმადშინაარსიანი ფილოსოფი-  
ური პლასტიკა, ერთნაირად გასაგებია მსოფლიოს ყველა ქვეყნის ნებისმიერი ეროვნების  
წარმომადგენლისათვის. ქართული ცეკვა მშვიდობის დესპანია.

**ჰერლუფ ბიდსტრუპი  
ნობელის პრემიის ლაურეატი**

\*\*\*

ჩვენ საქართველოს ვხედავთ ცეკვის მეშვეობით და წარმოდგენა გვეძლევა თქვენი  
ქვეყნის ცხოვრების მრავალფეროვნებაზე.

**ლორდი ბონატი  
ხელოვნების მაგისტრი**

\*\*\*

ქართველთა ცეკვები: უნიკალური თვისებებით აღსავსე სამჭედლოა, პლასტიკის ენით  
გაცოცხლებული მარგალიტებია, სხეულით ქმნილი ლოცვანია, ათასწლეულების სიღრმე-  
ში აღმოცენებული შედეგებია და ქვემო დინებებიდან ამღერებული, დაფიქსირებული,  
წაკითხული საქართველოს ისტორიაა.

**ალექსანდრა ბურატაევა  
ჟურნალისტი და ტელეწამყვანი**

\*\*\*

ქართული ცეკვა ფანტასტიკურია.

**ჯორჯ ბუში (უმცროსი)**

## ქართული ცეკვების შესახებ იმდენი თქმულა, რომ ზედმეტად მეჩვენება საქებარი ეპი- თეტების განმეორება. მე მხოლოდ ჩემი პირადი შთაბეჭდილებების გაზიარებას შევეცდე- ბი, რადგან თითქმის ნახევარი საუკუნეა საქართველოში ვცხოვრობ და ქართული ოჯახი მაქვს.

უპირველესად ის მინდა გითხრათ, რომ არ შემხვედრია არცერთი განათლებული და  
ინტელექტუალური უცხოელი, რომელიც აღფრთოვანებაში არ მოეყვანოს ქართულ ცე-  
კვებს, მის სულისშემძვრელ ცეცხლოვან ტემპს, უწვეულო თავშეკავებულობას, ღირსეულ,  
კეთილშობილურ ელეგანტურობას და ნატიფ, დახვეწილ მოძრაობებს, მის გამორჩეულად  
ჰარმონიულ პლასტიკას.

ქართული ცეკვების ეგზოტიკურობას საოცარი ჰარმონიულობით ერწყმის კოსტიუმე-  
ბის სისადავე, რომელიც შოკისმომგვრელ წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს ნებისმიერ  
უცხოელზე. ასევე საოცრად შთაბეჭდავია ქართველი ბავშვების ცეკვები. მნახველს სურ-  
ვილი გიჩნდება, რომ ქართული ცეკვები შეტანილი იქნეს სავალდებულო საგნად ზოგად-  
საგანმანათლებლო სკოლების სასწავლო პროგრამაში.

მსოფლიო ხალხთა ცეკვებს შორის განსაკუთრებით ქართული ცეკვა უწყობს ხელს  
ფარული ტემპერამენტის, სილამაზის, თავშეკავებულობის და სულიერების აღზრდას,  
რადგან იგი, უპირველეს ყოვლისა, შინაგანი თავისუფლების ჰიმნია, რომელიც აუცილებ-  
ლად, ყოველწამიერად უნდა ვითარდებოდეს, რათა არ დაიკარგოს.

ასეთი ფასეულობების მქონე ცეკვები ნაკლებად საჭიროებს თანამედროვე, უცხო ელე-  
მენტების შეტანას, რადგან მათში მაქსიმალურად უნდა შენარჩუნდეს ქართველი ხალხის  
სულიერების „კოდი“ და რაც შეიძლება მჭიდროდ უნდა იმყოფებოდეს ხალხთან, რათა  
ალორძინდეს. იგივე უნდა ითქვას ჩინურ თეატრზეც, რადგან ქვეყნების კულტურებს პევ-  
რი საერთო ნიშან-თვისებები გააჩნია.

და ბოლოს, მინდა ქართულ ცეკვებს ვუსურვო ხანგრძლივი სიცოცხლე და განვაცხადო,  
რომ მასზე ზრუნვა, მისი „თვალისჩინივით“ მოფრთხილება ყველას ვალია, ის ყოველ-  
თვის უნდა დარჩეს ხალხთან, იყოს ხალხისთვის და გამოხატავდეს ქართველი ერის სუ-  
ლიერებას. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოიპოვებს იგი უკვდავებას. კულტურის ამ სფეროს  
შენარჩუნება უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ საქართველოსათვის, არამედ, როგორც  
მსოფლიო კულტურის მოვლენა, მთელი კაცობრიობისათვის.

**გუანვენ ლიუ - ყანდარელი**  
**მხატვარი, საქართველო – ჩინეთის საერთაშორისო ცენტრის „აბრეშუმის გზა“ –**  
**პრეზიდენტი, პროფესორი**

\*\*\*

„მე ვსვამ იმ ერის სადღეგრძელოს, რომელმაც ასეთი ლამაზი ცეკვა შექმნა თავისდა  
საამაყოდ.“

**მაქსიმ გორკი**  
**რუსი მწერალი**

\*\*\*

ქართველი ხალხის ცეკვა ისე მშვენიერია, როგორც საქართველო, მისი ზღაპრული ბუნება, მცხუნვარე მზე და ლაუგარდოვანი ცა! მზად ვარ თქვენს მშვენიერ ცეკვებს ვუყურო დაუსრულებლად და მუდამ რაღაც ახალი აღმოვაჩინო მასში.

**რაიმონდა დიენი  
ჟურნალისტი**

\*\*\*

ქართული ხალხური ცეკვები მხატვრული ხელოვნებაა მსოფლიო საცეკვაო კულტურა-თა შორის, რომელშიაც ნათლად იკითხება ქართველთა ჭიდილში გამოწრთობილი სულის სიმტკიცე, მაღალი ინტელექტი და ესთეტიკური კრედო.

**ევგენი ევტუშენკო  
პოეტი**

\*\*\*

ქართული ხალხური ცეკვა არის სიცოცხლისა და მარადისობის დაწერილი თუ დაუწერელი კანონი.

**ვლადიმერ ვასილიევი  
მოცეკვავე**

\*\*\*

„ამ ცეკვებმა მაგრძნობინა, თუ რამდენად ამაყობს ქართველი ხალხი თავისი მრავალტან-ჯული, გმირული ისტორიით. ამ ჩინებულ ცეკვებს რომ ვუყურებდი, ნათლად წარმოვიდგინე ქართველი ხალხის დიადი წარსული, მთელი თავისი ადათ-წესებით და თვისებებით.

**ვიქტორ ვასნეცოვი  
რუსი მხატვარი**

\*\*\*

მე ქართული ცეკვები ძველ ბერძნულ ფრესკებს მომაგონებენ.

**კოტრიკასი  
ბერძენი დრამატურგი**

## ქართული ხეკვები ხოსმიანი ხეკვები

ქართული ცეკვები კოსმიური ცეკვებია, – ისინი კოსმიური ენერგიით სრულდებიან. ცეკვის სისწრაფე, არაჩვეულებრივი მოძრაობები, ამ ადამიანებმა მიიღეს, როგორც თავისი სისხლის მემკვიდრეობა. კვიდვე რა დავინახე ამ ცეკვებში? ის, რომ საქართველო წმინდა მხარეა და იქ მრავალი მისანი ცხოვრობს. მათი დედოფალი, თამარი, იყო არა მარტო დიდი მისანი და მკურნალი, არამედ უდიდესი კოსმიური სიყვარულისა და სიბრძნის მატარებელი.

ქართველები ამბობენ და ჩემი აზრიცაა, რომ საქართველო არავის ეკუთვნის და არც შეიძლება ის, გარდა ზეცისა და კოსმოსისა, ვინმეს ეკუთვნოდეს.

ლინა ლიზი  
გერმანია

\*\*\*

თქვენი ცეკვები ყველაზე ლამაზი, ყველაზე უძველესი, ყველაზე ხალხური ცეკვებია.

სერუი ლიფარი  
ფრანგი ბალეტმაისტერი

## ქართული ხაცევი ხეკვები - ხასხოვანი ხელოვნება

მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ქართველთა ცეკვების შესახებ: თამამად შეიძლება ვაღიარო, რომ წლების მანძილზე არ მინახავს მსგავსი არაფერი...

გადავხედოთ ისტორიას დასაპამიდან დღემდე... რთული გზა განვლო ქართულმა კულტურამ და ხელოვნებამ. მიუხედავად არსებული წინააღმდეგობებისა, ქართველმა ხალხმა საუკუნეების რთულ გამოცდას გაუძლო და ჩვენამდე მოიტანა უხსოვარ დროში ჩასახული ქართული ხალხური ცეკვები. ვინ იცის, სად იწყება და სად მთავრდება მათი საოცარი, ცეცხლოვანი ხელოვნება!.. ამ ხალხმა მთელი თავისი ბრწყინვალებით დაგვანახა ქართული ცეკვების სილამაზე!.. გმადლობთ ამ მშვენიერებისათვის!

ოლგა ლეპეშინსკაია  
საოპერო მოლერალი

\*\*\*

დიდებულია ქართული ხალხური ქორეორგაფია, მისი საოცარი, დამატყვევებელი და განუმეორებელი შედევრებით.

**ეკატერინე მაქსიმოვა  
მოცეკვავა**

\*\*\*

ყოველ მოძრაობაში, უესტში, მიმიკის ცვალებადობაში იგრძნობა ქართველი ხალხის ძველებური კულტურის უმაღლესი საფეხური, რომელიც წინ უსწრებდა ანტიკურ სამყაროს, კულტურას, რომელიც არასოდეს მოსწყვეტია ქართულ ხალხურ ნიადაგს.

**ზდენეკ ნეედლისი  
პროფესორი**

\*\*\*

საქართველო ბუმბერაზი ფილარმონიაა, რომელიც მთელ მსოფლიოს უნდა აჩვენო, როგორც დიდი და ნამდვილი ხელოვნება.

**არკადი რაიკინი  
მსახიობი**

\*\*\*

ქართული ცეკვის პროპორციები მე მაგონებს მთის ბროლის პროპორციებს.

**ვერნერ რუდიგერი  
გერმანელი მხატვარი**

\*\*\*

ცეკვის ხელოვნება არ არის იოლი საქმე. იგი მოითხოვს მეცნიერების დარგების ცოდნას უმაღლეს დონეზე, არა მარტო მუსიკის, რიტმიკის, გეომეტრიის, არამედ ისტორიის და ფილოსოფიისასაც კი.

**ლუკიანე სამოსატელი  
ბერძენი ფილოსოფოსი და  
მწერალი**



უსოფელი ავთენტიური ქართული ხალას შინაგა

## ქართული ხეკვა მჩვალესაცანოვანი შემოხის ნაყოფი

ცეკვა სულის სიმღერაა, ყოველი სიმღერა კი სიხარულის ნაპერწკალია, რომელიც შემ-  
დგომში ვულკანივით ამოიფრქვევა.

ყოველი მოცეკვავე ქართველის გულში ცეცხლის ალი ბობოქრობს, რის საშუალებითაც  
საქართველოს ქორეოკულტურა მსოფლიოს ანათებს და ამდიდრებს.

ქართული ხალხური ცეკვა სულის გამოძახილია და სამშობლოს სიყვარულია, წინაპრე-  
ბის, მამულისა და ტრადიციების პატივისცემა.

გაოცებული ვარ ქართველი ქორეოგრაფების დიდებული ნამუშევრებით, საცეკვაო სუ-  
რათებით, სიუჟეტებით, დრამატურგიით... ეს იყო სწორედ იმ გამაჯვების საწინდარი,  
რომელიც ქართულმა ცეკვამ მოიპოვა მსოფლიოში.

ქართულ ცეკვებში ამოუწურავი რეზერვია, რომელიც ათასწლეულებს გაუძლებს და  
კვლავაც მოაჯადოვებს მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის მილიარდობით ადამიანს.

იგორ სკლიარი  
ხელოვნებათმცოდნეობისა და ფილოსოფიის  
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

## ქართველები პოეტები ბენების, მასისაცემი ღ მოსახურავი ხალხი

ყველგან: რუსეთში, უკრაინაში, სადაც უნდა ვყოფილიყავით, ჯადოსნური სიტყვა  
„საქართველო“ მუდამ სიამაყით ისმოდა. ადამიანები, რომლებიც იქ ერთხელაც კი არ  
ყოფილან, და შესაძლებელია, ვერც ვერასოდეს მოხვედრილიყვნენ, საქართველოზე  
აღტაცებით ლაპარაკობდნენ და იქ ჩასვლას მთელი არსებით ესწრაფვოდნენ. ისინი ქარ-  
თველებზე, როგორც შესანიშნავ მუსიკოსებსა და მოცეკვავეებზე, დაუღალავ მშრო-  
მელებსა და დახელოვნებულ მიჯნურებზე ლაპარაკობდნენ...

ქართველები პოეტური, მუსიკალური და მოცეკვავე ხალხია და, მოარული აზრით,...  
ღვთითეურთხეულ მიწაზე სახლობენ და, ცხადია, საკუთარი დამოუკიდებლობის დაცვა  
ასიათასი წლის განმავლობაში ბრძოლით უწევდათ.

ისიც მახსოვს, როგორ მნადდა ერთ ლამაზ ქალბატონთან ერთად ცეკვა „ქართულის“  
შესრულება.იგი მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი მოცეკვავე აღმოჩნდა.

საქართველო ნამდვილად ჯადოსნური ქვეყანა იყო და ჩვენს მეხსიერებაში თანდათან  
მშვენიერ სიზმარს დაემსგავსა. ამ მიწაზე მომაჯადოებელი სულის ადამიანები ცხოვ-  
რობდნენ. ის დედამიწის ზურგზე ერთ-ერთი ულამაზესი ლანდშაფტის მდიდარი კუთხე  
იყო. ქართველები კი ამ მიწას ნამდვილად იმსახურებდნენ. ახლა, კარგად გვესმოდა, რა-  
ტომ იმეორებდნენ რუსები: – სანამ საქართველო არ გინახავთ, არ მოგისმენიათ ქართული  
სიმღერა და არ გინახავთ ქართველთა ცეკვა, თქვენ არაფერი გინახავთ.

ჯონ სტეინბეკი  
ნობელის პრემიის ლაურეატე

\*\*\*

მსოფლიოს ხალხთა ქორეოგრაფია წარმოუდგენილია ქართული ცეკვის გარეშე; ის ისე-თივე საოცრებაა, როგორც ჩვენი პლანეტის სხვა საოცრებები.

გალინა ულანოვა  
მოცეკვავა

## ქართული ცეკვისაბან მიღებები ბაზარისაბი

„ამ ცეკვებს ვდგამდი ჩემებურად ლონდონში და პარიზში, ისინი დიდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ, მაგრამ ის, რაც თქვენგან ვისწავლე (დიდი მადლიერების გრძნობით მიმართავდა გამოჩენილ ქართველ მოცეკვავესა და ქორეოგრაფს ალექსიძეს. რ.ჭ.) სრულიად ეწინააღმდეგება ჩემს ცოდნას, უფრო სწორად, მან დამიმტკიცა, რომ მე არ ვიცოდი თქვენი ცეკვები. ახლა, როცა მომიხდება რაიმე ამგვარის გაკეთება, ვიხელმძღვანელებ თქვენგან მიღებული გაკვეთილებით.“

მიხეილ ფოკინი  
გამოჩენილი რუსი ბალეტმასტერი  
და რეფორმატორი. 1916 წ.

## ბეისხისათან ჰილიში ბაზარისაბი

უალრესად მაღალ შეფასებას ვაძლევ ქართულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას. ბედნიერი ვარ, რომ მასთან ზიარების საშუალება ჯერ კიდევ ბავშვობაში მომეცა.

21 წლის ასაკში ისრაელში ამოვედი და მაშინვე გადავწყვიტე ქართული ცეკვის სიდი-ადე ჩემი თანამემამულეებისთვის გამეცნო. 30 წლის წინ ჩემი ინიციატივითა და ქალაქ აშკელონის მერიის პატრონაჟით ჩამოყალიბდა პირველი ქართული ქორეოგრაფიული ან-სამბლი ისრაელის ქალაქ აშკელონში, რომელსაც ან განსვენებული ელია ელიშაყაშვილი ხელმძღვანელობდა. ბოლო 15 წელია მის საქმეს ერთგულად განაგრძობს გურამ მიხაელი. აშკელონის ქართული ცეკვის ანსამბლს თავისი ხელოვნებით არაერთხელ მოუხიბლავს არა მხოლოდ ისრაელის, არამედ მრავალი სხვა ქვეყნის მაყურებელი. ამჟამად ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლები ისრაელის ბევრ სხვა ქალაქშიც არსებობს. ამ ანსამბლების დამაარსებელი და ფუძემდებელი იყო ან განსვენებული იცხაკ ატანელოვი.

მოხარული ვარ, რომ ქართულ ცეკვას მსოფლიოში სულ უფრო მეტი თაყვანისმცემელი უჩინდება. უაღრესად გამახარა იმ ფაქტმა, რომ ახლახანს მათ რიცხვს აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში შეემატა.

ნება მომეცით, ჩემი უდიდესი პატივისცემა გამოვხატო ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც მსოფლიოს ერთ-ერთ საოცრებას, ქართული ნიჭის ერთ-ერთ ყველაზე გენიალურ გამოხატულებას – ქართულ ცეკვას ემსახურება.

**შაბთაი ცური  
ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი  
ელჩი საქართველოში**

## ქართული კორეოგრაფიის ამონების მიწაციფრობა

ქართული ქორეოგრაფია მსოფლიოშია განთქმული. უზარმაზარ დარბაზებს აღაფრთოვანებს ქართველ მოცეკვავეთა ხელოვნება.

ენით გამოუტქმელი განცდა დამეუფლა, როცა პირველად ვიხილე სცენაზე ქართული ცეკვა. სულ სხვა სამყაროში აღმოვჩნდი, თითქოს მიწაზე არ მედგა ფეხი. ეს იყო ნამდვილი ზემი. ქართველებს უსიტყვოდ, მოძრაობით გამოუხატავთ თავიანთი სულისკვეთება, ტრადიციები, ადათ-წესები, ხასიათი...

განსაკუთრებით თვალში საცემია ქართული ქორეოგრაფიის ამოუწურავი მრავალ-ფეროვნება. ყველა კუთხეს საკუთარი ცეკვა შეუქმნია.

ქართველი ხალხის მებრძოლი განწყობილებაა გამოხატული ისეთ ცეცხლოვან ცეკვებში, როგორიცაა „ხანჯალური“, „ფარიკაობა“, სიფაქიზის, ქალისადმი ვაჟის კდემამოსილი დამოკიდებულების გამომხატველია წყვილთა ცეკვები, განსაკუთრებით მხიბლავს ხალხური ქორეოგრაფიის მწვერვალი ცეკვა „ქართული“.

ასევე საგანგებოდ მინდა გამოვყო ერთი მომენტი ქართულ ქორეოგრაფიაში – ესაა ერთიანობა-ერთსულოვნების გამოხატვა. ამ მხრივ აღსანიშნავია ცეკვები „ფერხული“, „ხორუმი“.

შეუძლებელია გადმოცემა იმ დაუვიწყარი შთაბეჭდილებისა, რაც სართულებად წარმოდგენილი ცეკვის, ცერებზე შემდგარი ქართველების, მოცეკვავეთა უმშვენიერესი, დახვენილი, მოზომილი მოძრაობის, საოცარი ილეთების ხილვისას მექმნება.

ქართულ ქორეოგრაფიასთან შეხვედრა ჩემთვის მართლაც ნამდვილი ზემია ყოველთვის.

**ჰარუნ ჩიმქე  
ქართველოლოგი, თურქეთი**

\*\*\*

აღფრთოვანებული ვარ „დინამოს არენაზე“ შექმნილი ატმოსფეროთი... განსაკუთრებით ქართული ხალხური ცეკვები მომენტი, რიტმული, დინამიური და ტრადიციული იყო.

ლიონელ ანდრეს მესი  
საფეხბურთო კლუბ „ბარსელონა“-ს  
ლეგენდარული ფეხბურთელი

## ჩამოცი ხახა

თუ მართლა ხანძრის ნახვა გენებოთ,  
უნდა იხილოთ ცეკვა ქართული,  
როგორ როკავენ ცეცხლის ენები,  
ცეცხლის ენები, ჯადოდართული.  
ვაჟებს ნამდვილად რკინის გული აქვთ,  
ნამონთებიათ ელვად თვალები,  
მზეთუნასავებს ჰევანან სრულიად,  
როცა ცეკვავენ ალვისტანები.  
გაიწკრიალებს როს სატევარი,  
ნაპერნკლებს გაყრის ცინცხალ თვალებას,  
თუ ვაჟკაცი ხარ, შეავლე თვალი,  
მის გაბრნყინებას და ელვარებას.  
ერთი გაფრენით, სხვაზე მეტია  
ვაჟი გულადი, როგორც არწივი,  
ქალიშვილი კი თითქოს გედია,  
თავნება ზვირთით გადანაწევრი.  
ქართული ცეკვა ჯადოქრობაა,  
და ჭეშმარიტი დღესასწაული  
ცეკვა კი არა ხალხის სულია,  
ერის სიმდიდრე და საწყალი.

სოროონბაი ჯუსოევი  
ყირგიზი პოეტი



ମେତ୍ୟାଳେ କଣ୍ଠେ  
ଜାନତ୍ୟାଳେ ପଦ୍ମରେ  
ଶୁଣନ୍ତି

\*\*\*

ქართველების მიერ წარმოდგენილ ცეკვებში ჩვენ შევძელით ღრმად გაგვეგო და მი-  
მოგვეხილა მთელი ევროპა და ერთდროულად დაგვენახა აღმოსავლეთიც, თავისი განუ-  
მეორებელი, ზღაპრული ფერადოვნებით.

„ტაიმსი,“ ინგლისი, 1955 წელი

\*\*\*

თუ პირველობის პალმა უნდა მიეკუთვნოს ვინმეს, იგი, პირველ რიგში, ეკუთვნის ქარ-  
თველ მოცეკვავეებს.

„ობსერვისი“  
ინგლისი, 1955 წელი

\*\*\*

„მოცეკვავეები გასაოცარნი იყვნენ. ცეკვა ფეხის წვერებზე, მოკლე ნაბიჯები, შემარ-  
თული სხეული, ნელი გრაციოზული მოძრაობა მკლავებისა... მოცეკვავეები თითქოს და-  
ცურავენ იატაკზე.“ მე ვიჩოქებ სრულიად საქართველოს ქორეოგრაფიის წინაშე.

ამერიკული ჟურნალი  
„ჰერალდი“

\*\*\*

„რაოდენ მშვენიერი, სხივნათელი უნდა იყოს იმ ხალხის სული, რომელმაც შეძლო  
შეექმნა ასეთი აღმაფრთოვანებელი ცეკვები. თუმცა ეს ცეკვები როდია, ეს ქართველი  
ხალხის თავისებურების ხატებაა.“

პრაღა, ჩეხოსლოვაკია, 1958 წ.

\*\*\*

„ქართველმა მოცეკვავეებმა დამახასიათებელი ელვისებური სისწრაფითა და დაუჯერე-  
ბელი მოქნილობით დაატყვევა ჩვენი მაყურებელი...ქართველმა მსახიობებმა გაამართლეს  
მსოფლიო დიდების ტიტული...“

“მეხიკი“ 1960წ.

\*\*\*

საქართველო! მზიური საქართველო! სულითა და გულით მივესალმებით შენს შვილებს,  
რომლებიც ჩამოვიდნენ ჩვენთან, რათა წარმტაცად და მგზნებარედ ცეკვის ენით ეამბნათ,  
თავიაანთი ქვეყნის ამბები.

„ტრიბუნა ლუდუ“ პოლონეთი

\*\*\*

ქართულმა ხალხურმა ცეკვებმა სრულიად გაალლო მძიმე და ყინულოვანი ფინელი საზოგადოება. ქართველების თავშეუკავებელი სისწრაფე, თავისუფალი თავდაჭერა, გზნება და ელვარება, ამავე დროს, ლირიკული სინაზე მანდილოსნებისა უნებურად გხიბლავთ, გაჯადოებთ... ქართველმა ვაჟებმა პირდაპირ გადარიეს მაყურებლები თავიანთი ბრწყინვალე ელასტიურობით, ანთებული ტემპერამენტით. ქალთა ცეკვები გადმოცემულია ლირიკულ-ქორეოგრაფიულ სურათებში... განსაკუთრებით ჩვენს მესიერებას წარუხოცველ სახსოვრად დარჩება სილამაზითა და კეთილშობილებით აღსავს ცეკვა „სამაია“.

„სუმენ სოსიალი დემოკრატის“  
ფინეთი

\*\*\*

საქართველო თანამედროვეობის უდიდესი ხელოვანის ჯორჯ ბალანჩინის სამშობლოა. იგი აღიზარდა სწორედ საქართველოს საცეკვაო ფოლკლორზე, ამ განუმეორებელ ცეკვებზე, ამიტომაც იყო იგი უდიდესი შემოქმედი.

გაზეთი „სიცილია“  
იტალია

\*\*\*

„თქვენი ცეკვები ისეთი ამაღლებული, სანეტარო და წმინდაა, რომ შეიძლება ვატიკანში, რომის პაპთანაც იცეკვოთ“.

„სანტა მარია დელა გრა“

\*\*\*

ქართველთა ცეკვებში დაცულია მათი წინაპრების ტრადიციები. ამ ცეკვებში თრთის თავისუფლების გული; მოცეკვავე ვაჟები – ეს თავისუფლებისათვის მეპრძოლი გმირები არიან, შეუპოვარი, გაბედული მეომები და ამავე დროს, კეთილშობილი რაინდები, რომელთაც მხურვალე ტემპერამენტთან ერთად ქალისადმი ნაზი თაყვანისცემა ახასიათებთ.

ქალთა ცეკვები განსაკუთრებულად მომხიბვლელი და თავშეუკავებულია. „სამაიას“ წარმტაცი ელეგია, მოცეკვავე ქალთა მოძრაობის სილამაზე გვიპყრობს თავისი მიუწვდომელი მშვენიერებით და მას ზღაპრულ სამყაროში გადავყართ.

„სალამოს სიტყვა“  
უნგრეთი

\*\*\*

ხალხური ცეკვები, რომლებიც ამოსავალ წერტილს პოულობენ უძველესი ხანის საქართველოს ტრადიციებიდან, უეცრად იცვლება სწრაფი ცეკვების კასკადით... ამ კომპოზიციურად გაფორმებულ პექტაკლს გადავყავართ ანტიკური ხანის სიღრმეში, მაგრამ ყოველივე ეს მაინც ჰიმნია, მსოფლიოს ახალგაზრდობის უძლეველობის სიმღერა.

„პრო გრე“  
საფრანგეთი

\*\*\*

ქართული ხალხური ცეკვები მეტყველებენ ძველ, თაობიდან თაობაზე გარდამავალ კულტურას და არისტოკრატულ დახვეწილობას... ნუთუ მთელი ეს ერი, მცხოვრები კავკასიონის მაღალ მწვერვალებსა და სუბტროპიკულ ველებზე, მთლიანად არისტოკრატებისაგან შედგება? რაოდენი კეთილშობილება, უბრალოება და ღირსება, თავდაჭერა და მომხიბვლელობა იყითხება ამ ქართულ უბინო ცეკვებში.

ქართველებს საკუთარი, საცეკვაო ხელოვნება გააჩნიათ, რომელსაც სხვები ვერ მიბაძავენ.

„ნიუა პრესენი“  
ფინეთი

\*\*\*

ქართველები მღერიან და ცეკვავენ ისე, როგორც ღმერთები.

ნიუ-იორკ ტაიმსი  
აშშ. 1972 წელი

\*\*\*

ქართველების ცეკვა ფეხის ცერებზე შეახსენებს მსოფლიოს, რომ წარმართულ ხანაში კაცი იყო წამყვანი ხელოვანი! ფეხის თითებზე ცეკვა ნამდვილი მირაჟია! ზღაპარი!

„ნიუ-იორკ უირლდ ტელეგრაფ“  
აშშ

\*\*\*

ხალხისათვის, რომელსაც ასეთი ხელოვნება გააჩნია, ცეკვა მისი მეორე ბუნებაა.

„მენსი“, ფინეთი



\*\*\*

არაფერი ამის მსგავსი ჩვენ არ გვინახავს! ამ საოცარი მოცეკვავეების მიერ წარმოდგენილი პროგრამა გვიჩვენებს საქართველოს დიდ კულტურას და მის ისტორიას.

„ლოს ანჟელეს ტაიმსი,,  
აშშ

\*\*\*

ქართული ხალხური ანსამბლის კონცერტი – ეს არის ჩვენი ეპოქის დღესასწაული, ქართული ფოლკლორის უდიდესი გამარჯვება.

„ლიუმანიტე“,  
საფრანგეთი

\*\*\*

ჩვენ არ გვგონია, რომ მსოფლიოში ისე კარგად და მოხდენილად ცეკვავდნენ, როგორც ქართველები ცეკვავენ

მიდით და ნახეთ ისინი. როდესაც ვუყურებთ მათ მოძრაობებს, ისინი ფრთოსან ანგელოზებად გვევლინებიან, მათი ჰაერში ხტომები, ცერებზე და მუხლებზე ცეკვა – ეს



მართლაც ფანტასტიკაა, ხმლებს ისე ხმარობენ, რომ ჩვენ ნამდვილი ომი გვგონია – შემ-დეგ გამოდიან მანდილოსნები, ყველაფერი ჩერდება და რომანტიულ სულისკვეთებაში გადადის. ისინი ხანჯლებს ისე ისვრიან იატაკში – ოლიმპიურ ჩემპიონებსაც შეშურდებათ ამ სანახაობის.

მიდით და ნახეთ ქართველები – საგალობელზე ნაცეკვი სამი ქალის ცეკვა – ეს არის ულამაზესი სანახაობა, სიმღერა ქრისტიანული მართმადიდებელი სარწმუნოების სადიდე-ბლად.

„ქართველებს ყველაზე ვაჟაცური მოცეკვავე მამაკაცები და ლამაზი ქალები ჰყავთ მსოფლიოში“.

ლონდონი,  
ინგლისი

\*\*\*

ცეკვებში ქართველები იცავენ თავის ეროვნულ საუნჯეს! მათ, ისევე როგორც ეს-პანელებს, აქვთ თავისი განსხვავებული კულტურა! ჩვენი ღრმა რწმენით, ისინი უფრო ევროპელები არიან, ვიდრე – აზიელები, თუმცა შეიმჩნევა ორივე კულტურის ბედნიერი შერწყმა ზედმიწევნით ეროვნულ სტილში...

„კუტიერ მეილი“,  
ავსტრალია

\*\*\*

„ხორუმი“ აღსავსე მგზნებარე ტემპერამენტით, მოქნილობით, სიმამაცით. იშვიათად მოიძებნება მსოფლიოში სხვა რომელიმე ცეკვა, რომელიც ასე მეტყველად, თანამიმდევრულად გვიხატავდეს საომარი იერიშის სურათს.

„ვეაგ ნოუს“  
რუმინეთი

\*\*\*

ჩვენ ყველანი აღფრთოვანებულები ვართ ქართული ხალხური ცეკვებით, ისინი მრავალგვარია, ლამაზია, პოეტური... ასეთი რამ არსად და არასოდეს არ გვინახავს!

„ესტადოდე სან პაულე“  
რაზილია

\*\*\*

ქართველებს აქვთ ქორეოგრაფიის რაღაც განსაკუთრებული, საკუთარი სტილი, რომელიც მათ ყველასაგან მკვეთრად განასხვავებს.

„დეილ მირორი“,  
ინგლისი

\*\*\*

...ქართველები ისევე სიცოცხლით აღსავსენი არიან, როგორც იტალიელები და ამავე დროს, ისევე ამაყი და მგრძნობიარენი, როგორც ესპანელები. შერეულ ცეკვებში მკვეთრად ჩანს ქალისადმი განსაკუთრებული რაინდული დამოკიდებულება. ამ მხრივ ქართულ ცეკვებს ვერაფერი შეედრება.

„დეილ ტელეგრაფი“,  
ინგლისი

\*\*\*

„ეს უნდა ნახოთ, ამის აღწერა შეუძლებელია“  
„სინათლე დანიელთა გულში“  
„ჯადოქრები საქართველოდან“  
„მშვიდობის დესანტი რუსთაველის ქვეყნიდან“  
„ქართული ხალხური ფოლკლორი და თვითმყოფადი კლასიკა“

დანია,  
კოპენჰაგენი

\*\*\*

„ლა-სკალას სცენაზე ქართველმა მოცეკვავეებმა მოიტანეს ქართული ფოლკლორის სუნთქვა. მათი ცეკვები სათავეს იღებენ მდიდარი და უძველესი ქართული ისტორიის ფესვებიდან. „ლა-სკალაში“ ასეთი ტრიუმფით ჯერ არავინ გამოსულა. ქართველებმა დაიპყრეს ჩვენი გული და გონება... მხურვალე ტაში, ოვაცია, აღფრთოვანება... უფრო სწორი იქნება ვილაპარაკოთ არა წარმატებაზე, არამედ ტრიუმფზე!“

გაზეთი „კორიერე დე ლა სერა“  
იტალია

\*\*\*

„...ქართველი მსახიობები უდიდესი რეალიზმით გვიჩვენებენ ძველი, მდიდარი ისტორიის მქონე საკუთარი ქვეყნის ცეკვების სულს, მათ ნამდვილად შემოქმედებით მწვერვალამ-დე აჰყავთ ტექნიკური ოსტატობა. ხშირად ადამიანის ენა უძლურია სიტყვებით გამოთქვას ის დიდი ქება, რომლის ღირსიც არის ეს ბრწყინვალე ანსამბლი.“

„...ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლის რეპერტუარი ერთ მთლიან, ბრწყინვალე ხალხურ სანახაობას წარმოადგენს, რაც ხიბლავს და აჯადოებს მაყურებელს, ჭეშმარიტ სიამოვნებას ანიჭებს მას.“

„...შმაგი მხიარულება, ამაყი მოძრაობა, საოცარი ტექნიკა, ქალიშვილების სინატიფე და გრაციოზულობა, სიმსუბუქე, მამაკაცების ვაჟკაცური გამბედაობა, მოძრაობის უნაკ-ლურობა, ერთსულოვნება, ვინ მოსთვლის ყოველივეს, რაც ქართველებს ახასიათებთ... გაჭედილი თეატრის მაყურებლები აღვსილნი არიან ენთუზიაზმით. ეს იყო ნამდვილი გონების შემარყეველი საღამო!“

გაზეთი „კორიერე ლომბარდო“  
მილანი

\*\*\*

„ერისიონის“ ტორნადომ გაანგრია გალაქტიკა.

„გალაქსი“, პარიზი

\*\*\*

ეს ბევრად მეტია, ვიდრე საცეკვაო ფოლკლორი. ეს უმაღლესი სრულყოფილებაა.

„კიოლნერ შტატ-ანზეიგერკიოლონიშე რუნდშაუ“  
გერმანია

\*\*\*

„...ქართული ცეკვები მიგვითითებს ამ უშიშარი ხალხის სულიერ კეთილშობილებაზე. ხალხისა, რომელიც მუხლს იდრეკს სამშობლოსა და მანდილოსის მარადიული სილამაზის წინაშე.“

გაზეთი „ლიბერასიონ“,  
პარიზი

\*\*\*

„...ქართული ცეკვები ისე მომხიბლავია, რომ უნდა ნახოს ყველამ, ვინც ქორეოგრაფიით არის დაინტერესებული ... ქართული ცეკვის ნახვის შემდეგ უნებურად გაძლიერებულ მა-ჯისცემას გრძნობ.“

„სტარ“  
ლონდონი

\*\*\*

„შეიძლება ვიფიქროთ, რომ საქართველოში ცეკვის ხელოვნებას დედის რძესთან ერ-თად ითვისებენ. „...ქალები ოცნებასავით მონარნარენი და აღმოსავლური ზღაპარივით მშვენიერნი გამოირჩევიან განსაკუთრებული დახვენილობითა და იდუმალებით, როგორც იეროგლიფები“..“

„პოლიტიკენ“  
კოპენჰაგენი

\*\*\*

„...ქართული ცეკვები – ესაა უზენასი ნეტარება, ეს არის დაუოკებელი ძალა, დამა-ტყვევებელი ტემპერამენტი და რკინის დისციპლინა. ეს არის ქალთა მშვენიერება და მოხ-დენილობა, მამაკაცთა სითამამე და სიმკვირცხლე.“

„ფრი პრეს ჯორნელ“  
დელი

\*\*\*

„ქართველ ხალხსა და ქართველთა ცეკვას ორი ათასი წლის ტრადიცია გააჩნია. ქართველი ხალხი ცნობილია სიმამაცით, მუსიკის დიდი სიყვარულით და შესანიშნავი გარეგნობით.“

„ოკლენ სტარ“  
ოკლენდი

## ექიმი

სპექტაკლში სინარნარე და სიძლიერე ერთმანეთს ერწყმის. თბილისიდან ჩამოსულმა ასამდე მსახიობმა ქართული ფოლკლორი წარუდგინა ფრანგ მაყურებელს. ეს გახლავთ საუკეთესო სიმღერები და ცეკვები, რომელიც განუწყვეტილი შემოსევების ფონზე იქმნებოდა საუკუნეების განმავლობაში. აქ მოგონილი ნამდვილად არაფერია! ყველა და ყვე-ლაფერი ბედნიერების მწვერვალზეა.

„ფიგარო“  
საფრანგეთი  
7 მარტი, 2002 წელი

\*\*\*

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „ერისონმა“ დიდ თეატრში მხიარული სახალხო ზეიმის განწყობა შემოიტანა და, სანამ სცენაზე ბრწყინავდნენ დიდებული ქართველები, მოცეკვავე და მომღერალი ვაჟკაცები, დარბაზი ტაშს კი არ უკრავდა არამედ გრგვინავდა ალტაცებისაგან...

„კულტურა“ საფრანგეთი  
16 ოქტომბერი, 2003 წელი

## „ეს ვიჩრევბ სჩეიდა საჭარველოს ქორეოდენიფის წინაშე“

თბილისში აღინიშნებოდა დიდებული მამულიშვილის, გამოჩენილი მწერლის, მეცნიერის, ისტორიკოსის, საზოგადო მოღვაწის ლევან სანიკიძის საიუბილეო საღამო, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად მოწვეულები იყვნენ ქორეოგრაფიული ანსამბლები, როგორც პროფესიული, ისევე სტუდენტური და საბავშვო. ბატონ ლევანს იმ საღამოს, ფაქტობრივად, ესალმებოდა და ულოცავდა სრულიად საქართველო.

ფინალი დააგვირგვინა ქორეოგრაფიულმა სუიტამ – „შეჯიბრი“. აღფრთოვანებული იუბილარი მიკროფონთან მიპრძანდა; დარბაზში ყველა მყოფი, თითქოს, ვიღაცამ ბრძანება გასცაო, ერთდროულად, ფეხზე წამოუდგა ბატონ ლევანს...

ყველა ელოდება იუბილარის სამადლობელ სიტყვას. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ იუბილარი თავის სამადლობელ სიტყვას დაიწყებდა მთავრობის წარმომადგენლებისა და საპატიო სტუმრებისადმი მიმართვით. მაგრამ არა, ხდება საოცრება: მხცოვანმა იუბილარმა მიკროფონი მოხსნა, ლამაზად ჩაიმუხლა და ბრძანა : „მე ვიჩრევბ სრულიად საქართველოს ქორეოგრაფის წინაშე“.

გვინდა წინამდებარე წიგნი დავამთავროთ ბატონ ლევან სანიკიძის იგივე სიტყვებით – „მე ვიჩრევბ სრულიად საქართველოს ქორეოგრაფის წინაშე“.

ავტორი

საბოლოო



## ქართველი მოლოდნები ქახთული სახავის შესახებ

ქართული ცეკვა მთელი სამყაროა - აბაზაძე მანანა -----	13
ქორეოგრაფიულ ხელოვნებას მრავალსუჟუნოვანი ისტორია გააჩნია - აბესაძე ირინე -----	13
მსოფლიო აღიარება - აზარაშვილი ვაჟა -----	14
*** აკაკი -----	15
„ქართული ცეკვა მშვიდობის დესანია“ - ალავიძე ვილი -----	15
სულიერების მინდა სარკმე! - ალავიძე ოლეგ -----	16
ხელოვნება ლამაზარია - ალექსიძე ალექსი -----	17
ქართული ცეკვა-როკვით გაცემილი გენია! - ალხაზიშვილი ნუგზარი (ნუკრი) -----	17
ჩვენი ერის უკვდავების პირობა - ამირეჯიბი ჭაბუა -----	18
ქართული ცეკვა გაცემორიგებულია - ანანიაშვილი ნინო -----	18
ქართველი ხალხის შემოქმედებითი სული და სამყარო - ანდლულაძე ნოდარ -----	19
დიდებული, ხელუქმნელი ძეგლი - არველაძე ნათელა -----	19
ქორეოგრაფია და სპორტი - არველაძეები რეზი, შოთა, არჩილ -----	21
საცეკვაო ფოლკლორი ერის მაცოცხლებელი ქარლვის - ასათიანი აკაკი -----	21
სულის მოძრაობა - ასათიანი ვალერი -----	22
ქართული ცეკვის ტრიბული ვარ - ასათიანი ლიანა -----	22
*** ახმეტელი სანდრო -----	23
ქართული სულიერების გამოხატულება - ბაგრატიონი ჯანო -----	23
ქართული ცეკვა და სპორტი ერის სავიზიტო ჰარატია - ბაგრატიონი ჯანო (უმცროსი) -----	24
ეს საოცრება! - ბაზელი აბრაამ -----	26
იგი ქართველთა უკვდავსაყოფად გვარეუნა არსთაგამრიგება! - ბალანჩივაძე რევაზ -----	27
ქართული ცეკვა მთელი სიმფონია - ბარამიძე რევაზ -----	28
ტერზი, მუხლი, ფრთები... - ბარბაქაძე თამარ -----	29
როკვითა ფერხისითა... - ბატონიშვილი ვახუშტი -----	30
პრაგატიკისალური კულტურის უდიდესი მონაცემარი - ბალაშვილი გია -----	30
მიწივ სათაყვანიერებული და საზრუნოვანი - ბაშელეიშვილი დემურ -----	31
ცეკვა ქართული. ფრიდონ სულაბერიძეს - ბერაძე რეზო (რაჭველი) -----	31
ქართული ცეკვა ჩემთვის სიცოცხლეა - ბერაძე ჯუმბერ -----	32
*** ბესელია ეკა -----	32

ცეკვა „ქართული“ - ბერძენიშვილი ელგუჯა	33
ქორეოგრაფის სამყარო - ბერძენიშვილი ლევან	35
ციცილური სამყარო - ბერძენიშვილი მერაბ	36
შუალედან დახველებით - პზიავა კოკა	36
სიღრმე და სინატივე ეართული ცეკვისა - ბიბილეიშვილი თემურ	37
ქართული ქორეოგრაფია - ქართველი ხალხის	
ეროვნული სახე - ბიბილეიშვილი იური	38
*** ბრაილაშვილი ნინო	39
*** ბურდული გუჯა	39
ქართული ცეკვა - პლასტიკაში გამოხატული სიცოცხლე - ბუღაძე გია	40
ქართული ცეკვის განუმეორებელი ხიდი - გამყრელიძე თამაზ	40
ქართული ცეკვა თავის ფესვებს უშორეს	
ნალსულგი პოულობს - გარუჩავა შალვა (ჯამუ)	41
ზველაზერი ქართული გვეამაყება - გაჩეჩილაძეები ლარისა და თენგიზ	42
ქართველის უზენაესი ცეკვა - გეგია მერაბ	43
ათასწლეულთა სიღრმიდან როკავს ქართველთა გენი - გელიაშვილი ეკატერინე	44
ცეკვა ჯაჭვარიტეპით ხარობს - გვაზავა მედეა (დუდი)	45
ქართული ხალხური ცეკვა ხალხის სულიერი ჟულტურის	
განუყრელი ნაცილია - გვარამაძე ლილი	45
მსოფლიოს მსგავსი რამ კერ არ უნდავს - გვრიტიშვილი ელეონორა	46
ცეკვაში უნივერული უნიკალური ფენომენი - გიუმიყრელი მიხეილ	47
“ცეკვა არის მთელი ჩემი ქონება“ - გოგავა თენგიზ	49
ცეკვას თარგმნა არ სტირდება - გოგიაშვილი გურამ	50
ქართული ქორეოგრაფია ქართული	
ფენომენის სიცოცხლეა - გოგოლაშვილი ვახტანგ	51
ზღაპრულ მძივთა აკიღო - გოგოტიშვილი თამაზ	52
მარადისობის გასაღები - გონაშვილი მაყვალა	53
უაილობრ სავიზიტო გარათი - გოგსაძე ზაალ	54
ქართული ცეკვა - პლასტიკური ხატია - გოცაძე თემურ	54
მაღალი ზეობის სამყარო - გუდიაშილი ჩუქურთმა	54
„ფარიპაობა“ ნამდვილი აღმოჩენა იყო - გუნაშვილი ვახტანგ	55
„ქართული“ და „ფლამენკო“ - გურაბანიძე ნოდარ	55
ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიას მსოფლიოში	
ჩადალი არ ჰყავს - გურგენიძე ავთანდილ	57
ჩვენი სულიძან ამოსული ხელოვება - გურგენიძე ვაჟა	57
ქართული კულტურის უძველესი დარმი - გურგენიძე ვახტანგ	59
ქართულ ცეკვებს უკიდეგანო შესაძლებლობები გააჩნია - დავითაია ვახტანგ	59

მსოფლიო უნიკალური მოვლენა - დავითაშვილი მერი	60
ვცდილობდი ცეკვის ენით გადმომეცა	
ძართველთა ისტორია - დარახველიძე გიორგი (ბუხუტი)	60
ერის სულიერი ანარეპლი - დაშნიანი მურთაზ	61
ეროვნული პლასტიკის გენეტიკური კოდი - დვალიშვილი აკაკი	61
ხელოვნების ლიტერატური მადლობილება - დვალიშვილი უჩა	62
ძართული ხალხური ცეკვა - ჩვენი ისტორიული	
მეცნიერება - დოიაშვილი დავით	63
რამ შემოინახა ჩვენი პივილიზაცია? - დოლიძე ქეთი	63
ძართული ცეკვა ქაყაჯისა და ერის სულის ნაწილია - დონაძე მერაბ	64
მე მუდამ მანველიზრებდა ძართული ცეკვა - ღუმბაძე ნოდარ	65
ზოლა ვაოძას თავისი სტილი აძვს - დუნდუა ჯუმშერ	65
ჰარაქალა ძართულ ცეკვას! - ეგაძე ოთარ	67
ძართული ცეკვას მსოფლიო აღიარება - ერქომაიშვილი ანზორ	67
ძართული ცეკვა - ერის ტკივილი და სიხარული - ვარსიმაშვილი ავთანდილ	68
*** ვაჟა-ფშაველა	69
ხალხური ცეკვის სიყვარულით - ვასაძე ნათელა	69
უეპრო მალამო სულისა - ზამბახიძე ანზორ	71
უკვდავება - ზოიძე შოთა	73
ძართული ცეკვა ნიშანი ღმიათისგან ნაპოძიტი - თავხელიძე მამუკა	74
ცეკვა „ძართული“ მცველვალია - თათარაძე ავთანდილ	74
*** თანხან-მოურავი დავით	75
ძართული სულის და ძართული გენის სიდიადე - თელიაშვილი ლევან	75
ძართული ცეკვა სულისა და სხეულის დახვეწილი ფორმაა - თედორაძე დავით	76
გენისა და ჯიშის უკვდავება - თევზაძე დავით	77
უძველესი ისტორიის მონე - თვალავაძე ვაჟა	77
ძართული ცეკვის მისტიკურობა - თითმერია ჯუმშერ	78
ძართული ცეკვა საოცრება! - თოთიბაძე გოგი	79
ძართულია ცეკვამ მსოფლიო აღიარება მოიპოვა - თოიძე ბადრი	79
ცეკვა ადამიანის სულის თქმაა - თოფურია ნოდარ	80
გამორჩეული თვითმყოფადობის მონე - თოხაძე მედეა	80
ძართული ცეკვა ჩემი სატიბა! - თურმანიძე თემურ	81
საძართველო ცერზე დგება - თხილაიშვილი თემურ	83
მარად უკვდავი ქორეოგრაფია - ივარდავა დილარ	84
ამოუცურავი თავის სიძველესა და სიახლეში - იმედაშვილი კობა	85
ცეკვა ჩემი ცხოვრება - იმნაძე თენგიზ	85

მათ ხომ მსოფლიო გააოცეს! – ინანიშვილი რეზო	86
„სანამ ჩართულად ვცეკვავთ...“ – ინწყირველი ალექს	86
თინ ტინაპეპისაკენ! – იოსელიანი ოტია	87
ქართული ცეკვა – ჩემი ჯიში და სისხლია – კავსაძე კახი	88
ეს საოცებაბა! – კაკაბაძე ასლან	88
ქართული ცეკვა ქართველი კაცის ავტოპორტრეტია – კალანდია გენო	89
გმადლობთ, გატონეპო! – კალანდია ზაური	89
სანამ არსებობს ქართული ცეკვა	
იარსებებს საქართველო! – კანდელაკი ვლადიმერ	90
სანამ ერთი ქართველიც კი იცეკვებს,	
მანამ იცოცხლებს ქართული სული – კაპანაძე ნუგზარ	91
ქველი ქართული ცეკვები – ქართული	
ქორეოგრაფიის საგანძურო – კასრაძე ქართლოს	91
ცეკვა ქართული – კახაძე ლადო	92
„ქართული ჩოხა ერთადერთი ეროვნული სამოსია, რომელსაც შენ უნდა მოერგო“ – კახაძე ლადო	93
მსოფლიოს მპრძანებელი და ქართული ღირსება – კვარაცხელია ვალერი	94
ცეკვა – სულის აღმაფრენის ნიშანი – კვანტალიანი შარლოტა	94
„როკვა“ – ქართული სულის ზეობა – კვერენჩილაძე ზინა	94
ქართული ცეკვა – მსოფლიო კულტურის სამანძურში – კვიტაშვილი ემზარ	95
მოძრაობის ესთეტიკა – კიკნაძე ვასილ	95
ქართული ქორეოგრაფიის შემძებელი და შემოქმედი თვით ქართველი	
სული იყო ყოველთვის – კიზირია ემზარ	97
ერის უკვდავების ცყარო – კიკალიშვილი თამაზ	98
ქართული ცეკვა პატრიოტულ ემოციათა უშრეტი ცყაროს – კილასონია სოფო	98
მან ხუთივე კონციენციის მაზურებელი დაიცყრო – კირვალიძე ნინო	99
ასეთ მოცეკვავე ერს სიკვდილი არ უცერია – კიტია დორიან	99
ქართული ცეკვა ჩემი სიამაყეა – კობალაძე ფატმან	100
ღვთითი ნაგოძები საჩუქარი – კობერიძე ოთარ	100
ცეკვაში გამოხატული ქართული სული – კოკოჩაშვილი მერაბ	101
ცეკვაში ერის ხეობაა ჩაძსოვილი – კომახიძე თეიმურაზ	101
ქართული ცეკვა – კოტეტიშვილი ვახუშტი	101
*** კოტეტიშვილი ვახტანგი	102
ქართული ცეკვა სისხლში ჭორბავს – კოლუაშვილი ბაია	102
ვესოთა სალოცავი, სულისვერება... – ლაზიშვილი ზაურ	102
ხორუმი – ლებანიძე მურმან	104
ქართული ცეკვა ხომ ჰიმნია – ლეკვეიშვილი ომარ	106

მსოფლიო კულტურის საკუთრება - ლომიძე ზურაბ	106
ქართულ ხალხურ ცეკვას ეროვნული ტრადიცია უნდა შეუნარჩუნდეს - ლომიური ნოდარ	107
ცეკვაში ქართველის გუნება აშპარად იკითხება - ლორთქიფანიძე გიგა	108
კაცოგრიოგის ასაპი - ლორთქიფანიძე გურამ	109
ქართული ცეკვა მნიშვნელოვანი ფენომენია - ლორთქიფანიძე მარიამ	109
ქართული ცეკვები საერთო სახალხოა - მათიაშვილი გიორგი	110
*** მამარდაშვილი მერაბ	110
ქართული ფენომენის უკვდავება - მამისაშვილი ნოდარ	110
ღვთიური მაღლით ცხეპული - ჩვენი ცეკვა ქართული - მანაგაძე ზურაბ	111
ქართული ცეკვა ქართველი კაცის სულის ნაწილია... - მახათელი ნიკოლოზ	111
ქართული ცეკვის სილამაზე და მომზიდვლელობა - მაჯგალაძე კონსტანტინე	112
საქართველო ცეკვაშ გადაარჩინა - მარდალეიშვილი ვილენ	112
*** მარჯანიშვილი კოტე	113
*** მახარაძე კოტე	113
ცეკვა ქართველი კაცის გავლილი გზაა - მახარაძე მიხეილ	113
ქართული ცეკვა - ნიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო - მეგრელაძე ავთანდილ	114
*** მეგრელიძე ჯემალ	114
გამჩენის ნაგოძები ჯილდო - მელივა გურამ	116
ერის რაინდული სულის გამოხატულება - მეტრეველი მარინა	117
ქართული ცეკვა ერის უკვდავების გარანტია - მეტრეველი როინ	117
ერეაოგრაფიული ხელოვნების მაგიერი ქალა - მეშველიანი ჯოკია	118
კაცოგრიოგის მონაცოვარი - მეღვინეობურცესი ოთარ	120
ქართული ფოლკლორული ერეაოგრაფია ერის გენეტიკური კოდის ესთეტიკური გამოსახვა - მექმარიაშვილი ელგუჯა	120
ქართული ცეკვა - ფასდაუდებელი საუჯიე - მინდიაშვილი არჩილ	122
*** მიქელაძე ოთარ / ჩაჩივა გოგი	122
ლამაზი, ლალი სანახაობა - მიქელაძე ჯიმი	123
ცეკვა - ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის გამოხატულება - მიშველაძე რევაზ	124
ნინაპრება გლიცარი ერეაოგრაფიული მემკვიდრეობა გადმოგვილოცეს - მოქერია ვალერი	124
ქართველი ხალხის უდიდესი მონაცოვარი - მრევლიშვილი სანდრო	126
ცეკვა ერის გაცოცხლებული სულია - მუშკუდიანი თენგიზ	127
30 ცელი „სუხიშვილების“ ანსამბლში - მხეიძე ომარ	127
ყველა ქართველი მოცეკვავეა - ნავროზაშვილი ჯემალ	129
ქართული ცეკვა სულიერი ცხოვრების სფეროა - ნატროშვილი გიორგი	129

*** ნიორაძე ირმა	130
ქართული სული ვაჟკაცურ ცეკვებში ამღერებული - ნონეშვილი იოსებ	130
ვენის ტყევა ქართველები ცეკვავენ... - ნონეშვილი იოსებ	131
ქართული ცეკვა - ეროვნული საუნდი - ოდიკაძე გივი	132
ქართული ცეკვა - ოთარაშვილი ვაჟა	132
პოეტური ქორეოგრაფია - ოთარაშვილი ვაჟა	132
ქართულება ცეკვამ მსოფლიო დაიაყრო - ონოფრიშვილი ირაკლი	133
ეროვნული ცეკვების შემახვევლი და	
ავთორი ქართველი ხალხი - პატარაშვილი ილია	133
მსოფლიოს მირვე საოცრება! - ულენტი თემურ	135
ჩემი არსებობის წყარო და მიზანი - რამიშვილი ნინო	135
ცეკვა ქართველი ერის ხასიათის გამოხატულებაა - რიჟვაძე როინ	136
ქართული გენის როკით განვევილი! - რობაქიძე გრიგოლ	136
ცეკვა! ცეკვა! ცეკვა! - რობაქიძე გრიგოლ	137
ქართული ცეკვა - როხვაძე ლევან	137
ქართული ცეკვა - ერის თარსულისა და	
მოგავლის გამოხატულებაა - რურუა ნოდარ	138
** საკანდელიძე ნინო / შერვაშიძე მანუჩარ	139
ხალხური მარგალიტები - სალუქვაძე გიორგი	139
არაპროფესიონალის თვალით დანახული	
ქართული ქორეოგრაფია - სალუქვაძე გიორგი (უმცროსი)	139
ქართული ცეკვა - სამსონაძე ანანო	141
სული აცეკვებს სხეულს - სანიკიძე თამაზ	142
ქართული ცეკვა - უმაღლესი ჯიშობრიობის გამოვლინება - სანიკიძე ლევან	143
ქართული ხალხური ცეკვა ჩემი სიახლეა - საღარაძე გურამ	143
სინაზის, სინარნარის, გრაციისა და სიმამაცის	
საოცარი სინთეზი - საღარაძე გურამ	144
ქართული ცეკვა უფლის საზღვეების პიმნი - საღარაძე ელდინო	145
ქართულება ცეკვამ გადაარჩინა ქართული სული - საჭაია ბორის (ჩაქუ)	145
ფრილონ სულაპერიძეს - საღლიანი ერეკლე	146
ომარ მხეიძეს - საღლიანი ერეკლე	146
ცლა გაუძარცყლდა საცუთროს - საღლიანი ერეკლე	147
სიზმარშიც კი ცეკვით ვცოცხლობ - სვანიძე ბესიკ	149
მის აღმატებულებას ქართულ ცეკვას - სიხარულიძე გივი	150
ფერხული არის ქართული აზროვნების ფუძეთა ფუძე - სიხარულიძე გომარ	150
ცაგებალა და გოგონა - სიხარულიძე გომარ	151

ჩართული ცეკვა ჩართველ ხალხთან ერთად	
იჩადებოდა - სიხარულიძე გულიკო	151
შემოქმედებითი ენერგიისა და ტრანზიტის	
თავითმყოფადობა - სიხარულიძე ლერი	152
ქედს ვიხრი ამ ცილიადის ცინაში - სულაპერიძე ფრიდონ	153
თანდაყოლილი გრაცია და პლასტიკურობა - სუმბათაშვილი ალექსანდრე	154
მცავიოდ გამორჩეული მსოფლიოს ხალხთა ცეკვებისაგან - სურვილაძე გივი	154
ჩართულ ცეკვას - სურმანიძე ნოდარ	154
მე ასე მიმართია - სურმანიძე რამაზ	155
ჩართული ცეკვის მრავალმხრივი ფერადობება - სუხიშვილი თენგიზ	156
ხელოვნების ძალა ხალხისგან მომღინარეობს - სუხიშვილი ილიკო	158
ჩართულ ცეკვაში არყოფნილი ეროვნული	
ხასიათი - სუხიშვილი ილიკო (უმცროსი)	158
მსოფლიო ცივილიზაციის სამანქური - სუხიშვილი ნინო	159
ცეკვისა და სიმღერის სახეობო - სებისკვერაძე რუსუდან	159
*** სტურუა რობერტი	160
განვითარება მხოლოდ მაგისტრალური ხაზით - ტაბიძე ნოდარ	160
„ჩართულ ცეკვას დრო ვერაცეს დააკლებს“ - ტატიშვილი ცისანა	161
მისი შესაძლებლობები განუზობელია - ტვილდიანი ომარ	162
ჩართული სულის და გენის ყივილი - ტორაძე იური	162
ჩართული ცეკვა ათასობილებებს ითვლის - უგრეხელიძე მინდია	163
*** უთმელიძე თენგიზ	163
ტრიუმფი - უთმელიძე თენგიზ	165
ჩართული ცეკვა - მარადიული დღესასწაული - უთმელიძე თენგიზ	166
ჩართული საცეკვაო სტიტია - უთმელიძე ლამარა	166
ჩვენი ეროვნული საუნი - უშვერიძე დავით	167
რომ არა ცეკვა ჩართული... - უშიკვიშვილი გიორგი	167
ცეკვის გარეშე ჩემთვის არსებობა ნარმოულებელია - ფაილოძე რუსუდან	168
ჩართული კინო ძალზე ღარიბი იქნებოდა ჩართული	
ცეკვის გარეშე - ფალავანდიშვილი თემურ	169
ჩართულ ცეკვებს რეპლაგა არ სჭირდება - ფანჯიკიძე გურამ	169
ჩართულ ხალხურ სიმღერებს სამშობლოსა და დედა ენასავით	
უნდა გაფრთხილება - ფანჯიკიძე თეიმურაზ	170
ჩართული ცეკვა - ძლიერი ემოცია - ფეიქრიშვილი ქეთევან	171
ერის პოტენციალი ქველაზე ნათლად ფოლკლორში ჩანს - ფერაძე ზაზა	171
XX საუკუნის მოღვაწეებება გადაარჩინეს	
ჩართული ქორეოგრაფია - ფირცხალაიშვილი ლევან	172

ცეკვა გუნდის მიპარვა - ფოჩიანი ლატავრა	173
სულითა და გულით ვეფერები	
ძართულ ქორეოგრაფიას - ფოცხიშვილი გელოდი	173
აფერუმ თქვენ საქმეს! - ლალანიძე ჯემალ	174
პლასტიკის ენით ხატიხული საქართველოს ისტორია - ღლონტი ვახტანგ	176
ხასიათის, ტემპისამცირისა და სულის	
ერთიანობის სიმუშია - ღლონტერიძე ლანა	176
ასეთი მუსტი თარმოუდგენელია ხელოვნების	
სხვა დარგებში - ყანდარელი გივი	177
*** ყაზბეგი ალექსანდრე	177
შენგან მოველი შველას - შალიკაშვილი ამირანი	177
ჩვენი საამაყო ცვლილი ცივილიზაციის ისტორიაში - შევარდნაძე ეფუარდ	178
*** შელია ჯემალ	178
ერის სიამაყი - შენგელაია ელდარ	178
რა არის ჩემთვის ძართული ცეკვა? - შილაკაძე მანანა	180
ცეკვა სულის ამოძახილია - შუპაშიკელი მიხეილ	181
მსოფლიო არენაზე პირველად ცეკვა გავიდა - ჩაკვეტაძე შოთა	181
არტისტიზმითა და პლასტიკურობით გამორჩეული - ჩარკვიანი გელა	182
გენიალური ქართული როკვა - ჩარკვიანი ჯანსულ	182
ძართული ცეკვა ზეალმატიპული ფენომენია - ჩიგოგიძე ვასილ	183
ძართული სულის ანგანი - ჩიტაია ომარ	184
ძართული ცეკვა შეცდ გაცოცხლებს და ერსაც - ჩიხლაძე ანტონ	186
ძართული ცეკვა - ჩვენი ეროვნული საგანძურო! - ჩლაიძე გიორგი	187
ერის ისტორიული სახის ერთ-ერთი	
უმნიშვნელოვანესი ნიშანსეპტი - ჩოხოსნები	187
ძართული ცეკვის განსაკუთრებული ადგილი	
ეროვნულ კულტურაში - ჩოჩუა სვეტლანა	188
ძართული ცეკვა - ჩვენი სიამაყის საფუძველი - ჩხაიძე თემურ	188
მსოფლიო მიღების ნიმუშები -	
„ხორუმი“ და „ქართული“... - ჩხეიძე ალექსანდრე	189
*** ჩხეიძე თემურ	190
სისხლისა და სულის ერთიანობა - ჩხეიძე რეზო	190
მას გადაშენება არ უძირია - ჩხიკვაძე რამაზ	191
ძართული ცეკვა ხალხის დიდებული ქმნილებას - ცავა გიორგი	191
ღრეად ჩავიხედოთ ეროვნულ საგანძურო - ცათიაშვილი იოსებ	192
ყოველი ძართული ცეკვა ერთი ღილი პოემის ტოლიასია - ცანავა იური	193
ცეკვა - ძართული სულის ნათელი - ცხადაძე ბადრი	195

ქართული ცეკვით შეიტყვეს საქართველოს შესახებ - წერეთელი გიგი	195
*** წერეთელი ზურაბ	196
ჩემი მამული, მჯერა, კვლავაც აღორძინდება - წერეთელი ნუგზარ	196
ქართული ცეკვა ღვიარობაზე წარსაჭირო	
საციზოტო ჩარატის - წივწივაძე თამაზ	197
ჰალეფი ჯიშის, ქართული ჯიშის... - წულუკიძე დავით	198
ქართული სალეური ცეკვები გვაოცებენ მრაცით - ჭაბუკიანი ვახტანგ	198
ქართული ცეკვა - საოცრებათა შორის შედევრი - ჭანიშვილი გიორგი (გოგიტა)	199
ქართული ცეკვა ათასცლოვან გზაზე! - ჭელიძე გიზო	199
ქართული ცეკვა ჩემი ცხოველის განუყოფელი ნაცილი - ჭიაურელი სოფიკო	200
ქართული ცეკვის აპოლოგია - ჭილაძე თამაზ	200
*** ჭილაძე ოთარი	201
ქართული ცეკვა საქართველოს უკვდავება - ჭიჭინაძე დოდო	201
მსოფლიო ქართული ქორეოგრაფიისგან მაგალითს იღებს - ჭეუასელი ჯემალ	202
სიპრძით გაზღვითილი „როკვა“ - ჭოხონელიძე თამრიკო	202
ცეკვა „ქართული“ მსოფლიო ქორეოგრაფიის	
მცველვალებს უტოლდება - ჭოხონელიძე კუკური	204
ქართულ ცეკვაში ნათლად ჩანს ჩვენი ერის წარსული,	
აწყობ და მოგავალი - ჭოხონელიძე რევაზ	204
ქართული ცეკვა - ჩვენი ერის სულიერი ამაღლება - ჭოხონელიძე რომან	205
ქართველი ქალი - მშვენიერების სიმპოზიუმ - ჭრიკიშვილი რუსუდან	206
მეამაყება ჩემი ქართველობა! - ქავთარაძე გოგი	207
ქართული ცეკვა ადამიანის სულიერი მდგომარეობის	
გამომხატველია - ქევხიშვილი თემურ	208
ქართული სალეური ქორეოგრაფია მარადიულია	
და ამოუცურავი - ხაბაძე ენვერ	209
განდაგანა - ხალვაში ფრიდონ	209
„გენია როკვით განვინილი“ - ხალვაში ფრიდონ	210
ოდა ცეკვას - ხეთაგური მზია	210
ქართველი სალხის პლასტიკურ-გამომსახველობითი	
გენია - ხერხეულიძე გრიგოლ	212
ქართული ცეკვა ჩვენი ერის სულის	
სიძლიერის გამოვლინებაა - ხუციშვილი გელა	212
ქართული ცეკვა - ხუციძე ვახტანგ	213
*** ჯავახიშვილი ივანე	214
მოციციით მოვაყრათ ჩვენი კულტურის ძირისძირს -	
სალეურ სიგლერას და ცეკვას - ჯაველიძე ელიზბარ	215

მრავალფეროვანია ქართველი ხალხის	
ქართული ენა - ჯავრიშვილი დავით	216
სიყვარულსაც ცეკვით გამოვხატავდით... - ჯაიანი დიმა	217
ცეკვა „ქართული“ - ჯალალინია ნოდარ	218
„არამედ რაღაც სხვა!“ - ჯანაშია მარინა	219
მფიზარი ტრადიციების ხელოვნება - ჯანელიძე დიმიტრი	220
ქართული ცეკვა მთელი ჩემი ცხოვრება! - ჯანიაშვილი რევაზ	220
ქართული ცეკვის სამყარო და სივრცე უკიდებანოა - ჯანიაშვილი ჯანო	222
საბავშვო ქორეოგრაფია ხალხური	
შემოქმედების საგანძურია - ჯანჯალია ომარ (ნუგზარი)	223
ქართული ცეკვა უძიდესი განძია - ჯაფარიძე გია	224
მაღალი კულტურით დამშვერებული - ჯიჯეიშვილი ალექსანდრე	225

## ცხრილი ავტორის ქართველი ხალხის შესახებ

*** აზიზიანი აკობ	227
მხოლოდ ერთადერთხელ მოიხდა გაფრენა - ახმადულინა ბელა	227
*** ბალანჩინი ჯორჯ	228
*** ბიდასტრუპი ჰერლუფ	228
*** ბონატი ლორდი	228
*** ბურატაევა ალექსანდრა	228
*** ბუში ჯორჯ (უმცროსი)	228
ქართული ცეკვა მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურია - ლიუ გუანვენ	229
*** გორეთი მაქსიმ	229
*** დიენი რაიმონდა	230
*** ევტუშენკო ევგენი	230
*** ვასილიევი ვლადიმერ	230
*** ვასნეცოვი ვიქტორ	230
*** კოტრიკასი	230
ქართული ცეკვები კოსმიური ცეკვებია - ლიზი ლინა	231
*** ლიფარი სერჯი	231
ქართული ხალხური ცეკვები - ცეცხლოვანი ხელოვნება - ლეპეშინსკაია ოლგა	231
*** მაქსიმოვა ეკატერინე	232
*** ნეედლისი ზდენეკ	232

*** რაიკინი არკადი	232
*** რუდიგერი ვერნერ	232
*** ლუკიანე სამოსატელი	232
ძართული ცეკვა მრავალსაუზონვანი შრომის ნაყოფია - სკლიარი იგორ	234
ძართველები პოეტი პავლე გურიაშვილის შესრულებული მუსიკური გუნდის,	
მუსიკალური და მოცეკვავი ხალხის - სტეინბეკი ჯონ	234
*** ულანვა გალინა	235
ძართული ცეკვისაბან მიღებული გაპვეტილები - ფოკინი მიხეილ	235
შეღისენარასთან შეიტყობინებული გამოწვევითობის მიმდევარი - ცური შაბთაი	235
ძართული ქორეოგრაფიის ამოუზურავი მრავალფეროვნება - ჰარუნ ჩიმქე	236
*** მესი ლიონელ ანდრეს	237
ძართული ცეკვა - ჯუსოევი სოროონბაი	237

## მსოფლიო პესა კახთელი სახვის შესახებ

„ტაიმსი,“ 1955წ.	239
„ობსერვისი“ 1955წ.	239
„ჰერალდი“	239
პრაღა, ჩეხოსლოვაკია, 1958წ.	239
„მეხიკო“ 1960წ.	239
„ტრიბუნა ლუდუ“ პოლონეთი	239
„სუომენ სოსიალი დემოკრატის“ ფინეთი	240
გაზეთი „სიცილია“ იტალია	240
„სანტა მარია დელა გრა“	240
„საღამოს სიტყვა“ უნგრეთი	240
„პრო გრე“ საფრანგეთი	241
„ნიუა პრესენი“ ფინეთი	241
ნიუ-იორკ ტაიმსი 1972წ.	241
„ნიუ-იორკ უირლდ ტელეგრაფ“ აშშ	241
„მენსი“, ფინეთი	241
„ლოს ანჯელეს ტაიმსი“, ამერიკა	242
„ლიუმანიტე“, საფრანგეთი	242
ლონდონი, ინგლისი	242
„კუტიერ მეილი“, ავსტრალია	243

„ვეაგ ნოუს“ რუმინეთი	244
„ესტადოდე სან პაულე“ ბრაზილია	244
„დეილ მირორი“, ინგლისი	244
„დეილ ტელეგრაფი“, ინგლისი	244
დანია, კოპენჰაგენი	244
გაზეთი „კორიერე დე ლა სერა“	245
გაზეთი „კორიერე ლომბარდო“ მილანი	245
„გალაქსი“, პარიზი	245
„კიოლნერ შტატ-ანზეიგერკიოლონიშე რუნდშაუ“ გერმანია	245
გაზეთი „ლიბერასიონ“, პარიზი	245
„სტარ“ ლონდონი	246
„პოლიტიკენ“ კოპენჰაგენი	246
„ფრი პრეს ჯორნელ“ დელი	246
„ოკლენ სტარ“ ოკლენდი	246
„ერისიონი“ – „ფიგარო“ საფრანგეთი 2002წ.	246
„კულტურა“ საფრანგეთი 2003წ.	247
„მე ვიჩობებ სრულიად საქართველოს ქორეოგრაფიის ცინაში“ ავტორი	247







### რეზო ჭანიშვილი

(საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე,  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი)

დაიბადა 1937 წლის 21 ივნისს, ქობულეთში. მამა – რუბენ ჭანიშვილი იმ დროისათვის გამოჩენილი პარტიული მუშაკი იყო. სამწუხაროდ იგი რეპრესიის მსხვერპლი გახდა. მალე დედაც ლოგინს მიეჯაჭვა და რეზო უფროს ძმასთან ერთად, პრაქტიკულდ ქუჩაში აღმოჩნდა.

დაიწყო ბავშვობის უმძიმესი ხანა. საბედნიეროდ ჯერ კიდევ დაწყებითი კლასების მოსწავლე ცეკვის სტუდიაში ჩარიცხა ცნობილმა პედაგოგმა და ქორეოგრაფმა გივი ჩიხლაძემ. წლების შემდეგ იგი ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მერცხალში“ მოხვდა. ეს კარგი დასაწყისი იყო და 1955 წლიდან მან პროფესიული მოცეკვავის კარიერა გააგრძელა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ანსამბლში.

1956 წელს იგი თბილისში, კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებელში ჩაირიცხა (შემდგომში სერგო ზაქარიაძის სახელობის კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებელი), ცოტა ხანში სამხედრო სავალდებულო სამსახურიც მოიხადა, ხოლო 1963 წელს სასწავლებელი დაასრულა. ამის შემდეგ რეზო ჭანიშვილი ბათუმში ბრუნდება და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტის ანსამბლის ხელმძღვანელად იწყებს მუშაობას. პარალეურად 1965-70 წწ. სწავლას აგრძელებს ამავე ინსტიტუტში.

1974 წლიდან რეზო ჭანიშვილი ოჯახთან ერთად საცხოვრებლად თბილისში გადმოდის და პედაგოგიურ საქმიანობას აგრძელებს ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო სკოლა-სტუდიაში.

1978-80 წწ. იგი მივლინებით სირიაში მიემგზავრება, სადაც სირიის სახელმწიფო ანსამბლის მთავარი კონსულტანტი ხდება.

1980-84 წწ. გამოჩენილ ლოგბარ, ჯემალ ჭკუასელთან ერთად, ქალაქ ქუთაისში სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს აყალიბებს და მის მთავარ ქორეოგრაფად ინიშნება. ამავე პერიოდში რეზო ჭანიშვლიმა საფუძველი ჩაუყარა ქუთაისის ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო სკოლა-სტუდიას, რომლის პირველი სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორიც თვითონ იყო.

1983 წლიდან პიონერთა და მოსწავლეთა სასხლეში საბავშვო ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მერანს“ აარსებს, პარალელურად ხელმძღვნელობს განათლების სამინისტროს მეთოდური ცენტრის ქორეოგრაფიულ განყოფილებას.

1991 წლიდან დღემდე კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის, დღეს კი შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიონალის ინიციატივით და არა ერთი მონოგრაფიისა და წიგნის ავტორია.

2011 წლიდან რეზო ჭანიშვილი არჩეულია საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითა კაშირის თავმჯდომარედ. არის „ლირსების მედლისა“ და „ლირსების ორდენის“ კავალერი, „ქართული კულტურის ამაგდარის“, „საქართველოს ქორეოგრაფიის პრემინგვალების ორდენის“ და „რაინდის ორდენის“ მფლობელი, მრავალი საერთაშორისო ოლიმპიადის, ფესტივალისა და კონკურსის გამარჯვებული და ლაურეატი.

რეზო ჭანიშვილი არის მსოფლიოსა და საქართველოს რამდენიმე ქალაქის საპატიო მოქალაქე, არა ერთი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი. საქართველოში მის სახელს ატარებს რამდენიმე ქორეოგრაფიული ანსამბლი.

ყავს მეუღლე და ორი შვილი.